

საქართველოს სსრ მუცნობისა და სპორტის
მინისტრის

მ ა ს ც ნ ე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

1 · 1975

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

1 · 1975

ქურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეჯი: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. შეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкრелидзе Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი ვ. ლლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.3.1975; შეკე. 3364; ანაწილების ზომა 7×11¹/₂;
ქალაქის ზომა 7×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16,80; საარტიკვო-საგამომცემლო
თაბახი 14.61; უე 01812; ტირაჟი 1 600.
ფასი 1 მან.

*
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

*
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

უ. ყიფშიძე, კოტე მაყაშვილის სატირული პოემის „ეშმაკი საქართველოში“ შემოქმედებითი ისტორიიდან	5
მ. რაშაძე, უცნობი ავტორის ანტიმონოფიზიკური ტრაქტატი	17
Ⓢ კიკნაძე, ვუფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი	32
Ⓢ ჩიქოვანი, ხალხური პიშნოგრაფიის პრობლემა	49
ნ. წაქაძე, ნისიმეს ცხოვრების ქართული ვერსია	69
Ⓢ მელაშვილი, ორფიკული „არგონავტიკა“ და ორფიზმი	90
დ. ბრიქვაროვა, ქართული შესიტყვებების პოზიციურ ტიპებად დაჯგუფების ცდა	92
ი. შაღარი, გარდამავალი ზმნის პრეფიქსულ მორფემათა დისტრიბუციული რანგები აფხაზურში	103
მ. სარიშვილი, ერთი აზერბაიჯანულენოვანი ძეგლის ბგერითი შედგენილობის შესახებ	116
ა. ზიდუშვილი, ზოგიერთი სიტყვის დიალექტური ვარიანტის შესახებ	130
მ. ნადოსასოვა, რამდენიმე ტერმინის შესახებ არაბულ სახარებაში	140

ც ნ ო ბ ა ბ ი დ ა შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

ი. ბაჩიჩილაძე, ცნობები საქართველოში არსებულ ზოგიერთ წიგნსაცავთა და მათ დამაარსებელთა შესახებ	145
--	-----

ქ რ ი ბ ი კ ა დ ა მ ი კ ა დ ე მ ი ა

Ⓢ დუდუშაური, ახალი ნაშრომი ათონის მთის მონასტრების შესახებ	151
ი. მაისურაძე, ახალი ნაშრომი აჭარული ლექსიკის შესწავლის ღარგში	156

ე ო ლ მ ე ი უ რ ი შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

აღ. ბარამიძე, რუსთველის იერუსალიმური სურათის გამო	168
ი. მებრეღიძე, ერთი განმარტება	171
ლ. ანდლულაძე, ერთი უსაფუძვლო რეპლიკისა და მისი ქვეტექსტის გამო	174

ქ რ ო ნ ი კ ა დ ა მ ი კ ა დ ე მ ი ა

მიქელენა აკად. გ. წერეთლის დაბადების 70 წლისთავს	178
ვუფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	183

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Ц. КИПШИДЗЕ, Из творческой истории сатирической поэмы Котэ Макашвили «Сатана в Грузии»	5
М. РАПАВА, Аптимонофизитский трактат неизвестного автора	17
З. КИКНАДЗЕ, Еврейский перевод «Витязя в барсовой шкуре»	32
М. ЧИКОВАНИ, К проблеме грузинской народной гимнографии.	49
Н. ЦАКАДЗЕ, Грузинская версия «Жития Иисуса»	69
Н. МЕЛАШВИЛИ, Орфическая «Аргонавтика» и орфизм	80
Д. ГРИКУРОВА, Опыт выделения позиционных типов грузинских словосочетаний (с целью автоматического поиска порядка слов в предложении)	92
И. ШАДУРИ, Дистрибутивные ранги префиксальных морфем персходного глагола в абхазском языке	103
САРИШВИЛИ, О звуковом составе одного азербайджаноязычного памятника	116
А. ХИДЕШЕЛИ, О диалектных вариантах некоторых слов	130
М. НЕДОСПАСОВА, О нескольких терминах в арабском четвероглаве	140

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

И. ГАЧЕЧИЛАДЗЕ, Сведения о грузинских частных книгохранилищах основателях	145
---	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. ГУДУШАУРИ, Новый труд о монастырях Афонской горы	151
И. МАИСУРАДЗЕ, Новый труд в отрасли изучения лексики аджарского диалекта грузинского языка	156

ПОЛЕМИЧЕСКИЕ ЗАМЕТКИ

А. БАРАМИДЗЕ, К иерусалимскому портрету Руставели	163
И. МЕГРЕЛИДЗЕ, Маленькое разъяснение	171
Л. АИДГУЛАДЗЕ, По поводу одной необоснованной реплики	174

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

К 70-летию со дня рождения академика Г. В. Церетели	178
В комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	183

შერილები

ცისანა ყიფშიძე

კოტე მაყაშვილის სატირული პოემის „ეშმაკი საქართველოში“ შემოქმედებითი ისტორიიდან

კოტე მაყაშვილის შემოქმედებაში სატირას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დიდმა პატრიოტმა და სამშობლოზე უსახლგროდ შეყვარებულმა პოეტმა მთელი თავისი პოეტური შესაძლებლობანი იქითკენ მიმართა, რომ სააშკარაოზე გამოეტანა და გაეკიცხა ადამიანთა ცხოვრების ყოველგვარი მახინჯი და მანკიერი მხარე. მან ამ მანკიერი მხარეების ჩვენებას ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა მისცა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მისი სატირის ძალა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ლიტერატურულ ასპარეზზე კ. მაყაშვილი სატირული ნაწარმოებით გამოვიდა. მას გულს უკლავდა ირგვლივ გამეფებული კარიერიზმი და ბიუროკრატიზმი, ფარისევლობა და მლიქვნელობა, გაუტანლობა და ორპირობა, მეჩუეობა და უპრინციპობა. კ. მაყაშვილი გაბედულად და თავგანწირვით იბრძოდა ცხოვრების ამ უარყოფითი და მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ.

მძიმე ოჯახური პირობების გამო კ. მაყაშვილმა ბავშვობიდანვე იგემა ცხოვრების უსამართლობა. ადრე დაობლებული პოეტი უფროსი ძმებისა და ბიძის ხელში გაიზარდა. ბავშვს ხშირად უხდებოდა ცხოვრების აკვარგზე დაფიქრება, დაკვირვება ადამიანებზე. როგორც პოეტის სკოლის მეგობარი გიორგი ნათიშვილი გადმოგვცემს თავის „მოგონებებში“¹, იგი მოწაფეობაში წერდა სატირული ხასიათის ლექსებს. ბავშვობიდანვე კრიტიკული თვალთ უყურებდა ყველაფერს და ეს დამოკიდებულება წითელ ზოლად გაჰყვა მის ნაწარმოებებს.

კოტე მაყაშვილი ღირსეული გამგრძელებელია თავისი დიდი წინამორბედების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ტრადიციებისა. ისინიც სატირამომარჯვებულნი იბრძოდნენ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აკინებდა და გადაგვარების გზაზე აყენებდა ერის ცხოვრებას. თუ თვალს გადავაკვლებთ გასული საუკუნის სამოციანი წლების მოწინავე სატირას, დარწმუნდებით, რომ „მთელი პოეტური ძალით, მოქალაქეობრივი მოვალეობის მთელი შეგრძნების ნიშნით არის აღბეჭდილი თითქმის ყველა თხზულება. ყველგან ცენტრში სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობის საკითხია დასმული“².

ასეთივე სულისკვეთებითაა დაწერილი კ. მაყაშვილის სატირული ნაწარმოებები. საეულისხმოა პოეტის მიერ მოწოდებული ერთი ცნობა: როდესაც

¹ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი, № 5775.

² გრ. კ ი კ ნ ა ძ ე, „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, 1953,

კ. მაყაშვილმა თავისი ნაწარმოების „კრება ან ბიბლიოთეკის დაარსება“ გამოქვეყნება დაიწყო, ბევრმა იცნო თავისი თავი სატირაში და ისეთი ამბავი ატეხეს, რომ პოეტი იძულებული გახდა სატირის ბეჭდვა შეეწყვიტა. „არ ვიცი რით დამთავრდებოდა ეს ტრაგიკომედია, — წერს კ. მაყაშვილი, — რომ ერთხელ არ შემხვედროდა აკაკი წერეთელი და არ ეთქვა ჩემთვის ხანგრძლივ ბაასის შემდეგ: ა, თითი არ მოაკაკო, მეც არა ერთხელ ვყოფილვარ შენს ღღეში, მხნელ იყავი“³.

კოტე მაყაშვილს კარგად ესმის, თუ რა ძნელ საქმეს მოჰკიდა ხელი: „სატირის წერა მეტად უმადური საქმეა, — წერს პოეტი, — იგი ავგეოსის თავლების გაშენების ცდას მოგვაგონებს. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ღიდალ საპატიო საქმე იყოს — ძნელი კია, მძიმე... ყოველ შემთხვევაში სატირიკოსის მოწოდება — საკრამენტალურია: სატირიკოსი არავის უყვარს, იმათაც კი, რომელნიც მას აქებენ და აქეზებენ“⁴.

კოტე მაყაშვილმა „ცნობის ფურცელში“ 1901 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი სატირული პოემა „ნუგეში მტირალს“⁵. ეს სატირა მას აღრე, ჟერ კიდევ სტუდენტობის დროს დაუწერია, დაახლოებით 1898—99 წლებში. იქ მან „კბილი გაკრა“⁶ ქართული საზოგადოების მაღალ ფენებს, განსაკუთრებით თავადაზნაურობას და ინტელიგენციის ნაწილს. პირველივე ნაწარმოების გამოქვეყნებამ მას ბევრი უსიამოვნება მიაყენა: ბევრმა იცნო თავისი თავი სატირაში და ბევრი მუქარაც გაიგზავნა პოეტის მისამართით. მაგრამ კ. მაყაშვილი არ შეუღრკა მოწინააღმდეგეებს და კვლავ თამამად განაგრძო სვლა არჩეულ გზაზე: იგი ზედისზედ აქვეყნებს ისეთ სატირულ ლექსებს, როგორცაა „სიმღერა“, „რითმები“, „სიმღერა საბჭოში გაგონილი 11 ოკტომბერს“ და სხვ.

1903 წელს კოტე მაყაშვილი ცალკე წიგნად უშვებს მეორე სატირულ ნაწარმოებს „კრება ან ბიბლიოთეკის დაარსება“, სადაც პოეტმა სასტიკად გაკიცხა ისინი. ვინც საქველმოქმედო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა „სახელებისა და სხვა სიყეთითა“ მოსახვეჭ პროფესიად გაიხადეს.

პოეტის არჩევნი, რომელიც გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახება, არის ერთი პროზად დაწერილი სატირული ხასიათის დრამატული ნაწარმოები «„ბურჯნი“ (თანამედროვე ცხოვრებიდან) სცენები ოთხ მოქმედებად, ხუთ სურათად». იგი პოეტს არ გამოუტყვევებია. ამ სატირაშიც მოურიღებლად ამხელს და კიცხავს თავადაზნაურთა ცხოვრების მანკიერ მხარეებს. პოეტს ყურადღების ღირსად მიიჩნია ისინი, რამდენადაც ჟერ კიდევ გარკვეულ როლს თამაშობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პოეტის მეორე სატირული პოემა „კრება ან ბიბლიოთეკის დაარსება“ სწორედ ამ პიესიდან უნდა იყოს ამოღებული, გადამუშავებული და გალექსილი. ამ აზრს ისიც ადასტურებს, რომ 1926 წელს გამოცემული „ეშმაკი საქართველოს“ წინასიტყვაობაში პოეტი ამ სატირას ასე იხსენიებს «„ბურჯნი“ ან ბიბლიოთეკის დაარსება»⁷. აქ კოტე მაყაშვილი პირდაპირ მიუთითებს ამ სატირის წარმომავლობაზე.

³ კ. მაყაშვილი, ეშმაკი საქართველოში, 1926, გვ. 10.

⁴ იქვე, გვ. 15.

⁵ კ. მაყაშვილი 1926 წ. გამოცემული „ეშმაკი საქართველოში“ წინასიტყვაობაში ამ ნაწარმოებს ასე იხსენიებს: „სამშობლოს ტირილი“.

⁶ იქვე, გვ. 14.

1903 წლის ბოლოს თუ 1904 წლის დასაწყისში, როგორც თვით პოეტი წერს. იგი შეუდგა მესამე დიდი სატირული პოემის წერას. კ. მკაცრის კვლავ დაუბრუნდა იმ თემას, რომლის ჩანასახი უკვე ჩანდა მის პირველ სატირაში. მან ეს თემა უფრო გააღრმავა, განავითარა, დაამუშავა იგი დიდი სისხით. ეს გახლდათ შემდეგში პოპულარული სატირული პოემა „ეშმაკი საქართველოში“.

თემა და იდეა სამივე სატირაში თითქმის ერთი და იგივეა: ზრუნვა სამშობლოს კეთილდღეობისათვის და ამ მიზნის მისაღწევად სააშკარაოზე გამოტანა ყველა იმ მანიკერი მხარისა, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქვეყნის წინსვლას. კ. მკაცრის მარტო კარგად იცის, რომ ხალხში პატრიოტული გრძნობების ასაზოგადებლად არა მარტო კარგი და მისაბაძი მავალითების მოტანაა წარსულიდან საკმარისი, არამედ არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმის გაეციხებას და დაგმობას. რაც ხელისშემშლელია ეროვნული გრძნობების გასაღვივებლად.

ამ სატირულ პოემაზე პოეტი დიდხანს მუშაობდა. აი, რას წერს კ. მკაცრის ამის შესახებ: «„ეშმაკი საქართველოში“ მე ეწერე დროგამოშვებით, დიდის ინტერვალებით, დავამთავრე, ვგონებ, 1908 წელში. მთელი სატირის დაბეჭდვის უფლებას, აბა, ვინ მომცემდა, იბეჭდებოდა ნაწყვეტები მხოლოდ მისი, ასე ვთქვათ, „უენებელი“ ნაწილები⁷. მხოლოდ 1912 წელს სიტყვაჯამული საზოგადოების ჟურნალ „გრდემლში“ დაიბეჭდა იგი მთლიანად, სამაგიეროდ კარგად შეკვეცილი და შელამაზებული ცენზორის მიერ⁸.

როგორც აქ მოტანილი ციტატიდან ჩანს, კ. მკაცრის პოემის დამთავრების თარიღად თვლის 1908 წელს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ეპკის ქვეშ აყენებს ამ თარიღის სიზუსტეს („ვგონებ 1908 წელში“). სინამდვილეში პოეტმა უფრო მოგვიანებით დაამთავრა სატირის წერა, რაზედაც ნათლად მეტყველებს მეუღლისადმი გაგზავნილი წერილი პარიზში 1910 წლის 29 ნოემბრით დათარიღებული: „ჩემმა სატირამ (იგულისხმება „ეშმაკი საქართველოში“. — ც. ყ.) გამოქირა საქმე, ვერ შეიღრსა მაგის დამთავრება“⁹. როგორც ამ წერილიდან ჩანს, 1910 წელს, პოეტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული პოემის წერა (რაკი ნოემბრის ბოლოს ასეთი მდგომარეობა იყო, ნაკლებმოსალოდნელია, რომ იგი ერთ თვეში დამთავრებინა). ეტყობა, იგი დასრულდა 1911 წელს, რადგან გამოქვეყნდა ჟურნალ „გრდემლის“ 1912 წლის № 1-ში. ამ წელს „გრდემლის“ მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. მეორე ნომერში შემავალი მასალის დიდი ნაწილი დათარიღებულია 1912 წლით, ნაწილი უთარიღოდაა დატოვებული, ხოლო პირველი ნომრის მასალიდან მხოლოდ სამია დათარიღებული: ორი 1911 წლით, ხოლო ერთი 1910 წლით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჟურნალის პირველ ნომერში შევიდა 1912 წლამდე დაწერილი მასალები, ხოლო მეორე ნომერში — 1912 წლისა. სამწუხაროდ, ჟურნალზე არსად აღნიშნული არ არის. თუ როდის გადაეცა დასაბეჭდად, არც ცენზურის ბეჭედი აზის. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ღრმა რწმენით, პოემის წერა დასრულდა 1911 წელს, სათანადო არგუ-

კ. მკაცრის პოემიდან მხოლოდ სამი ნაწილი გამოაქვეყნა: „დამთავრებული სატირიდან“, („იერია“, 1904, № 190). „ძველ ღმერთებს“ („იერია“, 1905, № 16), „ლაშა“ („საქართველოს მოამბე“, 1909, № 1).

⁷ კ. მკაცრის ი. ეშმაკი საქართველოში, 1926, გვ. 14.

⁸ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი. № 5532.

მენტების უქონლობის გამო მისი დამთავრების თარიღად ვიღებთ გამოქვეყნების თარიღს, ე. ი. 1912 წელს.

ჯურნალ „გრდემლში“ დაბეჭდილი ტექსტი კ. მაყაშვილმა შემდეგში საფუძვლიანად გადაამუშავა და იგი წინასიტყვაობასთან ერთად ხელახლა გამოსცა 1926 წელს. საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში № 5518-ით ინახება ჟურნალ „გრდემლის“ ის ცალი, რომელიც ავტორის მიერ არის ჩასწორებული და ახლა მას უკვე ავტოგრაფის მნიშვნელობა ეძლევა. ამ ჩასწორებულ ტექსტს ავტორის მიერ ლურჯი მელნით მიწერილი აქვს თარიღი „1903—8“. ამ თარიღს ჩვენ მთლად ვერ გავიზიარებთ: ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი საბუთით მტკიცდება, რომ სატირის წერა ავტორმა დამთავრა 1912 წელს.

ჯურნალის გარეშე ვერ დარჩება, აგრეთვე, ის საფუძვლიანი გადამუშავება, რომელიც კ. მაყაშვილმა ჩაატარა „გრდემლში“ დაბეჭდილ ტექსტში: აქ ბევრი ახალი სტროფია ჩამატებული, ზოგიც ამოღებული, ზოგი ადგილი ერთ-ორადაა გაზრდილი. ამის გამო შეიძლება ერთი თარიღი კიდევ დაგვემატებინა პოემის შექმნის აღმნიშვნელი: 1926 წელი. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია კ. მაყაშვილის ერთი მეტად მნიშვნელოვანი განცხადება: „ჩემდა სამწუხაროდ. — წერს იგი¹⁰, — სრული დედანი ამ სატირისა, რომელიც შემოკლებით დაიბეჭდა 1912 წელს, მე დამეყარა. ადვადგინე მხოლოდ მცირე ნაწილი საცენზურო პირობების გამო გამოტოვებული ადგილებისა“. როგორც ჩანს, ის მნიშვნელოვანი შესწორებანი, რომლებიც ავტორს ტექსტში შეუტანია, მას ადრე ჰქონია დაწერილი (ყოველ შემთხვევაში უმეტესი ნაწილი) და ცენზურის მიერ ყოფილა ამოღებული სატირიდან. შემდეგში კი, როდესაც მას მიეცა საშუალება ტექსტის მთლიანი დაბეჭდვისა, პოეტს ზეპირად, შეძლებისდაგვარად აღუდგენია აღრინდელი ტექსტი.

ამგვარად, სატირული პოემა „ემშაკი საქართველოში“ ისე უნდა დათარიღდეს: 1903—1912 წწ.

1926 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში კ. მაყაშვილი კარგად ხსნის იმ მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს სატირის დაწერა. პოეტის აზრით, აღნიშნული სატირული პოემა ახალ დროში განმარტებას საჭიროებს: „მეოცე საუკუნე დაიწყო დიდი იმედებით. ახალი, მოწინავე ცხოველმყოფელ იდეებისათვის რუტინის ძველი ჩინური კედლები შესამჩნევად დადაბლნენ.

მეორე მხრივ, მე ნათლად ვხედავდი, რომ ამ იდეების გაფურჩქვნას ჩვენ ქართულ სინამდვილეში დიდად უშლის ხელს მოთავე კლასთა ფუქსავატობა, შეუგნებლობა, ქუჟამოკლეობა და სხვა ამგვარი სათნოებანი.

იმდროინდელ საქართველოს მესაქეებად იყვნენ: თვადაზნაურობა. მსხვილი ბიუროკრატია, სასულიერო წოდება და ინტელიგენცია.

თვადაზნაურობამ უკვე მოსჭამა თავისი დღენი, დაკარგა თავისი ძველი დიდება, ქონებრივად და ზნეობრივად ძალიან ჩამოქვეითდა. ეს წოდება სრული დეგენერაციისაკენ მიექანებოდა.

მისი ნაწილი ღვინის სარდაფებში ლპებოდა, ნაწილი კი წვრილ და მსხვილ მოხელეობაში ითქვიფებოდა და იქ ისრუტავდა ბიუროკრატულ გახრწნილ სულს.

¹⁰ კ. მაყაშვილი, ემშაკი საქართველოში, 1926, გვ. 17.

ქართულ საზოგადოებრივობას ხელმძღვანელობდნენ, ტონს აძლევდნენ ღენერლები, საიდუმლო მრჩეველნი, მარშლები და მისთანანი, რომელნიც ჰქმნიდნენ თავისებურ ეთიკის კოდექსს, ზურგის მოქნილობაზე, პლიქვენლობაზე, ლაქიობაზე, დამყარებულს...

სასულიერო წოდების უმრავლესობასაც მოჰქიდავია გადაგვარების მაკნი-ნებელი ქანგი. უფიცობა, სიხარბე, ანგარება, ერთის სიტყვით, შვიდჯერ შვილი მაკვიდნებელი ცოდვა ცისა და მიწის ამ შემეფრთხებელთ გამკლარი ჰქონდათ ძვალსა და რბილში, გონებასა და სულში.

ინტელიგენციის ნაწილს ახასიათებდა უპრინციპობა, უიდეალობა, მას ვერ გაეგვო მიჯნა რეალობას და ფანტაზიას შორის. მას არ ჰქონდა დასაყრდნობი ბაზა არც ერთ კლასში, იგი ფლიუტერივით ემორჩილებოდა ყოველ ქარის კარნახს.

თუმცა მისი ფრაზეოლოგია სავსეა სარევოლუციო ლოზუნგებით და სიტყვებით, თუმცა გარეშე მაყურებელზე სტოვებს ნამდვილი სარევოლუციო შტაბის და აენგარდის შთაბეჭდილებას, მაგრამ ნამდვილად კი ეს უბრალო ხლესტაკოეშიჩინაა ან უკეთ ჩვენებური ნაცარქექიობა. საკმარისია მარტო მოჩვენებითი განსაცდელიც კი, რომ ეს სიტყვიერი ყუმბარების მსროლელი კაცუნები პირქვე დაემხვნენ და „ზურგზედ ხატები შეიღონ“ მტრის გულის მოსანადირებლად.

ინტელიგენციის ამ ნაწილის აუდიტორიაც შემთხვევითია, ცრული. უნიადაგო. მუშა-გლეხობა არ შეადგენს ამ აუდიტორიის ნაწილს¹¹.

აი, მთელი ის მასალა, რაზედაც ააგო კოტე მაყაშვილმა თავისი სატირა. ჩვენ ცოტა ვრცელი ამონაწერის მოტანა დაგვიჭირდა, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს საჭირო იყო: პოეტი ზუსტ და მკვეთრ დახასიათებას იძლევა სატირაში გამოყვანილი საზოგადოების სხვადასხვა ფენისას. პოეტს სააშქარაოზე გამოჰყავს ეს გადაგვარებული ადამიანები, რომელთა ხელშია ხალხის ბედი. ამას კ. მაყაშვილი გასართობად და სასაცილოდ კი არ აკეთებს, მისი სიცილი ცრემლიანია აკაკის სიცილის მსგავსად. ეს ერთგვარი ნილაბია სატირიკოსისა. პოეტის განწყობილებას კარგად გამოხატავს ის სტრიქონები, რომლებიც ავტორმა ჯერ აკრება ან ბიბლიოთეკის დაარსებას წარუმძღვარა. ხოლო შემდეგ კი სატირას „ემმაკი საქართველოში“:

არის ორგვარი სიცილი:
ერთია სიხარულისა,
მეორე ამონაყენისი
ნაწყენ-ნატყენი გულისა...
პირველი ლხენით აღსავსე,
ყოველთვის უდარდელია
და ნილაბია მეორე,
რომლის ქვეშ — მწარე ცრემლია¹².

სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის გრძნობამ ააღებინა პოეტს ხელში კალამი და დააწერინა სატირული ნაწარმოებები, სადაც იგი მწარედ დასცინის ადამიანთა უარყოფით თვისებებს. ამკითხველს ვთხოვ დაიხსომოს, — წერს კ. მაყაშვილი, — რომ ამ სატირის დაწერის დროს მე ვხელმძღვანელობდი იუვენალის შემდეგი სიტყვებით:

¹¹ კ. მაყაშვილი, ემმაკი საქართველოში, 1926, გვ. 5.

¹² იქვე.

თუ ბუნება (ნიჭი) ხელის შემწყობი არ არის (ნიჭი არ მოგსდევთ) გულისწყრომას ძალუძს ლექსის შექმნაო.

გულისწყრომამ დამაწერინა „ეშმაკი საქართველოში“¹³.

საზოგადოება ინტერესით შეხვდა სატირის გამოქვეყნებას. მან „აფეთქებული ყუმბარის“ შთაბეჭდილება მოახდინა. ომდროინდელი კრიტიკოსი ალექსანდრე წერეთელი მაღალ შეფასებას აძლევს კოტე მაყაშვილის ამ სატირულ პოემას: „პოეტს კოტე მაყაშვილს მძიმე მოვალეობა უქისრია: მას თავის სატირაში თავს უღვია ჩვენი მოწინავე საზოგადოების დახასიათება. ეს სატირა მრავალ მხრივად საყურადღებო: ბევრი მართლაც ბასრი, ახლად გაღვსილი სამართებლის პირივით მჭრელი ადგილებია მასში მოთავსებული, რომელნიც უეჭველად, თავის ადგილს მოხვდება ჩვენი მოწინავე საზოგადოების დაჩირქებულ ადგილებს“¹⁴. ალექსანდრე წერეთელი აქვე გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნებს ავტორის მიმართ. რომ მან ნაკისრი ვალდებულება მთლიანად ვერ განახორციელა, რადგან მეტად მძიმე საქმეს მოჰკიდა ხელი და ამასთან ეს „პირველი ცდაა ჩვენი მოწინავე საზოგადოების უკულმართ თვისებათა საცხებით გადმოცემისა“¹⁵.

მეორე კრიტიკოსი, რომელიც შეეხო ამ სატირულ ნაწარმოებს, იყო რომანოზ ხომლეული¹⁶. ისიც მაღალ შეფასებას აძლევს კ. მაყაშვილის აღნიშნულ სატირას. ერთი რამ, რასაც ორივე კრიტიკოსი ერთხმად აღიარებს, ის არის, რომ ასეთი ხასიათის ვრცელი სატირული ნაწარმოების შექმნა მათ ახალ ლიტერატურაში პირველ შემთხვევად მიაჩნიათ: „კოტე მაყაშვილმა სატირას მისცა საზოგადოებრივი მნიშვნელობა, გაუფართოვა მას საზღვრები და ამით მან შეიტანა ჩვენს ახალ მწერლობაში ახალი, მჩქეფარე ნაკადული“¹⁷.

რ. ხომლეული დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კ. მაყაშვილის სატირას: მისი აზრით პოეტმა სატირა მკიდროდ დაუკავშირა მაშინდელ ქართულ ცხოვრებას. სწორედ ამის გამო იგი უსიცოცხლო და განყენებული კი არ არის, იგი კი არ მსჯელობს სხვადასხვა არგუმენტით და კი არ არწმუნებს მკითხველს, არამედ პირდაპირ დასცინის ადამიანთა უგვანო საქციელს, მათ მანკიერ თვისებებს და ჩვევებს: „ეს საზიზღრობა დახატული ასეთი ხელოვნებით, მართლად და სიამაღველითაც, პოეტურად, რომელიც ცოცხლად გამოუყვანია ავტორის ასეთის ამართოლებელის გულწრფელობითა და ნიჭიერებით, მიუტოლებლად იმოქმედებს ადამიანის სულის განვითარებაზე, აღძრავენ მასში კეთილშობილურ, საიმედო ინსტიქტებს, გაუფართოებენ აზრებს, გაუმარებენ ხასიათს და მიანიჭებენ მას ხალისს, ძალას პატიოსანი და სასარგებლო მოქმედებისათვის...“¹⁸.

ოფიციალურმა კრიტიკამ, „დიდმა პრესამ“, კ. მაყაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, სრული დუმლით უპასუხა სატირის გამოქვეყნებას. კ. მაყაშვილმა მეტად მტკივნეულად განიცადა კრიტიკის მხრიდან ასეთი უყურადღებობა: მას ეკვი შეეპარა თავისი საქმიანობის სისწორეში და თავის ნიჭში. „რაიმე პრეტენზია ვისიმე სიყვარულის ან სიმპატიის არც მქონდა და არცა მაქვს.

¹³ იქვე, გვ. 16.

¹⁴ ალ. წერეთელი, „სახალხო გაზეთი“, 1912, № 522.

¹⁵ იქვე.

¹⁶ 1926 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში კ. მაყაშვილი წერს „შემდეგში ვ. კოტეტიშვილი შეხვდა ამ სატირას შედარებით ვრცელად“. სამწუხაროდ, ჭარჭობით ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

¹⁷ რ. ხომლეული, „ლიტერატურული შენიშვნა, გაზ. „იმერეთი“, 1913, № 82, გვ. 3.

¹⁸ იქვე.

მაგრამ მსურდა კი ყოველთვის, რომ გაგონილი ვყოფილიყავ. ამ სურვილს არა ვარ მოკლებული დღესაც“, — გულწრფელად აღიარებს პოეტი¹⁹.

კ. მაყაშვილის არქივში ინახება პოეტის ერთი უთარილო წერილი, იგი შინაარსის მიხედვით დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებს (თუმცა შეიძლება ასეც დავამთავრებინა). წერილი № 5531-ითაა დაცული საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში. წერილის ადრესატია რ. ხომლედი. იგი, როგორც ირკვევა, პასუხია რ. ხომლედის პირად წერილზე. ხომლედის წერილი, სამწუხაროდ, პოეტის არქივში არ შემონახულა. მაგრამ კ. მაყაშვილის წერილის და რ. ხომლედის გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ქებას უძღვნიდა სატირის ავტორს. კ. მაყაშვილის ამ წერილში აშკარად იგრძნობა ის სევდიანი განწყობილება, რომელიც პრესის დემილიამ აღძრა მასში. მან პოეტის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო იარაღად მისი პიროვნების სრული იგნორირება ჩათვალა (თორემ ეს სატირა რომ მისთვის სულერთი არ იყო, იქედანაც ჩანს, თუ როგორი განგაში ატეხეს განუთებმა და საზოგადოებამ პოეტის მიერ ადრე გამოქვეყნებულ ორ სატირულ პოემაზე, რომლებიც არც შინაარსით და არც მოცულობით არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც „ეშმაკი საქართველოში“). ასეთმა დამოკიდებულებამ სულის სიღრმემდე შესძრა პოეტის მგრძნობიარე და სათუთი ბუნება. რაც კარგად ჩანს ამ წერილიდან. ქვემოთ მოვიტანთ წერილის ტექსტს:

„დიდად პატივცემულო რომანოზ! მივიღე თქვენი წერილი, დიდ მადლობას გწირავთ ამისათვის, რადგან ამ წერილმა ნუგეშის სხივი შეისროლა ჩემს გულში. თქვენი აზრი ჩემს ლიტერატურულ მოღვაწეობაზე მხოლოდ თქვენს გულკეთილობას მოწმობს. მე ღირსი არა ვარ დიდებულ აკაკის მემკვიდრეობისა. მეოცე საუკუნემ უხვად გამოჩეკა მთელი პლეადა ნიჭიერ მგოსანთა: ისინი გაინაწილებენ ჩვენი ბუმბერაზის მემკვიდრეობას, მხოლოდ კოტე მაყაშვილის სახელს ქართულ ლიტერატურაში საბუნებისმეტყველო მიზნით გამოჩნბრკავს რომელიმე მომავალი მეცნიერი. მე ვიცი თქვენი აზრი ჩემზედ. მე წავიკითხე თქვენი წერილი „შინაურ საქმეებში“ და ვგონებ, „იმერეთში“. დიდი სიხარული განვიცადე მაშინ. მე მიხაროდა, რომ ერთმა თანამემამულეთაგანმა მაინც გაიგო ჩემი ზრახვა და გაიზიარა ჩემი გულის წუხილი. მოვიმარჯვე ალამო. მინდოდა მომეწერა თქვენთვის მადლობის, მხურვალე მადლობის წერილი, ბევრი რამ მეთქვა ჩემი სატირის შესახებ, მაგრამ ერთმა შხამიანმა აზრმა გამოიღვა თავში: „ვאי თუ სცდება ხომლედი?! რატომ სხვამ არაჲინ ამოიღო ხმა? რატომ ამ სატირას, რომელიც რამდენიმე წელიწადი იწერებოდა. არაერთარი ყურადღება არ მიაქცია კრიტიკამ და საზოგადოებამ? იქნება მართლა სულელური, უნიკოთა შესაფერი საქმე ივაიდინე იმის დაწერით?!“.

გარკვეული დროის შემდეგ გაცხოველდა ინტერესი კოტე მაყაშვილის შემოქმედებასადმი, კერძოდ მისი სატირისადმი.

პროფ. მიხ. ზანდუყელმა ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა კ. მაყაშვილის შემოქმედებას. ნაშრომში მიხ. ზანდუყელი ასე ახასიათებს ამ სატირულ ნაწარმოებს: „სატირაში „ეშმაკი საქართველოში“ პოეტმა გაბედულად, მოურიდებლად, მუქი რეალური საღებავებით გაკიცხა პრივილეგიური მოქმედი

¹⁹ კ. მაყაშვილი. ეშმაკი საქართველოში, 1926, გვ. 15—16.

კლასების ფენების მანებლური, უაზრო ქვეყა-ცხოვრება, რაც ქვეყნის წინ-
ისვლელობას ხელს უშლიდა, აბრკოლებდა, ქვეყანას უკან-უკან სწევდა. გადა-
გყარების გზით მიჰყავდა, ჰყიდდა თავის თავს, თავის ღირსებასა და ჭონებას
და სამშობლოს ნაწილ-ნაწილადაც, ბითუმდაც.

კოტე მაცაშვილი მთელი თავისი არსებით ენერგიულად და ნიჭიერად
ებრძოდა და უარყოფდა ყველა იმას, რასაც ებრძოდა და უარყოფდა მოწინავე
ქართველი საზოგადოება²⁰.

ამ გამოკვლევაშივე პროფ. მიხ. ზანდუქელი დამაჭერებლად ხსნას იმ მი-
ზეწებს, რომლებმაც გამოიწვია ოფიციალური პრესისა და ლიტერატურული
კრიტიკის სიჩუმე: „საზოგადოების პრივილეგიურ კლასთა ფენებმა, — წერს
მიხ. ზანდუქელი, — სატირით შეურაცხყოფილად იგრძნო თავი: სატირამი
გაკიცხულია პრივილეგიურ ფენათა განცდა, აზრი, მოქმედება. ამ ფენათა „წმ-
დათა წმიდა“ მოურიდებლად, შეურიგებელი სიძულვილითაა საამკარაოზე
გამოტანილი. მაშინ პრესა ძირითადად ჭერ კიდევ პრივილეგიურ კლასთა ხელ-
ში იყო — მან უილაჯომ, უნადაჯომ ვერ შესძლო პირდაპირი შებრძოლებოდა
სატირის მწვევე მათრახს და, როგორც თვითონ კოტე მაცაშვილი წერს. „სი-
ჩუმე ამჟობინა“. ხოლო რაც შეეხება რევოლუციონერად მოაზროვნე ქარ-
თველი ინტელიგენციის იმ ნაწილის პრესას, რომელიც მაშინ მედგრად იბრ-
ძოდა ზალხთან, მუშა-გლეხებთან ერთად ძველი წყობილების დასამხობად,
ბედნიერი, სამართლიანი, თავისუფალი ცხოვრების დასამკვიდრებლად, რომ
არ გამოეხმურა კოტე მაცაშვილის სატირას, „ეშმაკი საქართველოში“, ვფიქ-
რობთ აისხნება იმ გარემოებით, რომ ეს ჭგუფი სატირამი არამართებულად
შეუფასებელია, ამ ჭგუფის საქმიანობა მეტად გაუბრალოებულა, ამ მიზეზის
გამო ამ ჭგუფის პრესამაც, სატირა და სატირიკოსი არც ავად ახსენა და არც
თავს იღო მათი დაცვა“²¹.

პროფ. გიორგი ციციშვილიც მალალ შეფასებას აძლევს აღნიშნულ სატი-
რულ პოემას: იგი ამ ნაწარმოებს მიიჩნევს არა მარტო კოტე მაცაშვილის სა-
ტირული პოეზიის გვირგვინად, არამედ „XX საუკუნის ქართული კრიტიკული
რეალიზმის ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ ნაწარმოებად“²². კრიტიკოსის აზ-
რით, ამ სატირა-პოემაში კოტე მაცაშვილმა „ნიჭიერად მონახული სატირული
ფერებით დაგვიხატა სიმბოლური სურათი რევოლუციამდელი საქართველოს
საზოგადოებრივი ყოფისა“²³.

ასეთივე მალალ შეფასებას აძლევენ ამ სატირულ პოემას შალვა აფხაი-
ძე²⁴, სიკო ფაშალიშვილი²⁵.

მეფის რუსეთმა თავისი მონარქიულ-კოლონიური მმართველობის წყა-
ლობით ათასგვარი სისაძაგლე დაამკვიდრა ხალხის ცხოვრებაში. პატრიოტი
პოეტი მთელი ძალით ამოქმედდა ამ მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ. კოტე
მაცაშვილმა სწორად შეაჩინა თავის საბრძოლო იარაღად სატირა. სწორედ ეს

²⁰ მიხ. ზანდუქელი, თხზულებანი, ტ. I, 1972, გვ. 366.

²¹ იქვე, გვ. 565—66.

²² გ. ციციშვილი, კოტე მაცაშვილის შემოქმედება, „მნათობა“, 1956, № 7, გვ. 131.

²³ იქვე.

²⁴ შ. აფხაიძე, კოტე მაცაშვილი, „ლიტერატურული გაზეთი“, 1956, № 24.

²⁵ ს. ფაშალიშვილი, კოტე მაცაშვილი, „ლიტერატურული გაზეთი“, 1956, 4. VI,

გამანადგურებელი დაცინვა, ცხოვრების სინამდვილის ასახვა თავისი უარყოფითი მხარეებით და მათი ხალხის წინაშე სამსჯავროზე გამოტანა ყველაზე შესაფერი გზა იყო ხალხის გულებამდე მისვლისა, მათი გამოღვიძებისა და ამოძრავებისათვის. თვითონ პოეტი სატირას დიდ მნიშვნელობას აძლევდა: „სატირის იარაღი მახვილი ან მათრახია, — წერს კ. მაცაშვილი, — მისი სიტყვა სჭრის და ჰკვეთს პირდაპირ, მოურიღებლად. უეცოვოდ. ამიტომაც სატირა უმეტეს შემთხვევაში უფრო უხეშია, უსამკაულო. ერთფეროვანი, ვიდრე ზედაპირზე ლაზნად მოსრიალე ჭრელი ჰუმორი; უფრო უხეშია, მაგრამ ნიშანში ამოუბუბულ საგანს ის უფრო მარჯვედ ახვედრებს შეუბრალებელ ისრებს“²⁶.

კ. მაცაშვილი დაუფარავად ამხელს თავად-აზნაურთა, სასულიერო პირთა და სხვა ჩინოსანთა აღვირანსნილ ცხოვრებას, — მათ, ვის ხელშიც იმყოფებოდა ქერი კიდევ ცხოვრების სადავები. იგი არ ერიდებოდა იმას, რომ ბევრი მაღალი თანამდებობის პირი იცნობდა ამ სატირანში თავის თავს და არ აპატიებდა პოეტს ამ სითამამეს, მაგრამ ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ნებართლი პოეტი არად ადგებდა მათ რისხვასა და გაბოროტებას.

სატირა კ. შინაარსს პოეტის თანამედროვე ცხოვრება განსაზღვრავს. პოემაში იგი მეტად მკვეთრი ფერებითაა დახატული. ბუნებრივია. არსებული წყობილებიდან წინააღმდეგ პოეტს არ შეეძლო აშკარად და შეუნიღბავად ეწერა. ამიტომ თავისი დიდი წინაპრების ილია ქვეყნებისა და აკაკი წერეთლის მსგავსად ეხოვნეს ენას მიმართავდა: სატირული პოემა „ეშმაკი საქართველოში“ აღუცხოვრებელი ხასიათისაა. სატირაში „ორგანულადაა შეერთებული ფანტასტიკური ელემენტები რეალურ საჭირბოროტო პოლიტიკურ სინამდვილესთან“²⁷. მიუხედავად ალეგორიულობისა, ძნელი არ არის მასში აღწერილი სიტუაციების გამოცნობა. ეს ნართაულობა ძალიან გამჭვირვალეა და მისი ამოკითხვა დიდ დაკვირვებას არ მოითხოვს. მართალია, ბევრი რამ აქ ჰიპერბოლურადაა წარმოდგენილი, მაგრამ ჰიპერბოლიზაცია საერთოდ დამახასიათებელია სატირისათვის და იგი კი არ გვაშორებს სინამდვილეს. პირიქით, კიდევ უფრო განსაზღვბსა და ხელშესახებს ხდის საგანს.

„ეშმაკი საქართველოში“ ოსტატურად და მახეილგონიერულადაა დაწერილი. კ. მაცაშვილის სატირისათვის დამახასიათებელი სიმახვილე კარგად ჩანს ეპითეტებსა და შედარებებში; მისი წინადადებები მოკლე, მკვეთრი და ლაბილარულია, რაც პოეტის მეტყველებას მეტ დინამიკურობასა და ემოციურობას მატებს.

1920 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში პოეტი ასე წერს თავისი სატირის შესახებ: „მე კარგად ვხედავ და ვგრძნობ, რომ ჩემი სატირა მეტწილად ანაქრონიზმია. ბევრი რამ ეხლანდელ მკითხველისათვის გაუგებარია, ბევრი რამ ჰიპერბოლურად მოეჩვენება. ვიცი, აგრეთვე, რომ სატირას კონსტრუქციის მზრივადაც ბევრი ნაკლი აქვს:

არ არის გაშლილი პერსპექტივები, ღარიბია სიუჟეტურად, ცალკე ტიპების ნაცვლად გამოყვანილი მყავს ჭფუფები, საზოგადოების კოლექტიური ნაწილები (ეს ცდა იყო, ძიება სატირის ახალ ფორმისა, დიდი კი არაფერი გამოვიდა ამ ცდიდან).

²⁶ კ. მაცაშვილი, ეშმაკი საქართველოში, 1926, გვ. 15.

²⁷ ნ.ბ. ზანდუკელი, თხზულებანი, ტ. I, 1972, გვ. 502.

მაგრამ მასთანვე ერთად იმედს გამოვსთქვამ, რომ ამ სატირაში კიდეც მოიპოვება ბევრი რამ იმისთანა, რაც მისცემს საკმაო მასალას, როგორც წარსულის მკვლევარს, აგრეთვე მომავალს, ჩემზედ ბევრად ნიჭიერ სატირიკოსებს²⁸.

მიუხედავად ავტორის ამ მორიდებული განცხადებისა, „ეშმაკი საქართველოში“ წარმოადგენს მნიშვნელოვან სატირულ ნაწარმოებს ქართულ სინამდვილეში, რასაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი ძალა. ბევრი რამ ადამიანთა იმ უარყოფით თვისებათაგან, რომელთაც ასე თავგამეტებით და გაბედულად ებრძოდა პოეტი, ზოგჯერ გადმონაშთის სახით დღესაც იჩენს ხოლმე თავს და კვლავ სასტიკ ბრძოლას მოითხოვს. ამ მხრივ ეს სატირა დღესაც არ არის ინტერესს მოკლებული.

პოემაში, როგორც თვით პოეტიც აღნიშნავს, სათანადოდ არ არის გამოვლი პერსპექტივები, მაგრამ კონტურები კი გარკვევით არის მოცემული. პოეტი დამაჭერებლად გვიხატავს დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავად-აზნაურთა გახრწანას და დაცემას, ზოგიერთ სამღვდლო პირთა გადაგვარებას. პოეტიდან კარგად ჩანს, რომ მათი აღსასრული უკვე მოახლოებულია და მათი საბოლოო განადგურებაც გარდაუვალია. პოემაში ნათლად ჩანს აგრეთვე საქართველოს მომავალი. ნაწარმოებში ავტორი სხვადასხვა გმირის პირით გამოთქვამს რწმენას, რომ მალე მოედება ბოლო ხალხის ტანჯვას, იგი აღსდგება საბრძოლველად ძველი წყობილების წინააღმდეგ და ბრძოლით მოიპოვებს ბედნიერ მომავალს:

დანაცრდებიან დამპალი ფესენი,
მეფეთა ტახტნი დაინგრევიან,
ამაჲ ღმერთების ურჩი ქედები,
მონათ წინაშე დაიხრებიან!...
და საქართველოც ცეცხლის გზით მსვლელი;
გაღილის მწვევე განცდათ მწვერვალებს,
ახალ ცხოვრების პირველ განთიადს,
იგი პირველი მოქრავს მზე-თვალებს!²⁹

სატირაში გამოყვანილია უმეტესად არა ცალკეული გმირები, არამედ ქართველი საზოგადოების კოლექტიური ჯგუფები. ეს იყო სატირის ახალა ფორმის ძიება, რამაც საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო: ჯგუფები გამოკვეთილადაა მოცემული, რაც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. კოლექტიურ ჯგუფებს გარდა არიან ცალკეული მოქმედი გმირებიც, როგორცაა ზანდარი, ბელზებული, ვეზირი ფხოქია, ბრუვაძე, რომლებიც ოსტატურად არიან დახატული პოემაში.

ამ სატირული პოემის თავისებურებაა აგრეთვე ისიც, რომ ავტორის აზრები, განცდები და მისწრაფებანი სხვადასხვა პირის მეშვეობითაა გადმოცემული და არა რომელიმე ერთი მოქმედი პირის მიერ. პოეტი თავის აზრებსა და მისწრაფებებს ზოგჯერ ფერიებს წარმოათქმევიანებს, ზოგჯერ ქანდაკებას, ზოგჯერ კი ავტორი უარყოფითი გმირის — ზანდარის პირითაც კი გვესაუბრება.

²⁸ უ. ყ ი თ შ ი ძ ე, ეშმაკი საქართველოში, 1926, გვ. 16.

²⁹ იქვე, გვ. 175.

ამ სატირული პოემის ძირითად ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ კ. მაყაშვილმა ვერ დაინახა ახალი ძალა მუშათა და გლეხთა სახით. ისინი ხელფეხშერულნი შემოიყვანა პოემაში და უმოქმედოდ დატოვა. ვერ შეამჩნია ისინი, ვისაც ისტორიამ ახლო მომავალში უდიდესი როლის შესრულება დააკისრა. ვერ დაინახა აგრეთვე ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც რევოლუციური იდეებით აღტურვილი მტკიცედ რაზმავდა მათ მომავალი ბრძოლებისათვის. ეს ახალი ძალები პოეტის მხედველობის მიღმა დარჩა.

სატირული პოემა „ეშმაკი საქართველოში“ ორჯერ დაიბეჭდა: 1912 წელს და 1926 წელს. ჩვენს ხელთაა აგრეთვე ჟურნალ „გრდემლში“ დაბეჭდილი ტექსტის გადამუშავებული ცალი. ამის გარდა პოემას მოეპოვება ცალკეული თავებისა და ადგილების ვარიანტები, რომლებიც ინახება საქართველოს გ. ლენინის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში (№№ 5596, 5727, 5728, 7478). ამ ავტოგრაფების ტექსტები დაწერილია გრაქელ, მოყვითალო ფურცლებზე. ფურცლები ზოგი ხაზიანია, ზოგიც უხაზო. ისინი ორად არის მოკეცილი. ზოგ მათგანზე მოთავსებულია სხვადასხვა მოქმედ პირთა ცალკეული გამონათქვამები — სატირის სხვადასხვა ადგილიდან ამოკრებილი.

ამ მასალებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის სწორებები, რომლებიც ჟურნალ „გრდემლში“ ტექსტშია შეტანილი. ტექსტი ჩასწორებულია შავი, რბილი ლურჯი, რბილი წითელი და რბილი შავი ფანქრებით. როგორც ვხედავთ, სწორება ავტორს რამდენიმე ფანქრით უწარმოებია და ეს გასაგებია: იგი საკმაოდ დიდი მოცულობის ნაწარმოებია და მისი სწორებისათვის ერთი და ორი დღე არ იქნებოდა საკმარისი, ამას, ალბათ, საკმაო ხანი დასჭირდა.

ზემოთ ჩამოთვლილ ავტოგრაფებს შორის ჩვენს ყურადღებას იპყრობს ავტოგრაფი, რომელიც № 7478-ით ინახება საქართველოს გ. ლენინის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში. იგი, როგორც მისი შინაარსიდან ირკვევა, სატირის აღრინდელ ვარიანტს წარმოადგენს. სატირა „ეშმაკი საქართველოში“ დრამატული პოემაა, ეს აღრინდელი ვარიანტი კი ლექსადაა დაწერილი. თანაც პირველ პირშია მოთხრობილი: ეშმაკი თვითონ ჰყვება თავის თავგადასავალს. გარდა იმისა, რომ პოეტს სატირა შემდეგში დრამატულ პოემად გადაუყვებია, შინაარსობრივადაც შეუცვლია. აღრინდელ ვარიანტში მამა აგზავნის ეშმაკს საქართველოში, ხოლო საბოლოო რედაქციაში კი მბრძანებელი ბელზებელი აგზავნის მას. ეშმაკი შვილი კი არ არის, არამედ ბელზებულის ერთ-ერთი ნიჭიერი და ვერაგი ქვეშევრდომია. სატირის შინაარსის ასეთი ცვლილებები უფრო მეტ საშუალებას იძლევა ავტორის ჩანაფიქრის მხატვრული რეალიზაციის თავისებურებების შესასწავლად.

საბოლოო რედაქციაში ისედაც მუქი ფერები კიდევ უფრო გამუქებულია. თუ პირველ ვარიანტში ეშმაკს საქართველოს დასაპყრობად განუსაზღვრელ დროს აძლევდნენ, ოღონდ კი დავალება შეესრულებინა, გადამუშავების შემდეგ იგი მკაცრად არის რეგლამენტირებული: მას დავალების შესასრულებლად მხოლოდ ორი თვე მისცეს. ამით პოეტს უნდა ხაზი გაუსვას საქართველოს მაშინდელ დაკნინებულ მდგომარეობას, რომ ამ ურთულესი დავალების შესასრულებლად ორი თვეც კი კმარა, ისეა ხალხი დაცემული და გადაგვარებული.

ვარიანტი სხვა სალექსო საზომითაა დაწერილი, ვიდრე პოემის საბოლოო რედაქცია: იგი ათმარცვლოვანია, ხოლო საბოლოო რედაქცია კი მოიცავს სხვადასხვა ზომას. ლექსის ზომათა მრავალფეროვნება და მათ ბუნებრივი მონაცვლეობა დინამიკურობას მატებს სატირას.

აქვე შეინიშნება ერთი შინაარსობრივი სხვაობაც: ზანდარი აღრე ყოფილა ჯანდუსტარი, გენერალისიმუსი — ამირსპასალარი, გოგრაშვილი — კონტრაშვილი და სხვ.

ამრიგად, კოტე მაყაშვილის სატირული პოემა „ეშმაკი საქართველოში“ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. იგი პირველი ცდაა ასეთი ხასიათის ვრცელი ნაწარმოების შექმნისა ქართულ ლიტერატურაში. მას მაღალი შეფასება მისცეს როგორც პოეტის დროინდელმა, ასევე ჩვენმა თანამედროვე კრიტიკოსებმა.

სათანადო არგუმენტების მოშველიებით სატირის შექმნის ავტორისეული თარიღი 1903—8 წწ. უარყვავით და იგი 1903—1912 წწ. დავათარიღეთ.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

მანია რაშავა

უცნობი ავტორის ანტიმონოფიციტური ტრაქტატი

ძველ ქართულ მწერლობაში სათანადოდ აისახა სომხურ მონოფიციტობასთან უთანხმოებისა და ბრძოლის სურათი. ეს მხოლოდ ბერძნული ეკლესიის ისტორიაში მომხდარი ფაქტების გამეორება და გამოძახილი არ იყო. ქართულ სინამდვილეში ამ უთანხმოებას საკუთარი ორგანული საფუძველი გააჩნდა, რაც ქართული ქალკედონური და სომხური ანტიქალკედონური აღმსარებლობის მატარებელთა მეზობლობითა და უშუალო კონტაქტებით იყო გამოწვეული. ამდენად, სომხური მონოფიციტური მოძღვრების კრიტიკას ქართული ეკლესიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ეს ვითარება შესანიშნავად აისახა არსენი იყალთოელის „დოგმატიკონში“. კრებულში სომხური მონოფიციტობის წინააღმდეგ მიმართული 8 სტატია გვხვდება. ერთ-ერთი მათგანია „შეჩვენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიათანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა“ (306r—307v). „დოგმატიკონის“ გარდა „შეჩვენება“ სხვა კრებულეშიც გვხვდება. იგი დასტურდება 16 ხელნაწერში. ესენია: S—1463 (XI—XII), 248 (XIX), 312 (XVI), 1716 (1830), 3038 (XIX); H—137 (XVII—XIX), 1000 (XVIII); Q—50 (1777); A—64 (XVII), 124 (XI—XII), 267 (1778), 727 (XVIII), 737 (XIV), 848 (1767), 1086 (XVIII), 1132 (XVIII); ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი № 23.

ტექსტის დადგენის მიზნით გამოყენებული ხელნაწერებია: A ლიტერი — S—1463, B — A—124, C — S—312, D — ქუთაისის № 23, A—737.

აღნიშნულ ნუსხებში „შეჩვენების“ ტექსტი სხვადასხვა მოცულობისაა. იგი ყველაზე ვრცელია A, B, D ნუსხებში. C ნუსხაში შედარებით მოკლეა. ყველაზე მოკლეა A—737-ში (A—737 რედაქციის სხვაობანი ლათინური ასოებით ჩატანილია სქოლიოს ბოლოს).

ძირითადად ასეთი სურათია ხელნაწერებში: აღრიწეულ ხელნაწერებში (S—1463, A—124, ქუთ. 23) ვრცელი ტექსტია. ბრალდებათა მუხლების ჩამოთვლის შემდეგ მოდის საღვთისმსახურო რიტუალის შემცველი ტექსტი. გვიანდელ ხელნაწერებში კი (A—737, S—312 და სხვ.) რიტუალის აღმნიშვნელი ტექსტი არ არის.

ტექსტის სხვადასხვა მოცულობის გამო წამოიჭრა საკითხი: რა შედგენილობისა იყო იგი ბერძნულში და რა ცვლილება განიცადა მან ქართველი მთარგმნელისა თუ გადამწერთა მხრივ? სანამ ამ საკითხს შევხებოდეთ, აღვნიშნავთ, რომ „შეჩვენება“ თარგმნილია ბერძნულიდან. ამას ცხადყოფს:

1. საკუთარი სახელები გადმოცემულია ბერძნულის ანალოგიით: იაკობ წანწალოსი, არიოზ, მაკედონიოზ, მანენტოს, სერგის ასური. ბერძნ. სახელობ. ბრუნვის -ის დაბოლოების კალკია-ის.

2. ერთი საკუთარი სახელი თავისი ზედწოდებით უთარგმნელად არის გადმოსული ქართულ ტექსტში: პეტრე მონღონი არის ბერძნ. Πέτρος ὁ ἠαῖος ἁγίου-ს გავლენით. „მონღონი“ ნიშნავს „მაშვარალს“. სხვაგან ეს ზედწოდებანი თარგმნილია: პეტრე მკაწრვალი = Πέτρος Κναφεία, სუვეროს უთარგმნელად = Σαβίτην τὸν Ἀχέφαλον.

3. იაკობიტთა ერესიარხი იაკობ ტექსტში მოხსენიებულია „წანწალოსად“. ცნობილია, რომ იაკობიტები ბერძნულ წყაროებში იხსენიებოდნენ Ἰακωβίταις (გლახაკი, მათხოვარი)¹. ცხადია, ქართული წანწალოსი ამ ბერძნული სიტყვის შესატყვისია.

4. წინდებულითა და სახელით შედგენილი კომპოზიციები, როგორცაა: თანა-მზრახველ, ერთ-ნება, თანა-სათნო, თანა-ერთზრახვე ბერძნ. ἑταίριον, ἁμφιπλάσι-ის გავლენითაა შედგენილი.

ამრიგად, ტექსტი თარგმნილია ბერძნულიდან და მთარგმნელად ივარაუდება არსენი ივალთოელი. ტექსტის სხვადასხვა მოცულობა და ზოგი თავისებურება, რომელსაც ჩვენ ქვემოთ აღვნიშნავთ, აყენებს საკითხს, რა ხასიათის ნაწარმოებია „შეჩვენება“, რა წარმოადგენს მის წყაროს. წინასწარი მოსაზრებით, „შეჩვენება“ წარმოადგენს მწვალებელთა მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიღების წესსა და განგებას. მაგრამ, მას არ გააჩნია საეკლესიო პრაქტიკაში გავრცელებული, მწვალებელთა მიღების წესის საერთო სახე. მწვალებლობისაგან მოქცეულის საგანგებო წესი და განგება არსებობდა. მწვალებელთა მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე მოქცევის წესი ადრევე ყოფილა აღვილობრივ და მსოფლიო კრებათა მსჯელობის საგანი. იხ. მე-2 მსოფლიო კრების (381 წ.) მე-7 კანონი, მე-6 მსოფლიო კრების (ტრულის 691 წ.) 95-ე კანონი, „ეპისტოლე დაწერილი კონსტანტინეპოლით ბერტრის ეპისკოპოსისა ანტიოქელისაჲ, თუ ვითარ ჭერ არს შეწყყნარებაჲ მწვალებელთაჲ, რომელნი მოუკლებდოდნენ წმიდასა და კათოლიკე ეკლესიასა“ (459 წ.)². წესმა და განგებამ თავისი ასახვა ბერძნულ კურთხევენებში პოვა.

„შეჩვენების“ სტრუქტურული რაობის ნათელსაყოფად იგი შევეუდარეთ მწვალებელთა მიღების იმ წესს, რაც ტრულის კრების 95-ე კანონს წარმოადგენს. ქართულად იგი თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ და შესულია „მცირე სჯულისკანონში“. მე-80 მუხლი ასე იკითხება: „რომელნიცა მოიქცენ წვალებისაგან და მოვიდენ კათოლიკე ეკლესიად“. ჩამოთვლილია ეს წვალებანი: არიანოზნი და მაკედონიანოზნი და ნეატიანოზნი... აპოლინარიელნი და ნესტორნი და იაკობიკნი, რომელთაგანნი არიან სომეხნიცა და მარკიანელნი და სხვა“³. მიღების რიტუალი გულისხმობს მოსამზადებელ საფეხურებს: მოქცეულმა უნდა შეაჩვენოს თავისი წვალება, ერთი კვირის განმავლობაში იაროს ეკლესიაში. შემდეგ, მღვდელი ლოცავს მათ, წმ. მირონს უცხებებს, დააყენებს საკურთხეველთან და მოსთხოვს წვალების შეჩვენებას.

აღნიშნული რიტუალი იწყება ჩვენთვის ცნობილი ყველა წესი მწვალებელთა მიღებისა. იმავე „დოგმატიკონში“ არის ორი წესი: ერთი ეხება პუ-

¹ Яковиты, Православная богословская энциклопедия, СПб, 1905.

² დიდი სჯულის კანონი (მომზადებულია გამოსაცემად, А—76, 236 რ—v).

³ ექვთიმე ათონელი, მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის გამოცემა, თბილისი, 1972, გვ. 71.

რიათაგან მოქცეულის მიღებას (304v), მეორე — სარკინოზთაგან მოქცეულის მიღებას (305r). ორსავე წესში იკითხება ეს შაბლონური დასაწყისი. რაც შეეხება „შეჩვენებას“, აქ ასეთი შესავალი არ დასტურდება. პირდაპირ იწყება ანათემები. ანათემების შემდეგ ჩვენი ტექსტი მოულოდნელად გადადის საღვთისმსახურო რიტუალზე, რაც ასევე ერთნაირია ყველა წესში. მაგალითად, რიტუალის ტექსტით „შეჩვენება“ ზედმიწევნით ემთხვევა „მცირე სჯულის-კანონის“ სათანადო ადგილს. შესადაარებლად მოგვაქვს ორივე ადგილი.

ა რ ს ე ნ ი:

და მიუგებდეს ესრეთვე მოქცევალი იგი

და მერმე ჰკითხოს მას სამგზის მღვდელმან

გრწამსა წმიდისა მიმართ და
თანაარსისა სამებოსა?
და მან მიუგოს: მრწამს

ამისა შემდგომად მოიდრიკოს
მოქცევილმან მან თავი და
მღვდელმან ყოს ლოცვა და თქუას:

ე ქ ე თ ი მ ე:

და თანა-ეწამებოდინ იგიინი
ყოველსა ზედა, გინათუ ერთი
იყოს, გინა მრავალნი

მერმე კუალად ჰქუეას მღვდელთ-
მოძღუარმან ანუ მღვდელმან
სამგზის

გრწამსა წმიდად ერთარსებაა
სამებაჲ მიუგოს მონანულმან:
„ჰე, მრწამს მამაჲ, ძე და სული
წმიდაჲ“.

მერმე მოიდრიკოს მან თავი და
დაღვას მღვდელმოძღუარმან ანუ
მღვდელმან ჰელი თავსა მისსა
ზედა და ესე ლოცვაჲ წართქუას.

ორი ლოცვა, რომელსაც წარმოსთქვამს მღვდელი, სიტყვასიტყვით მეორდება არსენის „შეჩვენებას“ და ექვთიმეს წესში. ორივესთვის ერთი და იგივე წყაროა სავარაუდებელი.

ამ ორ სრულად განსხვავებულ ძეგლში — ექვთიმე ათონელის „მცირე სჯულისკანონსა“ და არსენი იყალთოელის „დოგმატიკონში“ ერთნაირი ტექსტის არსებობა საერთო წყაროს საკითხს აყენებდა. ექვთიმეს „მცირე სჯულისკანონის“ ბერძნულ ნომოკანონთან შედარებამ კიდევ უფრო აქტუალური გახდა წყაროს საკითხი. რიტუალის ტექსტი, რომლითაც ექვთიმეს ტექსტი თანხვდება არსენის „შეჩვენებას“, როგორც ვთქვით, ბერძნულ ნომოკანონში არ აღმოჩნდა. ექვთიმეს ეს ადგილი სხვა წყაროდან გადმოუღია. გადმოღებულია იგი ბერძნული კურთხევიანიდან.

ექვთიმეს ეს წესი დასტურდება ერთ-ერთ ქართულ კურთხევიანში, ესაა A—450 (XVI ს.), გვ. 354. მასვე იმეორებს Sin—73 (XIII—XIV), გვ. 153. ეს გარემოება A—450 კრებულის რაობის საკითხს აყენებს. კ. კეკელიძის ვარაუდით, A—450 შეიძლება წარმოადგენდეს კურთხევიანის გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციას⁴. მაგრამ ის გარემოება, რომ წესი სიტყვასიტყვით ემთხვევა „მცირე სჯულისკანონის“ წესს, რასაკვირველია, გამორიცხავს წესის ბერძნულიდან ცალ-ცალკე თარგმნის შესაძლებლობას. იგი ბერძნულიდან თარგმნა ექვთიმე ათონელმა. ეს თარგმანია შესული A—450-ში. სხვათა შორის, იმავე A—450-ში გვხვდება პურიათაგან (გვ. 294) და სარკინოზთაგან (გვ. 302) მოქცეულთა მიღების ის ორი წესი, რაც არსენის „დოგმატიკონში“ გვხვდება. არ-

⁴ К. К е к е л и ძ ე, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах, 1908.

სენის მიერ თარგმნილი ტექსტების არსებობა A—450-ში უკვე იმაზე მიუთითებს, რომ A—450 არ შეიძლება იყოს გიორგი მთაწმიდლის სახელით ცნობილი კურთხევანი. ეს არის კრებული, სადაც სხვადასხვა ავტორთა მიერ თარგმნილი ძეგლებია თავმოყრილი.

ამრიგად, გაირკვა, რომ არსენის „შეჩვენებაც“, მსგავსად ექვთიმეს „მცირე სჯულისკანონის“ წესისა, წარმოადგენს მწვალებელთა მიღების წესს. ოღონდ ეს წესი ითვალისწინებს მხოლოდ სომეხ-იაკობიტების მიღებას ეკლესიის წიაღში.

სომეხ-იაკობიტთა მიღების რამდენიმე წესია ცნობილი წერილობით ძეგლებში. ისინი ერთმანეთისაგან სხვაობენ ბრალდებათა მუხლებით იმისდა მიხედვით, რა პერიოდში რა ბრალდებები უფრო აქტუალურად ესახებოდა მართლმადიდებლურ აღმსარებლობას. რასაკვირველია, მთარგმნელ-გადამწერთა ინიციატივაც არ არის გამორიცხული.

ერთი ასეთი წესი დადასტურდა ისააკ კათალიკოსის სახელით ცნობილ ტრაქტატებში. ეს ტრაქტატები ძალზე პოპულარული იყო შუა საუკუნეებში და ახლაც მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ვინ იყო ამ ნაწარმოებთა ავტორი და როდის დაიწერა ისინი? — ეს საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ქართულ მწერლობაში რამდენიმე ძეგლი აღმოჩნდა დამოკიდებული ამ ტრაქტატებზე⁵.

საინტერესოა, რომ „შეჩვენება“ შინაარსობრივად ემთხვევა ისააკ კათალიკოსის მე-3 ტრაქტატს: Ἄρθοις τῶν χριστιανῶν Ἀρχαίων (Migne, PG, 132, col. 1237—1266). მწვალებელთა ჩამოთვლა. შეჩვენების მუხლები მეტ-ნაკლები თანმიმდევრობით ემთხვევა ერთმანეთს. Ἄρθοις-ის განსხვავებული აქვს დასაწყისი ტექსტისა და ბრალდებათა ჩამოთვლის შემდეგ ტრადიციული დასკვნა: თუ ეს გვაკეთე, ესა და ეს დამემართოსო. Ἄρθοις-ში არის რიტუალის მომცველი ტექსტი. ეს ადგილი სიტყვასიტყვით ემთხვევა „შეჩვენების“ რიტუალის ტექსტს.

სომეხ-იაკობიტთა მოქცივის კიდევ სხვა წესი გადმოცემული აქვს ი. ტროიციის. იგი მიუთითებს სინოდის ბიბლიოთეკის ერთ ხელნაწერს⁶: მატტიის კატალოგით — ნაწ. II, № X, ხელნაწ. XII ს-ისა. სინოდის ბიბლიოთეკის ხელნაწერის Τῆς ἐκ τοῦ ἁγίου ἔτους τοῦ ἐξ Ἀρχαίων ἐπισημασθέντος სხვაობს, როგორც ფსევდო-ისააკის Ἄρθοις-ისაგან, ასევე ქართული „შეჩვენებისგან“.

ბრალდებათა მუხლები სხვაგვარად არის ფორმულირებული. მათი რაოდენობაც სხვადასხვაა.

⁵ ლონ მელიქეთ-ბეკის ცნობით, ფსევდო-ისააკის ტრაქტატებთან ვარკვეულ კავშირშია ქართულ ხელნაწერებში ცნობილი „მოთხრობა პატიმოთინისაგან“ და არსენი საფარლის „განყოფისათეს ქართლისა და სომხეთისა“ (იხ. Л. Меліксет-Бек, К вопросу о датировке Псевдо-Исааковых памфлетов в греко-византийской литературе, Виз. Вр., т. VIII, 1 65, გვ. 218) ტექსტის წინასწარი შედარებით ირკვევა, რომ ისააკ კათალიკოსის მე-2 ტრაქტატო Ἀρθοις ძელისტანისა; τῶν ἰσαაკῶν πατριῶν τῶν αρχαίων Ἀρχαίων (PG, 132, col. 1218) წარმოადგენს დედანს ქართულ მწერლობაში ცნობილი კიდევ ერთ ძეგლისა. ესაა „თავნი სომეხთა წვალბისანი ოქდათნი“. გამოქვეყნებულია ზ. ალექსიძის მიერ. მთ შორის მიმართებას ჩვენ ცალკე შევისწავლით.

⁶ И. Троицкий, Изложение веры церкви Армянской, СПб, 1875, ეს ხელნაწერი იგივე უნდა იყოს, რაც არქიმანდრიტ ელადიმირის აღწერილობაში (ნაწ. I, გვ. 232) გვხვდება ეს არის პერგამენტი, XII ს-ისა, გვ. 203-ზე არის: „Тῆς ἐκ τοῦ ἁγίου ἔτους“. სათაური და დასაწყისი არქელადიმირის კატალოგით ზუსტად ემთხვევა ი. ტროიციის მიერ მითითებულ ტექსტს.

ამრიგად, სომეხ-იაკობიტთა შემოერთების 3 წესი აღვნიშნეთ. ძნელია თქმა, ერთი და იმავე ნაწარმოების სხვადასხვა რედაქციასთან გვაქვს საქმე, თუ ერთი და იმავე წყაროდან მომდინარე სხვადასხვა ნაწარმოებთან. ერთი კი ცხადია, ვინაიდან ყველა წესში, ასევე ექვთიმეს „მცირე სჯულისკანონში“, ერთი საერთო ადგილია — რიტუალის ტექსტი, ცხადია, ყველას წყარო კურთხევანია. და მართლაც, არსენის „შეჩვენებას“ თავისი დედანი ბერძნულ ეგზოლოგიონში ანუ კურთხევანში დაეძებნა. ეს არის სინას ბიბლიოთეკის № 980 ხელნაწერი 'Νεϋαλδύαυ, 1475 წ.7. ქართული ტექსტი ზუსტად მისდევს ბერძნულს ზოგიერთი სხვაობის გარდა. ეს სხვაობანია: 1. ბერძნულში მწვალელებს შორის არ იხსენიება სევეროს; ქართულში იგი არის. 2. ბერძნულში არაა დასახელებული მანდაკუნი, სომეხთა ერესიარხი; ქართულში იგი არის. 3. ბერძნულში წერია: სომეხნი, ქართულში — ხაჩეცარნი. 4. ბერძნულში ქართულთან შედარებით მეტი მუხლია: ვინცა ვინ არა შეიწყნარებს რომის პაპის წერილს ფლაბიანე კონსტანტინეპოლელ პატრიარქისადმი — შეჩუენება! 5. მე-6 კრების ანათემათა შორის ბერძნულში არ იხსენება მაკარი. 6. ბერძნულში არაა ოთხი მუხლი, რაც არის ქართულში. 7. ქართულში არ იხსენება მარილი სამსხვერპლო პურში.

სხვაობა ბერძნულ ორიგინალსა და ქართულ თარგმანს შორის უთუოდ რედაქციული ხასიათისაა. როგორც ჩანს, ქართულ თარგმანს სხვა ბერძნული რედაქცია უდევს საფუძვლად. საკონტროლოდ ამ შემთხვევაში სხვა რომელიმე თარგმანი გამოდგებოდა და მართლაც, აღმოჩნდა „შეჩვენების“ სლავური თარგმანიც. ორ სლავურ ხელნაწერში დადასტურდა „შეჩვენების“ ტექსტი. ერთია მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის № 310 ხელნაწერი (მე-16 ს-ისა, მეორე — სოლოვიოვის ბიბლიოთეკისა, № 475). სლავური თარგმანი გამოქვეყნებული აქვს ა. დიმიტრიევსკის. საყურადღებოა ავტორის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ეს წესი საგანგებო ინტერესს იწვევს. იგი წარმოადგენს ორიგინალს XVI ს. რუსულ ღვთისმსახურებაში ცნობილი წესისა.

კერძო ღვთისმსახურების წესთაგან საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მეცნიერებაში აქამდე უცნობი წესები: „Пері Ἀρμενίαν καὶ Ἰαχῆ: αν...“ სტატია „Пері Арменіан“ წარმოადგენს ორიგინალს ჩვენი ძეგლებით ცნობილი წესისათვის „аще кто и ереси быв, крещен сын к Богу обратитца людем хвалишии, ли жид. ли еретик -кто“, საიდანაც მრავალთავეში შევიდა დადგენილება პირველის გამოსახვაზე8.

სლავური თარგმანი მეტ-ნაკლებად სხვაობს ბერძნულისაგან, ასევე ქართულისაგან. სხვაობანი შემდეგია: 1. მწვალებელთა შორის დასახელებულია ნესტორი, პავლე სამოსატელი, ევაგრე, რაც არ არის ბერძნულ-ქართულში. 2. ქალკედონის კრების აღიარების შემდეგ სლავურში არის ზედმეტი ტექსტი, რაც არ არის ბერძნულ-ქართულში. ამ ადგილას ხატების თაყვანისცემაზეა საუბარი. 3. მოხსენებულია ლეონ პაპის ეპისტოლე ფლაბიანეს, რაც არის ბერძნულში და არაა ქართულში. 4. მოხსენებულია მაკარი, რაც არის ქარ-

⁷ А. Дмитриевский, Описание литургических рукописей, хранящихся в библиотеках православного востока, т. II, 'Неаполь, Киев, 1901.

⁸ А. Дмитриевский, Богослужение в русской церкви в XVI в., ч. I, гл. 54 —

თულში და არაა ბერძნულში. 5. არის ის 4 მუხლი, რაც არის ქართულში და არაა ბერძნულში.

ირკვევა, რომ ზოგიერთი მუხლით სლავური ბერძნულს ემთხვევა, ზოგიერთით კი — ქართულს. აქედან დასკვნა: როგორც სლავურ, ისე ქართულ თარგმანებს სხვადასხვა ბერძნული ორიგინალი უდევთ საფუძვლად, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი ბერძნული ტექსტია ევხოლოგიონიდან, ან არადა, ბრალდებათა მუხლები იცვლებოდა დროთა განმავლობაში სხვადასხვა ვადამწერთა მხრივ.

ერთი შეხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სხვაობანი მთარგმნელის მიერ არის შეტანილი ტექსტში. მაგალითად, ქართული თარგმანის მიმართ გვეთქვა, რომ არსენი იყალთოელმა ან თვითონ დაუმატა ზოგი რამ, ან გარკვეული ბრალდებანი სომეხთა მიმართ მის დროს უცნობი იყო და ძალაუფლებურად გამოტოვა ისინი. მაგრამ ასეთი ვარაუდი ძალზე საეჭვოა. თითოეული ის ბრალდება, რაც ტექსტშია, თეორიულად ცნობილი და პრაქტიკაში დაკანონებული იყო მის დროს. მაგ., ქართულ თარგმანს ბერძნულ-სლავურისგან განსხვავებით აკლია ერთი მუხლი: იაკობიტ-სომეხნი არ აღიარებენ ლეონ პაპის ეპისტოლეს. თქმა იმისა, რომ ეს მუხლი მთარგმნელმა გამოტოვა, რადგან იგი მისთვის უცნობი იყო, ძნელია, რადგან არსენი იყალთოელი შესანიშნავად იცნობდა ამ ეპისტოლეს, როგორც უპირველეს დოკუმენტს ერთბუნებიათა წინააღმდეგ და შეიტანა იგი კიდევ თავის „დოგმატიკონში“. ასევე, ქართულ ტექსტში მოხსენებული არაა მარილი: შეჩვენება, ვინც სამსხვერპლო პურს ურთავს მარილს. გამოირიცხება, რომ არსენი იყალთოელმა არ იცოდა ეს ბრალდება, რადგან იგი მის დროს უკვე ცნობილი იყო. მაგ., ექვთიმეს მიერ თარგმნილ ტექსტში „მცნებაჲ მსოფლიოთა ხუცესთაჲ“ ლაპარაკია საფუარზე, ზედაშესა და მარილზე (A—737, გვ. 262—272). მსგავსი შემთხვევები გვაფიქრებინებს, რომ ეს სხვაობანი მთარგმნელის მიერ კი არ არის შეტანილი, არამედ უცნობი ბერძნული ორიგინალით არის გამოწვეული.

ამრიგად, „შეჩვენების“ წყარო კურთხევანია. მაგრამ ქართული თარგმანი განსხვავებულია დასახელებული კურთხევანის ბერძნული დედნისაგან, და საერთოდ, მწვალებელთა მიღების ყველა ცნობილი წესისაგან. ეს განსხვავება შემდეგია:

1. „შეჩვენებას“ არ აქვს ისეთი დაკანონებული შესავალი, რაც ყველა წესსა თუ კანონს აქვს და აქვს ბერძნულ კურთხევანში არსებულ წესსაც.

შედარებისთვის ავიღოთ ბერძნული ევხოლოგიონის ტექსტის დასაწყისი და „შეჩვენების“ ტექსტის დასაწყისი. ბერძნ. Sin № 98A-დან მოგვაქვს ბერძნული ტექსტი ჩვენი თარგმანით: იმის შესახებ, თუ ვითარ ჯერ არს მიღება შეჩვენებულთა: ცალკეულ თუ საერთოდ ზოგად მწვალებელთა მხოლოდ ღვთის მირონის ცხებით და არა მონათლვით. პირველად საჭიროა მოყვანა მისი მართალსა სარწმუნოებასა, მარხვა 15 დღეს და უფრო მეტი და ლოცვათა შესწავება განთიადისა, შუადღისა და მწუხრისა, დამოდვრა და ფსალმუნთა გალობა.

სომეხთა და იაკობიტთა შესახებ: საჭიროა, რომ მღვდელმა სომეხობისაგან ან იაკობიტობისგან მართალსა სარწმუნოებასა მოქცეული წმ. საკურთხევის წინ დააყენოს და უთხრას მას ესრეთ: რომელი საძაგელისა მისგან წვალუბისა

სომეხთაისა ანუ იაკობიტთა მოიქცეს მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა სარწმუნოებასა ყოვლითა სულითა, უნდა თქვას ესრეთ... (იწყება ანათემები).

„შეჩვენების“ ტექსტი კი იწყება ამ ბოლო ფრაზით: „რომელი საძაგელისა მისგან წვალებისა იაკობიტთა და ხაჩეცართაჲსა უბიწოსა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა სარწმუნოებასა ყოვლითა სულითა და გულითა მოუკლებოდის შეჩვენებაჲ თანა-აც ყოველთაჲე აჲა მოკსენებულთაჲ“ (S—1463, 306r). ე. ი. შეჩვენება იწყება ღვთისმსახურების რიტუალის აღნიშვნის გარეშე. რომელიც ხაჩეცარობისაგან მართლმადიდებელ ქრისტიანობას უბრუნდება, მან უნდა შეაჩვენოს ესენი და ესენიო. ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ანათემებზე.

საინტერესოა, რომ ამ შაბლონურ დასაწყისს, რაც მწვალებლის მიღების ყველა წესს გააჩნია, არსენი იყალთოელი მიმართავს სხვა ნაწარმოებშიც. ესაა, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. „შეჩვენება“ დასაწყისით ემთხვევა რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის ერთ ადგილს. როგორც გარკვეულია ლიტერატურაში, „ძეგლისწერის“ წყარო ამ ადგილას არის „შეჩვენება“⁹. მაგრამ ამ ორ ძეგლს შორის შეიძინევა ასეთი სხვაობაც. „ძეგლისწერაში“ სწერია: „რომელნიცა ღმრთის მავნებლობითისა მის წვალებისაგან ხაჩეცართაჲსა, რომელ არიან სომეხნი, მართალსა და უზაკუეელსა სარწმუნოებასა მოუკლებოდინ... და ბილწსა მას წვალებასა ერთბუნებიანთა... შეაჩვენებენ, ესრეთ განეაწესებთ მათოჯს. რაჲთა სრულიად ნათელს-ცემდენ, ვითარცა წარმართსა“¹⁰. „ძეგლისწერაში“ მოკლედ, მაგრამ მანკ მითითებულია, რომ მწვალებლის მიმართ საჭიროა გარკვეული წესის შესრულება, კერძოდ ნათლისცემა. „შეჩვენებაში“ კი ამაზე არავითარი მითითება არაა.

იმავე არსენი იყალთოელის მიერ თარგმნილ სხვა ძეგლში, როგორცია „ღიდი სჯულისკანონი“, ლაპარაკია მწვალებლის მიმართ ჩასატარებელ ღვთისმსახურების წესზე. ეს ადგილებია: ლაოდციის კრების კანონი №¹¹. კონსტანტინეპოლის კრების (381 წ.) კანონი №¹². მწვალებელთა მოქცევის ამავე წესს იმეორებს მე-9 მსოფლიო კრების კანონი 95-ე: „რომელნი მართლმადიდებელბასა და ნაწილსა ცხოვნებულთასა მწვალებელთაგან მოუკლებოდინ, შევიწყნარებთ მათ პირველ განწესებულისაებრ საზღერისა და ჩუეულებისა: არიანოზთა... მკედონიანოზთა და ნავეტანიანოზთა... აპოლინარელთა შევიწყნარებთ ესრეთ, რამეთუ მოვსთხოვთ კლათ-წერილსა და შეჩვენებასა, რომელი არა აღიარებს ესრეთ, ვითარცა აღიარებს წმიდაჲ კათოლიკე და დავებუდაეთ მათ. ესე იგი არს ესცხებთ წმიდასა მიჰრონსა პირველად შუბლსა და თუალთა და ცხვრსა და პირსა და ყურთა და დავებუდვიდეთ რაჲ, ვიტყვთ: საბეუდავი ნიჰი სულისა წმიდისაჲ“ და ა. შ.¹³. ამრიგად, ეს შაბლონური დასაწყისი ყველგან არის, არ არის იგი მხოლოდ ჩვენს ტექსტში.

2. ნაწარმოების სათაურია: „შეჩვენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა“. ასეთი დასათაურება გან-

⁹ ე. გაბიაშვილი, რუის-ურბნისის „ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობისათვის, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტ. XIV სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1972.

¹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. III, თბ., 1970, გვ. 119.

¹¹ ღიდი სჯულისკანონი (მომზადებულია გამოცემად. A—76, 56 v.).

¹² A—76, 63r.

¹³ A—76, 162 r—v.

სხვაელებმა კურთხევანით ცნობილი დასათაურებისგან, როგორც გაანჩია მწვალებლობისგან მოქცეულის მიღების წესს: „წესი და განგებაჲ მათ ზედა, რომელნი წვალებისაგან მოიქცენ“. ამით ხაზგასმულია. რომ ჩვენს ნაწარმოებს სხვა მიზანდასახულება აქვს, კერძოდ პოლემიკურ-დოგმატიკური.

3. ხელნაწერთა უმრავლესობაში (გვიანი დროის ხელნაწერებში) შეჩვენებას არ ახლავს რიტუალის აღმნიშვნელი ტექსტი. იმის შემდეგ, რაც ჩამოთვლილია ბრალდებები, რისთვისაც ანათემა ეცხადებათ მწვალებლებს და მოცემულია ზოგადი ხასიათის დასკვნა ორთოდოქსალური დოქტრინისა წმ. სამების შესახებ, იკითხება ტრაფარეტული ფრაზა (307r, 11): „დიდებასა აღავლენს ჳეშმარტისა ღმრთისა და მამისა და ჳეშმარტისა ღმრთისა და ძისა ყოვლად წმიდითა და ცხოველსყოფელითა სულითა. უყუნისამდე!“ აქ თავდება ტექსტი გვიანდელ ხელნაწერებში, ხოლო ძველ ნუსხებში გრძელდება საღვთისმსახურო რიტუალის ტექსტი ისე, რომ გადასვლა სრულიად მოულოდნელი და არაბუნებრივია: „და მიუგებდეს თითოეულად ესრულად მოქცევადი იგი და ჳკითხოს მას სამგზის მღღელმან: „გრწამსა წმიდისა მიმართ და თანა-არსისა სამებისა?“ და მან მიუგოს: „მრწამს“.

ტექსტი ბოლომდე საღვთისმსახურო შინაარსისაა, მღვდელი კითხულობს ლოცვას, სცხებს მირონს, აძღვეს მცნებას, ერთი სიტყვით. ნათლავს. ტექსტის ბოლოს, საღვთისმსახურო რიტუალზე გადასვლა აშკარად არაბუნებრივი ჩანს, რადგანაც არც სათაურში, არც ტექსტის დასაწყისში არაფერი არ არის ნათქვამი იმაზე, რომ მწვალებლობისგან მოქცეულის მიღებისას შესასრულებელ წესზეა საუბარი, რომ მღვდელი ნათლავს მოქცეულს. როგორც ეს არის ბერძნულსა და სლავურ თარგმანში.

საყურადღებოა, რომ სლავურ თარგმანში, მსგავსად ქართული გვიანდელი ხელნაწერებისა, არ არის რიტუალის ტექსტი. მაგრამ ქართული გვიანდელი ნუსხების ტექსტი იმით განსხვავდება სლავური თარგმანისგან, რომ ამ უკანასკნელის სათაურსა და დასაწყისში არის მითითება იმაზე, რომ მწვალებლის მიღების წესთან გვაქვს საქმე. სლავური ტექსტი ასე იწყება: „Аще кто в ереси быв, крещен сын к Богу обратится любо хвалити. ли жид, ли еретик жид“.

Поставит его посреди церкви и начнет проклинать ереси...“¹⁴. ქართულ ნუსხებში კი ეს შესავალი არ არის.

სლავურში მოკლე ტექსტის არსებობა გეგფიკებინებს, რომ ტექსტის შემოკლება გვიანდელ ნუსხებში ქართველი გადაშწერების საქმიანობა არ არის. როგორც ჩანს, ბერძნულშივე არსებობდა ასეთი შემოკლებული სახის ტექსტი „შეჩვენებისა“. ამ წესმა ბერძნულშივე ვანიცადა ცვლილება. შესაძლებელია თავდაპირველად ეს წესი კი არ იყო, არამედ მხოლოდ ანათემები იყო წარმოდგენილი და შემდეგ მიიღო ლიტურგიკული მსახურებისთვის საჭირო წესისა და განგების სახე. ანდა, პირიქით, მწვალებელთა მიღების წესს უფრო გვიან ჩამოცილდა ლიტურგიკული ნაწილი და დარჩა მხოლოდ ანათემები. ანათემათა ცალკე გამოყოფა წესისა და განგების მთლიანი სტრუქტურრიდან დასაშვები ჩანს, რადგან ანათემა ამ წესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია¹⁵.

¹⁴ А. Дмитриевский, Богослужение в русской церкви..., გვ. 54.

¹⁵ Анафематствование, совершаемое в первую неделю великого поста, СПб, 1879, გვ. 124.

ასეა თუ ისე, არსენი იყალთოელის „შეჩვენება“ სომეხ მონოფიზიტთა მიღების წესში მომხდარ ამ სახეცვლილებებს ასახავს. ქართულმა ნუსხებმა გამოავლინეს ბერძნულში ორგვარი სახის ტექსტის არსებობა: ვრცელი, როგორც ის დასტურდება ადრინდელ ნუსხებში, და მოკლე, როგორც ის არის გვიანი დროის ხელნაწერებში.

„შეჩვენების“ რომელი ვარიანტი თარგმნა არსენი იყალთოელმა? შეიძლება ორგვარი ვარაუდი დაეუშვათ:

1. თავდაპირველად მან თარგმნა ბერძნული მოკლე ვარიანტი, რადგან ხელთ ჰქონდა ისეთი ბერძნული ნუსხა, სადაც არ იყო რიტუალის აღმნიშვნელი ტექსტი, ხოლო შემდეგ, შესაძლებელია მას ხელთ ჩაუვარდა სხვა ხელნაწერი, ვრცელი რედაქციის შემკველი და თავისივე თარგმანი ახალი ნუსხის მიხედვით განაწილა. არათანმიმდევრული გა: სველა ტექსტის შუაში ამ ვარაუდს თითქოს ამართლებს.

ორივე ვარიანტის — მოკლესი და ვრცელის — მთარგმნელი რომ არსენი იყალთოელია, ამას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ვრცელი ვარიანტი, ე. ი. ბოლოში რიტუალის ტექსტი, დასტურდება ყველა ადრინდელ ხელნაწერში, რომლებიც თითქმის თანამედროვეა არსენი იყალთოელისა. რიტუალის ტექსტის მთარგმნელი რომ არსენია, ამას თითქოს ერთი დეტალიც მიკვირებს: „თანაარსი“ ტერმინი იხმარება „სამებასთან“ კონტექსტში: „თანაარსი სამება“ არსენი იყალთოელის ტერმინოლოგიის სპეციფიკურობად მიგვაჩნია. ეს კონტექსტი ჭერ-ჭერობით სხვა ვერცერთ ავტორთან ვერ დავადასტურეთ. ყველგან არის „ერთარსება სამება“.

2. მეორე ვარაუდი ასეთია: არსენი იყალთოელს თავიდანვე ხელთ ჰქონდა „შეჩვენების“ ვრცელი რედაქციის ბერძნული ნუსხა. მაგრამ მისი, როგორც მთარგმნელის და „დოგმატიკონი“ შემდგენლის, მიზანი იყო, მოეცა სომეხ მონოფიზიტთა წინააღმდეგ მიმართული დამოუკიდებელი ნაწარმოები, ამდენად, წესისა და განგებისათვის მიეცა მხოლოდ თეორიულ-პოლემიკური ხასიათი ლიტურგიკული შინაარსის გარეშე. ამ მიზნით მან სათაურსა და შესავალში ასეთი ნაწარმოების სტილის შესაფერისი ცვლილებები შეიტანა. ამ ვარაუდს თითქოს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ „დოგმატიკონის“ შედგენის დროისთვის (XI ს. ბოლო — XII ს. დასაწყისი) მკვეთრად გამოისახა ტენდენცია: სომხურ მონოფიზიტობასთან მწვავე პოლემიკური ტონით ბრძოლისა.

დისკუსიამ სარწმუნოებრივ საკითხებზე პამფლეტური ხასიათი მიიღო. X—XI—XII სს-ში როგორც ბერძნულ, ისე სომხურ მწერლობაში მომრავლდა ურთიერთგანმაჭიკებელი ნაწარმოებები. ბუნებრივია, რომ რელიგიურ შეხედულებებში არსებული ტენდენციების ფონზე არსენი იყალთოელმა სათარგმნ თხზულებას თავისი დროის შესაფერისი ხასიათი მისცა. მაგრამ ბოლომდე გატარებული ეს ტენდენცია არ ჩანს, რადგან არათანმიმდევრული გადასვლა რიტუალის ტექსტზე არღვევს სტრუქტურულ მთლიანობას. მომდევნო დროის რომელიღაც გადაწყვეტმა შენიშნა ეს არათანმიმდევრული გადასვლა რიტუალის ტექსტზე, თანაც მას ალბათ ბერძნული მოკლე ტექსტიც ჰქონდა ხელთ და მან ტექსტს ჩამოაყილა ბოლო, რიტუალის ნაწილი. სხვათა შორის, ქართულ მწერლობაში, გვიანი დროის ხელნაწერების მიხედვით თუ ვიმსჯე-

ლებთ (XVI—XIX სს.), რიცხობრივად საგრძობლად იმატა სომეხ მონოფიზიტთა წინააღმდეგ მიმართულმა ნაწარმოებებმა.

ასეა თუ ისე, დასკვნა ერთია: „შეჩვენება“ ბერძნულადვე არსებობდა მოკლე და ვრცელი ვარიანტის სახით. არსენი იყალთოელმა თარგმნა ტექსტის ორივე ნაწილი — როგორც ანათემები, ისე რიტუალის ტექსტიც.

ვინ არის „შეჩვენების“ ავტორი და როდის დაიწერა იგი, ცნობილი არაა. წარმოვადგენთ ზოგიერთ მოსაზრებას ნაწარმოების დაწერის სავარაუდოებელი თარიღის შესახებ.

1. ტექსტში საგანგებო ყურადღება ეთმობა ხატების თაყვანისცემის საკითხს. ხატების თაყვანისცემის აუცილებლობის აღიარება და ხატმებრძოლთა შეჩვენება 3 მუხლში მეორდება. ესენია მუხლები: მე-10, მე-12 და მე-15. ბოლო მუხლში 7 მსოფლიო კრებიდან საგანგებოდ გამოყოფილია ბოლო ორი: VI კრება (მონოთელიტთა წინააღმდეგ), ხელშეორედ არის ჩამოთვლილი მონოთელიტთა ერესარსებები: კვროს, პიროს, სერგი და VII კრება (ხატმებრძოლთა წინააღმდეგ).

ხატთა თაყვანისცემის ამდენგზისი აღიარება და VII კრების (787 წ.) საგანგებო გამოყოფა მის უშუალოდ მომდევნო პერიოდზე მიუთითებს, როცა ხატმებრძოლებთან ბრძოლის გამოძახილი ყვერ კიდევ დამცხრალი არაა. ეს არის VIII ს-ის მომდევნო პერიოდი. IX—X სს. შეიძლება გამოვაცხადოთ „შეჩვენების“ დაწერის წინა ქრონოლოგიურ საზღვრად.

2. შედარებით მიჩქმალულად გამოიყურება ის მუხლები, რაზეც საგანგებო აქცენტი იქნა გადატანილი XI—XII სს-ში. ეს არის ეგზარქიაში უცომო პურისა და უწყლო ღვინის გამოყენება. სომხური ეკლესიის პრაქტიკაში ცნობილი იყო სამსხვერპლო პურის საფუარის გარეშე დაყენება და ღვინის წყლით განზავება, წინააღმდეგ ბერძნულ-ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა.

უცომო პურის საკითხი ყოველთვის იყო პოლემიკის საგანი, მაგრამ განსაკუთრებული აქტუალობა მან შეიძინა მაშინ, როცა სომხურ ეკლესიაში თავი იჩინა დასავლურ-კათოლიკური ქრისტიანობისკენ მიბრუნების ტენდენციებმა. ცნობილია, რომ XII ს. სომხებმა პაპ ლუკიანე III-ისაგან მიტრა მიიღეს და მრავალი რამ შეიცვალა მათ რიტუალში ლათინთა მსგავსად¹⁶.

ამ პერიოდის ბერძნულ პოლემიკურ ლიტერატურაში მრავალი სტატია გვხვდება უცომო პურის თაობაზე, სადაც ბრალდებები მიმართულია როგორც ლათინთა, ისე სომეხთა მიმართ. XII ს. სომეხი კირიარხი ნერსეს შნორპალი საგანგებოდ იმართლებს თავს უცომო პურის თაობაზე¹⁷. ჩვენს ძეგლში კი ეს საკითხი ძალზე მეორეხარისხოვან პლანში ჩანს: იგი რაღაც მე-17 მუხლშია. ეს გარემოებაც გვაფიქრებინებს ნაწარმოების შექმნას XII ს-მდე.

3. „შეჩვენებაში“ მოხსენებული არაა ცნობილი ალაჯორის მარხვა. ალაჯორის მარხვა სომხური ეკლესიის პრაქტიკაში მიღებული მარხვაა. სომეხები მას იცავენ დიდმარხვის წინა კვირას. ალაჯორი || არაჯეორი მომდინარეობს სომხ. *առաջაორ* „წინამდებარე“ სიტყვისაგან. მარხვის ლიტურგიკული შინაარსიც ამას გულისხმობს: წინამდებარე ანუ მოსამზადებელი დიდმარხვისა-

¹⁶ Со ф о н и й, Современный быт и литургия христиан инославных народов и есс-ториан, СПб. 1876, გვ. 53—54.

¹⁷ И. Т р о и ц к и й, Изложение веры церкви Армянской, СПб, 1875, გვ. 178—198.

თვის. ალაჯორის მარხვა ცნობილია სომხების წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკურ თხზულებებში, როგორცაა ფსევდო-ისააკის ტრაქტატი, „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“ და სხვ. ალაჯორის მარხვამ გვიან შეიძინა პამფლეტური ხასიათი ძალდ ალაჯასა და პეტრე მკაწრვალის სახელთან დაკავშირებით. ალაჯორის მარხვას განსაკუთრებული კიცხვით უყურებენ ქართულ სინამდვილეში. XI—XII სს-ში იგი დაგმობილია ექვთიმეს „მცირეს სჯულისკანონში“¹⁸, „რუის-ურბნისის ძეგლისწერაში“¹⁹, არსენი საფარელის „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“, ექვთიმე გრძელსა და სოსთენს შორის გამართული პაექრობისას ღრტილას კრებაზე.

ლეონ მელიქსეთ-ბეკს გამოთქმული აქვს მოსაზრება და სათანადო მასაღით დასაბუთებული²⁰. რომ არაჯორის მარხვა თავდაპირველად ერეტიკული შინაარსით არ ესმოდათ და ამდენად ამ მარხვის გამო არც არავინ უყენებდა სომხებს ბრალდებას მონოფიზიტობაში. ამ მოსაზრებას რამდენადმე მხარს უჭერს ერთი გარემოება: X ს-ში ნიკონ მომნანიებელი ცდილობს დამატეიციოს, რომ არაჯორის მარხვა ერეტიკულ ტენდენციებს ატარებს. ამის მტკიცება ნიშნავს იმას, რომ ნიკონამდე და ნიკონის დროს ზოგიერთს ეს მარხვა ერეტიკულად არ ესმოდა. ამდენად იგი არც პოლემიკის საგანი იქნებოდა.

ჩვენს ძეგლში ალაჯორის მარხვის მოუხსენებლობა, ვფიქრობთ, სწორედ მის არაერეტიკულ შეფასებას ნიშნავს. ამ მომენტს კი ნაწარმოების დაწერის თარიღი ადრეულ პერიოდზე გადააქვს, ე. ი. XI ს-მდე. თუ XI ს. ქრონოლოგიის ბოლო საზღვრად მივიღებთ, მაშინ „შეჩვენება“ დაწერილი უნდა იყოს IX—XI სს-ში. ამაზე მეტად დაეწიროება ქრონოლოგიური ჩარჩოებისა ჭერჯერობით არ ხერხდება.

ასეთია ჩვენი მოსაზრებები „შეჩვენების“ ბერძნული ტექსტის რაობისა და მისი ქართული თარგმანის შესახებ.

(306v, II) შიჩუნვაბანი იაკობიხათა და ყოველთა ერთ-ბუნებათანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა.

რომელი საძაგელისა მისგან წვალებისა იაკობიტთა და ხაჩეცართაჲსა უბიწოსა მართლმადიდებელთა ქრისტეანეთა სარწმუნოებასა³ ყოველითა სულითა და გულითა მოუძღებოდის, შეჩუენებაჲ თანა-აც ყოველთავე აქა მოქსენებულთაჲ²:

ევტუქი⁴ არქიმანდრიტი და წვალების-მთავარი შეჩუენებულ იყავნ!⁵

დიოსკორე თანა-მზარახელი მისი, შეჩუენებულ იყავნ!⁵

სევეროზ⁶ უთავოჲ და ნათლისღებაჲ მისი, შეჩუენებულ იყავნ!

იაკობ წაწლოსი, შეჩუენებულ იყავნ!⁷

სერგის ასური, თანა-ერთზრახეაჲ^c მისი, შეჩუენებულ იყავნ!⁸

სერგის სომეხი და დამწყებელი ხაჩეცართა წვალებისაჲ, შეჩუენებულ იყავნ!⁹

¹⁸ ექვთიმე ათონელი, მცირე სჯულისკანონი, გვ. 32.

¹⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 118?

²⁰ Л. Мелниксет-Бек, «Грузинский извод сказания о посте «Араджавор», II,

1917, 33-105.

¹ ერთ-ბუნებათანი B. ² შეჩუენებაჲ ერთ-ბუნებათათა და ერთბამად ყოველთა მწვალებელთა C. ³ სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა C. ⁴ ევტუქი C. ⁵ დიოსკორე თანა-მზარახელი მისი შეჩუენებულ იყავნ—C. ⁶ სევეროზ B. ⁷ შეჩუენება C. ⁸ შეჩუენება CD. ⁹ „სერგის სომეხი...“

^a რომელი საძაგელისა... აქა მოქსენებულთაჲ— b შეჩუენებულ იყავნ შეჩუენება. (აქაუ და ყველგან). c თანა-ზრახეაჲ.

სიმონ პირველი მწვალებელი და მონტანი¹⁰ და მანენტოს და მარკიონ¹¹ და მანდაკუნი და მათ-თანანი, შეჩუენებულ იყავნ!¹²

არიოზ, ეენომიოზ, მაკედონიოზ, დიოსკორე და თეელოსი¹³. შეჩუენებულ იყავნ!¹⁴

ტიმოთე, იულიანე, (307r I) პეტრე მკაწრვალი, პეტრე მონლონი და ფლოქსენოს¹⁵ მოწაფე. მისი, შეჩუენებულ იყავნ!¹⁶

კვროს¹⁷, მაკარი და პიროს შეჩუენებულ იყავნ!¹⁸

ამათ უკუე ყოველთა, რომელნი შეაჩუენნეს წმიდათა და მსოფლიოთა^a შვლთა კრებათა, და თანა-მზრახვალთა⁹ მათთა ყოველთა შეეაჩუენებ მუც- და ვიტყვ ესრეთ:

ვინცა ვინ არა აღიარებს წმიდასა²⁰ სამებასა-მამასა და ძესა²¹ და სულსა წმიდასა-შეჩუენება!²²

ვინცა ვინ არა იტყვს დაუსაბამოდ მამასა და²³ ეგრეთვე თანა-დაუსაბამოდ^b ძესა და სულსა წმიდასა-შეჩუენება!²⁴

ვინცა ვინ იტყვს, ვითარმედ არა მიიხუნა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან კორცნი წმიდისა ქალწულისა^c და ღმრთისმშობელისა მარიამისგან. შეჩუენება!²⁵

რომელნი ქადაგებენ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესსა^d ვნებულად ღმრთე- ვებითა, შეჩუენება!²⁶.

რომელნი არა აღიარებენ უფალსა ჩუენსა იესუ^e ქრისტესსა^e უნებელად უკუე და უკუდავად ღმრთეებითა, ხოლო ვნებულად და მოკუდავად კაცებ- თა, შეჩუენება!²⁷

ვინცა ვინ იტყვს ქრისტესთვის ორთა გუამთა ქონებასა. შეჩუენება!²⁸

რომელნი არა ქადაგებენ და აღიარებენ ორთა ნებათა, ხოლო ერთსა გუ.მ- სა უფლისა ჩუენისა იესუ | ქრისტესსა, შეჩუენება!²⁹

რომელნი ერთსა ბუნებასა აღიარებენ და შეიწყყარებენ უფლისა ჩუენსა იესუ^f ქრისტესსა, შეჩუენება!³⁰

რომელნი უარ-ჰყოფენ და შეაჩუენებენ ხალკიდონისა³¹ წმიდასა³² და მსოფლიოსა | მეთხესა³³ კრებასა, შეჩუენება!³⁴

რომელნი არა თაყუანს-სცემენ³⁵ და პატივს-სცემენ³⁶ | წმიდათა და პა- ტიოსანთა | ხატთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა | უხრწნელისა | ღმრთის- მშობელისა და ყოველთა წმიდათასა, შეჩუენება!³⁷

შეჩუენებულ იყავნ | ველზეა b, შეჩუენება CD. ¹⁰ მუნტანი D. ¹¹ მარტიონ C. ¹² შეჩუენება C. ¹³ თეოდოს CD. ¹⁴ შეჩუენება C. ¹⁵ ფლოქსენი B. ¹⁶⁻¹⁸ შეჩუენებულ იყავნ | B, შეჩუენება C. ¹⁷ კვროს A.

¹⁹ თანა-მზრახველთა C. ²⁰ წმიდა AC. ²¹ მამასა ძესა C. ²² და ²⁴ შეჩუენება | შეჩუენებულ იყავნ BD. ²³ და — C ²³⁻²⁶ შეჩუენებულ იყავნ B. ²⁷ შეჩუენებულ იყავნ BD. ²⁸⁻²⁹ შეჩუენებულ იყავნ B, შეჩუენებულ იყავნ D. ³⁰ შეჩუენებულ იყავნ B, შეჩუენებულ იყავნ D. ³¹ ქალკიდონისა B. ³² წმიდა AC. ³³ მეთხესა B. — კრებასა მეთხესა C. ³⁴ შეჩუენებულ B. ³⁵ თაყუანს-სცემენ B. ³⁶ და პატივს-სცემენ — B. ³⁷ შეჩუენებულ იყავნ B, შეჩუენებულ a მსოფლიოთა — b თანა-დაუსაბამოდ — c ქალწულისა — d უფალსა ჩუენსა იესუ — e უფალსა ჩუენსა იესუ — f უფლისა ჩუენისა იესუ — h წმიდასა და მსოფლიოსა —.

i პატივს-სცემენ — j პატიოსანთა. k უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა | მაცხოვრისა. | უხრწნელისა | წმიდასა,

რომელნი არა აღიარებენ უხრწნელსა დედასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა მარიამს ჳეშმარიტად და საკუთრად a ღმრთისმშობელად და მარადის ქალწულად b შეჩუენებულ იყავნ!³⁸

რომელნი არა შეიწყნარებენ წმიდასა³⁹ და მსოფლიოსა მეექუსესა კრებასა და კოსტანტინუპოლის⁴⁰ შეკრებულთა ორას ოთხმოცდაცხრათა წმიდათა მამათასა დასამკობელად თეოდორესსა, სერგისსა, პიროსისა, კრომასა⁴¹, პელესსა და მკაირისსა; და მის⁴² თანა მეშუდესაცა და ნიკიისა⁴³ მეორესა კრებასა თაყუანისცემისათჳს წმიდათა და პატრიოსანთა ხატთაჲსა შეკრებულთა, შეჩუენებულ იყავნ!⁴⁴

ყოველნიმცა⁴⁵ მწვალებელნი წინაღმდგომსა წმიდათა და მსოფლიოთა შდთა კრებათასა მზრახველნი⁴⁶ შეჩუენებულ არიან⁴⁷.

ვინცა ვინ შესძინოს ამას თანა⁴⁸ ვითარმედ: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდლო“ დართვაჲ ამისი: „რომელი ჳუარს ეცუ ჩუენთჳს. შეგვეწყალენ ჩუენ“⁴⁹, შეჩუენებულ იყავნ!⁵⁰

ვინცა ვინ არა თაყუანისცემს წმიდათა ხატთა, არამედ იტყჳს, ვითარმედ კერპნი არიან, შეჩუენებულ იყავნ!⁵¹

რომელნი ურთვენ ჴეთსა პურსა თანა წმიდისა⁵² შესაწირავისასა, შეჩუენებულ იყავნ!⁵³

ვინცა ვინ არა შეაყოფს⁵⁴ სამსხუერპლოსა პურსა თანა აღმაფუენებელსა ცომსა⁵⁵, არცა წმიდა⁵⁶ სასუმელსა^c თანა წყალსა⁵⁷, არამედ იტყჳს, ვითარმედ ცოდვა არს ამისი ჳმნაჲ⁵⁸, შეჩუენებულ იყავნ!⁵⁹

ვინცა ვინ უსცხსლოსა მსხუერპლსა არა აღიარებს კორცად და სისხლად უფლისა ჩუენისა იესუ^f ქრისტესსა, შეჩუენება!

ვინცა ვინ დაკლას კრავი აღვსებასა⁶⁰ ანუ სხუასა ეამსა, შეჩუენება!⁶¹

რომელნი ჳამენ კორცსა შვდელუსა^h ყველიერისასა⁶², შეჩუენებულ იყავნ!⁶³

ვინცა ვინ არა დასწერდეს ჳუარსა ორითა თითითა, ვითარ-იგი ქრისტეცა, შეჩუენება!⁶⁴

ვინცა ვინ არა დღესასწაულობს ოცდახუთსა მარტისა თთჳსასაⁱ-ხარებასა, უფრომასა⁶⁵ წმიდისა ღმრთისმშობელისასა და ოცდახუთსა დეკენ (307r, II) ბერსა⁶⁶ თთჳსასა-საცხორებელსა^j შობასა ქრისტესსა და ექუსსა იანვარისა თთჳსასა-განცხადებასა და ორსა ფებერვალისა თთჳსასა-მიგებებასა, შეჩუენება!⁶⁷

იყავნ D. ³⁸ შეჩუენება CD. ³⁹ წმიდა AC. ⁴⁰ კოსტანტინუპოლისა B, კოსტანტინეპოლის C. ⁴¹ კრომისისა B, კროსისა C. ⁴² მას B. ⁴³ ნიკას C. ⁴⁴ და ⁴⁷ შეჩუენებულ იყვენ B, შერ C. ⁴⁵ ყოველნიცა B. ⁴⁶ მზრახველნი-არიან B. ⁴⁸ თანა — B. ⁴⁹ შეგვეწყალენ ჩუენ — C. ⁵⁰ შეჩუენებულ იყვენ — B. ⁵¹ შეჩუენებულ იყვენ B, შერ C.

a-ჳეშმარიტად და საკუთრად —. b მარია ქალწულად —. c რომელნი არა შეიწყნარებენ... შეჩუენებულ იყვენ —. d ცომსა —. e წმიდა სასუმელსა] ჴედაშესა. f უფლისა ჩუენისა იესუ —. g აღვსებასა-ჳურიგბრუიისა პასექისა, h შვდელუსა] კვირიაყისა. i თთჳსასა — აქად და ყველგან. j საცხორებელსა —.

⁶⁵ წმიდისა —. C. ⁶³ შეჩუენებულ იყავნ] შერ C. ⁶⁴ შეაყოს C. ⁶⁵ აღმაფუენებელი ცომი C.

⁶⁶ წმიდასა C. ⁶⁷ წყალი C. ⁶⁸ არამედ იტყჳს, ვითარმედ ცოდვა არს ამისი ჳმნაჲ —. C. ⁶⁹ შეჩუენებულ B, შეჩუენება C. ⁶⁰ აღვსებასა-ჳურიგბრ C. ⁶¹ შეჩუენებულ იყვენ B. ⁶² შვდელუსა ყველიერისასა კორცსა C. ⁶³ შეჩუენება C. ⁶⁴ შეჩუენებულ იყვენ C. ⁶⁵ უფრომასად-ჳურიგბრისა C. ⁶⁶ დეკენბრისა C, დეკენბერისა D. ⁶⁷ შეჩუენებულ იყვენ B, შეჩუენებულ იყვენ D.

ვინცა ვინ იტყვს, ვითარმედ დღითი-დღედი ზიარებამა და სიწმიდის⁶⁶ განახლებამა წმიდათა დიდთა მარხვათაჲ ცოდვამ არს და ჰამს სძესა და კუჭრ-ცხსა^a შაბათსა და კვრიაეკსა⁶⁹, შეჩუენება!⁷⁰

ვინცა ვინ მღღელმან ჟამი წიროს თვნიერ კუართისა, ოლარისა და ფე-ლონისა⁷¹, ანუ თანა-წიროს ანუ ეზიაროს პირველ-მოკსენებულთა იმათ მწვა-ლებელთა თანა ანუ ეკლესიათა მათთა შინა შევიდეს⁷², ილოცვადენ რაჲ და⁷³ გალობდენ მათ შინა, ანუ მოიყვანნეს⁷⁴ ივინი კელთ-დასკმად, შეჩუენება!⁷⁵

ვინცა ვინ განავლოს საშუალ ჭუარისა სამშუალი⁷⁶ რკინისაჲ და სახედ ნათლისცემისა ღვინითა განბანოს იგი და ნაცვალად მიპრონისა⁷⁷ ქუნჯითისა ზეთი სცხოს ჭუარსა ამას⁷⁸ და ეგრეთღა თაყუანისსცეს, შეჩუენებულ იყავნ!⁷⁹

ვინცა ვინ არა ნათელ-სცეს სამითა შთაყოფითა^b სახელსა ზედა მამისა და⁸⁰ ძისა და სულისა წმიდისასა, შეჩუენებულ იყავნ!⁸¹

ვინცა ვინ არა იტყვს საუფლოსა ამას ლოცვასა: „მამო ჩუენო⁸², რომელი ხარ ცათა შინა“⁸³ ყოველთა შინა ლოცვათა თვსთა სრულიად⁸⁴, შეჩუენებულ იყავნ!⁸⁵

ყოველნიმცა მწვალებელნი შეჩუენებულ არიან, რამეთუ ვიქმნი შჯულთა-გან⁸⁶ მათთა და მათთაგან, რომელნი თანა-სათნო ეყოფვიან⁸⁷ მათ და რომელნი თანა-მზრახველ და ერთ-ნება არიან მათღა სარწმუნოებისათვს და რომელნი ჰამენ მათ თანა და ყოვლისა მწვალებელისა სარწმუნოებისაგან და მრწამს წმიდისა მიმართ და თანაარსისა სამებისა მოცემისაებრ წმიდათა მამათა მართლ-გამომეტყუელთა სიტყუასა ჰეშმარიტებისა. და აღვსტუემ საღმრთოდ ცხორებასა და მოქალაქობასა და აღვიარებ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა ერთსა ბუნებასა და⁸⁹ რამეთუ შეყოფილი და შეერთებული არს ბუნებამა, არა ზუნებამა ბუნებისადა შერწყმული, რამეთუ ერთი ხოლო არს ბუნებამა.

ამისთვის, ვინამთგან ერთი არს ბუნებამა, ერთი არს ღმრთებამაცა, განყოფილი სამებად გუამოვნებათათვს და ერთობად აღმავალი სიტყუსათვს არსებ-ბისა.

ამისთვის მამასა ვიტყვ და ძესა ვადიდებ და სულსა წმიდასა აღვიარებ, რომელ არიან სამნი პირნი. ხოლო არა ვიტყვ სამთა არსებათა ანუ სამთა ბუნე-ბათა, გინა სამთა ღმერთთა, არამედ ერთსა ღმერთსა, ერთსა არსებასა, ესე იგე არს, ბუნებასა აღვიარებ, რამთა არა არიანოზობად მივდრკე.

და ვიტყვ ერთსა არსებასა, რომელი არს ბუნებამა, არა ვიტყვ ერთსა გუამ-სა, რამთა არა საბელიანოზ ვიქმნე, არამედ სამთა გუამთა და სამთა პირთა ერ-თისა ღმრთეებისა და ერთისა არსებისა და ბუნებისათა ვადიდებ.

და ნეტარ არს, რომელი ამას სარწმუნოებასა ზედა დამტკიცებულ არს და უცვალებელად აღვიარებს და პრწამს და დიდებასა აღაველენს ჰეშმარიტისა

⁶⁶ სიწმიდისა B. ⁶⁸ შაბათ-კვრიაეკსა |1. შაბათსა კვრიაეკსა C. ⁷⁰ შეჩუენებულ იყვენ B. ⁷¹ ფილონისა B. ⁷² — შევიდეს შინა C. ⁷³ და—C. ⁷⁴ მოიყვანონ C. ⁷⁵ შეჩუენებულ იყვენ B. ⁷⁶ სამსუალი C. ⁷⁷ მირონისა C. ⁷⁸ მას BC. ⁷⁹ და ⁸¹ შეჩუენება C. ⁸⁰ და—BC. ⁸² ჰ სრულად C. ⁸³ რომელი ხარ ცათა შინა, C. ⁸⁴ სრულად B. ⁸⁵ შეჩუენებულ იყვენ B, შეჩუენება C. ⁸⁶ შჯულთაგან ჩხოლთაგან B, სჯულთაგან CD. ⁸⁷ ეყოფიან B. ⁸⁸ მათღა C. ⁸⁹ და—B.

a კუჭრცხსა-ქერბოსა, ყველსა და ღოსა. b შთაყოფითა-წყალსა შინა. c საუფლოსა ამას ლოცვასა. d რომელი ხარ ცათა შინა.

ღმრთისა და მამისა, და ჭეშმარიტისა ღმრთისა და ძისა ყოველად წმიდითა და ცხოველს-მყოფელითა სულითა⁹⁰, უუქუნისამდე!

და⁹¹ მიუგებდეს თითოეულად ესრეთვე მოქცევადი იგი.

და მერმე ჰკითხოს მას სამგზის მღღელმან:

„გარწმამსა წმიდისა მიმართ და თანაარსისა სამებისა?“ და მან მიუგოს: „მარწამს“.

ამისსა შემდგომად მოიდრიკოს მოქცევადმან მან თავი. და მღღელმან ყოს ლოცვა და თქუას: „ღმერთო მაცხოვარო ჩუენო, რომელსა გნებავს ყოველთა ცნოენება⁹² და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ, შეიწყნარე მონაჲ⁹³ შენი, სახელით, რომელმან ძლით აღიზილნა საცთურისაგან და მოსურნე იქმნა მოსლვად მეცნიერებასა შენისა ჭეშმარიტებისასა.

რამეთუ შენ სთქუ უფალო, ვითარმედ სხუანიცა ცხოვარი მიდგან⁹⁴, რომელნი არა არიან ამის ეზოჯსაგანნი, ივინიცა ჭერ (307, V, I) არიან⁹⁵ ჩემდა მოყვანებად და კმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვენენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს.

აწ უუუე დამწყსე ესე ღიღებითა შენითა მეცნიერებად ჭეშმარიტებისა შენისა მოცემისაჲგარ წმიდათა და ღიღებულთა მოციქულთა შენთაჲსა და ღირს ყავ ესე საბეჭდავსა წმიდისა მიჰრონისასა და ზიარებასა პატრიოსნისა კორციისა და სისხლისა შენისასა. და გამოაჩინე ესე განსრულებულად მონად შენდა, რაჲთა სამწყსოსა შენსა თანა აღირაცხოს ესეცა საღიღებულად და საქებულად ღიღებულებისა შენისა“.

ამალღებაჲ⁹⁶ „რამეთუ შენი არს სუფევად“⁹⁷.

და სცხოს მას წმიდა მიჰრონი, ვითარცა ახალ-მონათლეთა და მათეე სი-ტყუათა იტყოდის, სცხებდეს რაჲ რომელთა იტყვს ახალ-მონათლესა⁹⁸ ზედა.

მერმე კუალად ილოცოს და თქუას ესრეთ: „უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან ღირს ჰყავ სრულად გამოჩინებასა მონაჲ ესე შენი, სახელით, შენდა მიმართ მართლითა სარწმუნოებითა და საბეჭდავსა წმიდისა მიჰრონისა შენისასა. შენ მეუფეო ყოველთაო, დაიციე მის⁹⁹ შორის შენდა მიმართი¹⁰⁰ ჭეშმარიტი სარწმუნოებაჲ და აღაორძინე ესე სიმაართლესა შინა შენსა და ყოველთავე მალღთა შენთა მიერ შეამკვე“.

ამის¹⁰¹ შემდგომად აზიაროს და მისცეს მცნებაჲ, რაჲთა შვდთა მათ ღღეთა კორცი არა ჰამოს, არცა პირი დაიბანოს, არამედ ვითარცა ახალ — ნათელღებულნი, ეგრეთ იქცეოდის მათ ღღეთა შინა და ყოველთა ღღეთა ეზიარებოდის და მერგვისა ღღესა განიბანოს, ვითარცა არს ჩუეულებაჲ ახალ-მონათლეთაჲ¹⁰².

⁹⁰ წმიდით და ცხოველს-მყოფელით სულით C. ⁹¹ და—B.

⁹² ცხოვრებაჲ B. ⁹³ მონაჲ+ესე B. ⁹⁴ მიჯან B. ⁹⁵ არიან⁹⁵ არიან B. ⁹⁶ ამალღებაჲ—B.

⁹⁷ სუფევად+ძალი და B. ⁹⁸ ახალ-მონათლეთა B. ⁹⁹ ამის B. ¹⁰⁰ შენდა მიმართ B. ¹⁰¹ ამისა B. ¹⁰² მონათლეთა A.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

ზ უ რ ა ბ კ ი ნ ა ნ ა შ

ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი

ვეფხისტყაოსნის მრავალრიცხოვან თარგმანებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ებრაული თარგმანი, შესრულებული აწ განსვენებული ბორის-დოვ გაპონოვის მიერ. ჩვენი ცენტრალური და სალიტერატურო პრესა რამდენჯერმე გამოესმაურა ამ მოვლენას, ხოლო ებრაულ ენაზე თარგმანის ირგვლივ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა დაგროვდა. რეცენზენტთა და მიმომხილველთა ერთდმა აზრით იგი მნიშვნელოვანი შენაძენია თანადროული ებრაული პოეზიისა და იმ რიგის თხზულებათა რიცხვშია ჩათვლილი, რომელნიც ამდღრებენ ეროვნულ მწერლობასა და კულტურას ახალი ცხოველმყოფელი ნაკადებით და წარმოაჩენენ ამ უძველესი ენის ამოურწყავ შესაძლებლობებს, დასაბამითან მასში ჩამარხულს და დრომდე გამოუყენებელს. თარგმანის მხატვრული გამომსახველობით აღფრთოვანებული მისი გამომცემელი, ცნობილი პოეტი ა. შლონსკი არ იშურებს ქების სიტყვებს და სხვათა შორის წერს შემდეგს: „... ამ კლასიკური ქართული თხზულების ებრაული თარგმანის კიანვისას... ხანდახან გგონია, რომ წინ გიდეეს ებრაული ხელნაწერი, რომელიც თითქოსდა რომელიმე განძთსაცავში აღმოეჩინოთ“¹.

როგორც ნათქვამიდან ჩანს, ეს თარგმანი ორიგინალურ მოვლენად არის შერაცხილი. ისეთ ნაწარმოებად, რომელიც თავისთავად არსებობასა და მნიშვნელობას იპოვებს, ვითარცა დიდი სიახლე თანადროულ ებრაულ პოეზიაში. იგი მართლაც საკვირველი ენობრივი მოვლენაა.

ამ მიერე ნაკვლევის მანძილზე, ბუნებრივია, საჭირო გახდება ექსკურსები ებრაული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის, ბიბლიის ტექსტში, სადაც მოგვეხმება ნაცნობი ხმები, ქრისტიანული მწერლობისა და თავად რუსთაველის წყალობით რომ არის გამშობლიურებული ჩვენს პოეზიაში. ვნახათ იმასაც, თუ როგორ და რა სახით უბრუნდება თარგმანის წყალობით ებრაულ მკითხველს ბევრი რამ, რაც რუსთაველის პოემაში ბიბლიური წიგნებიდან იღებს სათავეს.

სანიმუშოდ აღებული სტროფები² განხილული იქნება როგორც პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით, ისე შინაარსობრივად, და რაკი ეს ორი მომენტი განუყოფელია პოემაში, ყურადღებაც ერთდროულად იქნება მიქცეული მათდამი.

* წინამდებარე წერილს ხელნაწერში ვაიწო ებრაისტი ნისან ბაბალიაშვილი (აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტი) და ყურადსაღები რჩევეპიც მომაწოდა, რისთვისაც გულითად მადლოძს მოვახსენებ.

¹ იხ. „ლიტერატურული საქარველო“, 18. IV. 1969.

² სტროფები ციტირებულია პოემის 1957 წ. გამოცემის მიხედვით, რადგან სწორედ მას მისდევს ებრაული ტექსტი.

პირველი. რაც შეიძლება შეამჩნიოს ქართველმა მკითხველმა დედანთან თარგმანის ზერცელ შედარებისას, ეს იქნება, ასე ვთქვათ, მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ს ი ა ხ ლ ო ვ ე მათ შორის. ეს საყურადღებო მოვლენა, რაზეც ახლა მექნება საუბარი, არ არის ისეთი რამ, რისი განხორციელებაც უსათუოდ უნდა ევალებოდეს მთარგმნელს. შემთხვევითია ეს მოვლენა თუ მთარგმნელის შეგნებული ნებით არის განიწყვეული, ახლა ძნელია ამის გადაწყვეტა. ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტი ქართული ენის არმტოდნე ებრაელი მკითხველისათვის შეუმჩნეველი იქნება და მხოლოდ მთარგმნელის საიღუმლოებად რჩება. მაგრამ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს თითქოს შიფრია, თარგმანში იღუმალად ჩადებული განსვენებული მთარგმნელის მიერ ქართულ ენასთან მკიდრო კონტაქტისა და მისი სიყვარულის დასტურად. ამ ფაქტში ვგულისხმობ ორიგინალის ტაეპთა კადანსის მატერიალურ ასახვას თარგმანში, მათ ბგერობრივ დამთხვევას.

არის ერთი შემთხვევა, როცა დედანი თავად შთააგონებს მთარგმნელს, რა აირჩიოს სარიტმო სიტყვად: ეს არის ე ზ რ ო ს, „ბრძენი ეზროს“, რომელიც მთარგმნელის მიერ, რუსთველოლოგიაში გავრცელებული შეხედულების კვალზე, გაიგებებოდა მე-12 საუკუნის ებრაელ პოეტთან, მოშე ბენ ეზრასთან. მან, ბუნებრივია. მნიშვნელობა მიანიჭა ამ ფაქტს (ებრაელი პოეტის ხსენებას ქართულ პოემაში: სხვა საკითხია, ასეა თუ არა ეს) და მასზე ააგო მომდევნო რითმები: ბენ ე ზ რ ა (אֶזְרָא) — მ ა ე ე ზ რ ა ე პ (מֵאֶזְרָא) — ე ზ რ ა ხ (אֶזְרָא) — ე ე რ ა რ ა (אֶזְרָא) რაც ფონეტიკურად ასახავს დედნისეულ დაბოლოებებს: ე ზ რ ო ს, დაცა ე ზ რ ო ს, ტანად ე ზ რ ო ს, იაბ ე ზ რ ო ს (სტროფი, 177).

ამგვარი ადეკვატურობისათვის ბიძგს ამ შემთხვევაში ებრაული სახელი ე ზ რ ა იძლევა.

ახლა დაეაკვირდეთ 688-ე სტროფს:

მას ვახსენებდე, ნუ გიყვირს, თქმა მჭირდეს მიწყვი ა ხ ი ს ა!

შუე თუ ვთქვა მსგავსი მისი და ანუ მისისა ს ა ხ ი ს ა,

ვინ უნახაუ-ქმნის გონება ყოველთა კაცთა მ ნ ა ხ ი ს ა;

ვარდი დამქნარი ეკალთა შუა, შორს მყოფი, ა ხ, ის, ა!

ებრაულ თარგმანში ამ სტროფს ამგვარი გარეგანი სახე აქვს:

ა ლ - თ ი თ მ ა ჰ ქ ი - ე ზ ჰ ქ რ ა ო ნ უ ვ ე - ი გ ნ ა ხ ქ ე - გ ე ნ ა ხ რ ა ხ,

ლ ო ი ლ მ ე ქ ი - ი მ ლ ა შ ე მ ე ლ ე - მ ა დ ა რ ვ ე - მ ო ლ ე ა - ხ რ ა ხ

ქ ო ლ - ა დ მ, ა მ ე რ ი რ ა ო ნ უ — ე თ ნ ა ფ შ ი რ ი შ ქ ა ხ შ ა ხ რ ა ხ,

ვ ე - ყ ა თ ა თ ა ნ ი ლ დ ა ხ ქ ა - პ რ ე ლ მ ა ნ - ნ ო ვ ლ ბ ე - შ ე ფ ა ე ხ რ ა ხ.

მთარგმნელისთვის აქ ბიძგის მომცემია სუბსტანტივიზირებული შეძახილი სასოწარკვეთილებისა „ახ“-„ახი“, რამაც გამოავლინა სარიტმო ერთეულად მსგავსი ჟღერადობის ებრაული სიტყვა ო ა ხ — „ქოტი“ (ხმაბაძეითი სიტყვა იგივე ა ხ -იდან). ამის გამო პირველ ტაეპში ჩნდება ებრაულისთვის ბუნებრივი სახე: „ნუ გიყვირს, რომ მისი გახსენებისას ქოტის ხმით კვენესი“ (ანა-

³ შედეგნილი რითმა. მეღერი ლარინგალური ბგერის — ყ — გადმოსაცემად ეხმარობ პირობითად ნიშანს. ეს ბგერა ღუსდღუობათ გამქარალია წარმოთქმაში. მხოლოდ ქართველი ებრაელების შეტყუებაში ისმის მისი რველექსი ყ-ს სახით. ებრაული ტექსტის ბგერურა გულისხმობს დასავლურ წარმოთქმას, ღუსდღუობათ მეტად გავრცელებულს. ამ გამოთქმაში დაკარგულია ემფატიკური თანხმოვნები და ერთმანეთსა დამთხვეული ზოგიერთი ბგერის გამოთქმა, თუმცა დაწერილობაში კი ყველაფერი ეს შენარჩუნებულია, რაც სიტყვათა უხე ომონიმიას იწვევს.

ლოგიური ეფექტი აქვს ხმას ტურისას, როგორც ეს დადასტურებულია წინასწარმეტყველ მიხას წიგნში: „ამის გამო მოეთქვამ და ვეალალებ (ელილა), უხამური და ტანშიშველი დავდივარ, ტურების ხმაზე ვკვი“ 1,8)⁴.

672-ე სტროფი:

იგი მუნით წამოსრული სეულამანთა განა მ ო კ ლ ა
პირსა იხოკს, ვარდა აზრობს, ხელი მისი განა მ ხ ო კ ლ ა;
სისხლსა, მისგან დადენილსა, მხეცი ყოვლი განამ ლ ო კ ლ ა:
მისმან ფიცხლად სიარულმან შარა გრძელი შეა მ ო კ ლ ა.

ებრაელი მთარგმნელისთვის ამ შემთხვევაში ბიძგის მომცემია დედნისეული „განამლოკლა“. ეინაიდან ქართული სიტყვა „ლოკვა“ (როგორც ჩანს, ხმაბაძეითი სიტყვა, შდრ. რუს. локать, გერმ. lecken) დაახლოებით ისევე ჟღერს, როგორც ამავე მნიშვნელობის ებრაული სიტყვა თ ა ლ ო კ „ლოკავს“ (ინფინიტივი: ლაკავ). ამის გამო ამ სტროფის კადანსს თარგმანში დედნისეული ელერადობა აქვს:

ვა-ისაჲ ვე-თაეუკენუ/ ჰა- გაუკვეთ ვა- თ ი ვ ლ რ კ
აჲხასუ ვარდრ ბე-კერახ /უ-ვესარ ფანაუ ი მ ლ რ კ (განამხოკლა)
ვე-დამრ ჰა-ზუე მიმძენუ/ ქოლ-ხაჲჲ ოთო თ ა ლ ო კ (განამლოკლა)
ვე-თიყარ ღარქრ ლა-შერ /აბარაჲ ჰა-იშ ი ღ ლ რ კ.

ამგვარი მოვლენის ნიმუში შეიძლებაოდა რამდენიმე კიდევ მოგვეყვანა. მაგრამ მათგან უფრო თვალსაჩინოზე გავამახვილებ ყურადღებას. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ 1532-ე შიირი:

მოხვია, გარდუკონა მან პირისა არე-მარე:
დამივყო ცეხლი ცხელი, მაგრა წყალი არე-მარე;
ენ გიშერი დაჰყოგა და წამწამი არემა-რე,
გვალე, შეგყრი, ლომო, მჯესა, თაჲ მისეჲ არე, მარე!

თარგმანში ომონიმურ გარითმვასთან ერთად შენარჩუნებულია დედნისეული კადანსის ფონეტიკური ჟღერადობა: ოთხივე ტაეპი ბოლოვდება ოთხმნიშვნელოვანი ომონიმური სიტყვით მ ო რ ტ (რრრ). პირველ ტაეპში მ ო რ ე ნიშნავს „მასწავლებელს“, „მოძღვარს“ (იგულისხმება როსტევეანი, რომელიც გადაკონის დაბრუნებულ ავთანდილს, თავის გაზრდილს); მეორედ ნახმარი მ ო რ ე — „გაზაფხულის წვიმა“, რომლის ნაღვარი გააგრილებს აღმოღებულ სულს: მესამე მ ო რ ე — „მოისარი“, მსროლელი ისართა, რანიც მეტაფორულად გოშრის წამწამებს გამოხატავს, მეოთხე — „გამძლოლი“, როსტევეანი, თინათინთან შესაყრელად რომ წარუძღვება ავთანდილს.

მომყავს ამ სტროფის თარგმანი:

ვა-იღფრთ ოთო ჰამ-მელეხ, ვა-იშჰნკ ეთ ჰ ა მ - მ ო რ ტ,
ვა-ჲმარ: ნიშტაჲ ჰალ-ლჰაჲჲ ჰე-მარგაჲჲ ჰ ა მ - მ ო რ ტ,
ვა-აშერ შეეო რისჰა ბენი-კეშეთ ჰ ა მ - მ ო რ ტ.
თიფთაჲშე ოთთაჲ, ჰალ-ლნიშ, ჰი ან რ ჰე ჰ ა მ - მ ო რ ტ!

იგივე ომონიმური სიტყვა მ ო რ ე (რრრ) ბიბლიის ტექსტში გამოყენებულია მნიშვნელოვანი აზრის გადმოსაცემად, როცა საჭიროა ერთ ფრაზაში გამოითქვას ლეთიური მადლის ორმაგი მოქმედების ეფექტი — ერთი მხრივ, ეთიური დამოძღვრა ერისა, მეორე მხრივ, მიწის დარწყულება. იოველის

⁴ შდრ. ვაჲა: „ხან ბუისაით გაჰკიელებს საწყალად, ბეჩაურადა“ („ეთერი“).

წიგნში ეკითხულობთ: „იხარებდეთ და იშვებდეთ, ძენო სიონისანო, უფლისა გამო, ღვთისა თქვენისა, რამეთუ მოგვეცემთ იგი მოძღვარს (მორე) სიმართლისას და გარდამოგივლენთ წვიმას ადრეულს (მორე) და გვიანს“ (2,23). ორმნიშვნელოვნება ამ სიტყვისა კიდევ უფრო ცხადად ჩანს შემდეგ ფრაზაში, სადაც აზრი მეტაფორულად არის გამოხატული: „თესდეთ სიმართლისათვის და მოიმკეთ წყალობა: დადგა ეამი უფლის ძიებისა, ვიდრე მოვიდოდეს იგი და სმართალს გაწვიმებდეთ“⁵ (ოსია, 10,12). „გაწვიმებდეთ“ (აორე) შეიძლება აგრეთვე გაგებულ იქნეს როგორც „გასწავლიდეთ“. სწორედ ამ მეორე მნიშვნელობისკენ იხრება ლათინური ვულგატა: *docerit vos iustitiam*.

რაკი ომონიმიას შევხვებ, ისიც უნდა ითქვას, რომ თარგმანში ასახულია დედნისეული მაჯამების უმეტესი ნაწილი, ხოლო სადაც დედანი არ კარნახობდა ამის აუცილებლობას, მაჯამა სხვა ნებისმიერ სტროფებშია განხორციელებული. ეს მიღწეულია სრულიად ბუნებრივად, რაიმე ძალდატანების გარეშე, ერთი მხრივ, ებრაულ ენაში ისტორიულად შექმნილ ფონეტიკურ თავისებურებათა, და მეორე მხრივ, ებრაული პოეზიის ტრადიციის წყალობით. ცნობილია, რომ იგივე მოშე ბენ-ეზრას (რომელთანაც ებრაულ თარგმანში დედნისეული „ბრძენი ეზროსია“ გაიგივებული) ზოგიერთი პოემა მთლიანად მაჯამურად არის გაწყობილი. თუმცა ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნებში (ისტორიულ ნაკვეთებშიც კი) გამოვლენილია ენის ეს თვისება, რაც მეტ-ნაკლებად ყველა ენისთვის არის დამახასიათებელი. ერთ ფრაზაში თანამედრო, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვათა გამოყენების წყალობით მიღწეულია ერთგვარი შთამბეჭდაობა და სიძლიერე გამოთქმისა, ან ირონია, როგორც ქვემოთ მოყვანილ შემთხვევაში შეინიშნება: როცა სინას მთიდან ჩამოშვალ მოსეს მოესმება „ოქროს კერპის“ გარშემო მოკვირე ერის ხმაური, ისუ ნავეს ნათქვამს, ომის ხმაური ისმისო, ამგვარად შეასწორებს: „არა ჰგავს ეს ხმა გამარჯვების ყიყინას (ჟანოთ), არა ჰგავს ეს ხმა არც დამარცხების ყიყინას, არამედ ხმა სიმღერისა (ჟანოთ) მესმის“ (გამოსვლ. 32,18). აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს სიტყვა აქვს გამოყენებული მთარგმნელს ერთ-ერთი მაჯამური სტროფის თარგმანში, სახელდობრ, 495-ე შაირში „თუცა მოგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო, / ამას იქით ნულარა სტირ, ჰირსა თვარი არიდენო; / შენნი მკურეტნი ჩემთა მკურეტთა ავინებენ, არ იდენო; / რომე წელან მოგეხვივნეს, იგი ჩემთვის არიდენო“. ამავე დროს თარგმანში გამოვლენილია ამ ძირის (ჟანაჰ **רָעָה**) კიდევ სხვა მნიშვნელობები. თარგმანის შინაარსი ასეთია: „ამოდ ნულარ ღვრი ცრემლებს და უბედურებას ნულარ ეთრგუნები (ლა-ჟანოთ); / აწ შეწყვიტე ტირილი, ნულარ მიეცემი წუხილს (ლა-ჟანოთ), / რადგან ჩვენნი მაქებარნი ერთმანეთს ეცილებიან ჩვენდამი მღერად (ლა-ჟანოთ); / გუშინ რომ გეხვია, (იმ რიდეს) მე შევიმოს დასამშვენებლად (ლა-ჟანოდ)“.

მაჯამურადვეა ნათარგმნი ორიგინალის შემდეგი მაჯამური სტროფები: 137 (ასადაგეს), 304 (დანაბადია), 494 (უშენოსა), 734 (დაეზადა). 1026 (სამსალუბისა) და ბევრი სხვა სტროფი, არასრულ მაჯამაზე აგებული (109, 548, 596 და სხვ.).

⁵ აღსანიშნავია უალრესი სიმძველე ამ ფრაგმენტის თქმისა: ერთ შემერულ ჰიმნში ნათქვამია: „სიტყვა შენი — ცილან ჩამოსული წვიმა“.

საინტერესოა განსახილველად სტროფი 619, სადაც მხოლოდ ორი მაქამური ტაეპია:

ფრიდონ ნახნა საპურქლენი და ბეჰედნი მისნი დაჰსხნა.
თვით ორნივე ბიძა-ძენი დაპყრობილი წამასხნა.
მისად ნაცვლად სისხლი მათნი მოღვარა და ველთა ა ს ხ ნ ა ;
ჩემი თქვეს, თუ: „ღმერთსა მადლი, ვინ აღვიხა ხენი ა ს ხ ნ ა !“

თარგმანში სტროფი მთლიანად მაქამურია:

ფერიდონ ხათამ ბა-ქრეთ გინზექმ აშერ ს ა ხ ნ მ ;
ეთ ბენე დოდრ ჰიხნიაც, ახ-მიმწვეთ ხა ს ა ხ ნ მ ,
ყალ დამე აშერ ჰიგრუ — ბი-ღემე ფიცავ ს ა ხ ნ მ .
„ევიორანა აშერ ჰიგმრაც ეთ ჰა-გეტ!“ ყალახ ს ა ხ ნ მ .

თარგმანის შინაარსი ამგვარია: „ფრიდონმა დაბეჰედა მათი საპურქლენი ქალაქში, რომელნიც იქ ნახა (ს ა ხ ა მ); ბიძაშვილები დაიმორჩილა, სიკვდილისგან კი იხსნა (ხ ა ს ა ხ ა მ), მაგრამ სანაცვლოდ თავისი სისხლისა, რაც მათ დაღვარეს. მათი პრილობების სისხლით მოსვარა ისინი (ს ა ხ ა მ), „ქურთხეულ იყოს, ვინც ეს ხე აღმოაცენა!“ დაასკვნეს ჩემს გამო“. (ს ა ხ ა მ)“.

გარდა დედანთან მაქსიმალური სიახლოვისა, ეს ნათარგმნი სტროფი კიდევ რამდენიმე თვისებით გამოირჩევა: მაქამა უკვე აღენიშნეთ, ახლა აღსანიშნავია იგრეე მოვლენა, რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი: აქ ასახულია კადანის ორიგინალისეული ფონეტიკური უღერა: ა ს ხ ნ ა — ს ა ხ ა მ. შემდეგ, მკითხველი შეამჩნევს, რომ ებრაულ ტექსტში განხორციელებულია ტაეპშიდა რითმა ორიგინალის კვალზე. პირველ ტაეპში:

ფრიდონ ნ ა ხ ნ ა საპურქლენი და ბეჰედნი მისნი დაჰ ს ხ ნ ა .
ფერიდონ ხ ა თ ა მ ბა-ქრეთ გინზექმ აშერ ს ა ხ ნ მ .

რაკი ტაეპშიდა რითმა ვახსენეთ, უადგილო არ იქნება მოვიყვანოთ ერთი ვირტუოზული სტროფი ორიგინალისა და მისი შესაბამი ებრაული ტექსტი, და შემდეგ თარგმანის სხვა მხარეებზე გადავიდეთ. სტროფი 1112:

ათანდილ ვაელო ქალაქი მით უებროთა ტანითა;
ზღვის პირსა სახლი ნაგები დგა ქვითა წითელ-მწვანითა,
ქვეშეთყე სრითა ტურფითა, კვლა ზედათ ბანის-ბანითა,
ღიდროვანითა ტურფითა, მრავლითა თანის-თანითა.

ამას შეესატყვისება:

ვა-აუჯანა-ხრტა ზნალა ჰა-თიფეტ რ ე თ ჰა-მაი რ ტ ქ ე თ
ეე-ჰინე ნეგდამ ბეთ-ქეენ აღამდე მ ე თ აერაკ რ ტ ქ ე თ
ფიმ მატრაც ყალ მატრაც უ- მ ი ზ რ ტ ქ ე თ მ უ ლ მ ი ზ რ ტ ქ ე თ
ბირანთ ბერდ ნიმშეტ ხ ე თ მეაუფან უ-მეგო რ ტ ქ ე თ .

პირველი სტროფი პოემისა, მისი პროლოგი, იწყება თითქოს უმნიშვნელო სიტყვით, უბრალო ნაცვალსახელით რ ო მ ე ლ მ ა ნ ; მაგრამ ძნელად მოიძებნება ქართული ტექსტი, სადაც ამ ხშირად სახმარ სიტყვას იმზომი სიმძიმე და მნიშვნელოვანება გააჩნდეს, როგორსაც იგი აქ ატარებს. ამ კონ-

* ერთი თხედვით თითქოს წინააღმდეგობაა დედანთან, სადაც წერია „ბეჰედნი მისნი დაჰსხნა“, მაგრამ თუ დაუყვირდებით, „დაბეჰედა“ თარგმანში „ჩამორთმევის“ ანუ, იურიდიული ტერმინით, „კონფისკაციის“ მნიშვნელობით არის ნახმარი.

ტექსტში მისი ეფფონიურობა (ეს სიტყვა მხოლოდ ნარნარი ბგერებისგან შედგება) მაგიურობამდე მიდის, მისი უბრალოება დიდებულებით იმოსება. ეს იმის გამო უნდა იყოს, რომ იგია პირველ-სიტყვა პოემისა, მისი ძლევამოსილი ნაკადის ბიძგი და ამავე დროს შესაქმნის სუბიექტი, ყოველთა დაბადებულთა პირველ მიზეზი. იგი თითქოს ნაშეიერია იმ ფრაზისა, რითაც ძველი აღთქმის ღმერთმა პირველად განაცხადა თავისი სახელი: „პრქუა ღმერთმან მოსეს მეტყველმან: მე ვარ, რომელი ვარ... ესე არს სახელი ჩემი საუქუნო“ (გამოსლვ. 3, 14—15).

პირველი სტროფის სინტაქსური კონსტრუქცია, დაძრული სიტყვით რომელმან (პიპოტაქსი: „რომელმან შექმნა სამყარო...“, მისგან არს ყოველი ხელმწიფე...»), ანალოგიურია ერთი ფსალმუნის ფრაზისა, სადაც აგრეთვე ქვეყნიერების შესაქმნელს ლაპარაკი: „რომელმან ქმნა ცა და ქვეყანა, ზღვა და ყოველი რაი არს მას შინა; რომელი ინახავს ჭეშმარიტებას უყუნისამდე, — (მან, ზ. ქ.) ყვის სამართალი ვნებულთა და სცის საზრდელი მშვირთა“ (145, 6—7). ქართულ ზმნურ კონსტრუქციას „რომელმან (შე)ქმნა“ ებრაულ თარგმანში შეესაბამება მიმლობითი ფორმა ჰა-მაცციე („დამამყარებელი“), რაც ზუსტად გამოხატავს შინაარსს ფრაზისას „რომელმან შექმნა“, ვინაიდან „დამყარება“ და „შექმნა“ ბიბლიურ სიტყვახმარებაში სინონიმებია. მაგ., „რომელმან დაამტკიცა ქვეყანა (ერეც — მიწა) საფუძველთა ზედა თვისთა“ (ფს. 104.5); „დაამყარა სოფელი (თეველ), რათა არა შეიძრას“ (ფს. 93,1).

როგორც ცნობილია, პირველ სტროფში ლაკონიურად არის გადმოცემული ძველადღებულთა (იგივე ქრისტიანული) თანამიმდევრობა ქვეყნიერების შესაქმნის⁷ სახელდობრ, რა შექმნა ღმერთმა პოემის პირველი ტაეპის მიხედვით? სამყარო შექმნა ამ სიტყვაში აღარ იგულისხმება ის მნიშვნელობა, რაც საბას ლექსიკონშია დადასტურებული: სამყარო ესე ცა არს უძრავი და მყარი გარეგან სხვათა ცათა. სამყარო ცის სინონიზია თავად პოემაში: „მისმან შექმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე“ (109,2), ანუ ცა და ხმელეთი. ასევე „ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამსმელო“ (1007,2). ცხადია, პროლოგის სამყარო ის ქმნილებაა. რომელსაც ბიბლიის მიხედვით შესაქმნის მეორე დღეს ცა ეწოდა: „და შექმნა ღმერთმან სამყარო... და უწოდა ღმერთმან სამყაროსა ცა“ (დაბ. 1, 7—3). მაგრამ ეს მნიშვნელობა (творен, создана) ამ სიტყვას დღევანდელ ქართულში სრულიად დაკარგული აქვს, და იგი მხოლოდ ფილოლოგიური სინტაქსით შესრულებულ თარგმანებში შეიძლება აისახოს (მარი, უორდროპი). მაგრამ მხატვრულ თარგმანებში პროლოგისეული სამყარო ყველგან „უნივერსუმად“ არის ნათარგმნი (вселенная, World, le monde)⁸. მკაცრად თუ განვსაჯეთ, თითქოს შეცდომა უნდა იყოს ამგვარი თარგმანი, მაგრამ მას ერთი გამართლება აქვს: დღევანდელ ქართველ მკითხველსაც მხოლოდ ამგვარ მნიშვნელობით ესმის ეს სამყარო. ებრაული თარგმანიც ამ პრინციპს მის-

⁷ იხ. ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 2.

⁸ იხ. ზ. გამსახურდია, დასახ. ნაშრ., გვ. 41. აგრ. ქ. გაგნიძე, პროლოგი ვეფხისტყაოსნის უნგრულ თარგმანებში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 2.

დევს, ოღონდ მას ერთი უპირატესობა აქვს სხვებთან შედარებით: სამყაროს ბაღლად მოხმობილი სიტყვა თვეველ ებრაულ ტექსტში ორგვარად შეიძლება იქნეს გაგებული, ძველი და ახალი მნიშვნელობით. ახალი მნიშვნელობით იგი „უნივერსუმია“, ძველი მნიშვნელობით — დედამიწა („ერეც“-ის სინონიმია, რომელიც ხშირად იხმარება ბიბლიური შესაქმის პასაჟებში (ფს. 93,1; 96,10 და სხვ.).

თარგმანის პირველი ტაეპი მთლიანად შეძრწოლია ხსენებული ბიბლიური პასაჟების სიტყვიერი მასალისგან: ჰა-მაცრე თვეველ ბე-ხრზეკ აე მი ნრ ქალ მეხონტჰა, რაც უკუთარგმანით ნიშნავს: „სამყაროს (ე. ი. კოსმოსის) დამამყარებელმა თავისი ძლიერი მარჯვენით მის საფუძვლებზე“. ძლიერი მარჯვენა მისი — ხოზეკ აემინო — გამოძახილია ბიბლიური თქმისა ხოზეკ აად — ძლიერი მკლავი მნიშვნელოვანი პასაჟიდან: „რამეთუ ძლიერთა მკლავთა გამოგვიყვანა უფალმა ეგვიპტი“ (გამოსლვ. 13,16). ეს იგივე მკლავია ანუ მარჯვენა, რომლითაც ყოველი დაბადებული შეიქმნა: „ეთარმედ მუ შეექმენ ქვეყანა და კაცი... ძალითა ჩემითა დიდითა და მკლავისა მიერ ჩემისა“ (იერემ. 27,5).

ხოლო რაც შეეხება გამოთქმას „მის საფუძვლებზე“ — ქალ მეხონეჰა, იგი დაკარგული კოსმოგონიური მითის ნაშთია, ძველი აღთქმის წიგნებში აქა-იქ შემორჩენილი: მაგალითისათვის, დასად ერეც ქალ მეხონეჰა „რომელმან დაამტკიცა ქვეყანა საფუძველთა ზედა თვისთა“ (ფს. 104,5).

დავას იწვევს მეორე ტაეპი „ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცით მონაბერთა“. რომელ არსთა შექმნა იგულისხმება აქ: ანგელოსთა (ე. ნოზაძე), არსთა იერარქიისა მის სიმრავლეში (ზ. გამსახურდია) თუ საერთოდ სულ-დგმულთა. კერძოდ, კაცთა, ქვეყანის მკვიდრთა? როგორც ჩანს, ებრაული თარგმანი ამ უკანასკნელ თვალსაზრისს ვამოხატავს, რაკი იგი ოდნაეი სახეცვლილებით იმეორებს ბიბლიურ ფრაზას, სადაც კაცის შესაქმეზეა ლაპარაკი. თარგმანშია: ვა იფფახ რუხო მი-მაქალ ბე-აფფე ქოლ ჰამონეჰა, რაც ნიშნავს: „და შთაბერა ზეგარდმო სული თვისი ნესტოებში (არსთა) სიმრავლეს“. აქ ზოგადად არის გადმოცემული ღვთის სულის (რუხ ელოჰიმ) მიერ შექმნილ არსთა განცოცხლების აქტი, რაც დაბადების მე-2 თავში კერძოდ კაცის მიმართ არის ნათქვამი: ვა იფფახ ბე-აფფე ვ ნიშმათ ხაჰ იმ, ვა აეჰი ჰაადამ ლე-ნეფეშ ხაჰა „და შთაბერა პირსა (ანუ „ნესტოებს“) მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოველად“ (დაბ. 2,7).

მესამე ტაეპი („ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა...“) სანიმუშო სიზუსტით არის ნათარგმნი, რაც ვერ ითქმის ბოლო ტაეპზე „მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერთა“, რომლის მნიშვნელოვანი აზრი, გამოხატული სიტყვებით „სახითა მის მიერთა“ (ძველთაძველი იღვა მეფობის ღვთიური წარმოშობისა). თარგმანში ასახული არაა. ტაეპი გაწყობილია (რაც, შესაძლებელია, ნაკლადაც არ ჩაითვალოს) ქართული ლექსისათვის უჩვეულო, მაგრამ ბიბლიური და საერთოდ ძველადმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი ხერხით (ე. წ. parallelism membrorum): „მისგან არის მბრძანებელთა ძალაუფლება და მეუფეთა ხელმწიფება.

პროლოგის მეორე სტროფის თარგმანში მიღწეულია სამაგალითო ეფონიურობა და ზედმიწევნითი სიზუსტე. პირველი ტაეპი „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“ ამგვარად ჟღერს ებრაულად:

ელ ძახიდ, ათონ ძაცრთა ქოლ-ცურაჲ ჰა-მიცტაჲერეთ

ეს ტაეპი, ისევე როგორც მთელი სტროფი, აგებულია ალიტერაციებზე და გრადაციულ შინაგან რითმებზე. ამ უწყვეტელ ეფფონიურ ნაკადში გამორჩეულია მხოლოდ ელ ძახიდ „ღმერთო ერთო“, ერთმანეთთან უმჭიდროესად დაკავშირებული ორი სიტყვა, იუდაისტური მონოთეიზმის უპირველესი დოგმატის გამომხატველი. ერთი მნიშვნელოვანი ეპითეტია ღმერთისა, უფრო სწორად, მისი სახელი. როგორც ეს პირველად გამოთქვა წინასწარმეტყველმა ზაქარიამ: „იყოს უფალი მხოლოდ და სახელი მისი ერთ“ (14,9). შუა საუკუნეების ებრაულ რელიგიურ პოეზიაში განსაკუთრებული სიმძაფრით აისახა ეს იდეა, რასაც ხელს უწყობდა სემიტური ენებისათვის დამახასიათებელი მოქნილი სიტყვაქმნაობა. „ერთის“ ცნების გამომხატველი ძირიდან წარმოქმნილი სიტყვები ენაცვლებიან ერთმანეთს სტრიქონადან სტრიქონში და ლექსის ალიტერაციული ხმიანობა უფრო შთაბეჭდავს ხდის ხსენებულ დოგმატს. ამგვარად გამოხატავს ამ იდეას XIII ს-ის პოეტი დანიელ ბენ-იეჰუდა:

ეხად ეე ენ ძახიდ ქე- ძახიდო
ნეცელამ ეე გაე ენ სრჲ ლე-ახიდუმ*.

„ერთ არს იგი და აო არსებობს სხვა ერთი, მსგავსი მასი ერთებისა;
უცნაურია და არა აქვს დასასრული მის ერთადერთობას“.

უფრო მეტი ექსპრესიით გამოთქვამს იმავე საუკუნის ანონიმი პოეტი:

ბარუხ ათონ, ძახიდ უ მეე უხად!
მაჲე ეხად უ შემოე ეხად.
„ეერთებულ ხარ, ერთო და ერთადერთო!
მაჲე ერთია და სახელი მისი ერთ“.

ხოლო რაც შეეხება რუსთველურს ღმერთო ერთო, — ამ ორი ქართული სიტყვის თანადერა თითქოს მატერიალურადაც ასახავს აზრობრივ კავშირს უზენაესი არსების სახელსა და მის უპირველეს ეპითეტს შორის.

შენ შექმენ — თავიკიდური ალიტერაციით შეკრული ორი სიტყვა თარგმანში ზუსტ ლექსიკურ შესატყვისს პოულობს: ათთა ძაცართა, ხოლო ალიტერაციაში აქ ბოლოკიდური მარცვლები მონაწილეობს. ამ სიტყვებით იწყება თარგმანილი ტაეპი და მათი კადანსები ბგერობრივად იმეორებს ორიგინალის დასაწყისი სიტყვების დაბოლოებებს: ღმერთო ერთო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ებრაული ძაცართა („გამოსახე“, „გამოძერწე“) უფრო ზუსტად გამოხატავს ამ ტაეპში ნაგულისხმევ აზრს, ვიდრე დედნისეული „შექმენ“. ძველი აღთქმის წიგნების ენა განარჩევს ორგვარ „შექმნას“ — შექმნას არარაობიდან (creare ex nihilo) და შექმნას უკვე ქმნილისაგან ანუ გაფორმებას (formare) ქმნილისას. ძაცართა ამ უკანასკნელ აქტს გული-სხმობს, როგორც ნათქვამია ფიზიკური ადამის შექმნის გამო: ვა-აიცერ ძაჲე ელოჲიმ ეთ ჰა-ადამ ძაჲარ მინ ჰა-ადამა „და გამოსახა უფალმა ღმერთმა კაცი მიწის მტვერისაგან“ (დაბ. 2.7)¹⁰.

* Synagogue service for New Year, ed. by A. Davis and H. M. Adler, New-York, გვ. 26.

¹⁰ ძველი ქართული თარგმანის მიხედვით: „და შექმნა ღმერთმან კაცი მტვერისა მიმღებულან ქვეყნისაგან“.

თუ მივაყურადებთ სმოვანებას ამ ტაეპისას, მოგვესმება სამჭერადი გამეორება ერთი და იმავე ძირისა: მაკართა ჟოლ-ცურა ჰა-მიცტაჲერეთ, რაც ჰართულად სიტყუასიტყვით ნიშნავს: „შენ გამოსახე სახე ყოველი გამოსახულისა“. ეს რუსთველის კონვენიალური სტრიქონია ზემმარტად: ამავე დროს იგი ავლენს ებრაული პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს¹¹. თუ შევეცდებით, ანალოგი მოვუძებნოთ ამ სტრიქონს ეფხისტყაოსნის დედანში. უშალ გაგვახსენდება „მან უთხრა: სახე რა გიოხრა მის უსახოსა სახისა“ (896,1).

-ც არ, ც უ რ-, მი-ც ტ ა ჲ ე რ- ერთი ალიტერაციული დინებაა, მაგრამ ამ ტაეპში და მის კვალზე მთელს სტროფში სხვა ბგერაც დომინირებს (თ), რომლის იმპულსი სტროფის დასაწყის სიტყვებშია მოცემული: ათთა მაკართა; ეგევე ბგერა გაისმის ამ შაირის ენერგიულ კადანსებში — ტრეთ, ერეთ, ერეთ, ერეთ. ამის გავლენით მეორე ტაეპი იმავე ბგერით იწყება და მთელს მანძილზე არ შორდება მას:

თენ-ლი ცოზ ვე-თაყაცუმეთ ცალ ჰა-ჲეცერ მითაბტრეთ.
(შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა).

მკითხველი ადვილად შენიშნავს თანაჲლერას: თაყაც რ მეთ — ძლევა მე ც; მაგრამ აქ სხვა რამეც არის აღსანიშნავი: ტაეპის პირველი ხანა ფსალმუნთა ერთი ადგილის რემინისცენციაა: ნოთენ ცოზ ვე-თაყაცუმრთ (68,36) „(უფალი) მომცემი ძალისა და სიმტკიცისა“. როგორც ვხედავთ ბიბლიური ფრაზა ოდნავ მოდიფიცირებულია და დამორჩილებულია ტაეპის ტონიკასა და ეეფონიას (ცეზურა მოდის მარცვალზე რ მეთ, რაც ეხმარება ტაეპის კადანს — ტრეთ და თითქოს ერთმებდა კიდევ; ფსალმუნისეული თაყაცუმ რთ დისონანსს შეიტანდა სტრიქონში)¹².

მეორე ხანაში ამ ტაეპისა „დათრგუნვად მე სატანისა“ ნაცვლად სიტყუისა „სატანა“ (რაიც წარმოშობით ებრაულია: სატან) ზის აეცერ, რომელიც უკანასკნელად კიდევ გვახსენებს პირველი ტაეპის ალიტერაციულ ელერას (მაკართა, ც უ რა მიცტა ჲ ე რეთ. ამას ემატება მეორე ტაეპის თაყაცუმეთ). ერთი მხრივ, ამის გამო იქნა მთარგმნელის მიერ უარყოფილი ძირეული ებრაული სიტყვა სატან; მეორე მხრივ, აეცერ ამ კონტექსტში მნიშვნელოვან ნიუანსს შეიცავს: იგი ნიშნავს „სურვილს“, „კეთუნებას“ — რაც დედანში სატანის სახით არის წარმოდგენილი, თარგმანის მიხედვით აღსანიშნავი ბუნებაში ძვეს, მისი შინაგანი შესაძლებლობა და აღსანიშნავი ამავე უნდა დაითრგუნოს. ამ მხრივ სატანა და (აეც) სურვილი ზნეობრივ პლანში ერთმანეთის სინონიმებია. ეგევე სიტყვა შეგვხვდება თარგმანში 809-ე სტროფისა: „მომეც დათმობა სურვილითა...“ (ანუ სატანურ. მათუთუნებელ სურვილითა).

მესამე ტაეპში „მომეც მიჯნურთა სურვილი. სიკვდიმდე გასატანისა“ ფანბნი აჰაეა ნილ ჰტევეთ ცად ხალრჩათრ ბოტტრეთ — ჩნდება ანალი

¹¹ მაგ., IX—X სს-ის პოეტის ლექსი: მელებ ტალეთო ჰა-ნელეგ მეცუხცაბ./ცახ უ ვე-ცახცა-ხოთ. აეცახცახ./მეცახცახიხმ ფაჲალამ ლე-ნაყახ.

¹² საგულისხმოა, რომ თაჲდაპირველ ვარიანტში (იხ. მთარგმნელის ანოტაციები, რომელიც ნიშნულად უძღვის თარგმნის ნაბეჭდ ტექსტს) მის ნაცვლად იკითხება: თენ სირთა ეე-გევე უ რა ლი, რომელიც სიტყვიერად თითქოს ახლოს არის დედანთან (მომეც მფარელობა და ძლევა), მაგრამ ამოვარდნილია ტაეპის ეეფონიიდან.

ალიტერატული წყვილი აჰავებს ნილჰქვეთ (ამავე დროს გრძელდება პირველი ტაეპიდან დაძრული თანის დინება). „აალებული სიყვარული“, რაც გაგვახსენებს ცნობილ ადგილს ქებათა ქებიდან: „სანმილი მისი (სიყვარულის) — სანმილი ცეცხლისა; ალი (შალჰევეთ) ღვთიური“ (8,6)¹². მესამე ტაეპი ებრაულ თარგმანში ასეთი შინაარსისაა: „შთამბერე სიყვარული აალებული, სიკვდილამდე რომ ენთოს“.

მეოთხე ტაეპი „ცოდვათა შემსუბუქება მუნ თანა წასატანისა“ ზედმიწევნით სიზუსტით არის ნათარგმნი და რაიმე განმარტებას არ მოითხოვს. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ ამ სტრიქონში კულმინაციას აღწევს თან-ზე აგებული ალიტერაცია და ამავე დროს შემოდის კიდევ ორი წყვილი: ხატაა ხატათი და შე-ითი ლე-შამ. ახლა მთლიანობაში აღვიქვათ ეს შიარი, როგორც კონგენიალური თარგმანის ნიმუში:

ელ ახირდ ათა აცართა / ქოლ-ცურა ჰა-მუტაჰრეთ,
თენ-ლი გრზ ვე თაყაერმეთ / ცალ ჰა-ჰეყარ მითგაბერეთ,
ფახ-ბრ აჰავს ნილჰქვეთ / ცად ხალიჩათი ბოჰერეთ,
სა ეთ-ხატა ხატთი, / შე-ითრ ლე-შამ ფოჰერეთ.

რაკი მიჯნურობას შეეხებთ ზემოთ, აქვე უნდა მოვიტანოთ ღრმა თარგმანების ანუ ინტერპრეტაციის მაგალითი, როცა თარგმანში უფრო მკვეთრად და მნიშვნელოვნად არის გამოხატული აზრი, რომელიც მთელი პოემის პათოსს შეადგენს. ერთი შეხედვით ორდინარული ფრაზა, სადაც თითქოს არც მკლავდება პოეტის მსოფლმხედველობა — „გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად“ (41,1) — თარგმანში საკრალური აზრით იტვირთება და, როგორც დაეინახათ, საესებით შეესაბამება მიჯნურობის რუსთველისეულ გაგებას:

ვა იმბრრ ეთ-ზრთ ბე-სეთერ! ლეაერ ვა აჰაჰდშ.

რაც ნიშნავს: „და იმარხავდა მას იღუმალად თავის გულში და წმიდად რაცხდა“¹³ ზმნა აეკადეშ (שׂוֹף אֶדְשׁ — ყველა სემიტურ ენაში დადასტურებული მირი) საკრალური სიტყვიდან არის მოხმობილი და ისეთ სულიერ და ფიზიკურ მოქმედებას გამოხატავს, რომლის წყალობითაც რაიმე ცნება ან საგანი სიწმიდეს იქნის, ბოჰიერებისგან იწმიდება. იგი ობიექტად გულსნამობს ღვთის სახელს (მეორე სჯ. 32,51), შაბათს (გამოსლვ. 20,8), ადგილს (გამოსლვ. 19,23) ცალკეულ ადამიანს ან მთელ ერს (მაგ. „გარდაპოვიდა მოსე მთით ერისა მის და ვანწმინდნა იგინი“; გამოსლვ. 19,14).

ძველ აღთქმაში განწმედილი უპირისპირდება ყოველგვარ საყოველთაოს, ყოველდღიურს ანუ ვულგარულს (לך חול), ისევე როგორც ჩვენს პოემაში მიჯნურობა უპირისპირდება სიძვას („იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“). ბოჰისაგან ამგვარად განწმედილი სიყვარული ჰბაძავს მიჯნურობის იმ სახეს, რომლის გამო რუსთაველი ამბობს: „ეთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“; და აქაც, ებრაულ თარგმანში, ამოვიკითხავთ იმავე ძირის (ცდშ) სატყვას: აჰავებს, რეშრთ ქოლ-დტრეხ, ნეხცეევს მიკრდღეშმს ცლა, რაც ნიშნავს: „სიყვარული, საწყისი ყოველი ზნეობისა გამოკვეთილია, უზენაესი სიწ-

¹² ამ ადგილს ეხმაურება „იგი მუნ იყის, მეღების ვისგან სანმილი აღისა“ (329,4).

მინდის (ყოღეშ) მიერ". სწორედ ამიტომაც მიჭნურობა „საქმე საზეო“, რომელსაც, რუსთაველისევე თქმით, „ქვიანნი ვერ მიხედებიაან“.

ცხლა ვნახოთ, როგორ არის გააზრებული ის სტრიქონი, სადაც რუსთაველი „მიჭნურის“ ეტიმოლოგიას გვაძენობს, რაზეც „მიჭნურობის“ კონცეფციას აფუძნებს:

მაჭნური შმაკსა გვიქვანს არაბულითა ენათა¹⁴.

სხვა მთარგმნელთაგან (ნუცუბიძე, ზაბოლოცკი, წულაძე) განსხვავებით, რომელნიც თარგმანის ტექსტში უცვლელად სტოვებენ ქართულ სიტყვას „მიჭნურის“, და ამრიგად, ბუკვალურ გზას ადგანან, გაპროვოცი საკუთარი ენის წილში პოულობს საშუალებას, რომ ადეკვატურად გამოჰხატოს ამ სტრიქონის აზრი. რაკი უარყო ებრაულისთვის უცხო სიტყვა „მიჭნური“, აღარც „არაბული ენა“ დასჭირვებია: მან ძველი აღთქმის ტექსტში მიაგნო საჭირო „ეტიმოლოგიას“:

შოპანე ნიკრან მკედეშ / -მეშუენე ვე იშ ჰა-რუბან

რაც უკუითარგმნება: „მიჭნურს (მეოპანე) ძველთაგანვე ეწოდა გახელე ბუღლი და სულისკაცო... აქ გახაზული სიტყვები ებრაულ თარგმანში ბრჭყალებშია ჩასმული, რაკი ისინი ნასესხებია ძველი აღთქმის ტექსტიდან, სახელდობრ, ოსიას წიგნადან (9,7): ევილ ჰა-ნაბო, მეშუგაძე იშ ჰარუბანე. ი. „შეშლილი იყო წინასწარმეტყველი, ხელი იყო სულისკაცი? ამ სიტყვებით ოსია წინასწარმეტყველი ირონიულად ამხელს გარეშეთა (პროფანთა) შეხედულენას წინასწარმეტყველებზე. მათ თვალში ისინი მართლაც ხელნი და შეშლილნი ჩანდნენ, რაკი ღვთიური სულით იყენენ შეპყრობილნი (როგორც მიჭნურნი „ჩინით“) და არ ჰკავდნენ ჩვეულებრივ მოკვდავთ. არის მართლაც შინაგანი მსგავსება მიჭნურსა და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველს შორის (მათივე მსგავსია ძველებრქმენტა მძურე ღვთაებრივი სიგიჟით შეპყრობილი მისანი), რაც მათს გარეგან სიმშაგესა და შინაგან სიბრძნეში ცხადდება. ხოლო რაც შეეხება ზენათა გეარათა ტომის მიჭნურობას, აქ უნდა გავიხსენოთ ერთი ადგილი ახალი აღთქმიდან: „შეუღმეით სიყვარულსა და ჰპაძევდით სულეერსა მას, უფროისლა, რათა სწინასწარმეტყველებდეთ“ (1 კორინთ. 14,1). რუსთაველის მიჭნური მართლაც არის იშ ჰარუბანე „კაცი სულიერი“, რომელსაც აქვს საღმრთო სიახლე და მუდამ აღმაფრენით დაშვებობს. არა ჰკავს იგი იმ „ქვიანთ“, რომელთა გამო ნათქვამია, რომ ისინი ვერ ეზიარებან პირველ და უზენაეს გეარათა ტომის მიჭნურობას, რაკი ეს საღვთო საქმეა, ისევე როგორც წინასწარმეტყველება.

„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა. დარი არ დარობს დარულად“ (820,4). ეს სტრიქონი რუსთაველური ალიტერაციის საქმესტამათი ნიმუშია. ალიტერაცია აქ სემანტიკურ-ეტიმოლოგიური ბუნებისაა. ამავე დროს ეს გამონათქვამი — „მზე მზეობს“ ასახავს იმ ონტოლოგიურ რეალობას, რომ მოვლენა (მზე ან დარი) მუდმივ ასხივებს თავის ბუნებრივ სუბსტანციას, ნათელს. ამის ანალოგიურად გრამატიკული სუბიექტი — მზე — არ საჭიროებს სხვა ძირიდან წარმომავალ შემასმენელს; იგი მის საკუთარსავე მატერიაშია მოცემული. მზე

¹⁴ თუმცა „შმაკსა“ ესაჭიროება განმარტება: ეს ირანული წარმომავლობის სიტყვა „მიჭნურის“ („ჩინით“ შეპყრობილის) შესატყვისია და „ემშათი შეპყრობილს“ ნიშნავს.

მზეობს, დარი დარობს — აქ გამოხატულია მოვლენათა უცვალაბელი ბუნების მიმართ რწმენა. მზე არ მოიშლის მზეობას, მუდამ იგივეობრივია თავის თავთან. იგი პირობისამებრ განახლდება ყოველ დღით, როგორც ამობს პოეტი, სამყაროს წესრიგის მიმართ მოიხმედ: *Как обещало не обманывшая, проиникло солнце утром рано...* როცა რაიმე მოვლენა დასაბამით დადგენილ ბუნებას იცვლის, როცა მზე აღარ მზეობს, თავისი სუბტანციისაგან იშრიტება, ადამიანს ეუფლება უსასოობის განცდა. რუსთაველის გვირის მთელი არსება აღესილია ამ განცდით, როცა გაიაზრებს, რომ „დილასა აღრე“ აღარ მოვა „იგი ნაზარდი სოსანი“, ავთანდილი, პირმზე სპასპეტი. უსასობაში მთლიანად დანთქმული ინდივიდის სულიერი მდგომარეობის გამოტახილია ეს ალიტერაციული ფრაზა, რომლის შესატყვისად ებრაულ თარგმანში ვკითხულობთ:

შამემუ შემე შამენუ, / ლო მაზრახ ჰა-ზორეახ!

ეს ნიშნავს: „გაუღაბურდნენ (გაუკაციოდნენ) ცანი ჩვენთა ცათანი, მანათობელი აღარ ანათებს“. პირველი სიტყვა დადასტურებულია ძველი აღთქმის ერთ აპოკალიპსურ ფრაზაში. სადაც დასახულია შემზარავი პერსპექტივა მიწის პირის განადგურებისა. წინასწარმეტყველის პირით რომ განეცხადება ხალხს: *ვე ნათათი ეთ-ჰა-არეც შე მამა უ-მე შამა... ვე-შამემუ შარე ისრაელ...* (ეზეკ. 33.28). აქაც ეკვირდებით ეტიმოლოგიურ-სემანტიკურ ალიტერაციას (გახაზული სიტყვები ერთი ძირისანი არიან), რაც სხვა ენაშე აღსახულია: „და მიესენე ქვეყანა ოზრად და წარწყმედალ... და მოოზრდნენ მთანი ისრაელისანი“.

რაც შეეხება გამოთქმას „ცანი ცათანი“, ეს ბიბლიური მყარი შესიტყვებაა, რომლის ირელი ფორმა მრავალგან არის დადასტურებული, მათ შორის: „ჰინენ, ჰა-შამაიმ უ-შემე ჰა-შამაიმ ლო მეხალქელხა (1 მეფ. 8.27), რაც ნიშნავს: „ამა, ცანი და ცანი ცათანი ჟრ გითავებენ შენ (უფალ!)“. ამ შესიტყვებაში რეოქტურად არის შემორჩენილი ძველი კლასიციური შეხედულება ცათა სიმრავლეზე, რაც შემდგომში განადგენა ძველი აღთქმის თეოლოგიიდან (და მხოლოდ აპოკრიფულ ლიტერატურას შემორჩა). აქ იგივე „შვილი ცა“ აგულისხმება, ამიტომაც ხსენებული ტაეპის ებრაული თარგმანი ზუსტად ეხმარება შემდეგ ტრეჟინს: „რისხეთ მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შეილისა“ (1339,4).

ბგერითი აგებულებისა და დედანთან მიმართების თვალსაზრისით ეს ებრაული სტრიქონი მხატვრული ადეკვატურობის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. მასში დაცულია დედნისეული საალიტერაციო კომპოზიციის ფრაზას „დარი არ დარობს დარულად“ შესაბამება შამემუ შემე შამენუ, სამი თანაღერაო სიტყვა. იყო საცთური მეოთხე საალიტერაციო სიტყვის გაჩენისა — შემეშ („მზე“), რაც ტაეპის აზრისათვის არ იქნებოდა მოულოდნელი, მაგრამ ამ შემთხვევაში დაირღვეოდა ტაეპის ბგერითი სტრუქტურა, სადაც ერთადერთი შესაძლებელი ფრაზა უნდა ყოფილიყო და არის კიდევ: ლო მაზრახ ჰა-ზორეახ, რაც ზუსტი მატერიალურ-შინაარსობრივი შესატყვისია ფრაზისა „მზე აღარ მზეობს“ (ზრ-მზ).

ბედნიერ შემთხვევას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ებრაულ ენაში სიტყვები „ვიწრო“ და „კლდე“ თანაღერადი სიტყვებია: ბედნიერია ეს დამთხვევა იმის გამო. რომ როგორც ეს სიტყვა ერთიმეორის გვერდით ვცხვდება რუსთაველის გენიალურ აფორიზმში „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდეანი“. ამ ტაეპის ეფემონურ მხარეს აღარ შეეხებია,

იგი ყველასათვის ცხადია, ასევე ცხადი უნდა იყოს ებრაული თარგმანის ბგერითი სტრუქტურა:

ლრ მახსრმ ბეჟდ ჰა-მბვეთ / ქოლ მეტარ ვე-უტრ ვა-ფახათ. აქ ყლ-რადღება უნდა მივაქციოთ ბგერით თანაჲლერას ორიგინალსა და თარგმანს შორის: ვიწრო, ვერცა — მეცარ ვე-ცურ, აგრეთვე კადანსს ფახათ. „ორმო“, „მთხრებლი“ (თარგმანის მიხედვით „ვერ დაიქირავს სიკვდილსა გჯა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“ და ვერცა მთხრებლი), რომელსაც მომდევნო ტაეში ერთმეება ფახად („მიში“), ხოლო ორივე ეს სიტყვა ერთად გვხვდება მაგიურ მანყევეარ დაძახილში ფახად ვა-ფახათ ვა-ფახა ქალესა ღოშვე ჰა-არეც (ისაია 24,17): „მიში, მთხრებლი და სათხვეელი მოგელის, მკვიდრ. მიწისა!“.

მეცარ განხილულ ტაეში „ვიწრო გასასულეს“ ნიშნავს, ეგვე სიტყვა, ოღონდ გადაჯანთი მნიშვნელობით (სულიერი შექირებება) ნახამარი, ერთ-ერთ ფსალმუნში „ცა-სე ვაწყობილ ანალოგიურ ალიტერაციულ ფრაზას ქმნის: აქაძენი ხევე-მავეთ, უ-მეცარე შოლ მეცა უნი, ცარა ვე-მაგონ ემცა (116,3) — ძე. ქართ. თარგმ. „გაგე-მომაღდგეს მე სლ-ობანი სიკვდილისანი, და ქირთა ჯოჯოხეთისაჲა მპოეს მე; ქირი და საღნობაჲ ვპოვე“ (114,3). ამავე ძირის სიტყვა — ცარ („შემაქირებელი“, „მტერი“) სხვა თანაჲლერ სიტყვებთან ერთად ქმნის ალიტერაციულ ხანას ტაეში: ეხ ლინკორ მი-ცარ არკენუ-ვე ლიმორ ოთა მი-ლხედ. ეს სტრიქონია „მე დამახვედრო სამეფო მტერთაგან დალუწელი“ (167,4). თარგმანში ტაეში ავებულია წევრთა პარალელიზმის პრინციპით: „რათა დაიუცა მტრისაჲან ჩენი მიწა და დაიფარო იგი მიტაეებისგან“.

არის შემთხვევა, როცა ღედნისეული ერთი სიტყვა დაბადებს ბიბლიურ რემინისცენტს და მთელს ილიომას წამოიყოლებს თან: მაგ., სტროფში „თინათინ — მისი სახელი, არს ესე საცოდნარია“, ხსენებული სიტყვა „სახელი“. ებრ. შე მ. მთარგმნელისათვის იმპულსს იძლევა იმისათვის, რათა მოხმობილ იქნეს თინათინის გარეგნული პორტრეტის ასაგებად ცნობილი ფრაზა ქებათა ქებიდან, სადაც სიტყვა შე მ ბუნებრივად იწვევს სიტყვას შე მ ე ნ (ზეთ. ნელსაცხებელი): შე მ ე ნ თურაყ შე მ ე-ხა „დაღერილი ნელსაცხებელი: სახელი შენი“ (ქ. ქ. 1,3). თარგმანში: თინათინ შე მ ა ჰ ქა-შტ მ ე ნ / ვე-ქა-ნრძეთ ჰა-ნოჲყათ, რაც ნიშნავს „თინათინ — სახელი მისი ვითარცა ნელსაცხებელი და თაფლი მწითოლვარე“. მეორე ნაწილი ამ ფრაზისა აგრეთვე გამოძახილია გამოთქმისა იმავე ქებათა ქებიდან: ნო ძ ე თ თ ი ტ ო ძ ე ნ ა ს ი ძ ე თ ო თ ა ი ხ, ქ ა ლ ა, რაც ნიშნავს: „თაფლი დამოსწევთს ბაგეთა შენთა, სძალო“ (4,11).

შე მ (სახელი) და შე მ ე ნ (ნელსაცხებელი), როგორც თანაჲლერადი სიტყვები კიდევ ქმნიან სხვა ფრაზას, ამჯერად ნეგატიური შედარებისას: შე მ ტონ მი-შე მ ე ნ ტობ, რაც ნიშნავს „სახელი უმჯობესია, ვიდრე საუკეთესო ნელსაცხებელი“ (ეკლეს. 7,1). ეს აფორიზმი სრულიად მოულოდნელ ადგილას არის გამოყენებული მთარგმნელის მიერ, სახელდობრ, სტრიქონში: „ვჰ. ჩემი თავი უებრო დავკარგე დავაშავითა“ (763,4) — სოგრატის სიტყვებში. ოღეს მან როსტევეანის რისხვა დაიმსახურა. თარგმანში ვკითხულობთ: ჰოჲ შე მ ირ ჰა-ტრფ მი-შტ მ ე ნ... „ჰოჲ, სახელი ჩემი ნელსაცხებელზე უმჯობესია...“

[თარგმანის ცალკეული ადგილები მკვეთრად გამოავლენენ პოემის გზარების ღეთაებრივ ატრიბუტებს. როსტევეანის დაძახილში გაპარული ავთანდლის გამო „სად წაჰხე და სად დაჰკარგენ სინათლისა ეგე სვეტნი“ (821,4) ხაზგასმული სიტყვები იგივეა, რაც „სვეტი ცეცხლისა“, რომელიც ღამ-

ღამობით მიუძღოდა წინ ეგვიპტიდან გამომავალ ებრაელთა ტომს (გამოსლვ. 13,21—22). ცეცხლის სვეტი ღვთის ეპიფანიის ერთი სახეა, მისი მუნ-ყოფობის ნიშანი. ზემოთ მოყვანილ სტრიქონში კი ავთანდილია წყარო ამ ჰაღლისა, რაიც მონიქებია მას „მისთა მკერეტელთა“ საიმედოდ და ვასახარად. მკითხველისთვის, ვისთვისაც კარგად არის ცნობილი ბიბლიური სასწაული „ცეცხლის სვეტისა“ (ჟამედ ჰა-ემშ), განსაკუთრებით საგრძნობი უნდა იყოს როსტევეანის სასოწარკვეთა ავთანდილთან განშორების გამო ეს სტრიქონი სამავალითო სიზუსტით არის ნათარგმნი: „სად წახველ, რად დამალე სვეტი ცეცხლისა თვალთაგან ჩემთა?!“ სხვა ადგილას ჟამედ ეშ უკვე ზეგარდამო ჩამოსული ნათელია, რომელიც პოემის სამ გმირს ეფინება: „მათ სამთა გმირთა მნათობნი ჰვარვენ ნათლისა სვეტითა“ (1409,2). ნათლის სვეტი — ჟამედ ეშ — მათი არამკვეყნიური აღრაა.

მსგავსადვე მნიშვნელოვნად ეღერს ებრაულ ტექსტში ღრმადქართული კოლორიტის კლიატიტები, როგორცაა, კერძოდ, „პირმზე“ (რუსთველური ფორმა წარმართული ღვთაების სახელისა — „პირიმზე“), რაც არსებითად ავლენს პოემის გმირების ღვთიურ წარმომავლობას. ამას შეესატყვისება წმიდა სემიტური გამოთქმა ბენ ჰა-შემ ეშ, სიტყვასიტყვით „ძე მზისა“, რაც ნიშნავს „მზისურს“ ანუ „მზესთან წილნაყარს“. როცა ეპითეტი ქალს მიეწერება — ბათ ჰა-შემ ეშ „მზის ასული“ (ნესტანი, 1143,1) ან ბათ ჰა-ხე რეს, რაც იგივეს ნიშნავს (ხე რე — „მზე“ პოეტურ ენაში). ასევე ნესტანის მიმართ „ქალი პირ-მზე“ ძალდაუტანებლივ ითარგმნება როგორც ჟამედ ჰა-შემ ეშ — „მზის ქალწული“ (1190,2). განსაკუთრებით აღსანიშნავია თინათინის ეპითეტი სტრიქონში „მიხვალ, დაგხედების თინათინ, ანათებს ღვესა შიანსა“ (191,2): ღედნიეული მეტაფორა თარგმანში კვლავ მნიშვნელოვან ეპითეტად შენივთდება ბათ ჰა-ზო ჰარ — „ასული ნათლისა“, რაიც გნოსტიკურ სახარებებში ჩვეულებრივი ტიტულია მოციქულებისა ან ღვთის რჩეულთა. ეს გამოთქმა რელიქტურად შემორჩა ახალ აღთქმას: „რამეთუ თქვენ უოველნი შვილნი ნათლისანი ხართ და შვილნი ღვთისანი, და არა ვართ ღამისანი, არც ბნელისანი“ (ასე მიუწერს მოციქული პავლე პირველ ქრისტიანეთ, 1 თეს., 5,5).

საწუთროს ბნელში მანათობელი ეს სახენი თითქოს ადასტურებენ, რომ პოემის ავტორს მხედველობაში ჰქონდა განღმერთობის (თეოზისის) იდეა, რაიც ქრისტიანული თვალსაზრისის მიხედვით (პავლე მოციქული, დიონისე არეოპაგელი) უნდა განხორციელდეს კაცებრივ ბუნებაში. ეს სახენი წინასწარ ასადგურებენ ამ გარანდიოზულ მომავალს — ხორციელო ადამიანისა და ქვეყნის ღერისცვალებას, ეს განსაკუთრებით მკვეთრად არის წარმოჩენილი ებრაულ ტექსტში, სადაც პოემის გმირთა პორტრეტის დასახატად ღვთაებრივი ატრიბუტებია მოხმობილი. ჰველი აღთქმის პერსონაჟთა შორის ერთადერთი წინასწარმეტყველი მოსე მიაღებს ამგვარ სახეს სინას მთაზე ღმერთთან ლაპარაკის შემდეგ: კარან ეორ ფანავ „ღიდებულ (ანუ ბრწყინვალე) იყო ფერი პირისა მისისა“ (გამოსლვ. 34,29)¹⁵. ბიბლიურ აპო-

¹⁵ ამ მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, ძველი აღთქმისთვისაც უნიკალური ფრზით არის გამოცემული რუსთველური „ავთანდილ პირ-მზე“ (44,2) ებრაულ ტექსტში: შე-კარან ეორ ე კარან ე. „სხივებს ასხივებს პირი მისი“. ეს გამოთქმა მითოსური იმპაგინაციის შემდეგაა: ქე რენ ჩერ ნიშნავს „რქას“, მერე „სხივს“ (რქა — შენივთებული სხივი). აღსანიშნავია

კრიფებში მოსეს თან სდევს ეს უჩვეულო „უხსეულო“ ნათელი. როდესაც მოსე, — ნათქვამია იქ, — ხორებიდან (იგივე სინა) ჩამოვიდა, იგი დაფარული იყო უხილავი ნათელით... მისი პირის ნათელმა დაჰფარა ნათელი მზისა და მთვარისა“. (ნუთივე ძალისა პოემის გმირთა სახიდან გამოსხივებული ნათელი, რომელიც ძლევს მნათობთა ფიზიკურ ნათელს: „მზე ველარას იქმს მის მეტსა, მას გაენათლა რომ არე“ (ნესტანი, 555,2), „არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე; ალვა, ედემს ხებული“ (ნესტანი, 522,2), „რა მპერეტელთა იგი ნახონ, მზე მათ თანა გააფლიდონ“ (ავთანდილი და ფრიდონი, 988,3)) მაგრამ თუ ამგვარი სახით გამოცხადებული მოსეს ხილვამ ხალხი შეაძრწუნა და იგი იძულებული გახდა რიდე ჩამოეფარებინა სახეზე, — ღრესთაველის გმირთა ზებუნებრივი ნათელი ესთეტური ტკბობის, სიხარულისა და იმედის წყაროა. ასეა მთელს პოემაში და ეს გასაგებია. რუსთაველის სამყარო მშვენიერი ფენომენია სწორედ იმის გამო, რომ იგი ამგვარი შუქით არის განათებული.

პოემის გმირთა რჩეულობის კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ისინი იხსენებიან ვითარცა „ედემის ხე“, „ედემს ნაზარდი ალვა“ და სხვ. თუმცა შეიძლება მკითხველს მოეჩვენოს, რომ ამგვარი მეტაფორები მხოლოდ და მხოლოდ მათ გარეგნობაზე მიუთითებდეს, მაგრამ მას უფრო ღრმა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს: ამ მეტაფორათა წიად ადამიანთა განსაკუთრებული მოდგმა არის სახილველი. პოემაში წარმოდგენილი სიმბოლო ადამიანისა — ხე, უპირატესად ალვა, არის არა ველურად და შემთხვევით ადგილზე გაზრდილი რამ მცენარე, არამედ საუკეთესო ადგილზე დანერგილი და ზეგარდმო განსაკუთრებული ზრუნვით ნაზარდი ნერგი. მასში უნდა დაეინახოთ სიმბოლო გამორჩეული ხალხისა და ინდივიდთა, როგორც ნათქვამია ფსალმუნში (!,3): „იყოს იგი ვითარცა ხე, დანერგული თანა-წარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცეს ხილი თვისი ეჟამა თვისსა და ფურცელი მისი არა დასცივივის; ყოველივე რაიცა ყოს. წარემართოს მას“. ასევე პოემაში „ვპოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლითა წყალთა რწყულისა“ (696,3) — ალვა ტარიელთა, მსოფლიო წყალთა ესენციით მორწყული, და პოემის ფინალს გავეიცხადებ. თუ როგორ წარემართვის მას. ეს მეტაფორა ძალიან ძველია. მას პირველ წერილობით პოეზიაშივე მივყავართ. მისი ფესვი უმერულ საკულტო ჰიმნოგრაფიაშია გადგმული: „რჩეულო კედარო, სამკაულო ტაძრის ეზოისაჲ...“ (ასეა შექმნილი ურ-ნიხურთა, ისინის დინასტიის გაღმერთებული მეფე). შთამბეჭდავია ამ მეტაფორის გამძლეობა საუკუნეთა წიად, იგი მნიშვნელოვანი ელემენტია საერთოდ ქრისტიანულ (ფორმალური თვალსაზრისით თუ განეიხილავთ მას) და ჩვენი პოემის პოეტიკაში. „ვითარცა ნერგნი ედემისანი ორძიანი...“ ვკითხულობთ ერთ ჰიმნში წმიდა მამათა მიმართ. „ედემის ნერგი“, მოკვდავზე ნათქვამი, სრულიად ცხადად უნდა გულისხმობდეს სამოთხეში დამკვიდრებულ (მეტაფორულად „დარგულ“) ადამს, ჭერეთ უცოდველს. ვის ბუნებასთანაც თანაზიარნი არიან ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში შექმნილი წმიდანნი. პოემის

ვია, რომ ზემოთ მოყვანილი ადამიანის ლათინურ თარგმანში ეს სიტყვა სწორედ „რქის“ მნიშვნელობით არის თარგმნილი იერონიმუსის მიერ: „რქიანი იყო სახე მოსესი...“ ამის შედეგია, რომ კათოლიკურ სამყაროში მოსეს რქადასახულად გამოსახავს ხელოვნება (განსაკუთრებით ცნობილია მათ შორის მიქელანჯელოს მოსე). ძველ შუამდინარულ ხელოვნებაში ლეითერი არსნი რქიანი გვირველით არიან თავდარკმულნი.

გმირებიც ზიარნი არიან იმ პირველ და უკანასკნელ ადამთან, რომლის ერთადერთი საყოფელი საშობხეა ანუ ედემი. მათში არის რალაც შინაგანი სიმართლე; და ცოდვითაგან შეუხებლობა. ამას მოასწავებს მათ მიმართ ნათქვამი „ხო, ედემს დანერგულ“, „ედემს რგული ალვა მკვერი“, „ედემს ნახარდი ალვა“ და სხვ. პოემის მანძილზე ხორციელდება გზა ედემს მოშორებული ედემის ნერგის დაბრუნებისა თავის ბუნებრივ საყოფელში. ამის გამო ამ კერძო ადამიანთა ბედი მინიატურულად იმეორებს (თუ წინასწარ მოასწავებს) გრანდიოზულ გზას კაცობრიობისას, ქრისტიანული ესკატოლოგიის მრწამსით გააზრებულს. ამას მოწმობს ტარიელის მოთქმა ნესტანზე: „ვინ მოკვეთა, არა ვიცო, ხეო, ედემს დანერგულ!“ (309,3). ხოლო 715-ე სტროფის გაშლილ მეტაფორაში ცხადად გაისმის სამოთხიდან განდევნილი ადამის მოთქმა: „ვინ უწინ ედემს ნახარდი ალვა მრგო, მომრწყო, მახია, / დღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანასა მახია, / დღეს გული ცეცხლსა უშრეტსა დაბმით დამიბა მახია. / აწყა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია:“ ამ მოთქმაში ერთმანეთსაა გადაქსოვილი ავთანდილის პირადი წვალება და უედემო კაცობრიობის ბედი. ეს მეტაფორა მიგვანიშნებს, რომ სამშობლოდან გადაქარგვა ედემის საყოველთაო დაქარგვის ხატია. ხოლო საწუთრო ანუ სოფელი¹⁷ ამ კონტექსტში სატანასთან არის გათანაბრებული, კაცობრიობის დასაბამიერ მტერთან, რომელმაც ედემი წაართვა ადამს. ამას მოწმობს სტრიქონი „ვჲა საწუთროო, სიკრუვით თავი სატანას ადარე“ (1213,1). ზემოთ მოტანილ სტროფში (715) სიტყვები უწინ და დღეს ადამის (ანუ კაცობრიობის) ორ პერიოდზე მიგვითითებს. რაც პოემის პლანში ავთანდილის ყოფაზეა გადატანილი, და ამის გამო სხეულებული სტროფი უფრო ალევორიულია, ვიდრე მეტაფორული. ეს გარემოება მით უფრო უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანში თუმცა შენარჩუნებულია დედნისეული მეტაფორა, მაგრამ იგი ალევორიად ვეღარ გაიზარება. თარგმანში მოშლილია დედნისეული დაპირისპირება დემეტრისა. რომელმაც ედემში დარგო ალვა, და საწუთროს შორის, რომელმაც ლახვარს მისცა ნერგი იგი. აქ ორივე აქტი — ხის დარგვა ედემში და მისი მოკვეთა — საწუთროს მიეწერება: „შენ (საწუთროვ) დამრგი ხე ედემს, მომრწყე და ნაყოფი გამომალებინე, მაგრამ შენვე მიმეც ლახვარსა და მახვილით მომჭერი“, რაც არ არის სწორი“¹⁸.

სამავეიროდ, როგორც ითქვა, რუსთაველის მეტაფორული სისტემა. როგორც აქ, ისე სხვაგან მრავალ ადვილას ზედმიწევნითი სინუსტით არის გადმოტანილი: ამავე დროს გათვალისწინებულია ეროვნული პოეტური ტრადიცია. დედნისეულ ალვას (ებრ. ბეროშ „კვიპაროსი“), რომელიც რუსთაველის მიერ სამოთხის ხედ არის დასახულ და, როგორც ჩანს, ძველთაგანვე სასწაულმოქმედ ხედ იყო შერაცხილი („ქართლის მოქცევის“ მიხედვით წმიდანინომ მისგან გამოათლევინა პირველი სამი ჭვარი სამ მთაზე აღსამართავად), თარგმანში ზოგჯერ ენაცვლება კედარი (ერენ) და ფინიკი (თამარ),

¹⁷ საგულისხმოა ქართულად მიმართებაში, რომ „საწუთროს“ გამომხატველი სიტყვა ებრაულში ხეღე წარმავლობისა და ზრუნადობის ნიუანსს ატარებს.

¹⁸ ასევე გაუმართლებელია, რომ სტრიქონი „პირის-პირ მარცხენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა“ (797,4), თარგმანში ასე იკითხება „შეეხედებით, და მამხელს, როცა საფლაკში ჩავალთ“. ებრ. „კებერ“ (საფლაკი) ზრუნადობას და საბოლოო დაღუპვას გულისხმობს და „საუკუნოს“ საწინააღმდეგო აზრს გამოხატავს. მოსალოდნელი იყო ან ევექმისტური ბეთ ჰაგოლამ „მარადიული სახლი“ ან უფრო ზუსტი ჰა-გოლამ ჰა-ბა „საიქიო“ (მომავალი საუკუნე).

რომელთა სიწმინდე და რჩეულობა მრავალგზის არის დადასტურებული ძველი აღთქმის წიგნებსა და შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიაში. ოლონდ საგულისხმო ისაა, რომ თარგმანში ეს ორი სიტყვა დიფერენცირებულად არის გამოყენებული: კედარი პოემის მამრულ, ხოლო ფინიკი (რომელიც ქალის სახელიცაა — თამარ) დედრულ გმირთა მეტაფორად არის მოხმობილი¹⁹ (ასევე, ნაგზიკაეს პირველხილვისას ოდისევსს აპოლონის საკურთხეველთან ნაზარდი ფინიკის ხე აგონდება. ოდისეა VI, 162—168)²⁰.

ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი მრავალმხრივ არის საგულისხმო და მრავალ. ასპექტი შესწავლას მოითხოვს. ერთი მხარეა ამ ორი ენისა და სიტყვიერ-კულტურული ტრადიციების ურთიერთშედარების პრობლემა, რისთვისაც უნდა მასალას იძლევა ებრაული ტექსტი. ნაწილობრივ ამ მიზანს ისახავდა წინამდებარე წერილის ავტორი. ამ მხრივ, შეიძლებადა ყურადღება გამახვილებულიყო თარგმანის „ქართულიზმებზე“, რომელიც არც თუ მცირე რაოდენობით აღმოჩნდებოდა, რადგან განსვენებული ბორის გაპონოვი ქართული ენის ჩინებული მცოდნე და პატრიოტი იყო. ეს ცოდნა და სიყვარული ჩვენი ენისა შეფარულად თუ ცხადად ასახულია თარგმანში (მაგალითისათვის, იქ შევხვდებით წმინდა ქართულ ცნებებს, როგორცაა „საწუთრო“, ებრ. ხე ლეღ ბენ რეგაჟ, რაც სიტყვისიტყვით ნიშნავს „პოფელი, ძე წუთისა“ ანუ „წუთიერი“; ან „შავი ღღე“ — ღომ ქა-შახორ და სხვ.).

მეორე მხრივ, ებრაული ტექსტი ორიგინალის დამოუკიდებელი თვისთავადი მოვლენა თანადროულ ებრაულ პოეზიაში, როგორც უკვე აღინიშნა აბრამ შლონსკის სიტყვებით. იგი ცხადყოფს მთარგმნელის არაჩვეულებრივ პოეტურ ტალანტსა და ენობრივ ალღოს. ვირტუოზობამდე, ასული მხატვრული ოსტატობა, სიტყვისადმი ჭეშმარიტად რუსთველური დამოკიდებულება, რუსთველური დაუფლება ენის სტიქიისა, მშობლიური პოეზიის ამომწურავი ცოდნა — ამ თარგმანს დედნის კონგენიალურს ხდის.

ბორის გაპონოვი იმ მოშაირეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა გვარი თავად რუსთველმა განსაზღვრა „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობა, ხელმარჯვედ სცემდეს ჩოვანსა, იხმაროს დიდი გმირობა“. დიდი გმირობაა (ებრაულად რომ ვთქვათ, გევეურა, რაც გამარჯვებასაც ნიშნავს), ჭეშმარიტად, ბორის-დოე გაპონოვის დეაწლი.

¹⁹ შდრ. იბნ-გაბიროლი (XI ს.): ქე-თამარ ათ ბე-კომათებ, ვე ქა-შემემ ბეაჟიჟათებ „ვითარცა ფინიკი ტანი შენი, ვითარცა მზე მშენება შენი“.

²⁰ „ოდისეას“ ქართულ თარგმანში „ფინიკს“ ცვლის „ალეა“ ქართული ტრადიციის ძალით: „იმ ალეს მაგონებ, სანატრელო ქალწულო“.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
კ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

მიხეილ ჩიკოვანი

ხალხური ჰიმნობრაფიის პრობლემა

ქართული ხალხური პოეზიის სრული კორპუსის გამოცემა მრავალ საკვლევ საკითხს აყენებს, რომელთა შესახებ ადრე საგანგებო ძიებანი ჩატარებული არ ყოფილა ანდა, თუ მუშაობა მაინც მიმდინარეობდა, სპორადული ხასიათი ჰქონდა. ამგვარ საკითხთა წყებას მიეკუთვნება ხალხური ჰიმნობრაფიის პრობლემა. ლიტერატურული მასალის მიხედვით ჰიმნობრაფია საკმაოდ არის შესწავლილი როგორც თეორიული მხარის, ისე ტექსტოლოგიური თვალსაზრისით¹. ამას ვერ ვიტყვით ფოლკლორის მიმართ. ჭერაჭერობით ამ სფეროში პირველ ნაბიჯებითა გადადგმული.

ხალხური ჰიმნობრაფია საერთოდ ქართული ჰიმნობრაფიის მძლავრ შტოს წარმოადგენს. რომელშიც მკვეთრადაა გამოხატული ორი ნაკადი: წარმართული და ქრისტიანული. როგორც წესი, პირველი უფრო ძველია, თუმცა ცალკეული ნიმუშების შექმნა ქრისტიანულ შუა საუკუნეებშიც მიმდინარეობდა, რადგან ქართლის მოქცევის შემდეგაც დიდხანს შემორჩა პოლითეისტური სარწმუნოება, დარგობრივი მითოლოგია და კულტმასახურების ადრინდელი სისტემა.

თავიდანვე ვასარკვევია: ხალხური ჰიმნობრაფიის რა მასალას ვფლობთ დარგორიან ტექსტობრაფიად იგი. ხალხური ჰიმნობრაფიის ტექსტები და მუსიკალური ნიმუშები უძველესი პერიოდიდან წერილობითი სახით მოღწეული არაა, ან თუ არის — ლიტერატურულ ძეგლებშია ჩაწეპქრული და ჭერაჭერობით გამოუმუყლავნებელია. მაშასადამე, ასეთი მასალა პირველ ყოვლისა ფოლკლორშია საძებარი. მართლაც, ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრების დასაწყისის საფეხურზევე გვხვდება სასულიერო პოეზიის ფიქსაცია. ესაა მრავალრიცხოვანი სახობბო და საწესჩვეულებო ტექსტები, რომლებიც გაფანტულია ფოლკლორულ, ისტორიულ, ეთნობრაფიულ, ლინგვისტურ, მუსიკალურ, მხატვრულ ნაწერებში. სათანადო ნიმუშების გამოწვლილვა და სრული ანთოლოგიის შედგენა ხალხური შემოქმედების შემსწავლელი მეცნიერების საპატიო ამოცანაა.

¹ ი. ჭ ა ე ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938; ე ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართული მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნობრაფიისათვის, I, 1938; ე. ე. ე. ე. ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ა, გიორგი მერჩულე, 1954; შ. ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ნაჩეყვეები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, 1954; II, 1956; ე. გ ე ა ხ ა რ ი ა, ქართული მუსიკალურ სისტემათა განვითარება, 1962; ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ქართული ევრსიფიკაციისა და ჰიმნობრაფიის საკითხები, „მნათობი“, 1969, № 1; პ. ბ ე რ ა ძ ე, ძველი ბერძნული და ქართული ლექსთწყობის საკითხები, 1969; Г. И. И м е д а ш в и л и, Вопросы поэтики и языка грузинских песнопений классического периода, 1962; ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი ობო რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკლეუა ღაურთო ე ლ ე ნ ე მ ე ტ რ ე ვ ე ლ მ ა, 1971.

ჰიმნოგრაფიული ტექსტების აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა სახელწოდებით პროზაულადაა ჩაწერილი და ასევე იბეჭდება უკანასკნელი საუკუნუნახევრის განმავლობაში ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში. პროზაულად ჩაწერა და გამოქვეყნება ისე დამკვიდრდა ტრადიციის ძალით, რომ ახლა ზოგს კიდევაც უძნელდება ერთხელ პროზაულად მიჩნეული ნიმუშის ლექსის ფორმით ათვისება. მთავარია, მოინახოს დასაყრდენი პრინციპი, რომლის მიხედვით ერთმანეთისაგან განეასხვავებთ ტექსტებს. ცხადაა, წყალგამყოფი ამ შემთხვევაში იქნება ის, რაც საერთოდ გამოყოფს პროზას პოეზიისაგან, ე. ი. მოთხრობასა და ლექსს განასხვავებს. ესაა რიტმი, რითმა და პოეტური მეტყველების სხვა კომპონენტები გამომსახველობითი საშუალებების სახით.

რას ნიშნავს პროზაული ტექსტი? პროზის ფორმით ფიქსირებულს თუ თვითონ პროზას, მხატვრული შემოქმედების სახეს? ხალხი თხრობით ნაწარმოებებს გარკვეულ სახელს არქმევს ყოველთვის: „ზღაპარი“, „არაკი“, „ლეგენდა“, „თქმულება“, „ამბავი“, „იგავი“, „ანდერძი“... ის, რასაც „პროზაულ ტექსტს“ ვუწოდებთ ამ შემთხვევაში. ტექნიკური ტერმინია მხოლოდ. საკულტო ჰიმნოგრაფიული ნიმუშები ხალხში განსხვავებული ტერმინებით აღინიშნება: პირისქარი, რომელიც თავისი მხრით დახელოსნებისა და დამწყალობნების ტექსტებს შეიცავს და სადიდებლების, სადიდებო და ჭვარულის, სახითაა წარმოდგენილი. თითოეულ მათგანს შესატყვისი სინონიმები აქვს ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, თუშეთსა და ხევში². ძველ მეზობეთა და ჰიმნოგრაფთა მსგავსად. ხალხურ ჰიმნოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „დიდებას“, რომელიც წმინდა ტრადიციული ტერმინია და ხალხი საუკუნეების განმავლობაში ასხვავებს მას ანდერძის, ზღაპრის, ლეგენდის, გადმოცემისგან, ე. ი. ზეპირი მოთხრობისგან. ხალხში არსებული ტერმინოლოგიური სხვაობა შესაბამისი ეპნობრივი ნიმუშების არაერთნაირობას გულისხმობს. ამიტომ ფოლკლორულ ტერმინოლოგიას ანგარიში უნდა გაეწიოს ჰიმნოგრაფიაზე მსჯელობისას. სასულიერო პროზად ზოგჯერ მიჩნეულია ის ტექსტი, რომელიც დამით. სტრიქონშიყოლებით არის ჩაწერილი და დაბეჭდილი შინაარსის, ეპნრის პოეტური ბუნების გაუთვალისწინებლად.

ხანგრძლივი დაკვირვებით გამოირკვა, რომ მრავალი პროზაულად ჩაწერილი სადიდებელი ტექსტი „წვეულებრივი პროზა“. მოთხრობა კი არაა, არამედ ხობტა. საგალობელი, სამღერელი, დასამწყალობებელი, მოსახსენებელი, სავედრებელი, — მეტ-ნაკლებად აგებული პოეტური ხელოვნების პრინციპებზე. ხალხი მას საუკუნეების განმავლობაში გალობს, მღერის, ილოცება, წარმოთქვამს. რაკი ამგვარი ტექსტები აქამდე გრაფიკულად პროზის ფორმითაა წარმოდგენილი, სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ეპნრის ბუნება შეცვალა და ფიქსაციის ტექნიკური ფორმის გამო მოთხრობად იქცა! ქართული ლიტერატურის ისტორიკოსების მიერ დიდი ხანია დამტკიცებულია ეს კუშმარტება ჰიმნოგრაფიის მაგალითზე³. რა გასაკვირია, იგივე განმეორდეს ფოლკლორისტიკაში!

² ე. ბარდაველიძე. აღმ. საქართველოს ქართული მთავლის სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, I, 1938, გვ. 5.

³ კ. კეკელიძე, ქართ. ლტ. ისტორია, I, 1960, გვ. 582—606; პ. ინკოროვია, გიორგი მერჩულე, 1954.

ჰიმნოგრაფიული ტექსტების ძირითადი მარაგი დაცულია მთაში, მაგრამ მისგან არც ბარია დაცლილი. ამას მოწმობს 1947 წელს ალაზნის პირას, სოფ. საბუეში, ჩაწერილი „დიდება“. რომელშიც შერწყმულია წარმართობისა და ქრისტიანობის დროინდელი მოტივები. ტექსტი სრულხმიან ლექსს წარმოადგენს, მარცვალთა ანუ შეტყუებათა თანაბარზომიერებაზე დამყარებულს.

დიდება და ღმერთსა დიდება!	(9)
პირველად ღმერთი ვახსენოთო,	(9)
ის უფრო დიდებულაო!	(9)
პურით ავციევე კალთაო,	(9)
ღვინით ავციევე მარანიო...	(9)

ტექსტთან ერთად საყურადღებოა ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული შესრულების წესი. „ამ ლექსს მღეროდნენ მისში, რო კარგი მოსავალი მოსულყო. ქალები ვაბამდნენ ფერხულს და დადიოდნენ ეზო-ეზო. ბოლოებიდან ორ-ორი ერთად იტყოდნენ რიგრიგობით, დანარჩენები ბანს აძლევდნენ“⁴. ამავე ლექსის ვარიანტები გუთანზე იმღერებოდა ოროველას სახით⁵.

ქართულ, მეგრულ, სვანურ და ლაზურ სიტყვიერებაში ათეულობით საკულტმსახურო ტექსტები არსებობს, რომლებიც ერთად აღებული შეადგენენ სერთო ქართულ ეროვნულ ჰიმნოგრაფიას. ძირითად ნაწილში ეს ჰიმნოგრაფია ორიგინალური და ადგილობრივია. ინტერეტნიკური ურთიერთობის შედეგი მასში მხოლოდ ახალი სარწმუნოებრივი პერსონაჟები და სიუჟეტებია, მხატვრული, სიტყვიერი გაფორმება და კოლორიტი კვლავ ადგილობრივია, საუკუნეობრივ ტრადიციებზე დამყარებული.

ღვთაებათა სახელზე დამუშავებულ სადიდებლებში, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდნენ ზეპირი მეხსიერების საშუალებით, შეუძლებელია არ ყოფილიყო სიტყვის შინაგანად მათრგანიზებული, ურთიერთ დამაკავშირებელშემამტკიცებელი საშუალებანი. ფოლკლორს ეს საშუალებანი უხვად მოეპოვებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ ამ სიმღერების. საჯალობლების, ლექსფორმულების, მიმართებების, დიფირამბების, ლოცვების შენარჩუნება იქნებოდა შეუძლებელი. სადიდებელი სიტყვის ასეთი მათრგანიზებელი და დამცველი იყო რიტმი, რითმ და პოეტური ხელოვნების სხვა კომპონენტები — სტროფიკა, აქცენტი, ეპითეტი, მიმართვა, ალიტერაცია, მეტაფორა, ფუნქცია და ა. შ. საანალიზოდ პირველად ავიღოთ „მითოლოგიურ ლექსებში“ გამოქვეყნებული ნიმუშები. შემდეგ კი აღნიშნული კრებულის გარეთ დარჩენილ მაგალითებსაც მივმართოთ.

დავიწყოთ № 125 ტექსტიდან. იგი ფშაურია, 1964 წელს ხევისბერის დავით თურმანაულის თქმით ჩაწერილი პედაგოგ გიორგი თურმანაულის მიერ. ხევისბერი დიდებას მიმართვით იწყებს:

ღმერთო, დიდება შენდა,
ძეო ღვთისაო,

მამაო უფალო,
ცა-ქვეყნის დამარსებლო!

მიმართვის ფორმულა მარცვლების თანაბარზომიერების გარეშე (12, 14) აღწევს მუხლების ტაეპებში რიტმულ განლაგებას, ხოლო მომდევნო სტროფებში მარცვალთა თანაბარზომიერება უფრო აძლიერებს რიტმს:

⁴ ჩაწერი ელ. ვი რ ს ა ლ ა ძ ე, მთქმელი ქეთევან სეიმონის ასული დათიაშვილი, სოფ. საბუე, 1947, ფ. არქ. 30433.

⁵ თ. მ ა მ ა ლ ა ძ ე, შრომის სიმღერები კახეთში, 1963, გვ. 15.

შენამც იმრავლე —	(5)
მალა ცის ნამო,	(5)
დაბლა მწვანოლო,	(5)
ხორციელთ საცხოვრებლად !	(8)

ხატობაში წარმოსათქმელი სადიდებელი ყოველთვის რამდენიმე მითოლოგიურ პერსონაჟს მიემართება და თითოეულის შესაფერის მოკლე დახასიათებას იძლევა. მაგ.:

ღედაო, ღვთის მშობელო,	(7)
ღვთის პირის მელეინო,	(7)
ძალ-ბრძანება თქვენია,	(7)
თორო ხორციელისაგან	(7)
სახელ არ შემოგედებოდათ!	(9)

თუ ცალკე პერსონაჟის მიმართ გამოთქმულ საქებარ და სათხოვარ სიტყვას პირობითად სტროფს გავუთანაბრებთ, მაშინ ყოველ სადიდებელში იმდენი სტროფი იქნება, რამდენი ღვთაებაცაა მასში დასახელებული. ღვთისმშობლის შემდეგ ხევისბერი წმინდა გიორგის მიმართავს. ვედრებას ხშირად დაევალებს სახე ეძლევა:

წულისა იყენენ მანუკიარნი —	(9)
წულის წყალობა უბოძილით,	(9)
გასაზრდოს(ა) გახევებდიან —	(9)
(გასაზრდოსა) გაუზარდონით	(9)
თქვენ ვედრება-ლაღდებასა	(9)
სასინაულელოდ ნუ გაუხდით,	(9)
სასიხარულოდ გაუხადე!	(9)
თაობით პურს(ა) მუშაბატე!	(9)
მაგის სახლში კაცს, კაცრიელობას,	(9)
შიშით ხმა მტრისა ახალოდი,	(9)
სიკედლის ხმა მააშოროდი...	(9)

ციტირების განგრძობა, ვფიქრობთ, საჭირო აღარაა. „დიდება შენდა“ აშკარად მარცვალთა თანაბარზომიერებაზე დამყარებულ სტროფებს შეიცავს და არ წარმოადგენს ჩვეულებრივ საკულტმსახურო პროზაულ ტექსტს.

№126 ტექსტი „შენამც იდიდები“ კვლავ ფშაური წარმომშობისაა. იგი კვირიასადმი მიძღვნილი სტროფით იხსნება:

შენამც იდიდები	(6)
სახელო ღვთისაო,	(6)
მადლო კვირისაო.	(6)

6-მარცვლადი მუხლების მქონე სტროფს დანარჩენ ნასახთა ხსენება მოსდევს, მაგ.:

შენამც გამარჯვება,	(6)
წმინდაო გიორგი,	(6)
ქმოდისა გორელი!	(6)

გიორგის შემდეგ სატომო და სათემო ხატები იდიდებიან:

ირემთა კალოს მამეენებელო კოპალო,	(14)
ციხე-გორს მამეენებელო სვეტის ანგელოზო!	(14)

„თანაზომიერი ერთეულების კანონზომიერი განმეორება“, რაც პროფ. ა. გაწერელიას სიტყვით, რიტმის პირველი დამახასიათებელი ნიშანია⁶, არც

⁶ ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 136.

ამ ტექსტს აკლია. მაშასადამე, ისიც ლექსს წარმოადგენს და არა საღვთის-მსახურო პროზას.

№ 127 ტექსტი „ხალხთა დამფარველო“ რიტმულ ერთეულებს შეიცავს:

მუქეს ღელაო ღეთიმშობელო,	(9)
ღეთისა ნაბადებნო,	(6)
თქვენმც იქნებით ღიდებულნიო,	(9)
გამარჯვებულნიო.	(6)
ღღეს მისულან თქვენ კარზედა მლოცაენი,	(11)
მხვეწნი, ყმანი, ქალნი, ქალ-ქალიშვილნი,	(11)
გებეწებთან წყალობასა.	(9)
მუქეს ღელაო ღეთიმშობელო.	(9)
მოსულებს წყალობა დაახედროდი,	(11)
წასულებს (წყალობა) გააყოლოდი.	(11)

№ 128 ტექსტი მაღალ ღმერთს აღიღებს, მასში სრული წესრიგი სუფევს რიტმული ერთეულების განლაგების თვალსაზრისით. იგი 10-მარცვლოვანი სტროფით იხსნება.

ღიდება შენდა, ღმერთო მაღალო,	5—5 (10)
ცათა სწორო, ხმელეთის ბადალო!	5—5 (10)
ქრისტეო-ღ' ღმერთო, დასწერე ჭვარი	5—5 (10)
ანთებულ სანთელსა, დაჭვრეთილ სეფს,	5—5 (10)
(აემ) დაღვმულ ჭიქა-ბარძიშსა.	(9)
ძალი და ბრძანება თქვენია,	(9)
თორო ხორციელნი ხმელზეით	(9)
სახელსა ეერა გადრებდი(ა)...	(9)

№ 129-ე ტექსტში იკითხება:

ღიდება ღმერთსა,	(5)
ღღეს ღღესინღღესა	(5)
მზესა, მზისმყოლი	(4)
ანგელოზთა!	(4)

ესაა საგალობლის პირველი მონაკვეთი, უმთავრეს ღეთებას რომ ეძღვნება და აშკარად მარცვალთა თანაბარზომიერ სათვალავს ემყარება თითოეულ მუხლში: 5 : 5 : 4 : 4, მისი მ ე ლ ო დ ი უ რ ი მ ხ ა რ ი ს გ ა რ ე შ ე ტ .

ღიდება ღიდ კვირასა	(7)
მაღლის ხთის მოკარესა!	(7)

აქაც, მეორე მონაკვეთში, მარცვალთა სიმეტრიული შეფარდებაა მოცემული, 7:7, რითმის ემბრიონით: რასა — რესა. იგივე ლექსი შემსრულებელს ადვილად შეუძლია შაირის ზომაზე გადაიყვანოს (8 : 8) და სიტყვიერ ფაქტურაში კი ცვლილება არ მოახდინოს:

ღიდება ღიდ კვირა(ე)სა,	(8)
მაღლის(ა) ხთის მოკარესა.	(8)

ცხადია, ეს სპეციფიკური ლექსია, ქრისტიანობამდელი ჰიმნოგრაფიის ნიმუში. მრავალი თავისებურებაა გასათვალისწინებელი ამგვარ ტექსტებზე მსჯელობისას, თანამედროვე სასიმღერო თუ საგალობელი პოეზიისგან განსხვავებით. ზოგჯერ რიტმი და რითმა ერთიანი არაა მთელი ტექსტისთვის; იგი ცალკე მონაკვეთებში, სტროფებში იჩენს თავს დამოუკიდებლად. მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს, „სადიდებლებში“ რიტმი და რითმა საერთოდ არ დაინახოთ. გრაფიკულადაც ჩანს, რომ ამ ლექსში არის რიტმი და რითმა.

ახლა „თუშური ჭვარელი“ ანუ ხატში წარმოსატქმელი ჰიმნი გავსინჯოთ (ტექსტი № 143). ჩაწერილია სოფ. დოჭუში. კომენტარებში ნათქვამია: „სადიდებო 16-მარცვლოვან ლექსს წარმოადგენს. მხატვრულად ეს უფრო განვითარებული ტექსტია, ვიდრე ხევსურულ-მთიულურ-მონხეური სადიდებონი, რაც შედარებით მის გვიანდლობას მოწმობს“⁷. გავიციოთ ეს წმინდა კლასიკური დაბალი შაირის ზომით შექმნილი ლექს-სადიდებელი:

პირველად ღმერთი ვახსენოთ,	3—5 (8)
ის უფრო დიდებულია	3—5 (8)
მეგრე ვადილოთ კვირაე	5—3 (8)
კვირაე კარალეთისია,	3—5 (8)
მეგრე ვადილოთ ფიწალე	5—3 (8)
ლაშქრისა წინამძღვარია.	3—5 (8)
მეგრე ვადილოთ კოპალე,	5—3 (8)
კოპალე კარატისია.	3—5 (8)
მეგრე ვადილოთ გიორგი.	5—3 (8)
გიორგი ჭაჭმატისია.	3—5 (8)
მეგრე ვადილოთ მარიამ,	5—3 (8)
მარიამ დედა-ღეთისია...	3—5 (8)

ლექსს თავისი ვარიანტი აქვს. ისიც 16-მარცვლოვანია და ადგილობრივ თუშეთში გავრცელებულ ნასახთა მოხსენიებას შეიცავს. სქემასთან ერთად პოეტურ ტექსტსაც წარმოვადგენთ, რათა უფრო შესამჩნევი იყოს რიტმული ბუნება:

ჭარალა ღმერთი ვადილოთ,	3—5 (8)
მით უფრო დიდებულია...	3—5 (8)
მეგრელ ვადილოთ გიორგი,	5—3 (8)
გიორგი საჭეოსია,	3—5 (8)
მეგრელ ვადილოთ ფიწალე,	5—3 (8)
ფიწალე დოჭურთისია ... ⁸	3—5 (8)

ასე ერთმანეთს მოსდევს კარატის კოპალას, ხახმატის გიორგის, ცალარქის, ისრაელის, სანების, მუხრუენის გიორგის, მიქაელის, ჰინხალესა და ლაშარეს მოხსენიება. დაბალი შაირის ზომა ყველგან უცვლელია. მეტრს, რიტმს, სისტემატურად რითმაც ერთვის.

ნუ დავივიწყებთ აგრეთვე ტექსტს, რომელსაც „დამწყალობებაჲ“ ეწოდება (№ 146). ეგ თუშური დასალოციე გამართულ ლექსს წარმოადგენს ყველა ნიშნის მიხედვით: დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა!

ექსპოზიციას, კლიმისებურ სტრიქონს, საკუთრივ დამწყალობება-დალოცვა მოსდევს:

ღმერთო, გაუმარჯვე	(6)
დღესა დღევანდელსა!	(6) (12)
ღმერთო. გაუმარჯვე	(6)
ზედაშის პატრონსა.	(6) (12)
მოსულან შენს კარზე	(6)
გულს ჰელ-დახვეულნი	(6) (12)
შემოგმახიან შეუღასა...	(8)

№ 149 ტექსტი თუშური წარმოშობის ჩანს. ჩაწერილია XIX ს. 60—70-იან წლებში, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში⁹. მასაც ლექსის ყველა ატრიბუტი გააჩნია. აი, წაიკითხოთ სიტყვისიტყვი:

⁷ ქართული ხალხური პოეზია, I, მ. ჩიქოვანის რედ., 1972, გვ. 367.

⁸ იქვე.

⁹ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, 1957, გვ. 355.

ჭერეთ ვაღილოთ ლაშა,	5—3 (8)
ლაშაი თამარისიო.	3—5 (8)
მერე ვაღილოთ კობალე,	5—3 (8)
კობალე ფარსმის მთისიო.	3—5 (8)
მერე ვაღილოთ ფიწალე,	5—3 (8)
ფიწალე დოქოს მთისია.	3—5 (8)
მერე ვაღილოთ ჭიხალე.	5—3 (8)
ჭიხალე ხისოს მთისია,	3—5 (8)

დასასრულ, ავიღოთ № 150, ფშაური წარმოშობის ტექსტი. იგი 1969 წელსა ჩაწერილი ჟინვალში ნ. შამანაძის მიერ ეკატერინე ფერხულის თქმით. არც ამ სადიდებელს ეთქმებ უარი ლექსობაზე, რადგან გააჩნია რიტმი შაირისა, აქვს რითმა და პოეტური მეტყველების სხვა უტყუარი ნიშნები. მთავარი ზანი წყობილი სიტყვაა:

პირველად ღმერთსა ვახსენებთ,	3—5 (8)
ის უფრო ღიღებულა,	3—5 (8)
ჭვესენელია და ზესენელიც	5—3 (8)
სულ მისგან აგებულა.	3—5 (8)
მერე ვახსენებთ ლაშარსა,	5—3 (8)
ლაშარიც ღიღებულა!	3—5 (8)
ვინც ლაშარს ემსახურება	3—5 (8)
სულ მუდამ მოგებულა.	3—5 (8)
მერე ვახსენებთ კობალს	5—3 (8)
ღიდ ღმერთთან წიღებულა.	3—5 (8)

ზემოთ ნაჩვენები ტექსტები აშკარად პოეტური ბუნებისაა. მათში რიტმის, კანონზომიერი მეტრული ერთეულებას, არსებობა უდავოა. ერთად აღებული სადიდებელთა ნიმუშები გარკვეულ პრინციპს ემყარება. 1. სადიდებელი შეიძლება იყოს პოლირიტმული, რაც ვლინდება ცალკე აღებულ სტროფებსა და ტაქეებში (№№ 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 145, 147) და 2. მონორიტმული, როცა ერთიანი საზომი გასდევს ლექსს თავადან ბოლომდე ყველა სტროფში (№№ 143, 146, 149, 150). ძირითადი ზომა უკანასკნელ შემთხვევაში შაირისა, მაშასადამე, ლექსი შეიძლება იყოს 8- ან 16-მარცვლელი, მსგავსად უძველესი მცხეთის მშენებელი ოსტატის ლექსისა:

ხეობძელას წყალი მოსვამს,	(ე) 4—4
მცხეთა ისე ამიგია,	(8) 4—4
ღამიჭირეს, ხელი მომჭრეს:	(ბ) 4—4
ჩატომ კარგი ავიგია.	(მ) 4—4

გვიხსენოთ, რომ ეს შედევრი 1692 წელს თედო ქორდანაიას „ქრონიკებში“ პროზაულად იყო გამოქვეყნებული, მაგრამ ამით ძას არც სალექსო რიტმი დაუკარგავს, არც მეტრი და რითმა. მაშასადამე, ერთნაირი საზომით საერო შინაარსიც ვადმოიცემოდა და სასულიეროც.

უძველესი ქართული ხალხური ლექსი სილაბურ-ტონური წყობისაა, იყოფა მუხლებად და სტროფულ-ტაქეობრივ რიტმს ემყარება. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გარკვეული დასკვნების გამოტანა შეიძლება: 1. სადიდებელი ტექსტები წყობილსიტყვაობის ნიმუშებს წარმოადგენენ. 2. თითოეულ ტექსტს ახასიათებს რიტმულ ერთეულთა გარკვეული რაოდენობა. 3. ნიმუშების უმრავლესობა პოეტიკური თვალსაზრისით აგებულია მთიბლურის ან

შაირის ზომაზე; გვხვდება იამბიკური წყობაც. 4. როცა სადიდებელში რამდენიმე მითოლოგიური პერსონაჟი არის შექმნილი, თითოეულს დამოუკიდებელი „სტროფი“ ეძღვნება, რომელსაც პარციალური, საკუთარი რიტმი ახასიათებს და ეს უკანასკნელი სხვა პერსონაჟთა სტროფებზე შეიძლება არ გავრცელდეს. 5. ერთსა და იმავე ლექსში სხვადასხვა ზომის თანაარსებობა არ არის განკერძოებული მოვლენა. მკვლევარებს იგი ბერძნული ლექსის მიმართაც აქვთ შენიშნული. მაგალითად, პავლე ინგოროყვა წერს: „როდესაც კი ჩვენ ამოვსიფრეთ ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ლექსის სახეობა, ჩვენთვის მაშინვე ნათელი გახდა უახლოესი ნათესაობა ქართული ჰიმნოგრაფიის სალექსო ფორმისა ბერძნული ლირიკის სალექსო ფორმასთან... ძველ ბერძნულ ქორულ ლირიკაში სწორედ ამავე სახის ლექსთწყობა იყო მიღებული — სტროფულ-ტაეპობრივი რთული რიტმიკით“¹⁰.

ქართულ მითოლოგიურ სადიდებელსაც ხშირად სტროფულ-ტაეპობრივი რიტმი ახასიათებს. უნდა ვივლინებოდეთ, რომ აგი გაცილებით ადრე შემუშავდა ხალხში ზეპირად, ვიდრე ქართულ მწერლობაში ჰიმნოგრაფია განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწევდა.

რიტმის შემდეგ რითმას მივხედოთ. რითმის, ერთნაირი ან მსგავსი ბგერების სისტემური გამეორების დამაჩერებელი ნიშნუები გვხვდება სადიდებელ ლექსებში. დავიწყეთ კიბური რითმიდან, რასაც პროფ. ა. ვაწარჯიას აზრით, „ქართული კლასიკური ლექსი არ იცნობს“¹¹. აი სწორედ რითმის ეს იშვიათი სახეობაა დამახასიათებელი სადიდებელი მითოლოგიური ლექსისთვის. თუშურ ჯვარულში ნათქვამია:

მეგრე ვადილოთ კ ე რ ა ე.

კ ე რ ა ე კარალთისია.

მ-მარცვლედის სარიტმო სიტყვა „კვირაე“ მეორედზე მ-მდევნო ტაეპის დასაწყისში. ეს წესი ბოლომდე გასდევს ჯვარულს:

მეგრე ვადილოთ კ ო პ ა ლ ე.

კ ო პ ა ლ ე კარატისია...

მეგრე ვადილოთ მ ა რ ი ა მ.

მ ა რ ი ა მ ლდა-ღეთისია...

ამ წესითაა ჩამოთვლილი მითოლოგიური ლექსის უველა პერსონაჟი (მევედორე, გიორგი, ისრაილ, სანება, ჭიხალე, მიქაელ). ლექსის შემგვრელ კაპში გარეგან რითმას შინაგანი ემატება:

ღ ი დნიმე ხ ა რ თ, ღ ი ლებელიც ხ ა რ თ.

სახსენებელ ნ ო ლეთისუილ ნ ო (№ 143).

ასეთსავე სურათს აჩვენებს „ჯერეთ ვადილოთ ლაში“ (№ 149). სადაც 16-მარცვლელი ცეზურაზე იყოფა ორ მ-მარცვლედად. თითოეულ ნახევარს აქვს როგორც გარეგანი კიბური ანუ ჯაჭვისიბური¹². ისე შინაგანი რითმა.

ჯერეთ ვ ა დ ი ლ ო თ ლ ა შ ი,

ლ ა შ ი თამარისიო.

მერე ვ ა დ ი ლ ო თ კ ო პ ა ლ ე,

კ ო პ ა ლ ა ფარსმის მთისიო.

¹⁰ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 596.

¹¹ ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 177.

¹² მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, გვ. 340—341.

ფივე ითქმის ფიწალეზე, — ვისაც სალოცავი დოქოს მთაში აქვს, ან ჰიხალეზე, ნიში რომ ხისოს მთაში გააჩნია. მომდევნო სადიდებელს „პირველად ღმერთსა ვახსენებთ“ (№ 150) სარიტორი სიტყვები ტაეპის ბოლოს მოუდის: დიდებულია — აგებულია — მოგებულია — წილდებულია. მხატვრული მეტყველების ანაფორულ სისტემას ემყარება სადიდებელთა აბსოლუტური უმრავლესობა (№№ 129, 130, 131, 132, 133, 135, 137, 140, 142, 143). ანაფორა მთოლოგიურ ლექსში შეიძლება რთულიც იყოს და მარტივიც, უფრო გავრცელებულია რთული სინტაქსური ანაფორა, მაგ.: „აემ ქიქა-ბარძიშუდა“ (№№ 129, 130, 132, 133, 135), ან: „დიდება ჰქონდეს“ (№№ 140, 142), ანდა: „მემრე ვაღიღოთ“ (№ 143). ამრიგად, სადიდებელ ტექსტებში რითმა არსებობს და ზოგჯერ იმ სახით, რა სახესაც ლიტერატურული პოეტიკა ნაკლებად იყნობს (ციბური ან ჯაჭვისებური რითმა, ანაფორული სისტემა). ნაჩვენებში მაგალითების გამოწვევების შემდეგ დაბეჭოთებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ფოლკლორში არსებული სადიდებელი ტექსტების მრავალი ნიმუში ლექსს წარმოადგენს და არა პროზას, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული. შეიძლება დავასკვნათ: სადიდებელი ტექსტები უბრალო საღვთისმსახურო პროზა კი არ არის, არამედ მთოლოგიური შინაარსის პოეზია, რომელსაც პოეტური მეტყველების სხვა კომპონენტებთან ერთად რიტმიც აქვს და რითმაც.

რიტმისა და რითმის მატერიალიზებასთან ერთად შეუძლებელია გვერდო აუვაროთ წარმოთქმისა და შესრულების თავისებურებებს. ასეთი ტექსტები პირველ ყოვლისა რიტუალური მოქმედების ნაწილს წარმოადგენენ და სიტყვიერი გაფორმების გარკვეულ წესს ექვემდებარებიან. ვისაც ისინი პროფესიონალთაგან მოუხმენია, დაგვეთანხმება, რომ შემსრულებელი ხმის ამაღლება-დადაბლების, ტემპისა და ტემპრის. თეატრალური დეკლამირების საკმაო მარაგს ფლობს. საკულტო მეტყველება თვალსაჩინოდ განსხვავდება ჩვეულებრივი სასაუბრო და პროზაული მეტყველებისგან.

საკულტო მეტყველების თავისებურება ქართული სინამდვილის მაგალითზე შემჩნეული იყო მე-19 ს. 80-იან წლებში. ხანმატის ჯვრის დეკანოზს, მაგალითად, შემდეგნაირად შეუსრულებია სადიდებელი ლოცვა: „დეკანოზმა აურთახა ლელი: აიღო ხელში დროშა, შედგა მალღობ ადგილზედ, გაიქიმა წელში, გადიტრიალა ზეცისკენ თვალები და დაიწყო, სახარების კილოზედ, გაქიანურებული და მოსაწყენი ხმით ლოცვა“¹². რას ლოცულობდა და ვალობდა დეკანოზი? დაკვირვებულმა შემკრებმა ეს ტექსტიც შემოუნ.ხა შთამომავლობას:

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა,	(9)
დიდება დღეს(ა) დღესინდელსა,	(9)
(დიდება ღმერთს) რჯულ-ქრისტიანთა.	(9)
დიდება მზესა, იმის მყოლ ანგელოზსა.	(11)
შენად სამთაეროდ, შენად გასამარჯვოდ	(11)
ძალო ღვთისაო, ძალო წმინდა,	(9)
გიორგი კობალესაო ¹⁴ ...	(8)

¹² და ვ ი თ გ ო რ ე ლ ი, ხანმატის ჯვარობა, „ივერია“, 1889, № 271; მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, I, 1938, გვ. 19.

¹⁴ მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, I, გვ. 19.

ხატობაში საკულტმსახურო ტექსტები სრულდება როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდურად. თითოეულ შემთხვევაში თავს იჩენს სიტყვის, ფრაზის გამოთქმის თვითმყოფლობა, რომელიც გალობას, სიმღერას უფრო უახლოვდება, ვიდრე ლექსის გამომეტყველებით კითხვას. წარმოთქმის განსხვავებათა ყველა ნიუანსის ანბანური ფიქსაცია ძნელზე ძნელია, რადგან არც ქართულ და არც სხვა რომელიმე ენას იმდენი გრაფიკული ნიშანი არ მოეპოვება, რამდენიც სიტყვის ფონეტიკური და მუსიკალური ელემენტების სრული აღრიცხვისთვის არის საჭირო. სადიდებელი ტექსტისა და მისი გამოხატვის ბგერითი ორგანიზაცია თავისებურია. იგი ყოველთვის განსხვავდება პროზაულსგან. შემსრულებელი ეფექტს ახდენს არა მხოლოდ შინაარსით, აზრით, არამედ თქმის თავისებურებითაც, სიტყვის წარმოთქმის მაგიური და ფსიქოლოგიური საქვევით. ამის გამო ხატის მსახურნი საკულტო მეტყველების დამუშავებაზე ზრუნავენ, სწავლობენ, ვარჯიშობენ, კილოს იმუშავებენ. ყოველივე ეს ტექსტის ბგერით ორგანიზაციაზე ახდენს გავლენას და ბეჭდის ნიუანსს ითვალისწინებს, წერილობით ფიქსირებული რომ არაა, მაგრამ პრაქტიკულ მოქმედებაში აჩვენებს და იცავენ. თუ კულტმსახური შესრულების მინიმუმს მაინც ვერ აკმაყოფილებს, ასეთ პირს ხატის სამსახურში არ დაედგომება. საკულტო ტექსტი სტილიზებული და სტანდარტულია, ნებისმიერობა და იმპროვიზაცია არ ახასიათებს. იგი ყოველწამიერი და ყოველდღიური შემოქმედების საგანიც არაა; გარკვევით საკრალური დანიშნულება აქვს და ყველას არც ესწავლება. ამიტომ არსებობს მოძღვარ-შეგვიდობის ინსტიტუტი. აშკარაა. სადიდებელი ტექსტების პოეტურ ბუნებაზე მსჯელობისას ჭეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს შესრულებას. წარმოთქმას, საერთოდ ხმისმოცდნობას. რაკი სადიდებელში ტაეპის, მუხლისა და ტერფის, ხშირად კი სტროფის, გამოყოფა არის შესაძლებელი, ეს უკვე იმაზე მიუთითებს, რომ სასუნეა პოეტური და არა პროზაული შემოქმედება. აღნიშნულ საკითხებზე აქ იმის გამო შეეჩერდით, რომ თითოეული მათგანი ხელშესახებად ახასიათებს გამოქვეყნებულ მითოლოგიურ ძეგლებს ქართულ, სვანურ და მეგრულ ენებზე.

საკულტმსახურო ტექსტების დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით ხეცობისა და ქადგობათა ტექსტები, პროზაულად არის გამოქვეყნებული. ზემოთ განხილული ნიმუშები თავდაპირველად პროზაულად იყო ჩაწერილი და დასტამბული, თუმცა ძველი და ახალი დაწერილობის შედარება აქ არ მოგვიხდენია. რაკი ახლა პრინციპულად საღვთისმსახურო ტექსტების პოეტური ბუნება ვაირკვა, შედეგიც აშკარაა. ადრინდელი ტრადიციის შემოწმებასთან ერთად საჭიროების შემთხვევაში თვითონ ძველი ტრადიცია უნდა დავარდლოთ, შევცვალოთ, ე. ი. პროზის სახით დაბეჭდილი ლექსები ლექსისავე ფორმით გადმოვცეთ.

„მითოლოგიურ ლექსებში“ დარგობრივ დეტაბათა განყოფილება მორიგესადმი მიძღვნილი ოთხსტროფიანი ლექსით იწყება. იგი პროზაულად და ბეჭდილი ნაქადაგარი ტექსტიდან არის სიტყვასიტყვით ამოღებული.

მორიგე, ღმერთო გეხეწებო,	(10)
მაგთხოვო ნადლსა, გიხბო ჩოქსაო.	(10)
ქრისტის დედაო, მაგთხოვ მაღლსაო,	(10)
ჩამიშვი ოქროს ქოთანშაო.	(10)
ჩამარეცხიენ ღილ-ქმარნიო.	(10)

ელჩობაი მაქე მალოცვილიო.	(10)
ყულროს დამქერო, გეხვეწებო,	(10)
ჩამაოლ მადლის სათხოვრადაო,	(10)
ჩამაოლ წიგნის საწერლადაო,	(10)
ბატონ-ყმათ დასარიგებლადაო.	(10)
თუ მჭობი მჭობზე იღებოდასო,	(10)
ზღვენ-სამსახური მზადდებოდასო,	(10)
ყულროს დამქერი ზე ჭდებოდასო.	(10)
აბა, წაოლა, გაებრუნდებო,	(10)
თავის ნაღვარსაე ეესტუმრებო.	(10)
თავის მომესაე ვეჰინძებო.	(10)

ამ ლექსში მითითებული მორიგე და ელჩი ქალი ქართული მითოლოგიის უძველესი პერსონაჟებია, ქრისტეს ღედა და მოძმე გიორგი კი შემდეგდროინდელი, ახალი სარწმუნოების გავრცელების ნიადაგზე დამკვიდრებული ხალხურ სიტყვიერებაში. ფუნქციურად ტექსტი ნაქადაგარია, იგი წიქა ლიქოკლს ჭადაე მიასგან უსწავლია. ეთნოგრაფ თ. ოჩიაურის წიგნში „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“ მოხმობილ ლექსს 9 პროზაული სტრიქონი უჭირავს. თვალსაზრისით მისი ამოვწეროთ ისიც. „ერთ დიაც იყვის, იმის ქადაგობა მქონდის დასწავლილი. მაუვიდის ჭვარი, მია ექვიენისად: მორიგეე ღმერთო გეხვეწებო, მაგთხოვი მადლსა, გიხრი ჩოქსაო, ქრისტის ღედაო მაგთხოე მადლსაო, ჩამიშვი ოქროს ქოთანშიაო, ჩამარეცხიე ღილქამარნიო. ელჩობაი მაქე მალოცვილიო. ყულროს დამქერო გეხვეწებო, ჩამაოლ მადლის სათხოვრადაო, ჩამაოლ წიგნის საწერლადაო. ბატონ-ყმათ დასარიგებლადაო. თუ მჭობი მჭობზე იღებოდასო, ზღვენ-სამსახური მზადდებოდასო, ყულროს დამქერი შე ჭდებოდასო. აბა წაოლა გაებრუნდებო, თავის ნაღვარსაე ეესტუმრებო, თავის მომესაე ვეჰინძებო (მოდმის ევერდში ღადგომას სქეიან). ზღვე მასთხოე ყულროს დამქერი ანგელოზსად, წვიდად, გაბრუნდ“¹⁵. ვფიქრობთ, ექვი არავის შეეპარება იმაში, რომ პროზაულად დაბეჭდილი ეს ნაქადაგარი ნამდვილ მითოლოგიურ ლექსს წარმოადგენს, და აქამდე პოეზიის ნიმუშთა შორის არ განიხილებოდა. არქაული შინაარსი ასევე არქაული ლექსის ფორმითაა გადმოცემული. მასში რიტმიცაა და შესაბამისი რითმაც. მეტრის მიხედვით იგი ქართული პოეტის ისტორიაში კარგად ცნობილი მთიბლური ლექსის ზომისაა, ე. ი. 9-მარცვლოვანია. თუ გვრინში დასაყოლებელ ხმოვან ო-ნს არ მივიღებთ მხედველობაში. ამ სახის ლექსის აღმოჩენა აქად. ა. შანიძეს ეკუთვნის და მასზე საგანგებო მსჯელობა გამართა „ქართული ხალხური პოეზიის“ პირველი ტომის ხევისრული ნაწილის გამოცემისას¹⁶. ამეამდ მთიბლურის ბუნება ფართოდ არის შესწავლილი. პროფ. პ. ბერაძემ 9-მარცვლოვანი მთიბლური ბერძნულ-ანტიკურ ჰეგზამეტრს შეუპირისპირა და მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო. „მთიბლური ლექსის სახით ჩვენს ხელთ არის უძველესი ფორმა ქართული ლექსისა, დაქტილჰეგზამეტრის წმინდა, შეურეველი და ჭერჭერობით ერთადერთი შენიშნული მაგალითი, ყოფაში შენარჩუნებული“¹⁷. მითოლოგიური პოეზიის გამოსაცემად მომზადების პერიოდში ჩვენთვის ცხადი ვახდა, რომ ამავე სალექსო ზომისაა ნაქადა-

¹⁵ თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954, გვ. 43.

¹⁶ ა. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, I, 1931, გვ. 021; მ. ჩ ი კ ო ე ა ნ ი, ქართული ფოლკლორი, 1938, გვ. 112—114.

¹⁷ პ. ბ ე რ ა ძ ე, ძველი ბერძნული და ქართული ლექსთწყობის საკითხები, 1969, გვ. 55.

გართა და სადიდებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი (№№ 21, 27, 28, 80, 93, 125 და სხვ.).

ძირითად ტექსტებში შეტანილი მეორე პროზაყოფილი ნიმუში კვლავ თ. ოჩიაურის ნაშრომიდან მომდინარეობს და ისიც დარგობრივ ღვთაებათა ციკლში გვაქვს დაბეჭდილი № 93 სახით. ამ ლექსს შემდეგი სახე აქვს მარცხალთა შემავსებელ ო-ნის გარეშე:

მე გეხეწები იაქსარსა,	(9)
მამეც ნებაი, ჩამამიშვი.	(9)
მამეც ნებაი ყუდროჩია	(9)
ქალსა ქალთაზე მაარულსა.	(9)
მაქვის ხთისაგან გამწესული.	(9)
ეაუბენ ჩემსა მეენესა,	(9)
ჯორციელთ მივსემ ევალებასა...	(9)
მე გეხეწები ხთის სასახი,	(9)
სამძიშარ ხელი, ღილიანი.	(9)
დამრენ ბაგენი ოქროსანი,	(9)
მისცათ ნებაი ჯორციელსა... ¹⁸	(9)

იგივე ტექსტიც პროზაულად იყო დაბეჭდილი¹⁹.

მაგალითების მოხმობა საჭირო აღარაა. ეს დაუსრულებლად შეიძლება, როგორც მე-19, ისე 20-ე საუკუნეთა პუბლიკაციებიდან, მაგრამ ახლა ესეც საკმარისია. ვფიქრობთ, აწი სასულიერო ტექსტების ძველებური წესით ბეჭდვა აღარ შეიძლება. ჩამწერმაცა და გამომცემელმაც წინდაწინ უნდა გაარკვიონ. ზეპირსიტყვიერების რა მასალასთან აქვთ საქმე და ნამდვილი პროზა პროზის ფორმით აჩვენონ, ლექსი კიდევ ლექსისა.

საკითხავია, როცა სადიდებელი ლექსები ცალკე გამოყვავით და მიმოლოგიურ კრებულში მოვათავსეთ, მხოლოდ საკუთარ დაკვირვებებს ვეძყაობოდით, თუ სხვა მკვლევარებსაც ჰქონდათ შენიშნული მათი პოეტური ბუნება? კითხვაზე პასუხი ვაცემულია „მითოლოგიური ლექსების“ კომენტარებში. „დიდება ღმერთსა, დღესა დღესინდელსა“ ლექსის გამო იქ ნათქვამია: „სადიდებელთა ტექსტები ბევრია ცნობილი, აქ ყველას გამოქვეყნება და განხილვა მიზნად არ დაგვისახავს. ასეთი ნიმუშების პოეზიის კრებულში მოთავსება ინიშნა გამოწვეული, რომ ისინი გარკვეულ მხატვრულ პრინციპს ემყარებიან და უძველესი (წარმართული) პოეტური შემოქმედების ძეგლებს წარმოადგენენ. უკვე შენიშნულია: „ჯვარულის ტექსტები განირჩევიან იმით, რომ ისინი გართიმული არიან, ლექსად შედგენილი“²⁰. ვის ეკუთვნის ციტირებული სიტყვები? დაწერილია ისინი გამოჩენილი ქართველი ეთნოგრაფის პროფ. ვ. ბარდაველიძის მიერ²¹, მაშასადამე, სადიდებელთა პოეტური ბუნების განსაზღვრვაში მხარს გვიჭერს ეთნოგრაფიული სამეცნიერო ლიტერატურა.

უძველესი ქართული ხალხური ჰიმნოგრაფია იზოლირებული და გაყინული არ ყოფილა. იგი ვითარდებოდა ახალ სარწმუნოებრივ პირობებშიც და ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის დაშლულ გავლენას განიცდიდა. დღესდღეობით ფართოდ არის შესწავლილი ლიტერატურული ჰიმნოგრაფია (წარმო-

¹⁸ ქართული ხალხური პოეზია, I, გვ. 134.

¹⁹ თ. ოჩიაური, ქართულთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954, გვ. 43.

²⁰ ქართული ხალხური პოეზია, I, გვ. 362.

²¹ მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, I, 1938, გვ. 7.

შობა, განვითარება, პოეტიკა, ავტორები), მაგრამ ასე ვერ ვიტყვი ხალხურის შესახებ. ამის გამო ყოველი ახალი ტექსტის გამოქვეყნება და საკვლევადიებო ფერხულში ჩაბმა, ხელს უწყობს ფოლკლორისტიკის იმ დარგის დაფუძნებას, რომელსაც ისტორიული პოეტიკა ეწოდება.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ უნიკალურ ნაქადაგარს „ღვთიშვილთ დაბადებას“. იგი დიდმნიშვნელოვანია როგორც ფორმით, შესრულების წესით, ისე შინაარსით, მასში ფიქსირებული თეოგონიური ცნობებით, პერსონაჟებით. ამ ლექსის საკვლევადიებო ფერხულში ჩაბმით ქართულ პანთეონს მანამდე ლიტერატურულად დაუდასტურებელი ორი ღვთაება შემოემატა (ბერი ბუქნაი ბაღდური და თეთრი მთის ქორი თერგვაული)²². ხაზი უნდა გავსვას იმ გარეობას, რომ ნაქადაგარის ჩამწერმა თედო რაზიკაშვილმა 1891 წლის 17 თებათვის ხელნაწერში ტექსტი იმ სახით წარმოადგინა, როგორც მას ბუნებრივად შეეფერებოდა, ე. ი. ლექსი ლექსად და პროზა პროზად, წინააღმდეგ საღუთისმსახურო ტექსტის პროზაული ფორმით ბეჭდვის პრაქტიკისა დღემდე რომ გრძელდება²³. ჩაწერის და ბეჭდვის ეს ტრადიცია იმდენად ფესვგადგმულია, რომ ზოგს ვერც კი წარმოუდგენია ნაქადაგართა პოეტურ ენაზე მიკუთვნება. ამის მავალითს მეცნ. კანდ. ალ. ჭინჭარაული წარმოადგენს, რომელსაც ხევსურული ფოლკლორის შეკრებაზე უმუშავნია და არაერთი ნიმუში დაუბეჭდავს, თუმცა მასაც სახელდების რიტუალური ლექსი ჰოზის სახით აქვს გამოქვეყნებული²⁴. როცა „ღვთიშვილთ დაბადება და ქადაგება“ ხალხური პოეზიის კორპუსში იხილა, გაოცდა და ლიტერატურული გაზეთის საშუალებით განაცხადა: „მ. ჩიქოვანმა თ. რაზიკაშვილის არქივში ახა ნაქადაგარი თუ მთხრობელისგან ნაქადაგარს მიმსგავსებული ხევსურული პროზაული ტექსტი (უფრო ადრე იგი ა. შანიძემ გასინჯა, მაგრამ, გასაგები ბიზეზის გამო ხევსურულ პოეზიაში არ შეიტანა). სარეცენზიო კრებულში ეს ტექსტი (გვ. 197—128, № 80) ლექსად გახლავს გასაღებული. ტექსტის მეორე, უფრო დიდი ნაწილი მ. ჩიქოვანს პროზადვე გადმოუღია. რატომ? ალბათ აილიან გრძელი მოეჩვენა რედაქტორს და შეეშინდა, ლექსის ნაცელად პოემა არ გამოივიდესო“²⁵. ამ კატეგორიული მსჯელობიდან ჩანს, რომ: ა) თ. რაზიკაშვილის ჩანაწერი მხოლოდ პროზაულ ტექსტს წარმოადგენს; ბ) გამოიტყვემოს პროზაული ტექსტის პირველი ნაწილი საღეჭო სტრიქონებად დაუღაგებია და პოეტურ ნაწარმოებად გაუღაგებია; გ) პროზაული ტექსტის მხოლოდ მეორე, უფრო დიდი ნაწილი დაუბეჭდავს დედნისეულად და დ) ჩანაწერის ბოლომდე ლექსადქცევა ვეღარ გაუბედავს, პოემა არ გამოვიდესო!

უდასტურებს თუ არა თ. რაზიკაშვილის ხელნაწერი ავტორს მის მიერ შეთხზულს? არა, არ უდასტურებს. ოთხივე პუნქტში „ცნობები“ მოგონილია. ჩანს, ციტირებული სტრიქონების დამწერს 1891 წლის ხელნაწერის დედანი (H—2025) არ შეუშოწმებია, თორემ ლექსის ფორმით დაწერილ ტექსტს დედლაღ განასხვავებდა პროზაულად ჩაწერილისგან! იქ ასეთი გარჩევა გრავურულადაც ხომ ჩანს! კუმშარიტების აღსადგენად ახლა ხელნაწერის დასა-

²² მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 164—175; ქართული ხალხური პოეზია, I, № 20.

²³ თ. რაზიკაშვილის სვერებილი ხევსურული ლექსები, H—2025.

²⁴ ხევსურულის თავიანებურებანი, 1960, გვ. 333.

²⁵ „ლიტერატურული საქართველო“, 1973, № 31.

მე, არც განხორციელებულა ის საექვეო ოპერაციები, რასაც პატ-ლი მეკლევარი კარგა ხანია ქადაგებს („ცისკარი“, 1972, № 1), მაგრამ, საბედნიეროდ, მის ჩრევს არცინ გაჰყოლია. ამრიგად, ნაქადაგარი თეოგონიური ტექსტის მხოლოდ პროზაულობის, მისი გამომცემლის მიერ ლექსადქცევა და პოეტურ ნაწარმოებად გასაღება — ხელოვნურად შეთხზულია და როგორც საბა-სულხან ორბელიანი იტყვობა: „რას მოგონებულ ტყუილი ამბავად შემეპყვრებული და არა ქმნილი მყოფობით“.

აკად. ა. შანიძემ რომ აღრე ნახა „ღთიშვილთ დაბადება“, ეს ჩვენც ვიცოდით, რადგან, საიდანაც გამოსაცემი ტექსტი გადმოვწერეთ, იქვეა ამბავც ცნობა: „მოენის ნაქადაგარი იქნებო, მითხრა ბერდია ალუღაურმა, კაცმატელმა, როცა წაუეკითხე ნაწილი თერგვაულისა. „საღმთო ბერო ბაღურო“ გულანში იტყვიანო“. — წერს ბ-ნი აკაკი (H—2025, გვ. 46). ჩანს, ხევსურული პოეზიის შესანიშნავ გამომცემელსა და მეკლევარს უძებნია ლექსში მოხსენიებული პერსონაჟები, მაგრამ დამაჯერებელი ცნობები ხელთ არ ჩავარდნია, თუმცა ტექსტი წიგნის მეორე ნაწილში მაინც შეუტანია. 1931 წელს ა. შანიძე „ხევსურული პოეზიის“ წინასიტყვაობაში გულდაწყვეტით წერდა: «ქალღმთის მომპირნეობის გამო, სამწუხაროდ, ვერ მოვაყვანე შენიშვნებში თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ ჩაწერილი პროზაული თქმულება კოპალას შესახებ (R—3436), ვერც მისივე (ბ ა ბ ო უ ჩ ო ნ ა უ რ ი ს სიტყვით) ჩაწერილი „ღთიშვილთ დაბადება და ქადაგება“»²⁸. ამ განცხადებიდან აშკარად ჩანს, რომ ა. შანიძემ „ღთიშვილთ დაბადება და ქადაგება“ მოიწონა, დასაბუქდად გამზადა და კრებულშიც მოათავსა, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო, თაბახთა რაოდენობის შეკვეცისას, სხვა მასალებთან ერთად, მისი ამოღებაც მოუხდა. მაშასადამე. ლიტონი თქმა, რომ ა. შანიძემ „ღთიშვილთ დაბადება“ „ხევსურულ პოეზიაში არ შეიტანაო“. შეცდომაა და მკითხველს სწორ ინფორმაციას არ აწვდის. აი ეს არის ნაქადაგარის 1931 წელს დაუბუქდაობის „გასაგები მიზეზი“ და არა მისი პროზაულობა, ანუ არაპოეტურობა.

ახლა თვითონ თერგვაულის გაგების თაობაზე. ალ. ჭინქარაული ყოველგვარი მტკიცების გარეშე წერს: „ტექსტის მიხედვით, წმ. გიორგის ერთ-ერთი ეპითეტია „თერგვაული“. ეს სიტყვა რედაქტორმა ახალი, დღემდე უცნობი ლეთების სახელად მიიჩნია და ვრცლად მსჯელობს მის შესახებ“. თუკი ტექსტის მიხედვით თერგვაული წმ. გიორგის ეპითეტია. მაშინ უკანასკნელი მოხსენიებული ან მინიშნებული მაინც უნდა იყოს ლექსში. „ღთისშვილთ დაბადება“ ერთადერთი ვარიანტის სახითაა მოღწეული და, მაშასადამე, იმ ტექსტზე მივეითებენ, რომელიც „მითოლოგიური ლექსების“ მე-80 ნომრად დაბეჭდილი. შევამოწმოთ, რა არის ნათქვამი თერგვაულზე. თავდაპირველად მორიგე ბაღური შექმნა, სალაშქროდ გამოაწყო და ხმელეთზე გადმოუშვა. ხაღურის მომდევნო თერგვაული.

მემრ მე დამსახა თერგვაული,	(9)
მალა მთაშია მდგომარეი,	(9)
ტახტ მამილოცა ოქროსი,	(9)
შვიდმეტ ათასი წელ წაეიდა	(9)
ჩემ დასახეთიუე...	(5)
ღთის კარს მამცა სათაეიო.	(9)
როგორც ხორციელნი ჩვენ გელოცულობენ,	(11)

²⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, 1931, გვ. 018. ხაზი ავტორისაა.

ეგრე ჩვენ ელოცულობთ მორიგესაო.	(11)
სამ ათასნი ვართ ღვთის ნასახნი.	(9)
მორიგემა	
მეც კაბა ჩამაცეა სისეისაი,	(9)
ჩაქმან ჩამაცეა სინისანი,	(9)
კიგუნი მამცნა ოქროსანი.	(9)
მათარჯი მამცა ცხრაეუთხოიანი,	(9)
ქუდ აღარ მამცა მორიგემა.	(9)
საგმიროდ მამცა ოქროს ბურთვი,	(9)
ქაქთ ბუბუნებით მოტანილი.	(9)
ორნ მამცნა მოწაფენი:	(7)
ერთს (დამიქვიან) რუთიო,	(9)
ერთს დამ. ქვიენა რაქიო.	(9)
ზემრ დამაყვიერა ღვთის კარზედა. ²⁹	(9)

ეს არის ძველი, მთიბლურის ზომით შესრულებული ლექსის მონაკვეთი, და არა პროზის. რომელიც თერგვაულის ცხოვრებას გვითვისებს. ამ ფრაგმენტულად მოღწეული ლექსიდან უდაოდ ჩანს: თერგვაული ღვთის-შვილია, უძველესი ღვთაების დასახული, მკვიდრობს ღვთის კარზე და სალოცავი მაღალ მთაზე აქვს; უღვას ოქროს ტახტი, აღჭურვილია იმდაგვარად, როგორადაც პირველი ნასახი ბაადური და მესამე ნასახი კოპალა. წმინდა გიორგი პოეტურ ტექსტში არსად გვხვდება. მისი ადგილი აქ ფუნქციურადაც არ არის. ყოველ შემთხვევაში იმ ტექსტში, ე. ი. ჩვენ მიერ გამოცემულ № 80-ში, გიორგის კვალი არა ჩანს. თერგვაული მითში კიდევ ორ ადგილას გვხვდება. ჩანაწერში კვითხულობთ: „თერგვაული გვიამბობს:

ავდეგ, ღვთის კარით გავეშხადე,	(9)
წამუელ ქაქუთისაკე,	(9)
ქაქთა ბაზარი ჩავიარე.	(9)
ქაქთ ერთ ღვთის ნასახ დაეკირათ,	(9)
სახედარიიეთ(ა) ხმარობდეს.	(9)
ზედა სხდებოღეს!	(5)
რო დამინახეს, მეც შემატყვეს,	(9)
რომ ღვთის ნასახიო.	(7)
შამამეხვია ქაქთ ლაშქარი	(9)
თეთრსა მთის ქორსა თერგვაულსა“... ³⁰	(9)

მორიგის კარიდან წამოსული ღვთისნასახი ქაქების ხელმწიფეს შეგებრძოლება და დაამარცხებს. წმ. გიორგის მონაწილეობა არც ამ ბრძოლაში ჩანს. თვითონ თერგვაულის გიორგისთან გათანაბრება ქაქებთან ბრძოლის მოტივით შეუძლებელია, რადგან ქაქებს არამითოლოგიური გმირებიც ებრძვიან და ზატსალოცავი არა აქვთ. ღვთაებრივი წარმომავლობის პირველი ნიშანი მის სახელობის სალოცავის არსებობაა.

ამის შემდეგ კვითხოთ, მართლა რედაქტორ-გამომცემელმა მიიჩნია თერგვაული დამოუკიდებელ მითოლოგიურ პერსონაჟად, თუ ასეთი გაგება ტრადიციულად მიმდინარეობს და მისი სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანა მოხდა ასე გვიან? მოუესმინოთ ლექსის პირველ და, სამწუხაროდ, უკანასკნელ ფიქსატორს: „ეს თერგაული“: აქამდის არა ჩანდა, ანდრეზი (ანდერძი) კი იყრ,

²⁹ ქართული ხალხური პოეზია, I, გვ. 127—128.

³⁰ იქვე, გვ. 300; H—2025, გვ. 48.

³¹ ხელნაწერში „ე“-ნი თ. რაზიკაშვილს წაუშლია.

რომ უწინ ძრეელი სალოცავი ყოფილა... ის ხატი ეხლა გამოცხადდა. იმ ხატს ოთხი ქადაგი ჰყავს“. ასეთ განმარტებას იძლეოდა 1891 წელს ფშავ-ხევსურული ტრადიციის უბაღლო მკოდნე და შემკრები თედო რაზიკაშვილი. ცხადია, სხვა ლეთიშვილთა მსგავსად თერგვაულს საკუთარი ხატი ჰქონდა, მაგრამ ღრთთა განმავლობაში მივიწყებულ იქნა ისე, როგორც არაერთი ძველი სალოცავია გაუჩინარებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. განსაკუთრებით კი ბარში ან საზღვრისპირა კუთხეებში.

საღარიბთერგვაულის სალოცავი? წიგნში დაბეჯითებითა ნათქვამი: „ერთ-ერთი ძველი ხატი. დევებთან მებრძოლი, სოფ. კისტნის მახლობლად (პირიქით ხევსურეთი)“³². ცნობა, სხვათა შორის, ემყარება რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის 1972 წლის სამეცნიერო ექსპედიციის მასალებსაც, ხევსურეთში შეკრებილს დოკ. დავით გოგოჭორის ხელმძღვანელობით. „ლეთიშვილთა დაბადების“ გამოქვეყნებამ შრობიერი კუთხის წარსულით დაინტერესებულთა შორის ძველა ცნობების შემოწმების კეთილშობილური სურვილი აღძრა. აი, რას გვიამბობს ხევსური პედაგოგი გ. ლიქოკელი: „როგორც ფორმით, ისე შინაარსით მეტად თავისებური და საინტერესო ქადაგობაა „ლეთიშვილთა დაბადება“... ბაბო ოჩონაური (მთქმელი) ლიქოკელიდან იყო, სოფელ აქედან. თურმე ბაჩანასთან სწავლობდა ბარისახოში. სწორედ აქ მთავარ მოქმედ გმირად გვევლინება ლეთისშვილი თერგვაული „მთის თეთრი ქორი“, რომლის სახელიც ბევრმა ახლა გავიგონეთ, რადგან ასეთი სალოცავი თითქმის დღეს აღარ იხსენიება... ეძებნენ და ვიპოვე კაცო, სახელდობრ დუშეთში მცხოვრები შატილელი ხევსური ბაძია მამულას ძე კინჭარაული, რომელმაც გადმომცა, რომ თერგვაულს აღიდებდა პირიქითა ხეობის, კერძოდ კისტნის „ნახარელაურის“ ხუცესი, როგორც გულანის ჯვრის მოძმეს და იქვე კისტნისა თუ მის მოპირდაპირე სოფელ ქეჭყეთის მთაზე უნდა არსებობდესო. მისმა უქულოთ დატოვებამ და ადგილის დასახელებამ („ქულსაქლელანი“) ისევ კისტანში მიგვიყვანა. სწორედ ქულსაქლელანიც იქვეა, სოფლის ნაპირს. აი დასტურიც:

ქულსაქლელაში მოკვიდეს ცხენს ლაშ-ღართხმულნი, ტილნი,
თოფ-სითანიც მიიხვნეს, ბუჩა მიიღეს ტილი,³³—

ამბობს მეკობრე გარა თურმანაული, როცა შატილიდან გამობრუნებულს ხევსურთა ლაშქარი კისტანთან წამოეწია. თოფი „ბუჩაც“ ხომ გურთოლებს ჰქონდათ იმთავითვე. ამრიგად, თერგვაული პირიქით ხევსურთა სალოცავი ანგელოზია. ჭერჭერობით მისი საბრძანებლის ზუსტად განსაზღვრა ვერ შეეძელი, რისი მიგნების იმედიც მაქვს“. ჩვენ ამაზე არ შეზნებულვართ. რაკი კვალი მიგნებული იყო, შემოწმება ვცადეთ. ამ მიზნით, ნოდარ შამანაძესთან და დავით გოგოჭორთან ერთად, 1973 წ. 26 ოქტომბერს ბაძია კინჭარაულს ვეწვიეთ დუშეთში. იგი აღმოჩნდა სრულიად თანამედროვე, განათლებული და გათვითცნობიერებული საბჭოთა მუშაკი. ერკვევა ხევსურეთის ყოფასა და ისტორიაში, იცის ტრადიციული წეს-ჩვეუ-

³² ქართული ხალხური პოეზია, I, გვ. 379.

³³ ა. შანაძე, ხალხური პოეზია, I, 1931, გვ. 60.

ლებანი და სრული შეგნებით ეპყრობა ყოველგვარ ცნობას. ესაუბრობდი თვისუფლად, ჩაკიბხვა-ჩაგონებისა და თხოვნის გარეშე, რაც ზოგჯერ თან ახლავს ეთნოგრაფიული და ფოლკლორისტული ცნობების შეკრებას. საუბრის დასასრულს ბაძია ჭინჭარაულმა ნათქვამის შესაჯამებლად საკუთარი ხელით შემდეგი დაწერა: „სოფელ კისტანში, ხატობის დროს კისტნის სალოცავში, მე, ბაძია მამულას ძე ჭინჭარაულს, კისტნის ჭვრის ბუცესის თათარა ბეჟანას ძე ჭინჭარაულის ქადაგობისა და ხუცობის დროს, ათენგენობის დღეობაში, რომელიც მძირთება ავეისტოს თვეში, მომისენია ხატის სალოცავთა შორის: „თეთრო მისი ქორა თერგვაულო“. ეს სალოცავი და ამ ხატის აღვილ-სამყოფელი იყო კისტანის ჭვრის მაღლა მთაზე, რასაც ლოცულობდნენ ჩვენი წინაპარი ათენგენობის მეორე დღეს დღის საათებში და იქ ხატობას ეძახდნენ მთობას“. ხევესურმა ინფორმატორმა ხატში მომსვლელი სოფლების სახელებიც დააზუსტა. „ძირითადად მოდიოდნენ სალოცავად სოფელ ლეზაისკარიდან, კისტანიდან, გუროდან, გიორგიწმინდიდან და შატილიდან. ამასთან შესაბამისი სოფლებიდან ხევესურეთის სხვადასხვა სოფლებში გათხოვილი ქალები და მათი შეილებიც მოდიოდნენ ამ სალოცავში ხატობის დროს ისე, როგორც მამულ (ქალების) და დედულთ სალოცავში“. ბოლოს ისიც გამოიჩვენა, რომ ბ. ჭინჭარაული თვითონაა მონაწილე კისტნის მთაზე კულტმსახურებისა. „აღნიშნულის მოწმე მე თვათონ ვარ, რადგან, მშობლებთან ერთად, მეც მიმიღია მონაწილეობა და ვყოფილვარ კისტნის ჭვარში და მობობას ათენგენობის ხატობაში“. ასეთია ხატობის თვითმზილველისა და თერგვაულის სახელის მცოდნის დასტური. ეტყობა, თერგვაულის ხატის ძიება უძნებლო არაა, მხოლოდ საჭიროა მონდომება და წინასწარ აკვირებულ მოსაზრებათა უკუგდება.

1974 წლის 15—30 ივლისს პირიქით ხევესურეთში ჩატარებულმა ექსპედიციამ (ე. მაცაბერიძე, დ. გოგოჭური, ე. მგელიაფილი, მ. ჩიქოვანი) აღვილზე დაადასტურა ბაძია ჭინჭარაულის ცნობების სისწორე. აქ შეიძლება ორიოდე სიტყვით გადმოიცეს წინასწარი შედეგები თერგვაულის საკიბხზე. სოფ. კისტანსა და მის მიმდგომ დასოფლარებს (ვეყყეთ, ლეზაისკარი, გურო) ახლა სამი მოქმედი ხატი ჰყავთ. ესენია: ნახარელა, ღვთისმშობელი და თერგვაული. პირველი სოფ. კისტანთან არის პირიქითი არაგვის მარცხენა ნაპირას, სამანქანო გზის ყელზე; მეორე, კისტანიდან 1 კმ დაშორებულ ხევეში, იმ მთის ძირას, რომელზეც კისტნის ციხეები დგას, ხოლო მესამე აღნიშნულ ციხეთა საპირისპირო, დათვისისაკენ მდებარე, ხატის ტყის ზემოთ ალპურ ზონაშია. ამჟამად თერგვაულის ხატში ერთი ნიში დგას, ზარი 1971 წელს მოუპარავთ. მთობა ანუ თერგვაულის ხატობა 1973 წლის ივლისშიც გამართულა. თერგვაულის ხატს საკუთარი მხოლოდ მედროშე და მეზარე ჰყავს, დანარჩენი პერსონალი საერთოა ორ სხვა სალოცავთან (მთქმელები ჭინჭარაული გიორგი შარომას ძე, დასტური; ჭინჭარაული გიორგი გამახელას ძე, დასტური, კისტნელები. ჭინჭარაული გაბრიელ შარომას ძე, ს. ვეყყეთ; მელექსე; ჭინჭარაული ნიკო გიორგის ძე, კისტანი). ნახარელა-ღვთისმშობელი-თერგვაული პირაქეთ ხევესურეთის ცნობილ გულან-ხახმატ-სანჯს მოძმე ხატებად ითვლებიან. როგორც გულანში იხსენიება „საღვთო ბერი ბაადური“. ისე მოიხსენიება პირიქითში ათენგენობას „თეთრი მთის ქორა თერგვაული“. ამგვარად, დავასკვნათ: თერგვაულის საბრძანისი მიგნებულია და ახლა მისი ისტორიულ-მითოლოგიური სახის შესწავლა უნდა გაგრძელდეს.

თერგვაულის საბრძანისის დადგენასთან ერთად მისი სახელის მომაჯნავე ტერმინებისა და სახელების მოძებნაა საჭირო. ერთი მსგავსი სახელი ინკუშურ ზეპირსიტყვიერებაში აღმოჩნდა „თერგალის“ სახით. ადგილობრივთა მიერ იგი წინაპარდ არის მიჩნეული და ტრადიციული გადმოცემებაც არსებობს. ერთი გადმოცემა ხელთა გვაქვს თელავის პედინსტიტუტის თანამშრომლის გიორგი ჭავჭავაძის მოწოდებული. იქნებ ზედმეტი არ იყოს თქმულების ციტირება, რაი გამოქვეყნებული არ ყოფილა. „თვით ქისტი ხალხი პირველად როგორ გავრცელდა კავკასიონის მთებში, ამაზედ არის ერთი საუცხოო მოკლე თქმულება ხალხში. ყოფილა მეკობრეთა ერთი ბელადი თერგალი, რომელიც ძალიან აწუხებდა იქაურ მცხოვრებლებს. შეწუხებულ ხალხს ერთხელ გადაუწყვეტია, როგორმე მოეშორებინა მტერი. თერგალს სცოდნია ერთი თვით ძოლი: ხალხმა მოახელა თერგალი მძინარი, მოკვლა ვერ გაუბნია, მისისხლეობის შიშით; მძინარე ჩააწვინეს საკაცეში, წამოიღეს დარუბანდისაკენ და იქ, კავკასიონის ერთ შევარდნილ ხეობაში დააწვინეს, თან დაუტოვეს ცოტა საგნალი და თავის იარაღი. გაანებეს იქ თავი. თერგალს თავის დროზე გამოეღვიძა, ვერ გაარკვია სად იყო, ჰამა პური, ავიდა მალა მთაზე, გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ ვერაფერი გაიგო თავისი ბედისა. თერგალმა ერთ მოხერხებულ ადგილს დაიდო ბინა, ნადირობით ცხოვრობდა, ცოლიც მალე გაიჩინა. ეყოლა ორი ვაჟიშვილი. უფროსი ვაჟიშვილი რომ დაეზადა, მას ხელში ხის პატარა ტოტი მისცა და სახელი ამ ტოტისა უწოდა. ხის ტოტი ქისტურად „ლა“, აქედან „ლა-ლა“ — „ლალა“. მეორე ვაჟი რომ დაეზადა, ყველის ნაჭერი ეკავა. მთლად დათესა ჰავადა. სახელად ზოგმა ყველის ნაჭერი უწოდა, ზოგმა დათვი. ქისტურად ყველი „ნაჩხ“, აქედან — „ნოჩხ“; დათვი ქისტურად — „ჩა“, აქედან — „ჩაჩანი“. ამ ორი ძმისაგან წარმოიშვა კავკასიის მთის ხალხი: ჩაჩანი-ნოჩხი, ლალა, ინგუში, ქართულად ლლიღვი, ლლიღვ-ღეკები; ქერისტი-ქისტი და სხვა. თერგალი სიბერის დროს თერგის წყალში დაიხრჩო და წყალს სახელი უწოდეს „თერგი“. გამრავლდა ხალხი, აქეთ-იქით გაიწვამოიწია, ზოგი დაბლა ველად ჩამოვიდა, ზოგან ადგილმა მიიღო ხალხის სახელი, ზოგმა ხალხმა კი ადგილის სახელი. დაბლა ველად ჩაჩანი, ნოჩხი, ინგუსლადლას მეთაურობით გაკეთდა სოფელი ინგუშეთი, სოფელი ზაუგი, ნაზრანი. პირაქეთღვისი. ჯოყოლიც ხომ ასეა დაარსებული პანკისის ხეობაზე — დუისა და ჯოყოლას მეთაურობით“. გადმოცემა ამოღებულია ხელნაწერიდან, რომლის ავტორია მათე ომანის ძე ალბუთაშვილი (1863—1953), მოღვაწეობდა პანკისის ხეობაში (იყო ჯოყოლოს სკოლის მასწავლებელი) და თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიაში“ „ქისტი ჩოხანის“ ფსევდონიმით („პანკისის ხეობა (თიანეთის მაზრა) ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა და მცხოვრებთა ეთნოგრაფიული ნარკვევი“. ნაშრომი ინახება გიორგი ჭავჭავაძისთან). ამ თქმულებას უშუალო კავშირი არა აქვს თერგვაულის ხეობურულ კულტთან, მაგრამ საგულისხმოდ თავისი ეტიმოლოგიებითა და გენეალოგიით. მასში ლაპარაკია თერგ ჰიდრონიმზე, რაც მნიშვნელოვანია თერგვაულ-თერგაულ-თერგ-თარგამოსის ივალსაზრისით.

„თერგვაულს გამოკვლევაში მ. ჩიქოვანი „თერგს“ და „თარგამოს“-ს უკავშირებს, ამიტომ ხელის შემშლელი „ვ“ ამოაქვს სიტყვიდან და „თერგაულ“-ს წერსო“, — ვკითხულობთ „ლიტერატურულ საქართველოში“. მასსადაამე, „თერგაული“ გამოგონილი ფორმა ყოფილა „თერგ“-თან ეტიმოლოგიური შე-

პირისპირების გასამართლებლად. იძულებული ვართ აქაც საბას გამონათქვამი გავისწავლოთ! ჩვენ ამგვარი ოპერაციის ჩატარება არ დაგვეჩივებია, რადგან „თერგაულ“ ფორმით ხატის სახელი ხევესურეთიდან მიღებულ წერილშიცა მოხსენიებულია³⁴. ამავე დროს თ. რაზიკაშვილის ხელნაწერში ერთ ადგილას სახელ „თერგაულში“ ვ-ინი წაშლილი არის (H—2025). ნაქადაგარის გამოცემისას ეცილობდით დედნიეული წაკითხვები დაგვეცვა, თუნდაც ერთი და იგივე ფორმა განსხვავებული სახით ყოფილიყო მოცემული ტექსტში. თ. რაზიკაშვილისეულ დედანში ზოგი სიტყვა მართლაც სხვადასხვანაირად სწერია მაგალითად, „მისცა“ და „მისცნა“, „ჩააცვა“ და „ჩააცვნა“, „მემრა“, „მემრე“ და „მერე“, „ლთის“ და „ლეთის“³⁵ და ა. შ. ეს დედნის თვისებაა, რაც აკადემიურ გამოცემაში შესანარჩუნებელია, ვით პირველი, ყველასთვის ხელმისაწვდომი პუბლიკაცია. ჩვენ არ ვეწვიეთ ფოლკლორული ტექსტის არქაიზაციას ან მოდერნიზაციას. ტექსტი იმ სახით გვავინტერესებს, როგორადაც მთქმელის ხელიდან გამოვიდა. როცა „თერგაულის“ გვერდით „თერგაული“ შენიშვნეს მაშინვე „ვ“-ს დაუწყვეს ძებნა შენიშვნებში მოთავსებული ფრაგმენტების ანგარიშის გაუწყველად. აი ასეთი, და მრავალი სხვა მოსალოდნელი პრეტენზიის თავიდან ასაცილებლად სჭობს აკადემიურ გამოცემაში დედნიეული ენა შევინარჩუნოთ და ყოველგვარი სუბიექტური ვარჯიში აღკვეთოთ (შდრ. „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტების ხუთტომიანი გამოცემა). საბჭოთა ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი პროფ. ვლ. პროპი მოუხრიდებლად წერდა: „Наборот, обработка особенностей словоизменения, словообразования и пр. недопустима. Вмешательство редактора в этих случаях представляло бы собой уже не только языковую, но и литературную правку и обработку. В большинстве случаев так называемая „литературная обработка“ должна квалифицироваться как варварство, если речь идет об издании памятников народного творчества“³⁶.

ქართული ხალხური ჰიმნოგრაფია პრობლემურ შესწავლას საჭიროებს. ბუნებრივად, პირველ რიგში პოეტური ტექსტების გამოყოფას ამოცანა დაისვა, ახლო მომავალში კი მას სხვა ხასიათის გამოკვლევები უნდა დაემატოს.

³⁴ ქართული ხალხური პოეზია, 1, გვ. 299.

³⁵ იქვე, გვ. 127—128, 298.

³⁶ В. Пропп, Текстологическое редактирование записей фольклора. Русский фольклор, I, 1956, гв. 205.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტმა)

ნ ა ნ ი შ ა ჯ ა ჯ

ენისიმეს ცხოვრების ქართული ვერსია

ეგვიპტელი წმინდანი ქალის, ნისიმეს ცხოვრების ქართული ვერსია შემონახულია მრავალი ნუსხით; 17 ხელნაწერი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში¹, 2 კი ბოდლესის ბიბლიოთეკაში, უორდრობისეულ ხელნაწერთა ფონდში². კ. კეკელიძემ 1911 წელს კიევის სასულიერო აკადემიის შრომებში გამოაქვეყნა გამოკვლევა ქართული ვერსიის შესახებ³; ქართული ტექსტი მანვე გამოსცა „კიმენის“ I ტომში 1915 წელს ორი ხელნაწერის მიხედვით⁴. გამოკვლევაში კ. კეკელიძეს შესწავლილი აქვს ნისიმეს ცხოვრების შემკველი თბილისის საეკლესიო მუზეუმის 7 ხელნაწერი, რომელსაც იგი სამ რედაქციად ყოფს: A რედაქცია: № 249; B რედაქცია: №№ 146, 161, 653; C რედაქცია: №№ 382, 518⁵.

ჩვენ შევისწავლეთ ამ თხზულების კიდევ 12 ნუსხა. მათი შედარების შედეგად გაირკვა, რომ კ. კეკელიძის მიერ რედაქციებად დაყოფას ეპყვებდებარება ყველა ხელნაწერი. გაირკვა ისიც, რომ მათში წარმოდგენილი ტექსტი ერთგვარი შედგენილობის არაა.

ჩვენ ადრე აღვნიშნეთ, რომ თხზულების როგორც ქართული, ასევე ეცხოვრი ვერსიების შედარებამ აუცილებელი გახადა ტექსტის დაყოფა სამ ნაწილად: 1. ნისიმეს ცხოვრება მონასტერში მისვლამდე, 2. ნისიმეს ცხოვრება მონასტერში, 3. ცნობა წმინდანის შესახებ მონასტრიდან მისი წასვლის შემდეგ⁶.

ჩვენ ხელთ არსებულ ხელნაწერთაგან 10 შეიცავს თხზულების სამივე ნაწილს: A—249, A—146, A—382, A—126, A—518, A—161, H—2281. S—134. A—1050. Ward. e—17, 7 ხელნაწერი — I II ნაწილებს: S—139,

¹ A—249, A—146, A—382, A—126, A—518, A—161, A—643, A—851, A—300, A—1050, H—2281, H—286, H—947, H—1762. S—134, S—139, S—3640.

² B a r r e t D a v i d, Catalogue of the Wardrop collection and of other georgian Books and manuscripts in the Bodlean library, Oxford University Press, 1973, გვ. 341, Mss. Wardrop, e 1, e 2.

³ К. К е х е л и д з е, Эпизод из истории египетского монашества, Труды Киевской духовной Академии, 1911, февр., март. ეს გამოკვლევა შემდეგ გადაბეჭდილი იქნა კ. კეკელიძის „ეტიუდების“ მე-7 ტომში. გამოკვლევას დართული აქვს ქართული ტექსტის რუსული თარგმანი.

⁴ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კიმენი, თბილისი, 1915, გვ. 293—211, A—249, A—382.

⁵ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბილისი, 1961, ქ. 92.

⁶ ნ. წ ა ჯ ა ძ ე, „ნისიმეს ცხოვრების“ არაბული და ქართული ვერსიები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 3, გვ. 110.

⁷ ბოდლესის ბიბლიოთეკაში დაცული ნუსხა Ward. e-2; თანაკვლილია. „ნისიმეს ცხოვრებას“ ყელა I და II ნაწილები და II ნაწილის დასაწყისი, იგი იწყება წინადადებით: „შე წარილთა ზეაელთა წარვილი...“

H—286, H947, A—643, A—851, H—1762, S—3640, ერთი ხელნაწერი კი შეიცავს მხოლოდ II ნაწილს: A—300⁸. ყოველ მათგანს აქვს დამოუკიდებელი ნაწარმოების სახე.

ამ წერილში ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ იმ ხელნაწერთა ურთიერთმიმართება, რომლებშიც ტექსტი სრულადაა წარმოდგენილი.

ამ ნუსხათა ერთი ნაწილი თ. უორდანიას მიერაა დათარიღებული⁹: A—249, IX ს.¹⁰; A—146, XIV ს.; A—382, XV ს.; დანარჩენი თარიღიანია. A—126, 1586 წ.; A—161; 1738 წ.; A—518 1708 წ.; H—2281 1793 წ.; Wardr. e—2 1784 წ.; A—1050, 1801 წ.

კ. კეკელიძის მიერ შესწავლილ ხელნაწერთაგან სრულ ტექსტს შეიცავს ექვსი. ჩვენ მიერ დამატებით შესწავლილი სრული ტექსტის შემცველი ოთხივე ხელნაწერი B რედაქციისაა (A161, H—2281, Wardr. e—2 და A—1050). ე. ი. A რედაქციას წარმოადგენს: ხელნ. A—249; B რედაქციისაა — ხელნაწ. A—146, A—126, A—161, H—2281, Wardr. e—2 და A—1050; C რედაქციას წარმოადგენს: A—382, და A—518.

რედაქციათა ურთიერთმიმართების გარკვევისას ჩვენ, გარდა ქართულ ხელნაწერების ჩვენებებს, ესარგებლობდით არაბული ვერსიის მონაცემებით, რომელიც მიგვაჩნია ქართული ვერსიის დღენად¹¹.

ჩატარებული მუშაობის შედეგად ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ქართული ვერსიის ეს საში რედაქცია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოდის ერთი არქეტის სხვადასხვა ხელნაწერიდან, რომლებიც ჩვენ ხელთ არა გვაქვს და შეიძლება მათ ჩვენამდე არც მოუღწევიათ. ამ ვარაუდის საფუძველი მოგვცა ქვემოთ ჩამოთვლილმა შედეგებმა: 1. ზოგჯერ A რედაქციის წაკითხვები ემთხვევა B რედაქციის წაკითხვებს და განსხვავდება C რედაქციისაგან. 2. ზოგჯერ A რედაქციის წაკითხვები ემთხვევა C რედაქციის წაკითხვებს და განსხვავდება B რედაქციისაგან. 3. არის შემთხვევები, როცა სამივე რედაქციის ჩვენებები განსხვავებულია. 4. განსხვავებული ადგილებიდან ხშირ შემთხვევაში ერთ-ერთი ემთხვევა არაბულ ვერსიას, ან აიხსნება არაბულიდან არასწორი თარგმანით. ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ აღვედგინა იმ არქეტის სავარაუდო ტექსტი, რომელიც მთარგმნელის ხელიდან გამოვიდა და შემდგომ გაფორმდა სამ რედაქციად.

მოყვანილი მაგალითებით შევეცდებით დავასაბუთოთ ჩვენი მოსაზრება და ზოგ შემთხვევაში დავადგინოთ, რომელი წაკითხვა უნდა ყოფილიყო თავდაპირველ ტექსტში¹².

⁸ კ. ელენაოპოლის „ლავსიკონში“ მოცემული მოთხრობა წმინდა ნისიმეს მონასტრის ცხოვრების შესახებ რედაქციულად განსხვავებულია A—300-ისაგან და სხვა ხელნაწერებისაგან.

⁹ Ф. Ж о р д а н и я, Описание рукописей Тифлисского церковного музея, 1902, гл. 261, гл. 153, гл. 374, гл. 143.

¹⁰ ამ ხელნაწერს კ. კეკელიძე ათარიღებს X ს. ბოლოთ: ეტიულები, VII, 1961, გვ. 92.

¹¹ იხ. მაკენ, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 3, გვ. 108—121.

¹² არაბული და ქართული ვერსიების პარალელურად შევისწავლეთ სირიული ვერსია მოკლე და ვრცელი რედაქცია. შევეუდარეთ იგი არაბულ და ქართულ ვერსიებს. ხშირ შემთხვევაში სირიული მხარს უჭერს არაბულს; არაბულისაგან განსხვავებული სირიული ტექსტი კი ქართულს ამითხვევია. ამდენად, სირიული ვერსიის უშუალო კავშირი ქართულ ვერსიასთან, ჩვენის აზრით, გამორიცხებულია.

1. მაგალითები, სადაც A და B რედაქციები ერთნაირია და განსხვავდება C რედაქციისაგან:

1. ზოგჯერ შეუძლებელი ჩანს თავდაპირველი ტექსტის აღდგენა რადგან:

a. A, B და C რედაქციის განსხვავებულ წაკითხვათაგან ორივე შეიძლება უფილიყო არქეტიპში, ე. ი. არაბულიდან უშუალოდ თარგმნის დროს მთარგმნელს შეეძლო ეხმარა როგორც ერთი, ისე მეორე გამოთქმა.

ა. AB უმეტეს, C უფროს. არაბ. *افضل من* უკეთესი.

ბ. AB ოდესმე აიღის კოკაჲ. C ოდესმე აიღის ჩაფი. არაბ. *وكانت ربما* და ზოგჯერ მიჰქონდა წყლის დოქი.

გ. AB ერთიდა სხუაჲ არს ენებელი სამაგიროსა, C ერთი ზოლო არსლა ენებელი სამაგიროსა. არაბ. *ها هنا واحدة حمقاء في المطبخ* აქ არის ერთი სულელი სამზარეულოში.

დ. AB იქმნა ხილვაჲ მისა მსგავსად ალისა ცეცხლისაჲ. C იქმნა ხილვაჲ მისი, ვითარცა ალი ცეცხლისაჲ. არაბ. *شبه لبيب النار* ანაზ ვისაჲ სასე მისი მსგავსი ცეცხლის ალისა.

b. AB და C რედაქციის წაკითხვები განსხვავებულია არაბული ვერსიის შესატყვისი წინადადებისაგან. ეს შეიძლება აიხსნას ან თარგმანის ცთომილებით, ან მთარგმნელის თვითნებობით:

ა. AB ვიძიებდე სულისასა. C ვიძიებდე სულისა ცხორებასა წარუვალსა. არაბ. *لاني اطلب الخلاص* — რომ მე ვეძიო ხსნა.

ბ. AB ვითარცა ეზიარა ეანსა, გამოვიდა და წარვიდა. C ვითარცა ეზიარა, წარვიდა. არაბ. *فصلت ثم انصرفت* — და ილოცა შემდეგ წავიდა.

გ. AB ძოვს მწუანესა, განძღების. C ძოვს მწუანეილთაგან, განძღების. არაბ. *يدوس العشب ولا يشع* — თელავს ბალახს და არ ძღება.

დ. AB მიეიწიენით კარსა; ვითარცა განვიდოდა, თქუა ბერმან წმიდამან. C მიეიწიენით კარსა ქალაქისასა, ვითარცა განვიდოდა კარსა, მრქუა მე. არაბ. *يا ارحمنا* მივალწიეთ გარე კარს, თქვა ბერმა.

ე. AB რომელი მომკუდარ იყუნეს სოფლისაგან, არამედ სულნი მათნი ცხოველ წინაშე ღეთისა. C რომელი მომკუდარ იყუნეს სოფლისაგან, ზოლო სულნი მათნი ცხოველ იყუნეს წინაშე ღეთისა. არაბ. *يا ارحمنا* არამედ ქეშმარიტად მოკვდა უკვე მათი სული ქვეყნად და გააცოცხლეს იგი ღეთისათვის.

C. ქართული ვერსიის AB და C რედაქციების ფრაზებს შესატყვისი არ ექვნებათ არაბულ ვერსიაში. ეს მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ, თუმცა ქართული ვერსია წარმოდგენს არაბულის უმთავრესად სიტყვასიტყვით თარგმანს, ზოგჯერ საქმე გვაქვს თავისუფალ თარგმანთან. ამ დროს კი ხდება მთარგმნელისეული, ან რედაქტორისეული სიტყვების ჩამატება ტექსტში. ან არაბული ტექსტის არასწორი ინტერპრეტირება. არაბულ ვერსიასთან შედარებით ზედმეტი სიტყვები და ფრაზები, ჩვენი აზრით, იქნებოდა არქეტიპშიც.

ა. AB რაჟამს მოკუდდე, C ოდეს მოკუდდე.

ბ. AB არა დაიტევა მისგან ერთიცა საქმარად თავისა თვისისა. C არა დაიტევა მისგანი ერთიცა თავისა თვისისა საქმარი, არამედ განაბნია და მისცა იგი გლახაკთა მცნებისაებრ უფლისა.

გ. AB ზ სიმენესა შუქნიერისა დედაკაცისასა.

დ. AB ჰაერისაგან ლამისა. C ჰაერისაგან ნეფხვისა ლამისა.

ე. AB მუნთქუესვე შემდგომად ზიარებისა. C ვითარცა ეზიარა.

2. მაგალითები, როცა AB რედაქცია ემთხვევა არაბულ ვერსიას, C რედაქცია კი განსხვავებულია მისგან. ამ შემთხვევაში არქეტიპის სავარაუდო ალდგენილ ტექსტში ჩვენ შეგვაქვს AB რედაქციათა ჩვენება.

ა. AB და კედელნი გამოწერილნი ხითა დანაკის კულისაჲთა. C დაჰკიდულნი და გამოწერილნი ხითა დანაკის კულდვანითა. არაბ. **و كانت جدران الخلد بالحشب النخل** — და იყო კედლები მისი მონატული ფინიკის ხის ფიცრებით.

სხვაობა გრაფიკული ხასიათის შეცდომის გამოა შექმნილი: „და კედელი“ — „დაჰკიდულნი“.

ბ. AB დღეთა მისთა სიგრძესა. C ყოველთა დღეთა მოუწყინებელად. არაბ. **طول أياما** — სიგრძე მისი დღეებისა.

AB რედაქციის „დღეთა მისთა სიგრძესა“ არის არაბული **طول أياما**-ს სიტყვასიტყვით თარგმანი. C რედაქციის „ყოველთა დღეთა მოუწყინებელად“ კი არის განმარტება AB რედაქციის ფრაზისა. ჩვენი აზრით, თავდაპირველ ტექსტში იქნებოდა AB რედაქციის წაკითხვა.

გ. AB ინება ღმერთმან, გარდაიცვალნეს მშობელნი მისნი. C ენება ღმერთსა გარდაცვალნა მშობელნი მისნი. არაბ. **احب الله حتى توفي والدنيا** ისურვა ღმერთმა, რომ გარდაიცვალნენ მშობელნი მისნი.

AB რედაქციისა და არაბული ვერსიის მიხედვით, „გარდაიცვალნენ მშობელნი მისნი“. C რედაქციაში კი „ღმერთმა გარდაცვალნა“ ისინი.

დ. AB ქრისტე ხოლო მარტოდ. C ქრისტე მარადის მცველად. არაბ. **المسيح وحده** — ქრისტე მხოლოდ.

ე. AB სიცხისაგან მზისა, C შეჰრაცხისაგან მზისა. არაბ. **حر الشمس** — სიცხე მზისა.

განსხვავება AB და C რედაქციას შორის გრაფიკულ ნიადაგზეა შექმნილი.

ვ. AB რაჟამს ეწია მას ჰაერი მძიმე. C რაჟამს ეცა მას სიმძაფრე ჰაერისაჲ. არაბ. **فلما لحق السوم** — როცა მიეწია მას სამუმი.

არაბული **لحق** — ნიშნავს: „მიეწია, მოუსწრო. მოუხდა“, როგორც არის AB რედაქციაში. „ეწია“ და „ეცა“ შეიძლება არეული იყოს გრაფიკულად: **ჴოჴ** და **ჴეჴ**. გარდა ამისა, არაბული **سوم** ცნელი ქარი — უფრო უახლოვდება AB რედაქციის წაკითხვას, ვიდრე C რედაქციის „სიმძაფრე ჰაერისაჲ“.

ზ. AB. არამედ მე შევიწყნარო ესე ღმრთისათჳს და შევიყვანო ერთსა სენაკსა, რომელ არს კარსა თანა. C არამედ მე შევიყვანო ესე ღმრთისათჳს და შევაყენო ერთსა სენაკსა, რომელ არს კარსა თანა. არაბ. **ولكني ارحمًا منجل** და **و ادخلها و اربطها في بعض هذه البيوت الذي على الباب** — და დავაბამ მას ერთ იმ სენაკში, რომელიც კართანა.

AB რედაქცია და არაბული ვერსია თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს. C რედაქციის „შეიყვანო“ „შეიწყალო“-ს ნაცვლად და „შეიყვანო“ — „შეიყვანოს“ ნაცვლად გადამწერის შეცდომა უნდა იყოს.

თ. AB სახელითა მის მხოლოდსათა. C სახელითა მის ქრისტესითა არაბ. باسم الرب — ერთადერთის სახელით.

AB რედაქციაში, არაბული ვერსიის მსგავსად, ქრისტე მოხსენებულია მისი ერთ-ერთი ეპითეტით. C რედაქციაში კი შესაბამისად გვაქვს „ქრისტე“.

ი. AB რაათა იყოს ჩემდა სარგებელ წინაშე მისსა. C და სარგებელ ყოს იგი უფალმან ჩემთვის წინაშე მისსა. არაბ. ليكون لي اجر كما — რომ იყოს ჩემთვის საზღაური მის წინაშე.

კ. AB რომელი ამალდა ძელსა ზედა. C რომელი ამალდა ჭუარსა ზედა ნეთსით. არაბ. الذي ارتفع على العود — რომელიც ამალდა ძელზე. არაბული წავს AB რედაქციაში მისი პირდაპირი ლექსიკური მნიშვნელობითაა მოცემული. C რედაქციაში კი არის „ჭუარი“, რომელიც არაბულ ვერსიასა და AB რედაქციებში (ავ—ძელი) იგულისხმება.

ლ. AB. ხოლო მას არა უნდა სხუასა ადგილსა შესლვის. C ხოლო მას არა ენება სხუასა სახლსა შესლვა. არაბ. لم يوا دخوا موضع اخر — მას არ სურდა შესვლა სხვა ადგილას.

არაბული موضع — ნიშნავს „ადგილს“, რაც არის AB რედაქციის შესატყვის ფრაზაში. C რედაქციაში კი არის მის ნაცვლად „სახლი“.

მ. AB რაათა ეცნა მიზეზი რა საფასისათვის თქუა რომელი წარწყმიდა. C რაათა ეცნა ზედამიწევნით რა არა ქორციელისა საფასისა თქუა წარწყმედა. არაბ. ان اعرف و ما هو الكنز الذي اهلك — რომ გავიგო, რაა ის განძი, რომელიც დაღუპა.

არაბულ ვერსიას სიტყვასიტყვით ემთხვევა AB რედაქცია. C რედაქციის განსხვავება გრაფიკულ ნიადგაზეა წარმოშობილი. ქარაგმით დაწერილი რაა რა (რაათა რა) გადამწერმა გაიგო როგორც რა არა (რამეთუ არა). ამან გამოიწვია „ქორციელისა“ სიტყვის ჩამატება.

ზოგჯერ AB რედაქციისა და არაბული ვერსიის ფრაზები ერთნაირად მოვლენ. C რედაქცია კი ვრცელი:

ა. AB არად შერაცხა სიტყუაჲ მათი. C არარად შერაცხა სიტყუაჲ მათი კათა სათნობისაჲ. არაბ. ما كانا من تعادكم — არად ჩათვალა მათი სიტყვები.

ბ. AB ცათა შინა. C ცათა შინა და ცხორებდა საუქუნო. არაბ. في سما — ცაში.

გ. AB მაშინ ნეტარმან ნისიმა. C მაშინ სამგზის ნეტარებით შემეკულმა ნისიმემ. არაბ. ان انسيمه الطوبانيه — რომ ნეტარმა ანისიმა.

დ. AB ვილოცავ რაათა მეცა ვიქმნე მსგავს ამისა რჩეულისა. C ვილოცე წინაშე ღმრთისა რაათამეცა ვიქმნა მსგავს ამისა ცოფისა წინაშე თქუენსა, ხოლო ფრიად გონიერისა წინაშე ღმრთისა, რამეთუ ამისთვის მოვივლინე ღმრთისა მიერ აქა, რაათა ვიკურთხო ამის მიერ. არაბ. وان اطلب من الله ان يكون مثلنا — ვითხოვ ღმრთისაგან, რომ ვიყო მისი მსგავსი.

ე. AB და მოვიკითხე იგი. C და მოვდერკ და თაყუანის-ვეც და მოვიკითხე მეცა. არაბ. سلمت عليه — მივესალმე მე მას.

ე. AB რამეთუ იყო ბერი ერთი შუენიერი და კურთხეული და ყოვლთურთ შემკული საქმითა კეთილითა. C რამეთუ იყო ბერი ერთი მადლით სულსაჲთა განშუშნებული და კითხული წიგნთა საღმრთოთა ფრიად, ყოვლითურთ შემკული საქმითა კეთილითა. არაბ. **صاحبه شيخ واحد مبارك مزين** — კერძოდ, ბერი ერთი კურთხეული, შემკული მრავალ კეთილი საქმით.

AB რედაქცია ზედმიწევნით ემთხვევა არაბულ ვერსიას. C რედაქციის შესაბამისი ფრაზა საერთოდ ვრცელია. ერთ-ერთი მიზეზი წინადადების გავრცობისა უნდა იყოს ქარაგმით დაწერილი სიტყვა „ქზლი“, რომელიც გადამწერმა წაიკითხა არა როგორც „კურთხეული“, არამედ „კითხული“. თანაც წინა წინადადებაში ლაბარაკია სწორედ წიგნებზე.

ზ. AB მოვართუ საქმარი მისი. C მოვართუ სიმინდაჲ იგი და ეკლესიით ზელაშე. არაბ. **جيتيه بحاجه** — მოუეტანე, რაც სჭირდებოდა.

AB რედაქციასა და არაბულ ვერსიაში არის **حاجه** — „საქმარი“. ხოლო C რედაქცია ასახელებს იმ საქმარს. რაც მოუტანა ბერს და რაც წინა ტექსტითაა ცნობილი.

თ. AB ვითარცა შევიდის ერთი მათგანი მოიკითხის ძმად. C ვითარცა შევიდის ერთი მათგანი ეკლესიად და ილოცის და მოიკითხის. არაბ. **وكلما قدم واحد منهم كان يسلم على اخيه** — და ყოველთვის, როცა წარდგებოდა ერთ მათგანი, მიესალმებოდა მის ძმას.

ი. AB მაშინ წარვიდა მეკარე იგი. C მაშინ წარვიდა ბერი იგი მეკარე. არაბ. **فذهبوا اخوات اليه** — და წაიღენ დები მისკენ.

ამ შემთხვევაში ქართული თარგმანის ცთომილება არაბულ ხელნაწერში, გრაფიკულ აღრევასთან არის დაკავშირებული: ან მთარგმნელმა **اخوات** — დები, წაიკითხა **البواب** — „მეკარე“; ან შეიძლება არაბული ნუსხის გადამწერმა მიიღო **اخوات**, **البواب**-დ და იმ ხელნაწერში, რომელიც იყო დედანი ქართული თარგმანისა. იყო **البواب**.

არის შემთხვევები, როცა AB რედაქცია და არაბული ვერსია ვრცელია C რედაქცია კი მოკლე.

ა. AB დავკმენით კარნი ეკლესიისანი გარენი და შინანი და დავკრძალენით. C დავკრძალენით კარნი ეკლესიისანი გარენი და შინანი. არაბ. **فدخلنا ابواب الكنيسة الخارجة والداخلة و نحررنا** — დავკრძეტთ კარები ეკლესიისა გასასვლელი და შესასვლელი და დავხურეთ.

ბ. AB მოვართუ მსწრაფლ საქმარი მისი, ვითარცა ჩუეულ იყო. C მოვარწიე რაჲ იგი უქმდა. არაბ. **و جيتيه بحاجه مثل العاده** — მოვართვი სახმარი, როგორც ჩუეულ იყო.

გ. AB ისმინე ჩემი, მ შვლო ჩემო. C ისმინე, შვლო. არაბ. **اسمع مني يا بني** — ისმინე ჩემი, ო, შეილო ჩემო.

ჩვენ მიერ აღდგენილ არქეტებში ზოგჯერ უპირატესობას მაშინაც ვაჩვენებთ AB რედაქციას, როცა ერთნაირი გრამატიკული ფორმებია არაბულსა და AB რედაქციაში.

ა. AB რაათამცა გამოაჩინა შუენიერებაჲ თვისი. C გამოჩინებად შუენიერებისა თვისისა. არაბ. **ان تظهر حسنًا** — რომ გამოეჩინა მშუენიერება მისი

რ. AB სულთითქუნა და ტიროდა და თქუა. C სულტჳმით იწყო ტირილად და იტყოდა. არაბ. **تهدت و بك و قال** — ამოიოხრა, ტიროდა და თქუა.

გ. AB მიხილა, რამეთუ შემეშინა. C მიხილა შეშინებული. არაბ. **اراني قد حزت** — მნახა, რომ შემეშინდა.

3. არის ისეთი მაგალითები, როცა არაბული ვერსია ემთხვევა C რედაქციას და განსხვავდება AB რედაქციისაგან. ამ შემთხვევაში ჩვენ აღდგენილ ტექსტში C რედაქციის ჩვენება შეგვაქვს.

ა. AB და მე ვარქუ ჰე. C და მე მხიარულად ვარქუ, ჰე, მამაო. არაბ. **فقلت له نعم يا بنينا وانافرح مسرورا** — და ეუთხარი მას; კარგი, მამაო, და მე გახარებული და მხიარული ვიყავი.

ბ. AB. მაშინ თქუა. C ხოლო მაშინ იწყო თქმად. არაბ. **سأبتدا الرجل قائلا** — და იწყო თქმად კაცმა.

გ. AB დეარდა წინაშე მისსა. C დეარდა წინაშე ფერქთა მისთა. არაბ. **سجدت على رجليه** — დაეცა მის ფეხებთან.

II. მაგალითები. როცა A და C რედაქციები ერთნაირია და განსხვავდება B რედაქციისაგან. ამგვარი მაგალითებიც დავყავით კატეგორიებად:

1. როცა რედაქციათა სხვაობების შედარებით არაბულ ვერსიასთან არაა შესაძლებელი რომელიმე წაკითხვას მივცეთ უპირატესობა, რადგან.

ა. არაბული ვერსიის ქართულად მთარგმნელს შეეძლო ეხმარა, როგორც AC რედაქციის წაკითხვა, ასევე B-ს წაკითხვა.

ა. AC იყო ეგვპტეს დედაკაცი, რომელსა ერქუა ნისიმა. B იყო ეგვპტეს ქალი სახელით ნისიმა. არაბ. **كانت بمصر مرة يال لى انيسيمه** — იყო ეგვიპტეში ქალი ერთი, რომელსაც ერქვა ნისიმა.

ბ. AC გამოწერილნი. B მოწერილნი. არაბ. **مصورة** გამოხატული.

გ. AC იკითხავენ მარადის. B იკითხავენ. არაბ. **عانت مدمنه على قراه** — იყო გატაცებული კითხვით.

ამ შემთხვევაში „მარადის“ ზმნისზედას მნიშვნელობას ასრულებს B რედაქციაში ზმნის აწმყოს ხოლმეობითის ფორმა, რომელიც პრაქტიკულად აღნიშნავს. ორივე წაკითხვა გადმოსცემს არაბული ვერსიის შესაბამის წინადადებას.

დ. AC წარჳელიდა კარსა თანა. B წარვილოდა კარსა. არაბ. **جازت على ابي** — გადიოდა კარებზე.

ს. არაბულ ვერსიაში არაა შესატყვისი წინადადება და მისი შედარების საშუალება არა გვაქვს:

ა. AC დაშნ და ყულრო. B შუიდ და მყულრო.

ბ. AC ქუეჳე სართულთა მათ შემკობილთა. B სართულთა მათ ქუეჳე შემკულობითა.

ც. ქართული რედაქციები შინაარსობრივად სხვაობენ არაბული ვერსიისაგან მთარგმნელის მიერ ტექსტის სხვაგვარად გააზრიანების გამო:

ა. AB განქურდა გულითა. აღტირდა და თქუა. B განქურდა გულითა და სულითა, აღტირდა. და თქუა. არაბ. **خطر على ابي مع بقاء حار فكر وقال** — ჩიუვიდა თავში ფიქრი მხურვალე ტირილთან ერთად და თქუა.

ბ. AC ვითარცა ვიხილე შევიპყარ კელითა. B ვითარცა ხილითა ვიხილე, შევიპყარ კელითა. არაბ. *جذبنا من يدى العدو* — და გამოვტაცე მტერს ხელიდან.

2. AC რედაქციის ჩვენება ემთხვევა არაბულ ვერსიას, B რედაქცია კი განსხვავებულია. ეს განსხვავებანი ზოგჯერ ვარიანტულ ხასიათს ატარებს, ზოგჯერ კი შეცდომითაა სიტყვა ამოკითხული.

ა. AC რაჰათა აღვიდე მონასტერსა ანბა ზენუნისასა. B რაჰათა განვიდე მონასტერსა ანბა ზენონისასა. არაბ. *ان اصعد الى دير ابا زينون* — რომ ავიდე ანბა ზენონის მონასტერში.

AC რედაქციაში არის „აღვიდე“, რაც არის არაბული *اصعد*-ს სრული შესატყვისი განსხვავებით B რედაქციის „განვიდე“-სი: გარდა ამისა, AC რედაქციაში საკუთარი სახელი „ზენუნი“ ამ სახელის არაბული დაწერილობის უშუალო ტრანსკრიპციის ჰგავს — *زينون*. B რედაქციის „ზენონი“ სხვა თხზულებათა გავლენით უნდა იყოს გვიან გადაკეთებული.

ბ. AC — საყუარელო. B ჰ შეილო. არაბ. *يا حبيبي* — ო. საყვარელო.

გ. AC სვს წყალი ველური. B სვს თაფლი ველური. არაბ. *ثرب من ماء البقاع* — სევამდა ჰის წყალს.

B რედაქციის „თაფლი“ გვიანდელი გადაკეთება უნდა იყოს ბიბლიური ტექსტების გავლენით.

დ. AC ასოცი წელი. B ასი წელი. არაბ. *مايه و عشرين سنة* — ასოცი წელი.

ე. AC ევრეთ არს სიყუარული ღვთისაჲ. B არს იგი საყვარელი ღვთისაჲ. არაბ. *كانك يحب الله* — ასე უყვარს ღმერთს.

განსხვავება AC რედაქციასა და არაბულ ვერსიას შორის გამოწვეულია იმით, რომ მთარგმნელს *يحب*-ს (უყვარს), ნაცვლად ამოკითხული აქვს *حب* (სიყვარული), ხოლო B რედაქციის განსხვავება ქარაგმის არასწორი გახსნის შედეგია (საყრლი).

ვ. AC იქ იყოფოდა ეჰმსა ძილისისა, შევიდის და მერმე განვიდის. B ეჰმსა ძილისასა შევიდის სხუასა სენაკსა და მერმე განვიდის. არაბ. *في كانت تام* *جرح* — იქ იქინა და შედიოდა და გადიოდა.

განსხვავება ქართულ ვერსიასა და არაბულს შორის გამოწვეულია *كانت تام*-ს სიტყვასიტყვითი თარგმანით¹³, ხოლო თარგმანის გაუმართაობამ აუცილებელი გახადა B რედაქციაში წინადადების გავერცობა და გადაკეთება.

ზ. AC ვიხილე სახშ მისა და სამოსელი. B ვიხილე სახლი მისი და სამოსელი. არაბ. *عندما رأيت شكله و ليله* — როცა დაეინახე სახე მისი და სამოსელი.

აქ აღრევა აშკარად გრაფიკული ხასიათისაა *লেখა* — სახლი და *লেখ* სახშ.

ზოგ შემთხვევაში B რედაქცია მოკლეა. AC კი, არაბული ვერსიის მსგავსად, ვრცელი:

¹³ იხ. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 3. გვ. 116.

ა. AC ამან განათავისუფლნა მონანი და მკვეალნი თჳსნი. B ამან განათავისუფლნა მონანი თჳსნი. არაბ. *اعتقت الذی هذه الاماء و العبيد* ესაა, ვინც გაათავისუფლა მონები და მხველები.

ბ. AC ჰმსახურებთ ღმერთსა გულითა წმიდითა. B ჰმსახურებთ ღმერთსა არაბ. *تخدموه بقلوب تقية* — და ემსახურებით მას წმინდა გულით.

გ. არაბულ ვერსიას ემთხვევა B რედაქცია. — AC რედაქცია კი ან ვრცელია:

ა. AC წარვიდა წმიდად ეკლესიად. B წარვიდა ეკლესიად. არაბ. *صارت الى الكنيسة* — წავიდა ეკლესიაში.

ბ. AC ვითარცა მრქუა მე ბერმან. B ვითარცა მრქუა მე. არაბ. *كما قال لي* როგორც მოთხრა მე.

ან მოკლე:

გ. AC საფასე ერთი იყო ჩემთანა. B საფასე ერთი იყო ჩემთანა სულიერი. არაბ. *كان الى كنز واحد روحاني* — განძი ერთი სულიერი იყო ჩემთანა.

III. სამივე რედაქცია განსხვავებულია ერთმანეთისაგან. აქედან ერთ-ერთი ემთხვევა არაბულ ვერსიას.

1. არაბულ ვერსიას ემთხვევა ქართული A რედაქცია.

ა. A არამედ მოვისულელი თავი, ცოფად ვიქცეოდი. B არამედ მოვისულელი თავი ცოფად ფრიალ და ვიქცეოდი. C არამედ მოვისულელი თავი ცოფად და ეგრეთვე ვიყოფოდი. არაბ. *ولكن اتجانن و احق* არამედ მოვიგოიანო თავი და სულელად ვიქცეოდი.

B რედაქციის წაკითხვა გადამწერის შეცდომით იხსნება: ქარაგმით დაწერილი „ცოფ“ — სიტყვის პირველი ნაწილი „ცა“ ნაწილაკადაა გაგებული და მიმატებულია წინა სიტყვაზე „თავიცა“, ხოლო მეორე ნაწილი ფ“ — გაგებულია „ფრიალ“ სიტყვად C რედაქციის წაკითხვა B რედაქციაში შემორჩენილი წაკითხვის შემდგომი გავრცობის და გადაკეთების შედეგი ჩანს.

ბ. A და მაკურთხე მე, დედაო. B მაკურთხე მე. C მაკურთხე მე, მკვეალო ქრისტესო. არაბ. *صلى على اسماء* — დამლოცე მე, დედაო.

გ. A და იგი იყოფვის ალექსანდრიას მონასტერსა ბანტასინს. B და იგი იყოფვის ალექსანდრიისაგან ხასინს. C არს იგი ალექსანდრიას მონასტერსა ტანტასინას. არაბ. *وهي في دير الاسكندرية المعروف بدير البنطين* — და იგი არის ალექსანდრიის მონასტერში, რომელიც ცნობილია ბანტანისის მონასტრად.

A რედაქცია სიტყვა-სიტყვითი თარგმანია არაბული ვერსიისა. სიტყვათა რიგიც კი წინადადებაში ერთნაირია. B რედაქციის განსხვავებული ჩვენება ისევე გრაფიკული აღრევის შედეგია: გეოგრაფიული სახელის „ბანტასინ“-ის პირველი ასო ყ B რედაქციის გადამწერს ამოკითხული აქვს Ⴑ-დ და სიტყვის პირველი ნაწილი გაგებულია „გან“ თანდებულად, ხოლო დ — შეცვლილი — ხასინ. C რედაქცია ცვლის სიტყვებს და აადგილებს მათ. აშკარაა, რომ A რედაქციაში შემორჩენილია აქტების წაკითხვა. B და C რედაქციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცვლიან მას.

დ. A რომელი იგი მიქაღე მე შარშა. B რომელი იგი მიქაღე მე'ღირსო. C რომელი იგი აღმოთქუ წარყვანებად შენ თანა. არაბ. *با اوعدي في عام انا* რომელიც დამპირდი მე შარშან.

2. არაბული ვერსია ემთხვევა B რედაქციას.

ა. A იწყო და თქუა ტირილსა თანა რამეთუ მრავალსა ათორმეტსა წელსა წინაჲთ ვჰმსახურებდი მე ეკლესიასა, ვითარცა ისე დღეს მხედავ. B მაშინ იწყო და თქუა ტირილსა თანა მრავალსა ათორმეტსა წელსა წინაჲთ ვჰმსახურებდი მე ეკლესიასა, ვითარცა ესე დღეს მხედავ. C იწყო და თქუა ცრემლით და მწუხარებით. ათორმეტსა წელსა წინაჲთ ვჰმსახურებდი მე ეკლესიასა, ვითარცა ესერა დღეს მხედავ. არაბ. *وانت اذ يقول لي مع بكاء كثير قال منذ* — და იწყო (და) მითხრა მე მრავალ ტირილთან ერთად. თქვა: თორმეტი წლის წინათ მსახური ვიყავი ეკლესიას, როგორც ვარ მე დღეს.

არაბულ ვერსიას ზედმიწევნით მიჰყვება B რედაქციის ტექსტი. A რედაქციაში წინადადებათა გამყოფად „რამეთუ“ კავშირია ჩამატებული. მაგრამ წამატებულია „მრავალსა“ სიტყვის წინ, რის გამოც წინადადების აზრი შეცვლილია: „მრავალსა“ სიტყვა მიეკუთვნა მეორე წინადადებას და „ტირილსა თანა მრავალსა“-ს ნაცვლად მივიღეთ „მრავალსა ათორმეტსა წელსა წინაჲთ“. B რედაქციაში დარჩენილია არქეტის წაკითხვა. C რედაქცია თუმცა ცვლის სიტყვებს, მაგრამ აზრი იგივეა, რაც B რედაქციაში.

ბ. A ჩუენ კაცნი ცოდვილნი ვართ, რომელი სთქუ, ქრისტეს მოყუარეო მამაო. B ჩუენ კაცნი ცოდვილნი ვართ და არა ღირს ვართ, რომელი სთქუ, ჰღმერთის მოყუარეო. C ჩუენ კაცნი ცოდვილნი ვართ და არა ვართ ღირს სიტყუასა მაგას, რომელი სთქუ ჰ მონაო ქრისტესო. არაბ. *نحن فتناس خطاء و* — ჩუენ კი ცოდვილი ხალხი ვართ და არ შეგვეფერის, რაც თქვი, ო, მოყვარეო ქრისტესა.

A რედაქციაში გამოტოვებულია „არა ღირს ვართ“. ეს გამოტოვება გამოწვეულია იმით, რომ წინამავალი წინადადება მთავრდება „ვართ“ სიტყვით. C რედაქცია ავრცობს წინადადებას და ცვლის წინადადებაში სიტყვებს. B რედაქციაში შემორჩენილია არაბული ვერსიის და ქართულ რედაქციათა არქეტის წაკითხვა. B რედაქცია არაბულ ვერსიას ემთხვევა წინადადების II ნაწილშიც.

A ქრისტეს მოყუარეო, მამაო, B ჰ ღმრთის მოყუარეო. C ჰ მონაო ქრისტესო. მაგრამ რაკი არაბულ ვერსიაში არის *المسيح* — ქრისტე. ჩვენი აზრით, არქეტებში უნდა ყოფილიყო არა B რედაქციის „ღმრთის მოყუარეო“, არამედ „ქრისტეს მოყუარეო“.

3. არაბულ ვერსიას ემთხვევა C რედაქცია.

4. A და შეუქმნა მას; B და მამამან მისმან შეუქმნა მას. C და შეუქმნეს მას. არაბ. *وهيوا* — და შეუქმნეს მას.

არაბულ ვერსიაში ნათქვამია, რომ წმინდანის მშობლები იყვნენ მეფენი ამ ქვეყნისა და თავიანთ სიცოცხლეშივე გაუკეთეს (შეუქმნეს) მას ოქროს გვირგვინი და დაადგეს თავზე. ქართული ვერსიის მიხედვით, „მამამ მისი იყო მეფე მის ქუეყნისაჲ“ და შეუქმნა მას გვირგვინი ოქროსი. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ქართულ თავდაპირველ ხელნაწერში არ უნდა ყოფილიყო „მამამან მის-

მან, არამედ „წმობელნი მისნი“, როგორც ეს არაბულ ვერსიაში. ამის კვალი ჩანს C რედაქციაში, სადაც ზმნა მრავლობით რიცხვშია: „შეუქმნეს მას“.

4. არაბულ ვერსიას არ ემთხვევა არც ერთი რედაქციის ჩვენება,

ა. A ზ შვილო, უკუეთუ მისმინო და შჯდე, შჯობს შენთვის და შეუნიერ არს. B ზ შვლო. სჯობს უკუეთუ დასჯდე და შეუნიერ. C ზ შვილო, უკუეთუ მისმინო და შჯდე კეთილ არს და შეუნიერ. არაბ. **يا بني ان اطعنى فاجلس احسن بك و اخير ك** — ო, შვილო, რომ მომისმინო მე და დაჯდე, შეგფერის შენ დაუკეთესია შენთვის.

სამივე რედაქციაში ჩანს არქეტიპის კვალი, სადაც შეცდომითაა თარგმნილი არაბული **بك احسن** და მოცემულია სიტყვისიტყვითი თარგმანი — **حسن** — მშენიერი. მაგრამ **بك احسن** — ნიშნავს: „შეგფერის შენ“.

ბ. A და ჰრქუა მათ: მიუშთ შაგას, რამეთუ არა ჰნებავს მიცემად წიგნი ესე სხუასა. B და ჰრქუეს მას სხუათა: უტევე ეგე, რამეთუ არავისდა ჰნებავს მიცემად წიგნი ესე. C და თქუეს: აცადე, რამეთუ არავისდა ჰნებავს მიცემად წიგნი ეგე. არაბ. **قال بعضهم لبعض ترا ايش في هذا المصنف الذى لا تسلمه الا احد احد** — უთხრა ერთმა მეორეს: ნახე, რა არის ამ წიგნში, რომელსაც არ აძლევს ვინმეს.

განსხვავება ქართულსა და არაბულში, ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს არაბული **ترا** სიტყვის არასწორი ამოკითხვით. ჩვენ არაბულ ხელნაწერში **ك** — ასო იწერება **ك** — ასეთი სახით. და ზოგჯერ წააგავს ალიფს.

აქაც **ك** — „ნახე“ — ზმნის II პირის იმპერატივის ფორმა **ترا** (ქრისტიანულ ხელნაწერებში ალიფ-მაქსურა **ط**-ის ნაცვლად ალფითაა გადმოცემული)¹⁴ წაკითხულია **ك** (დატოვა) ზმნის ბრძანებით კილოდ. სამივე რედაქციაში ეს აზრია სხვადასხვა სიტყვით გადმოცემული: „მიუშთ შაგას“, „შტევე ეგე“, „აცადე“.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ: 1. „ნისიმეს ცხოვრების“ ქართული ვერსია უმთავრესად წარმოადგენს არაბული ვერსიის სიტყვისიტყვით თარგმანს. 2. ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები ჯუფუდებიან სამ რედაქციად. 3. სამივე რედაქციაში არის თავდაპირველი ტექსტიდან შემორჩენილი წაკითხვები. რაც დასტურდება არაბულ დედანში. ამ წაკითხვების იხედვით შეიძლება აღდგენილი იქნეს არქეტიპის სავარაუდო ტექსტი, რომელიც ზედმიწევნით ასლოს იქნება არაბულ ვერსიასთან. რაც შეეხება იმ წინააღმდეგებსა და სიტყვებს, რომლებიც არაა არაბულში და არის ქართული ვერსიის სამივე რედაქციაში, ისინი შეიძლება მიეიჩნიონ ზოგი მთარგმნელის ზოგი ჩამატებულად ტექსტის განმარტების, ან შთაბეჭდილების გაძლიერების ბუნით, ზოგი კი შეიძლება მოდიოდეს არაბული ვერსიის იმ ხელნაწერიდან, რომელიც ჩვენ ხელთ არა გვაქვს და რომელიც იყო უშუალო დედანი ქართული თარგმანისა.

¹⁴ I. B I a u, A grammar of christian arabic, :, 1966, გვ. 56.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. წერეთელმა)

ნათელა მელაზიძე

ორფიკული „არგონავტიკა“ და ორფიზმი

თქმულება არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ ანტიკური ეპოქისა და მომდევნო პერიოდების მრავალ მწერალს გამოუყენებია თავისი თხზულების წყაროდ. საკმარისია დავასახელოთ ისეთი ავტორები, როგორებიცაა ჰომეროსი, ჰესიოდე, პინდარე, ესქილე, სოფოკლე, აპოლონიოს როდოსელი და სხვა.

არგონავტების ლაშქრობის მითი უქველეს ისტორიულ ხანას განეკუთვნება და საყურადღებო ცნობებს შეიცავს ძველი კოლხეთის ისტორიის გასაშუქებლად. ამ მითის საფუძველზე ბერძნულ-რომაული ეპოქის მწერალთ: მიერ შექმნილმა ნაწარმოებებმა ზოგმა სრული სახით მოაღწია ჩვენამდე, ხოლო ზოგიერთის ფრაგმენტებია შემოგვრჩა. არგონავტების თქმულება სხვადასხვა ეპოქის თვალსაზრისით მუშავდებოდა და გადამუშავებული მითს სხვადასხვა მსოფლმხედველურ ასპექტში გვევლინება; მაგრამ ყველა ეს ნაწარმოები თუ ფრაგმენტი უახლოვდება არგონავტების თქმულების იმ პირვანდელ ვერსიას, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში იქცეოდა და იქცევს ყურადღებას სხვადასხვა თვალსაზრისით.

არგონავტების მითის საფუძველზეა შექმნილი აგრეთვე 1384 დაქტილური ჰეგზამეტრის შემკველი პოემა *Ἀργοναυτική*, რომელიც ფსევდო-ორფეუსის სახელითაა ცნობილი და, მეცნიერთა აზრით, გვიანდელ ხანას ვანეკუთვნება კერძოდ კი, ორფიკული „არგონავტიკის“ დაწერის თარიღად ახალი წელთაღრიცხვის III—IV საუკუნეებს მიიჩნევენ. ზოგი მეცნიერ პოემას II—IV საუკუნეთა შუახანებს მიაკუთვნებდა. გოტფრიდ ჰერმანმა პოემის ენობრივი და მეტრული შესწავლის საფუძველზე მიღებული არგუმენტებით წარმოადგინა მეცნიერებაში დღესაც მიღებული დასკვნა, რომ ორფიკული „არგონავტიკა“ შეთხზულია ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში, და რომ მისი ავტორი კვინტოს სმირნელის შემდეგ და ნონოს პანოპოლელზე ადრე ცხოვრობდა¹.

ბერძნულ-რომაული სამყაროს არსებობის უკანასკნელი პერიოდისა და ბიზანტიური იმპერიის აღმოცენების დროინდელი ნაწარმოებები საკმაოდ არაა შესწავლილი თვით სპეციალისტების მიერ, ხოლო ფართო მკითხველისთვის ხომ იგი საერთოდ უცნობია. რა თქმა უნდა, ხშირ შემთხვევებში ასობობს კრიტიკული გამოცემები, მაგრამ თარგმანები ძალზე მცირეა; არც სებობს არა მხოლოდ სრული თარგმანები, არამედ კარგად შერჩეული ნაწი-

¹ Orphica, Recensit Godofredus Hermannus, Lips. I, II, 1805. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ა. უ რ თ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, გამოკვლევა, თბილისი, 1964, გვ. 63.

ვეტების კრებულებიც კი, რომლებიც ნათელს მოჰფენდნენ ამ პერიოდის შემოქმედების ხასიათს².

ამგვარად, ორფიკული „არგონავტიკის“ შესწავლა საინტერესოა როგორც ძველი კოლხეთის ისტორიის, ასევე ბერძნული ლიტერატურის ან ნაკლებად-გაშუქებულ პერიოდზე დაკვირვების თვალსაზრისითაც. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ პოემა მკვლარადაა დაკავშირებული ანტიკურ საბერძნეთში ფართოდ გავრცელებულ ორფიკულ მიმდინარეობასთან, რომელიც ბიზანტიურ პერიოდში აღმოცენებული ქრისტიანობის სერიოზული მეტოქე იყო და რომელმაც ერთგვარად დასაყრდენი მოუშადა მას.

ორფიზმი, როგორც ცნობილია, ნისტრიკურ მოძღვრებას წარმოადგენდა; ამდენად, დღესდღეობით გაქნელებულია მასზე მსჯელობა. ორფიკული „არგონავტიკის“ ე. წ. „გაშიფრვა“ ორფიზმის თვალსაზრისით მრავალ ახალ შესაფენს ორფიკული მიმდინარეობის შესწავლით დაინტერესებულ პირთ.

პოემა დაწერილია პირველ პირში. მისი სრული შინაარსი მოკლედ ასეთია: შესავალში ორფევსი მიმართავს აპოლონს: „ო, პითონის მბრძანებელო, ჭეგრელო, შორსმსროლელო, წინასწარმეტყველო, რომელსაც წილად გხვდა ზღალი მწველვალი პარნასის კლდისა; შენს სინაუქეს ვუმღერ; შენ კი — ბედნიერი დიდებუ. მიპოძე: გონებას ქეშმარიტების ძღაღადებელი ხმა შთამისახე, ვიდრე ურიცხვ ნოკვდავთ წკრიალა სიმღერას ვუგალობებ მუზის თხოვნითა და მრავალსიშვეა პექტიდით“ (1—6).

შემდგომ ორფევსი გადმოგვცემს იმას, თუ რას მოუთხოვდა იგი საიდუმლო ორგანოთა მონაწილეებს. პოემის შესავლის ამ ნაწილში ჩამოთვლილია ის ძირითადი ღვთაებანი, რომელთაც განადიდებდნენ ორფიკული მისტრიკის მონაწილენი; მინიშნებულია ორფიკულ თეოგონიაზე.

შესავალ ნაწილს მოსდევს ორფევსის მონათხოვნი იასონის წარმომავლობაზე. მის თავგადასავალზე; თუ როგორ დაავალა მას პელიასმა წასულიყო „ხომალით მოგზაურობაში მდიდარი და პირქუში ტომის უცხო აღამიანებთან, რომელნიცაუ მეფობდა აიგტი, ძე მოკვდავთმანათობელი ჰელიოსისა“ (54—55).

იასონი პირველად ორფევსს სთხოვს, რომ გაჰყვეს მოგზაურობაში. ორფევსი ეთანხმება იასონის წინადადებას და მიდის მასთან ერთად პაგასის კონცხზე, სადაც თავი მოუყრიათ არგონავტების ლაშქრობის მონაწილეთ.

ორფევსი თანამიმდევრობით ჩამოთვლის არგონავტების სახელებსა და წარმომავლობას.

კონცხზე ეამართული პურობის შემდეგ, ორფევსის მომაჯადოებელი სიმღერის თანხლებით არგონავტები „არგოს“ ზღვაში შეაკურებენ.

იასონი წინადადებას აძლევს თანამოლაშქრეთ, ჰერაკლემ აირჩიონ წინამძღოლად. ეს უქანასკნელი კი ღმერთქალ ჰერას ჩაგონებით უარს ამბობს ამ წინადადებაზე და თავის მხრივ, იასონს ასახელებს არგონავტების ლაშქრობის მეთაურად.

იასონი ერთგულების ფიცს ჩამოართმევს არგონავტებს და თავად აღასრულებს მსხვერპლშეწირვის ცერემონიას; ადავლენს ლოცვას ღვთაებებისადმი. არგონავტები გზას დაადგებიან.

² იხ. История греческой литературы, т. III, Москва, 1960, гл. 310.

პელიონის ტყესთან არგონავტი პელეესი სთხოვს მეგობრებს, შეჩერდნენ და მოინახულონ მისი ვაჟი აქილევსი, რომელიც აქ ქირონს ჰყავს აღსაზრდელად მიბარებული. ქირონმა დიდებულად უმასპინძლა სტუმრებს. სერობის დროს გაიმართა შეჯიბრება სიმღერაში ქირონსა და ორფევსს შორის, რის შემდეგაც არგონავტებმა დატოვეს ქირონის სამყოფელი.

მრავალი პუნქტის გავლის შემდეგ არგონავტები მიაღწენ ლემნოსს. ძალზე მოკლედ და მოთხრობილი ლემნოსელ ქალებთან არგონავტების ურთიერთობის ეპიზოდი. მხოლოდ და მხოლოდ ორფევსმა შეძლო ისევ დაებრუნებინა ხომალდზე ლემნოსელი ქალების ტრფობისგან თავდავიწყებამდე მისული მოლაშქრეები.

არგონავტები მოხვდებიან დოლიონების მმართველ კიზიკოსთან, რომელმაც სტუმართმოყვრულად უმასპინძლა მათ. სიზნელში არგონავტებს ..ნადირთა, ძლიერ ტიტანთა და გიგანტთა მსგავსი კაცები დაესხნენ, რომლებიც ჩრდილოეთის მთებში ბინადრობდნენ. თითოეულს ექვს-ექვსი ხელო ეზრდებოდა მხრიდან“ (517—519). მათთან ბრძოლაში ჰერაკლემ შემთხვევით სიციოსლეს გამოასალმა მასპინძელი კიზიკოსი, რითაც განარისბა ღმერთქალი რეა. არგონავტები ღმერთქალ ათენას შეგონებით უკან ბრუნდებიან ბრძოლის ადგილზე. პატივით ასაფლავებენ კიზიკოსს, მსხვერპლს სწირავენ და გამართავენ თამაშობებს მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად; შემდეგ ორფევსის უშუალო მონაწილეობით ცდილობენ დინდიმონის მთაზე ღმერთქალ რეას მოლმობიერებას.

არგანთონიონის მთასთან ჰერაკლეს ქაბუკი ჰილასი დაეკარგება (მას ნიშნები გაიტაცებენ) და ჰერაკლე ვეღარ შეუერთდება არგონავტებს.

შემდეგ არგონავტები მიაღვებიან ბებრიკების მბრძანებლის, ამიკოსის სამფლობელოს, რომელსაც კრიეში შეჯიბრებისას ქამრით თავს გაუბობს არგონავტი პოლიდეკეე, ხოლო ამ უკანასკნელის მეგობრები გაუღეტენ ბებრიკების ჯარს.

არგონავტები ფინევსსაც ესტუმრებიან. მან „ქალისაგან წაქეზებულმა აღვირახსნილი სულით დააბრძავა ორი შვილი, მხეცთა ლუქმად დააგდო მალალ კლდეზე“ (675—676), რისთვისაც ფინევსს ბორეასის ორმა ძემ თვალის ჩინი წაართვა.

გზად არგონავტები ორფევსის მომწესხველი სიმღერის წყალობით შესძლებენ მოძრაეი კლდეების კიანების დალაშქვრას. „არგოს“ გავლის შემდეგ ისინი სამუდამოდ გაჩერდებიან.

კიანებიდან არგონავტები ლიკოსთან მივლენ. სადაც „ბედისწერით ორი ეაეკაცი უნდა დაღუპულიყო — აბანტიდი იდმონი და მესაჰე ტიფისი“ (725—726). ხომალდის საჰე ანეკოსს მიანდვენს.

მრავალი გეოგრაფიული პუნქტისა და ტომის გავლით „არგო“ ქარის ქროლისაგან დაბერილი აფრებით უცხოთმოძულე სიღვის მიჯნას მიაღდა მაზაადმომდინარე ფაზისთან“ (760—762).

აიეტს ღმერთქალი ჰერა საბედისწერო სიზმარს მოუვლენს, რის გამოც იგი თავის ვაჟიშვილთან და ქალიშვილთან ერთად გაემართება მდინარე ფაზისის სანაპიროსაკენ, რათა აქ მსხვერპლი შესწიროს დაღუპულ გმირთა სულებს. „ამ დროს მოადგა ნაპირს „არგო“ (805). იასონსა და აიეტს შორის გაი-

მართება დიალოგი, რომლის დროსაც ირკვევა, რომ ოქროს საწმისის მოსაპოვებლად იასონმა დავალებები უნდა შეასრულოს.

აიეტის ასული, მედეა „დაემორჩილა ღმერთქალ ჰერას განგებით ქალწულებრივ სიყვარულს... სიყვარულისმბადმა კითერეამ ვნება მოჰგვარა, ხოლო სასტიკმა ერინიამ გულღვიძლში სტყორცნა ისარი“ (870—872). მედეა ეხმარება იასონს ძნელი დავალებების შესრულებაში. შემდეგ აღწერილია ის ქალა, სადაც ხეზე ოქროს საწმისი ჰკიდია და საითყენაც მიემართებიან არგონავტები მედეას თანხლებით. გმირები მუხლს მოუყრიან ორფევს და სთხოვენ, დაეხმაროს ოქროს საწმისის გატაცებაში. ორფევსი მედეას თანხლებით ასრულებს ჯადოქრობას და მიწისქვეშეთიდან უხმობს ადგილობრივ ღვთაებებს. დაწერილებითაა აღწერილი ჰეკატესა და სხვა ქვესკნელქვეშეთის ღვთაებთა გამოძახება. ორფევსი თავისი ღვთაებრივი სიმღერით აჯადოებს და აძინებს გველეშაპს... იასონი და მედეა ჩამოსხნიან მუხიდან ოქროს საწმისს...

აიეტი გაქცეულ მედეასა და არგონავტებს თავის ვაჟს, აფსირტეს დაადევნებს, რომელსაც არგონავტები კლავენ, ხოლო მის დაჩეხილ სხეულს მდინარეში აგდებენ. სამშობლოსაკენ მიმავალ გზაზე არგონავტები უამრავ ტომს ჩაუვლიან². მრავალი გასაჭირი შეხვდებათ გზაზე — ერინიები მოკლული აფსირტეს გამო შერიბენ იბიებენ ზღვაოსნებზე. სასოწარკვეთილმა არგონავტებმა კინლამ ზღვაში გადაადგეს მედეა. ბოლოს არგონავტები მივლენ კირკეს უძნძულზე. კირკე მათ სანოკავებს მისცემს...

შეზღვაურები ჩაუვლიან სცილასა და ქარიბდეს, სირინოზთა კუნძულს, სადაც არგონავტებს ისევ ორფევსის სიმღერა გადაარჩენს დაღუპვას. მიადგნენ ფეაკების სამშობლო კერკირას, მსხვერპლი განამზადეს აპოლონისათვის. აქ წამოიწიათ აიეტისაგან გამოგზავნილი მღევრები, რათა მამისათვის მიეგვარათ მედეა. არგონავტები ხომალდის კიჩოზე საქორწინო სარეცელს განუშაადებენ ქალწულს, რის შემდეგაც, ფეაკების მეფე-ღედოფლის გადაწყვეტილებით „ესონის ძეს წილად ხედა ცოლად მოეყვანა მედეა“ (1351).

არგონავტებს კიდევ მრავალი განსაცდელის გადატანა მოუხდათ, სანამ სამშობლოში დაბრუნდებოდნენ. არგონავტებთან ერთად დაბრუნდა ორფევსიც თავის სამშობლო თრაკიაში.

ორფიკული „არგონავტიკა“, როგორც ვთქვით, არგონავტების ლაშქრობის მითზე შექმნილ პოემათაგან ჩვენამდე ერთ-ერთ სრული სახით მოღწეულ ნაწარმოებს წარმოადგენს. ასევე სრული სახით მოაღწია ჩვენამდე აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკამაც“, რომელიც მეტად ვრცელი ნაწარმოებია და ამასთან — საკმაოდ პოპულარული ანტიკურ სამყაროში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ ვაცილებით ადრეა შექმნილი, ვიდრე ფსევდო-ორფევსის პოემა; ამდენად, უნდა ვიფიქსირებოდეთ, რომ ორფიკული „არგონავტიკის“ ავტორს ხელი მიუწევდებოდა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაზე“. ამიტომ არის, რომ ორფიკული პოემის მრავალი ადგილი თანხვდება აპოლონიოს როდოსელის ნაწარმოებს. ეს თანხვედრა არ უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ორფიკულ „არგონავტიკაზე“ მექანიკური გავლენა. უნდა აღინიშნოს, რომ ორფიკულ პოემას ბევრი რამ ახასიათებს ორიგინალური, მაგრამ არც ეს ფაქ-

² საველისხმოა, რომ არგონავტების მარშრუტი კოლხეთიდან საბერძნეთისაკენ სავსებით ორიგინალურია არგონავტების თქმულების მრავალ ვერსიას შორის.

ტი გეძღვეს საკმაო საბუთს დავასვენათ, რომ ორფიკული „არგონავტიკის“ განსხვავებული სიუჟეტები აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკისაგან“ მხოლოდ ფსევდო-ორფიკის ორიგინალობას უკავშირდება. ყოველ შემთხვევაში. ეს მეტად საინტერესო საკითხია, დიდ კვლევა-ძიებას მოითხოვს და გადაწყდება მხოლოდ არგონავტების ლაშქრობის მითის ყველა ვერსიისა და ფრაგმენტთა ურთიერთმიჯნაობით. ამ ეტაპზე ჩვენი ყურადღება უნდა მიიპყროს ერთ-ერთმა მეტად საგულისხმო ფაქტმა: ორფიკული „არგონავტიკა“ არა მხოლოდ თავისი ორიგინალური სიუჟეტითა და ტომთა სახელწოდებებით განსხვავდება აპოლონიოს როდოსელის თხზულებისაგან, არამედ თავისი მოცულობითა და ფორმითაც. საქმე ისაა, რომ განსხვავებით პიკურ ქმნილებათაგან საერთოდ, ორფიკული „არგონავტიკა“ დაწერილია პირველ პირში; ძირითადი თავისებურება ორფიკული პოემისა ისიცაა, რომ მთავარ მოქმედ პირობა აქ ორფიკისი გვევლინება. თუმცა არგონავტების თქმულების ყველა ვერსიის მისხედით გრძნეული ორფიკისი ოქროს საწმისისათვის კოლხეთში ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილეა, მაგრამ არსად ორფიკისი ისეთ დიდ როლს არ თამაშობს, როგორც ამ ორფიკულ პოემაში. ორფიკულ „არგონავტიკაში“ მთელი ლაშქრობა ორფიკისაგან დამოკიდებული და საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ორფიკისი თავად, პირველ პირში გადმოგვცემს მთელ მოგზაურობას. ეს მოვლენა განაპირობა იმან, რომ პოემა ეკუთვნის ორფიკულ კულტთან დაკავშირებულ პიროვნებას, რომელიც ცდილობს თავისი მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით გაიაზროს არგონავტების ლაშქრობის მითი. აქედან გამომდინარე, ორფიკში დიდ ვავლენას ახდენს პოემაზე და ხშირად ის ძირითადი მომენტები, რომლებიც პოემის ლიტერატურული ანალიზის დროს ერთი შეხედვით უცნაური და გაურკვეველიც კი ჩანს, ნაწილობრივ წყდება ორფიკულ მოძღვრების ვაცნობისას.

გადმოცემის თანახმად, ორფიკული მიმდინარეობის დამაარსებლად ლეგენდარული პოეტი და მომღერალი ორფიკისი გვევლინება. იგი ითვლებოდა თრაკიელი მეფის. ეაგრესა და მუზა კალიოპეს აჟად⁴. ორფიკისის სამშობლოდ ძველი ბერძნული ტრადიცია და თვით ორფიკული „არგონავტიკაც“ ასახელებს პიერიას, ოლიმპოს მთასთან (1381—1384). თქმულების მიხედვით, ლეთაებრივი წარმომავლობის ორფიკისი ლირაზე დაკრით ხეებსა და კლდეებსაც კი იზიდავდა⁵. ორფიკისის შესახებ მითოლოგიური ამბებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია მითი ორფიკისის მიწისქვეშა სამეფოში ჩასვლაზე თავისი ცოლის. ევრიდიკის გამოსასხნელად⁶. საბოლოოდ დაკარგა რა ევრიდიკე, ორფიკისი ცხოვრებას მარტობაში ატარებდა, ერიდებოდა ქალებს და ზოგი გადმოცემით, თავისი სიყვარული ჭაბუკებზე გადაიტანა. ახალგაზრდობის წლებში მან იმოგზაურა ეგვიპტეში იმ მიზნით, რომ გასცნობოდა ეგვიპტელების რწმენას, ეგვიპტელ მისანთა თქმულებებსა და ლეგენდებს (ამ მოგ-

⁴ ორფიკულ „არგონავტიკაში“ ხშირად მოიხსენიება ორფიკისის წარმომავლობა (77, 105, 686, 1383—1384).

⁵ Aesch. Agam. 1629; Aeschylus tragodiae, Oxford, 1961; Eur. Bacch. 64; Iph. Aul. 1211; Euripidis tragodiae ed. Nauck, I-II, Lips 1912—1921; ორფიკული „არგონავტიკა“ (74, 433—441).

⁶ ეს მითი რომელ ხანაში დაემუშავებულ იქნა: Verg. Georg., 454—527. Vergilli Maronis Opera, ed. Ianelli, Lips, 1935; Ovid. Met. X. 1—85, Ovidii Nasonis carmina ed. Ehwald, Met. II, 1931; ამ მითზე მინიშნება პოემაშიც გვხვდება (40—42).

ზურობის შესახებ მინიშნება ორფიკულ „არკონატიკაშიც“ გვხვდება. 43—45; 101—103). არკონატიკა თქმულების ყველა ევრისიაში ორფევსი არკონატიკების ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილეა: მისი ლირის ხმაზე ზღვა აღარ ხმაურობს; მოძრავი სიმულეგადები გაჩერდნენ, რათა „არგო“ გაეშვათ და იმ დროიდან მოყოლებული, სამულადმოდ გაქვედნენ (710—713); მისი შემწეობით შოახერხეს არკონატიკებმა საწმისის მოპოვება (1006—1021). ზოგი თქმულების მიხედვით, ორფევსი აპოლონის ვაჟი და მისი მოწაფე იყო⁷, დამაარსებელი აპოლონის კულტისა. რიგ თქმულებათა მიხედვით, ორფევსი ევრიდიკეზე ჭაერით ვარდაიცვალა; მის საფლავს პიერიამში, პიმპლეოსის წყაროსთან უჩვენებენ; თითქოს ბუღბუღეები ორფევსის საფლავთან იშენებდნენ ბუღებს და უფრო წყრიალით, სასიამოვნოდ გალობდნენ, ვიდრე სხვა ბუღბუღეები. სხვა გადმოცემით, ორფევსი ბახუსის კულტისადმი უპატივცემულობისათვის, ან ევრიდიკეზე ეჭვიანობისათვის მენადებმა მოკლეს, მისი სხეული დაგლიჯეს და ნაწილები მიმოფანტეს. ორფევსის სხეულის ეს ნაწილები გაიჩიოა პოეზიით სახელგანთქმულ კუნძულ ლესბოსზე⁸. ეს თქმულება მეცნიერთა აზრით, ალეგორიულად უნდა გამოხატავდეს პირველდაწყებითი თრაკიული პოეზიის ლესბოსზე და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე გადატანას. არის აგრეთვე გადმოცემა, ალბათ ორფიკოსებისაგან შექმნილი, რომ ორფევსი მოაკვდინა ზევსის ელვამ იმიტომ, რომ ხალხს წმინდა საილუმო გაუმხილა⁹. აქ ორფევსი განსაკუთრებული რელიგიის შემქმნელად და დიონისური მისტერიების გამომცხადებლად გვევლინება.

როგორც ჩანს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ სწორედ ჭაღოქარ-მომღერალი ორფევსი გვევლინება მისტიკური მიმართულების დამაარსებლად.

ანტიკურ ხანაში რელიგია და მითოლოგია განუყრელად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. იმ პერიოდში. როდესაც ორფიკული ჰიმნები, თუ პოემები იქმნებოდა. ისინი წარმოადგენდნენ არა მარტო ჩვენი გაგებით „ლიტერატურულ“, არამედ რელიგიური თვალსაზრისით შექმნილ თხზულებებს. „რელიგია ეძლეოდა კაცობრიობას შემეცნების მადალ საფეხურზე მდგომი ადამიანების მიერ. რომელთაც გააჩნდათ უაღრესად ღრმა ცოდნა სამყაროსა და ადამიანების შესახებ. ამგვარ ცოდნას ნაზიარები ადამიანები ერთიანდებოდნენ ე. წ. მისტერიებში. რომელთა პრაქტიკაც უცნობი იყო ხალხისათვის და შეუვალი“¹⁰.

ცნობილია, რომ პრეკელტურ მოსახლეობაში იყო ნათელმხილველთა და ზოგჯერ კლასი, რომელთაც გარკვეული ცოდნა ჰქონდათ მრავალ საკითხში. ისინი იყვნენ აგრეთვე სიმღერათა შემთხვევლინიც, რომელთაც მაგიური ძალა ჰქონდათ; ასე რომ, პოეზია ერთგვარად სიბრძნისმეტყველებაც იყო¹¹. ამას შეიძლება დაეუმატოთ ისიც. რომ ებრაული სიტყვა „niba“ ნიშნავს უტოდროულად „წინასწარმეტყველებას“, „მუსიკას“; როგორც მეცნიერები ზოგჯერ თვებენ, ლევიტების მოძღვართა მრევლში შემავალი მუსიკოსი ამავე დროს ნათელმხილველიც იყო; ასევე ასირიული სიტყვა „nabu“ ნიშნავს „და-

⁷ Pind. Pyth. IV, 176—177, Pindari carmina cum fragmentis, Oxford, 1961, გვ. 20.

⁸ Ovid. Met. XII, 1—66.

⁹ ამ თქმულებაში ნათლად ჩანს გამოხატულება პრომეთეს მითთან.

¹⁰ იხ. ირლანდიური საგები, ზ. გამსახურდია — შესავალი, თბილისი, 1971, გვ. 10.

¹¹ იხ. იქვე, გვ. 9.

ძახებას“, „მოწოდებას“, „გამოცხადებას“: როგორც აღნიშნავენ, შუმერული სიტყვა „šir“ ასევე უნდა ნიშნავდეს როგორც „წინასწარმეტყველებას“, ასევე „სიმღერასაც“¹². მითოლოგიური ტრადიცია მიუთითებს, რომ ბერძნული მითოლოგიის დიდ მომღერალ ორფეესსაც მომადლებული ჰქონდა ორივე ნიკი.

ჩვენი აზრით, შეიძლება ერთგვარი პარალელის გავლება ამ უკანასკნელსა და იმას შორის, რომ ორფიკული მისტიკური მიმდინარეობის დამაარსებლად სწორედ მომღერალი და პოეტი ორფეესი გვევლინება. ამდენად მითოლოგიური გადმოცემა ზეესის მიერ ორფეესის მოკვლის შესახებ იმისათვის, რომ ადამიანებს წმიდა საიდუმლო გაუმხილა, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს რეალურ საფუძველს მოკლებული.

პლატონი ორფეესს რეალურ პიროვნებად მიიჩნევს და მის მიერ შეთხზულ ნაწარმოებებსაც ჩამოთვლის. ორფეესს მიაწერდნენ შემდეგ თხზულებებს: „ტელეტები“ („შესაწირავნი“), ჰიმნები, „ქრეზმოდები“ (გალექილი ორაკული), „თეოგონია“, „არგონავტიკა“, „ლითიკა“ (პოემა მაგიური ქვების შესახებ). პლატონს „კრატილეში“ მოაქვს ორი ტაეპი. ვითომდა ორფეესის თხზულებიდან:

პირველად ქორწილი იწყო ოკეანემ ტალღებით ლაღმა,

შეირთო ტეთისი, ღვიძლი, ერთ ღელისგან ნაშობი დაი. (Crat. 402)¹³

„ორფეეს თრაკიელი“ მოხსენიებულია ძველ ქართულ მწერლობაშიც: „პრომეთეს და ორფეეს თრაკი, უფროჲსად ბრძენნი იგი ელენთან“ (ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ, 68, 1—2): „ორფეესის კმათ დამხსნელო“ (იეზევიელი: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 282)¹⁴.

ბერძნულ წყაროებში ორფეესი მოხსენიებულია, როგორც ღიზოსის მიწაზე და პელასგური დამწერლობის გამავერცელებელი¹⁵.

ორფეესის რეალურ არსებობაში ჭერ კიდევ არისტოტელემ შეიტანა ეპიკურიტიკონი გადმოცემაში: „Orpheum potest doceri Aristoteles nunquam fuisse“ — „არისტოტელე გვასწავლის, რომ პოეტი ორფეესი არასოდეს არ არსებობდა“¹⁶.

სამეცნიერო კვლევა-ძიებამ დაადგინა, რომ ის თხზულებები, რომელთა ავტორობასაც ანტიკური ტრადიცია ლეგენდარულ ორფეესს მიაწერდა, დაწერილია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთა მიერ. ამიერიდან ეს ანონიმური თხზულებები გააერთიანეს კრებულში, რომელსაც Ὀρφικά (Orphica) უწოდეს¹⁷. გამოირკვა ისიც, რომ ორფეესის სახელთან დაკავშირებულ პოე-

¹² იხ. Karol Marot, Die Anfänge der griechischen Literatur, Budapest, 1960, გვ. 197.

¹³ იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 38.

¹⁴ იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი; ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არქონეტების თქმულებაში, გამოკლევა, თბილისი, 1964, გვ. 62

¹⁵ Diod. III, 66, 67; იხ. ნ. ყ ე ქ ა ღ შ ა ძ ე, პომპროსის წინადროინდელი პოეზიის საფუნისათვის, ოსუ „შრომები“, ტ. 63, გვ. 277—268; ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტის თქმულებაში, გამოკლევა, თბილისი, 1964, გვ. 62.

¹⁶ Cic. De nat. deor. I, 38, 107. იხ. ა. უ რ უ შ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

¹⁷ Orphica, Procli hymni, Lipsiae, 1829; ამავე კრებულშია მოთავსებული ორფიკული „ავონავტიკა“.

ზიას პირდაპირი კავშირი ჰქონდა მისტიკურ მოძრაობასთან, ორფიზმთან, რომელსაც საფუძველი აღრევე ჩაეყარა. ამ კულტის მსახურნი, როგორც ვთქვით, ორფეეს ღვთაებად აღიარებდნენ და მოიხსენიებდნენ ეპითეტით — *πρωτεσ-
παιμωδ* („პირველთაგანტკბილხმოვანი“)¹⁸.

ენახოთ, ძირითადად რას წარმოადგენდა ორფიკული მოძღვრება და რა რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობებს ეყრდნობოდა იგი.

ორფიკული მოძღვრება მკიდროდ იყო დაკავშირებული საბერძნეთში ფართოდ გავრცელებულ დიონისეს კულტთან. ეს მიმდინარეობა ვითარდება ძვ. წ. ა. VIII საუკუნეში: VI საუკუნეში ძვ. წ. ა. ვრცელდება ატიკაში, სადაც მას პისისტრატე მფარველობს. შემდგომ კი მთელს საბერძნეთში. ყველაზე მეტი მომხრე ამ მოძღვრებას სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში ჰყავდა, სადაც დაუკავშირდა თავის მონათესავე მოძღვრებას, პითაგორიზმს¹⁹. ორფიზმმა თავისი სპეციფიკურობით თავისებური კვალი დატოვა ბერძნულ მწერლობაზე და განსაკუთრებით კი. მისი გავლენა განიცადეს პინდარემ, ესქილემ, პარმენიდემ, ემპედოკლემ, ევრიპიდემ, პლატონმა; შემდგომ კი — ნეო-პლატონიზმმა და სხვა ფილოსოფიურმა მიმდინარეობებმა, თვით ქრისტიანობამაც²⁰.

ორფიზმი პრაქტიკულ ცხოვრებაში ნერგავდა დიონისეს კულტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს: იგი პრაქტიკულ მორალს წარმოადგენდა. მთავარი ორფიზმში ადამიანის ზნეობრივი აღზრდა და სულიერი განწმენდა იყო. ზნეობრივ აღზრდას წინ უსწრებდა კოსმოგონია და თეოგონია, რომელიც, შესაძლებელია. ჰესიოდეს მიხედვით იყო შექმნილი და დეტალებში რამდენადმე განსხვავებულ სახეს ატარებდა ჰესიოდესაგან²¹. ორფიკულ თეოგონიაში გაბატონებულია ტენდენცია პოლითეიზმის მონოთეიზმთან მიყვანი-სა, ანუ თეოკრასიისა. ორფიკული თეოგონიისა და კოსმოგონიის შინაარსი ზოკლედ ასეთია: მსოფლიოს პირველსაწყისმა (*Χρῆσις, Ἄϊδν*) თავისი თავისაგან წარმოშვა ქაოსი და ეთერა. რომლისგანაც შეიქმნა მსოფლიო ეერცხლის კვერცხი. როცა ეს კვერცხი გასკდა. მისგან წარმოიშვა პირველსაწყისი (*πρωτοχῆσις*)²² ღმერთი *Φάνης*, რომელსაც აგრეთვე *Μῆτις*, *Ἐρις*, *Ἥρισιπαιτις*-ს უწოდებდნენ და რომელიც თავის თავში შეიტავდა ყველა ღვთაებათა თესლს. ნახევარი კვერცხისაგან მიწა და ცა შეიქმნა. *Φάνης* პერმფროდიტი იყო თავითა და სხვადასხვა ცხოველთა ატრიბუტებით. მისგან წარმოიშვა ექიდა და ღამე, ხოლო ამ უკანასკნელისაგან — ურანოსი და გეა. შემდგომი თეოგონია ჰესიოდეს მიჰყვება ვიდრე ზევსამდე. როცა ზევსმა ტახტი მოიპოვა, მან გადასულაპა ფანერი, რომ შედგებად ც თავის თავში მოიქცია ყველა ღვთაებათა თესლები. მან წარმოშვა უმტროსი თაობის დანარჩენი ღმერთები და სამყარო. პერსეფონესა და ზევსისაგან დაიბადა დიონისე ძაგრეესი, რომელსაც

¹⁸ იხ.ა. უ რ უ შ ა ძ ე, დასახ. ნაწრომი, ე. 63.

¹⁹ იხ. *Schmid - Stählin*, Geschichte der Griechischen Literatur, Ersten Teil, München, 1929, გვ. 49—50.

²⁰ იხ. იქვე, გვ. 50.

²¹ ორფიკულ „არგონავტიკაში“ მითითებულია ორფიკულ თეოგონიაზე, 12—20; 423—432; აგრეთვე ორფიკული თეოგონიის წიშნებს ატარებს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ I, 494—511. აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, თარგმანი ა. ურუშაძისა, თბილისი, 1970.

²² იგი შექმნილია ერთ-ერთ ორფიკულ ჰიმნში. იხ. *Orphica, Proclihymni*, Lips, 1929, Hymn. VI.

ზევსმა მსოფლიოს მართვა მიანდო. ტიტანებმა, ზევსის მტრებმა, დაეღაჯეს დიონისე, რომელმაც დევნისას ხარის ფორმა მიიღო. ათენამ გადაარჩინა ძაგრევის გული და ზევსს მიუტანა, რის შემდეგაც დიონისე ხელახლა წარმოიშვა სემელესაგან.

ყველა ორფიკოსის მიერ გაზიარებული ეს თქმულება ეტალოგიურად დაკავშირებულია დიონისური დამეული ორგებიისას ხარის დაეღაჯის ცერემონიალთან, რომელიც თრაკიაში არსებობდა და ვადმოტანილ იქნა ათენში. ამ თქმულებაში გატარებულია იდეა, რომ მოლიანი ბოროტი საწყისის (ტიტანები), წყალობით გაყოფილია უამრავ საგნებად, მჯერამ ისევ შეერთებულია.

როდესაც დიონისე ძაგრევის ისევ დაუბრუნდა სამყაროს, ტიტანები განდგურებულ იქნენ და მათი ფერფლისაგან შეიქმნა ადამიანთა შობგმა. ამის შემდეგ იწყება მსოფლიო პერიოდი. რამდენადაც ადამიანი შექმნილია ბოროტი საწყისისაგან, იმისათვის, რომ ღმერთს დაუბრუნდეს. რომლის ნაწილიც მასში მანც ცოცხლობს, იგი უნდა განიწმინდოს და დათმენათა მთელი რიგი უნდა განელოს. ადამიანის, რომელიც განწმენდას ეძიებს, ვალდებულებებზე, მიზნებსა და ბელზე ლაპარაკობს კიდევ ორფიკული მოძღვრება.

ადამიანის სული სხეულში არსებობისას მონობას განიცდის. იგი წყვილად იმყოფება და რომ თავი დააღწიოს მას, უნდა გაიაროს განთავისუფლების მთელი გზა. ბუნებრივი სიკვდილი, რომელსაც სული ქვესკნელში გადაჰყავს, ადამიანს მხოლოდ დროებით ათავისუფლებს. სულმა უნდა გაიაროს კიდევ უფრო გრძელი „წრე აუცილებლობისა“ სხვა სხეულში გადასახლების გზით, რომ ბოლოს და ბოლოს გათავისუფლდეს და ამოსუნთქოს ბოროტებისაგან. ეს განთავისუფლება მოაქვს ორფიკოსს და ბახუსთან ზიარებას; განთავისუფლების საშუალებად მიჩნეულია ორფიკული ცხოვრება, რომელიც სასება ასკეტიზმითა და ყველაფერი იმისაგან რაეშეკავებით, რასაც სიკვდილისა და სხეულის ავხორციობისაგან მიყვარათ. სიკვდილამდე დროებითი არსებობა ზიარებულთათვის (ნაჰსი) ღმერთთან ერთად მუდმივ ღმერთში

(σῶματὸς ἐν ἑαυτῷ, μὴ ἀφ' ἑαυτοῦ) მიზლინარობს იმ დროს, როცა უზიარებელნი იმყოფებიან ქუქეში (ქებქიძე), ხოლო კულტის დამგმობნი არნახულ ტანჯვას განიცდიან. მათ, ვინც დედამიწაზე ვერ ასწრებს განწმენდას. შთამომავლთა გმირობის საშუალებით შემდგომი განწმენდის საშუალება ეძლევათ. მიწისქვეშეთში დროებითი ყოფნის მეტე სული დედამიწაზე ამოვლის და სულ სხეულში შედის, რათა გააგრძელოს განთავისუფლების ახალი გზა. თუ ბოლოს და ბოლოს სული განიწმინდა, იგი გამოდის მიწიერი ცხოვრების ბორკილებიდან — ეს კი, ორფიკული მოძღვრების მიხედვით. მთელი ადამიანური ცხოვრების მიზანია. უკვდავმა სულმა, რომელიც ცოდვითაგან განიწმინდა, უნდა დაამარცხოს სიკვდილი, ხოლო რადგან დედამიწაზე სიკვდილის სამეფოა, განწმენდილ სულს ღმერთთა სამყოფელში გადასვლა მოელის (მთვარესა და სხვა ადგილებში). ასეთია ძირითადად თრაკიელებისაგან აღიარებული ორფიკული მოძღვრება. ორფიკოსთა შორის, რამდენადაც ამის საშუალებას ფრავმენტული ცნობები იძლევა, გავრცელებული იყო ასკეტიზმი. მისტიკოსებს აკრძალული ჰქონდათ საკვებად ხორცისა და ცერცვის გამოყენება; თეთრის გარდა სხვა ტანსაცმლის ტარება. სისხლიან მსხვერპლი გამორიცხული იყო კულტიდან. ორფიკულმა ლიტერატურამ გავრცელება ჩვენი წელთაღრიცხვის III—IV საუკუნეებში პოვა, როდესაც წარმართობა ქრისტიანო-

ბასთან ბრძოლისას ორფიზმში სიმხნევესა და თავისი ძალის დამტკიცებას ეძებდა.

ორფიზმს საფუძვლად უკვე დამკვიდრებული ბერძენთა სახალხო რწმენა დაედო; მას მხოლოდ ზოგიერთი ახალი ღვთაება დაუმატეს და ამით ორფიზმს განსაკუთრებული ელფერი მიეცა. ორფიკოსებმა ზღუზღუბლად დატოვეს უმეტესობა იმ ღვთაებებისა, რომლებსაც თაყვანს სცემდა მთელი ბერძენი ხალხი. აღიარებულ რელიგიებთან კავშირმა ორფიზმს ფართო გავრცელების საშუალება მისცა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ორფიზმი, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა, უკავშირდებოდა სხვადასხვა ფილოსოფიურ მოძღვრებას. ეს დამოკიდებული იყო იმ მკვიდრო კონტაქტზე, რომელიც ბერძნულ ფილოსოფიასა და რელიგიას შორის არსებობს.

ყველაზე ძველი ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ორფიზმში შეიქმნა, პითაგორიზმია; შემდგომში შეიმჩნევა პერაკლიტეს ფილოსოფიისა და სტოიციზმის გავლენა. ძველი ავტორები ამ ფილოსოფიებშიც ხედავენ ორფიზმის გავლენას. თვით პერაკლიტე მიუთითებდა იგივეობაზე პითაგორიზმსა და ორფიზმს შორის²³. ორფიზმის შემდგომი განვითარების დროსაც მისი კავშირი პითაგორიზმთან არ გამწყვდარა. პითაგორიზმის გავლენაზე გვიან ხანაშიც კი მიუთითებენ ორფიკულ მოძღვრებაში.

ანტიკური ხანის მოღვაწენი მიუთითებენ, რომ ბევრმა ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ (მოყოლებული პითაგორიზმიდან) მრავალი რამ შეითვისა ორფეუსისა და მუსესის პოეტური ნაწარმოებებიდან²⁴.

ძალიან საინტერესო სურათს იძლევა ორფიზმის გასაცნობად ორფიკული ჰიმნები, რომლებშიც შექებულია ორფიკოსებისათვის თაყვანსაცემი მრავალი ღვთაება. იგივე სურათთან გვაქვს საქმე ორფიკული „არგონავტიკის“ რიგი ადგილების გაცნობის დროსაც.

როგორც აღვნიშნეთ, ორფიკული „არგონავტიკა“ წარმოადგენს არგონავტების ლაშქრობის წითის შეკუმშულ ვარიანტს. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი პოემის ორფიზმთან კავშირმა განაპირობა: არსებობდა რა მრავალი საუკუნის განმავლობაში, მოგვიანებით (იმ პერიოდში, რომელსაც ორფიკული „არგონავტიკის“ შეთხზვა განეკუთვნება) ორფიზმმა მხოლოდ წეს-ჩვეულებითი ხასიათი შეიძინა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დიდ ადვილს უთმობდნენ სხვადასხვა ხასიათის ორფიკულ ღვთისმსახურებას²⁵. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოემა განეკუთვნილი იყო ორფიკული კულტმსახურებისას წასაკითხად: ასეთი დანიშნულება კი შიშობოვდა, რომ წასაკითხი ნაწარმოები რაც შეიძლება მოკლე და მოსასმენად ვარჯისი ყოფილიყო. ჩვენი აზრით, სწორედ ამან განაპირობა პოემის ასეთი შედარებით მცირე მოცულობა.

საინტერესოდ მიგვაჩნია, თუ რატომ აირჩია ორფიკულმა მიმდინარეობამ თავისი ერთ-ერთი პოემის საფუძვლად სწორედ არგონავტების ლაშქრობის მითი. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ანტიკურ ხანაში ორფეუსის

²³ Herod. II, 81, Herodoti historiarum libri IX edd. Dietsch-Kallenberg. I-II, Lips, 1933—1935.

²⁴ იხ. Н. И. Новосадский, Орфические гимны, Варшава, 1900, გვ. 55.

²⁵ იხ. Вячеслав Иванов, Дионис и придионисничество, Баку, 1923, გვ. 159.

შესახებ მრავალი თქმულება იყო გავრცელებული. ამ საკითხზე არსებობს მოსაზრება, რომლის შინაარსიც მოკლედ შემდეგში მდგომარეობს²⁶: პოემა იწყება აპოლონისადმი, მზის ღვთაებისადმი მიმართვით; პოემაში გამოკვეთილია აიეტის, კოლხთა მეფისა და ჰელიოსის ვაჟის მზიური ხასიათი. მზიური ბუნებისავე მატარებლად გვევლინება აიეტის და, კირკე. როდესაც აიეტი უახლოვდება არგონავტებს, იგი აბრმავებს მათ თავისი ალქურვილობის ბრწყინვალეობით, რომელიც მზესავით ანათებს, კირკეც დამაბრმავებელი სხივებით ელავს. ამ მოსაზრების ავტორი ვარაუდობს, რომ იმ პერიოდში, რომელსაც ორფიკული „არგონავტიკა“ განეკუთვნება, ორფიზმი მზის თაყვანისმცემლობისაკენ ისრებოდა. დღესდღეობით ჩვენ გაგვიჭირდება რაიმეს დანამდვილებით თქმა ამის შესახებ, ვინაიდან ორფიზმზე საკმაოდ მცირერიცხოვანი ცნობები არსებობს. მართალია, ორფიზმი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ფორმას იძენდა, მაგრამ არსი მისი მაინც ერთი რჩებოდა. ამიტომ, როდესაც ვსვამთ საკითხს, თუ რატომ აირჩია ორფიკულმა მიმდინარეობამ თავისი ერთ-ერთი პოემის საფუძვლად სწორედ არგონავტების ლაშქრობის მითი, უნდა შევეცადოთ იგი ორფიზმის ძირითადი არსით ავხსნათ. რაც შეეხება პოემის დაწყებას აპოლონისადმი მიმართვით, ეს არ არის ორფიკული „არგონავტიკისათვის“ რაიმე განმასხვავებელი და თვითმყოფადი: ასევე აპოლონისადმი მიმართვით იწყება აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაც“, თუმცა ამ პოემასთან მიმართებით ჩვენ არ ვლაპარაკობთ მზის თაყვანისმცემლობის გავლენაზე მით უფრო, რომ აიეტი და კირკე ამ ავტორთანაც ჰელიოსის შვილები არიან.

არგონავტების მითის არჩევა ორფიკული პოემის საფუძვლად უნდა გამოდინარეობდეს თავად ორფიკული კულტის ძირითადი სპეციფიკიდან და ეს საკითხი შემდეგნაირად გვესახება: მთავარი ორფიზმში იყო მოძღვრება ორი არსის შესახებ ადამიანში: უმადლესი — ღვთაებრივი და მდაბალი — ტიტანური. ეს ემყარებოდა დიონისეს კულტს, კერძოდ. მითს დიონისეს ტიტანების მიერ დაღუპვის შესახებ. მითი მოკვითხრობს, რომ ათენამ დიონისე ძაგრევის გული გადაარჩინა და ზევსს მიუტანა. ამის მერე ხელახლა წარმოიშვა დიონისე სემელესაგან. ამ თქმულებაში, როგორც აღრე აღვნიშნეთ, გადმოცემულია იდეა, რომ მთლიანი ბოროტი საწყისის წყალობით (ამ შემთხვევაში ტიტანები) გაყოფილია უამრავ საგნებად, მაგრამ ისევ შეერთებულია. როცა დიონისე ძაგრევი სელემორედ დაუბრუნდა სამყაროს, ტიტანები განადგურდნენ და მათი ფერფლისაგან ადამიანთა მოდგმა შეიქმნა. ორფიზმის მიხედვით, ადამიანის ბელი იგივეა. რაც ტანჯული ღმერთისა, მხოლოდ ადამიანი მთლიანად დიონისესაგან კი არ არის შექმნილი, არამედ მისი მდაბალი ბუნება „ტიტანურია“²⁷. იმისათვის, რომ ღმერთს დაუბრუნდეს, ადამიანი უნდა განიწმინდოს. სწორედ ორფიკულ მისტერიებში ეძლეოდა ორფიკოსს განწმენდის გზა. ეს იყო სანაგრაკივი მორალურ-ეთიკური შემზადებისა და წინასწარი გამოცდების გავლის გზა, რომელიც მით უფრო შემზარავი იყო ცნობიერებისათვის, რაც უფრო მაღალი საფეხური უნდა გახსნოდა ადამიანს. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, არგონავტების ლაშქრობის მითი ორფიკოსთათვის შესანიშნავ მასალას იძლეოდა თავისი დაძაბული სიუჟეტური

²⁶ იხ. История греческой литературы, т. III, Москва, 1960, გვ. 346; აგრეთვე ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964, გამოკლევა, გვ. 64.

ხლართებით. არგონაექტთა მარშრუტი, რომელიც საესეა ათასგვარი ფათერაკებით, შესანიშნავ „განსაწმენდელს“ წარმოადგენს.

სწორედ ეს გარემოება უნდა მივიღოთ მხედველობაში, როდესაც ორფიკულ „არგონაექტიას“ განვიხილავთ. ალბათ ამითაა გამოწვეული, რომ უჭირთ მსჯელობა, რამდენად სარწმუნოა ის გეოგრაფიული თუ ისტორიული სახის გადმოცემანი, რომელთაც პოემაში ვხვდებით — ნაწარმოებში ხომ ძირითადი აქცენტი სწორედ იმ საოცარ ფათერაკებზეა გადატანილი, რომლებიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხვდებათ არგონაექტებს...

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ორფიკული მოძღვრების გაუთვალისწინებლად საკმაოდ გაძნელებდა მსჯელობა ორფიკულ „არგონაექტიკაზე“.

²⁷ იხ. Вячеслав Иванов, Дюнис и прадюнисство, Баку, 1923, გვ. 159.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა)

დონარა ბრიჰაროვა

ქართული შესიტყვებების აოზიციურ ტიპებად დაჯგუფების
ცდა

(წინადადებაში სიტყვათა განლაგების ავტომატურად დაქვნის მიზნით)

1. წინადადებაში სიტყვების განლაგების განსილვისას — როგორც ავტომატურად მოქმედი ენობრივი მოდელების შექმნის თვალსაზრისით, ისე ჩვეულებრივი თარგმნის ან წერითი სამუშაოების შესრულების მიზნით — დგება საკითხი სიტყვათაგანლაგების ოპტიმალური ვარიანტის არჩევისა ფრაზაში, შესიტყვებაში¹. ამისათვის საჭიროა ყველა ან, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე შესაძლებელი ვარიანტის გათვალისწინება, რომელთაგანაც შეიძლება ამოვარჩიოთ უკეთესი.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს ცდას სიტყვათაგანლაგების ვარიანტების დადგენისა და მათი ტიპებად დაჯგუფებისა სახელობით, სახელწმინდურ, ზედსართავურ, მიმოვობურ და ზმნიზელურ შესიტყვებებში.

სიტყვათაგანლაგების ძირითადი თავისებურებები ქართული ენის შესიტყვებებში აღნიშნულია ბევრ გამოკვლევაში². მაგრამ შესიტყვებების წევრთა წყობის ვარიანტების აღნუსხვისა და მათი ტიპებად დაჯგუფების საკითხს ჯერ არავინ შეხებია.

სიტყვათაგანლაგების ვარიანტების დადგენისათვის საკვლევ მასალად გამოყენებული იყო შესიტყვებათა ჯგუფები, რომელთა წევრებს შორის არსებობს დაქვემდებარებითი ხასიათის დამოკიდებულებები. შესიტყვებებს სტრუქტურა წარმოადგენილია ე. წ. სინტაქსური დამოკიდებულებათა ხასიათის ფრაგმენტის სახით უშუალო დომინაციის მინარტყვების (უღმ) ტერმინებში³. განხილული შესიტყვებების სტრუქტურის წევრებს შორის არსებობს ასეთი დამოკიდებულებანი: ბატონი (მთავარი სიტყვა) — მასხური (მასზე დამოკიდებული) ან ერთ დონეზე განლაგებული მსახურები. სიტყვათა მაქსიმალურაოდენობა შესიტყვებაში უღრის ექვსს.

¹ И. А. М е л ь ч у к, Порядок слов при автоматическом синтезе русского текста (Предварительное сообщение), Научно-техническая информация, 1965, № 12; И. А. Ф и г у р о в с к и й, О некоторых вопросах порядка слов во французском языке, Иностранные языки в школе, 1956, № 6, მისივე, Синтаксис целого текста и учебнические письменные работы, М., 1961.

² ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1902; ს. გ ო რ გ ა ძ ე, ქართული სადასიტყვაობა, თბილისი, 1915; ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მსახურვლ-სახურვლის ადგილისათვის ქართველურ ენებში და აფხაზურში (ტოპონომიკურ სახელთა მიხედვით), სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი 1, თბ., 1956; ლ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, მსახურვლის ადგილი რამდენიმე მსახურვლიან წინადადებაში (სამი შატბერდული ხელნაწერისა და „ძველი აღთქმის“ 1 წიგნის მიხედვით), იქვე.

³ И. А. М е л ь ч у к, Автоматический синтаксический анализ, том I, Новосибирск, 1964.

შესიტყვებები ამორჩეული იყო ნეიტრალური სტილის შქონე მარტივი ხარობითი ხასიათის წინადადებებიდან. შესიტყვებები არ შეიცავენ ექსპრესიულ ლექსიკას, უარყოფითსა და გამორჩევითს ნაწილაკებს, რომლებსაც ახსრიათ ორი ფუნქცია — გამოხატონ ლოგიკური მახვილი და ამავე დროს შეუძლიათ იმოქმედონ ელემენტების ხასიათის განლაგებაზე შესიტყვებაში და განაპირობონ შესიტყვების ადგილი წინადადებაში. შესიტყვებები არ შეიცავენ ერთგვაროვან წვერებს, არა აქვთ ელიფსი. ჩვენ არ ვეხებით მყარ შესიტყვებებს, რომელთა სიტყვათგანლაგება მოითხოვს სპეციალურ შესწავლას. საკვლევ მასალად, ძირითადად, გამოყენებული იყო მეცნიერული და ლიტერატურული ხასიათის ტექსტები.

სიტყვათგანლაგების ხასიათის გარკვევისას პირველ რიგში საჭიროა გავიკვირდეთ ის პირობები, რომლებიც იწვევენ სიტყვათგანლაგების ვარიანტების რაოდენობის შემცირებას ან გაზრდას. აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი:

1. გრაფიკულად დამოუკიდებელი თანდებული თითქმის ყოველთვის ამცირებს შესიტყვების სიტყვათგანლაგების ვარიანტების რიცხვს. მაგალითად, შემდეგ შესიტყვებებში ორ შესაძლებელ სიტყვათგანლაგებიდან — XY და YX (ახსტრაქტულ მუკრივში X ნიშნავს ბატონს, Y — მსახურს) თანდებულის დართვის შემდეგ შესაძლებელი ხდება სიტყვათგანლაგების მხოლოდ ერთი ვარიანტი — YX; მაგ. „... ჩვენი არქიტექტურის ეს ძირითადი ელემენტები... დამუშავებულია... ბიზანტიური და სირიული არქიტექტურის უშუალო გავლენის გარეშე“ (თ. პაპუაშვილი, გვ. 301). „დამატებითი ცნობების უქონლობის გამო ძნელდება ალბანეთში შემავალი ისეთი გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაცია...“ (თ. პაპუაშვილი, გვ. 26).

ქვემოთ მოყვანილ შესიტყვებაში კი ექვსი ვარიანტიდან თანდებულის დართვის შემდეგ შესაძლებელი ხდება მხოლოდ ორი — $X_1Y_1Y_2X$ და $Y_2Y_1Y_3X$:
 «მდ. არაქსის ზღვასთან ცალკე შესართავის შესახებ ცნობა და ცუდია სტრაბონის „გეოგრაფიაში“» (თ. პაპუაშვილი, გვ. 5).

2. მსახურის აუცილებელი ვალენტობის ნიშან-თვისება ყოველთვის იწვევს შესიტყვების დანარჩენი მსახურების პოზიციური ვარიანტების შეზღუდვას: თუ ეს მსახური მსაზღვრელია, ამავე რანგის სხვა მსაზღვრელი — ზედსართავი სახელი, მიმღეობა, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები, ვერ დაიკავენ პოზიციას მის მარცხნივ, რადგან ეს გამოიწვევს სტრუქტურის დაშლას და აზრის დამახინჩებას:

„სამშაული ქართულის ტექსტებში არსებული ზოგი მეტად საეგულის ხმო ფაქტი გვიჩვენებს ამ პერიოდის ქართული ენის ფონეტიკური კანონზომიერებების მეტად საინტერესო ტენდენციას“ (ივ. ქავთარაძე, გვ. 81). არ შეიძლება: „ზოგი ან მეტად საგულისხმო] სამშაული ქართულის ტექსტებში... ჩანს რომ ჩვეულების ენებში შესული ქართული სიტყვა ჭკარი გამოითქმის ჯშარ...“ (ივ. ქავთარაძე, გვ. 101).

3. მორფოლოგიური მახასიათებლები: ჩვენ ვერიდებით სიტყვათგანლაგებას — არსებითი სახელი ნათ. ბრუნვაში + არსებითი სახელი არანათესაობით

ბრუნვაში, თუ ეს ორი სიტყვა არიან ერთი რანგის, დამოკიდებული არიან ერთი და იმავე სიტყვისაგან და იკავებენ პოზიციას მის მარცხნივ: მაშასადამე, ძე-ლმერტსაც ახასიათებდა ადამიანური „სისუსტე“, მით უფრო შესაწყენარებლად მიაჩნიათ თვით ადამიანების მიწერი მისწრაფება სიმდიდრისაკენ...“ (ნ. ბერძენ. და სხვ., გვ. 94). „სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მქონე მთარგმნელის აქტიური დამოკიდებულება დღნის მიმართ მის დამახასიათებელ მხარეთა ყველაზე მართალ შემოქმედებით ასახვაში უნდა ვეძებოთ“ (გ. გაჩეჩ., გვ. 199). „... მეფის მთავრობამ გადაჭრით უარი თქვა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნაზე“ (ნ. ბერძენ. და სხვ., გვ. 583).

4. იმ შემთხვევაში, როდესაც შესიტყვების სიტყვათგანლაგების ტიპი ალტერნაციულია⁴ და მას ემატება მსახური, რომელიც არ ცვლის მის ალტერნაციულ ტიპს, ვარიანტების რიცხვი იზრდება: საქმით დაკავშირებული ადამიანები (შესიტყვებაში სიტყვათგანლაგების ორი ვარიანტია). ერთმანეთთან საქმით დაკავშირებული ადამიანები (ექვსი ვარიანტი).

სიტყვათგანლაგების ვარიანტების დადგენის დროს სახელობითსა და სახელმწიფო შესიტყვებებში უპირატესობას ვაძლევთ იმ შემთხვევებს, როდესაც ბატონი სიტყვა სახელობით ბრუნვაშია და უთანდებულოა. ეს აიხსნება იმით, რომ ამ შემთხვევაში შეგვიძლია გამოვავლინოთ ვარიანტების მაქსიმალური რაოდენობა და ამავე დროს არ გავამახვილოთ ყურადღება შესიტყვების სინტაქსურ ფუნქციაზე წინადადებაში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მაგალითად, გრაფიკულად დამოუკიდებელი თანდებული, რომელიც ახლავს ბატონს, იწვევს შესიტყვებაში სიტყვათგანლაგების ვარიანტების შემცირებას; არსებითი სახელი ნათ. ბრუნვაში შეუძლებელია იდგეს ბატონის მარჯვნივ, თუ უკანასკნელიც გამოხატულია არსებითი სახელით ნათესაობით ბრუნვაში.

მაშასადამე, შესიტყვების სიტყვათგანლაგების ვარიანტად მიგვაჩნია ყველა ისეთი სიტყვათა რიგი, რომელიც არ იწვევს სტრუქტურის დაშლას, გამორიცხავს ორაზროვნებას და აზრის დამახინჯებას.

როგორც ცნობილია, სიტყვათგანლაგების ყველა ვარიანტი არ არის თანაბარი სტილისტურად და აზრობრივად. პირველ საკითხს ჩვენ არ ვებნებოდ. სოლო რაც შეეხება მეორეს, აქ ჩვენ ერთმანეთს დავუპირისპირებთ სამი ტიპის

⁴ შესიტყვების ელემენტების პერმუტაციული თვისებების ზოგადად დახასიათების დროს გამოიყო სიტყვათგანლაგების ოთხი ტიპი: მკაცრად ფიქსირებული, ალტერნაციული, სუსტად ფიქსირებული და შერეული. შესიტყვებას, რომელსაც ახასიათებს სიტყვათგანლაგების მკაცრად ფიქსირებული ტიპი, არ ვააჩნია განლაგების ვარიანტები.

თანამიმდევრობა: ნეიტრალური, არაგლობალურად აქცენტირებული და გლობალურად აქცენტირებული შესიტყვება⁵.

სიტყვათგანლაგება შესიტყვებაში ნეიტრალურია. თუ შესიტყვების არც ერთი კომპონენტი არ გამოიყოფა აზრობრივად. შესიტყვებას შეიძლება ჰქონდეს ნეიტრალური სიტყვათგანლაგების ერთი ან რამდენიმე ვარიანტი.

შესიტყვების ელემენტი აქცენტირებულია. თუ იგი დგას უშუალოდ ბატონი სიტყვის მარცხნივ ან მარჯვნივ არანეიტრალურ პოზიციაში, ან როცა გადაადგილების შედეგად თვით ბატონი ხდება აქცენტირებულ ელემენტად.

რამდენიმე ფუნქციონალური გეომეტრიულად გამოთქმული დამოკიდებულება ნეიტრალური რიგია: გეომეტრიულად გამოთქმული რამდენიმე ფუნქციონალური დამოკიდებულება. აქცენტირებულია: კომიტეტისადმი წერილი. ნეიტრალურია: წერილი კომიტეტისადმი. აქცენტირებულია: კლარჭეთიდან ემიგრაციის მესამე ტალღა. ნეიტრალური: ემიგრაციის მესამე ტალღა კლარჭეთიდან.

შესიტყვება გლობალურად აქცენტირებულია, თუ მსახურების ადგილის შეცვლის შედეგად გამოიყოფა აზრობრივად ერთბაშად ორი ან მეტი მსახური ან მსახური და ბატონი. გლობალურად აქცენტირებული შესიტყვება: გაყოფა მონაკვეთისა შუაზე. ნეიტრალურია: მონაკვეთის შუაზე გაყოფა.

ქართლ-კახელებთან შერწყმა ჰერებისა. ნეიტრალურია: ჰერების შერწყმა ქართლ-კახელებთან ან ქართლ-კახელებთან ჰერების შერწყმა.

ნეიტრალური სიტყვათა რიგის ვარიანტების გამოყოფა მნიშვნელოვანი პირობაა ყველა სიტყვათგანლაგების გასაგებად, რადგან ეს სიტყვათა რიგი არის საწყისი და ძირითადი შესიტყვების ყველა შესაძლებელი გარდაქმნის დროს. სახელდობრ:

ა) გლობალურად და არაგლობალურად აქცენტირებული შესიტყვებების განსაზღვრისას.

ბ) შესიტყვებების განლაგებისას წინადადებაში, კერძოდ, შესიტყვებების დაკავშირებისას როგორც დაქვემდებარებითი, ასევე მათგან დამოუკიდებელი კავშირებით. მაგალითად, მათგან დამოუკიდებელი კავშირების საშუალებით, ჩვეულებრივ, უკავშირდებათ ერთმანეთს შესიტყვებები, რომლებსაც აქვთ ნეიტრალური სიტყვათგანლაგება: „ამირანის ეპოსი მოგვითხრობს კეთილი გმირთა გმირის ამირანის ბოროტ ბოროტებას და ამირანის მიერ ამ ბოროტებათა დამარცხებას“ (ნ. ბერძენი, და სხვ., გვ. 28). აქ იგონება თვით ავტორის სუბიექტური დამოკი-

⁵ აქცენტირებულ ელემენტად ვთვლით როგორც ლოგიკურად გამოყოფილ წევრს, ასევე ახალს შესიტყვების აქტუალური დანაწევრების თვალსაზრისით. ლოგიკური მახვილის შესახებ იხ. მაგალითად, П. С. Попов, О логическом ударении, «Вопросы языкознания», 1961, № 3. აქტუალური დანაწევრების შესახებ იხ. В. Матезиус, О так называемом актуальном членении предложения, Пражский лингвистический кружок, М., 1967; П. Адамс, Порядок слов в современном русском языке, Praha, 1966. К. Пала, О некоторых проблемах актуального членения предложения, Prague Studies in Mathematical Linguistics, 1, 1966. ა. დავითიანი, წინადადების აქტუალური დაყოფა, XXXIII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კ. მარქსის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი — 22. IV — 24. IV 1968 წ.; ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973.

დებულება სომეხი გმირისადმი, მისი სიმპათია და შინაგანი განწყობილება“ (რ. ბარამიკე, გვ. 24). „ამავე დროს იგრეგლამენტირებულია მისი თანამედროვე ცოცხალი სინამდვილის მიერ დასახული ამოცანით და ავტორის მიერ უკვე შესრულებული ნაწარმოების ფარგლებით“ (გ. გაჩეჩი, გვ. 149). შესიტყვებებში, რომლებიც დაკავშირებული არიან კავშირით „ანუ“, ვხვდებით ანალოგიურ შემთხვევებს: „...სასულიერო ხასიათის ტექსტები... მათგან მეტ ტექსტულურ სიტყვებს ანუ სიტყვისიტყვით თარგმნას მოითხოვდა“ (გ. გაჩეჩი, გვ. 11).

ნეიტრალური სიტყვათა რიგის ეარიანტები არ არიან ინდიფერენტული ფრაზის ანრობრივი დაყოფის მიმართ. მაგალითად, თუ შესიტყვება ქვემდებარეა და შედის ლოგიკური სუბიექტის ჯგუფში, წინადადებაში მას შეიძლება ქონდეს ნეიტრალური სიტყვათგანლაგების ერთი ვარიანტი, ხოლო თუ ის შედის ლოგიკური ობიექტის ჯგუფში — ნეიტრალური სიტყვათგანლაგების მეორე ვარიანტი. შევადაროთ: „მიცემითის მრავლობითში დასმული სახელი ითანხმებს შემასმენელს მრავლობითში...“ (ივ. კავთარაძე, გვ. 34). თუ ქვემდებარის ჯგუფს „მიცემითის მრავლობითში დასმული სახელი“ დავსვამთ შემასმენლის შემდეგ, ლოგიკური ობიექტის ჯგუფში, სიტყვათა რივი შესიტყვებაში შეიცვლება შემდეგნაირად: „შემასმენელს მრავლობითში ითანხმებს სახელი, დასმული მიცემითის მრავლობითში“. ანალოგიური მდგომარეობა შემდეგ მაგალითში: „კაგორის ტიპის სადესერტო ღვინოების დამზადების დროს ჩვენში ძლიერ გავრცელებულია დურდოს გაცხელება კოდში ჩაშვებულ კლაკნილაში ორთქლის გატარებით“. თუ აღნიშნულ შესიტყვებას მოვაქცევთ ფრაზის დასაწყისში (ლოგიკური სუბიექტის ჯგუფში), მაშინ სიტყვათგანლაგება შესიტყვებაში შეიცვლება ასეთნაირად: „კოდში ჩაშვებულ კლაკნილაში დურდოს გაცხელება ორთქლის ვატარებით“ ანუ „ორთქლის გატარებით დურდოს გაცხელება კოდში ჩაშვებულ კლაკნილაში ძლიერ გავრცელებულია ჩვენში კაგორის ტიპის სადესერტო ღვინოების დამზადების დროს“. კიდევ ერთი მაგალითი: „გარკვეული რაციონალური რიცხვი გამოსახავს პლუს ან მინუს ნიშნით აღებული მანძილს ამ წერტილიდან ი საწყის წერტილამდე“. გადავიტანოთ ფრაზის უკანასკნელი შესიტყვება პირველ ადგილზე: „ამ წერტილიდან ი საწყის წერტილამდე პლუს ან მინუს ნიშნით აღებული მანძილს გამოსახავს გარკვეული რაციონალური რიცხვი“.


როგორც ჩანს მოყვანილი მაგალითებიდან, შესიტყვებაში მთავარი სიტყვა (ბატონი) ყველა შემთხვევაში ისწრაფვის დაიკავოს ისეთი ადგილი, რომ მაქსიმალურად დაუახლოვდეს შემასმენელს.

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს შესიტყვების ყველა პოზიციის ფიქსირება გამოვიყენებთ სიმბოლოთა მწკრივები XY_1Y_2 , Y_1XY_2 და ა. შ., სადაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, X ნიშნავს ბატონს, Y_1Y_2 და სხვ. — მსახურებს.

სამ- და მეტსიტყვიან შესიტყვებებში იგრეკების დარქმევა ხდება არა ნებისმიერად, არამედ უნის კონკრეტული მარეგნებლების მიხედვით (სტრუქტურ-

რული, სემანტიკური, სინტაქსური, მორფოლოგიური). შესიტყვებების სიტყვათგანლაგების ყველა ვარიანტი ჩვენ წარმოვადგინეთ ასეთი მწყკრივების სახით. თუ შევადარებთ ერთმანეთს სხვადასხვა შესიტყვებების სიტყვათგანლაგების ვარიანტებს, წარმოდგენილს მწყკრივების სახით, ნათელი ხდება, რომ სტრუქტურულად და აზრობრივად სხვადასხვა, მაგრამ სიტყვათა ერთნაირი რაოდენობის მქონე შესიტყვებებს ხშირად ერთნაირი მწყკრივების, აზრობრივად ერთნაირად დახასიათებული ერთი და იგივე რაოდენობა აქვთ. ეს საფუძველს გვაძლევს მწყკრივთა ვარიანტების ასეთი ერთობლიობა, რომელიც ვიჩვენებს შესიტყვების სიტყვათგანლაგების ვარიანტების ყველა შესაძლებლობას და გვაძლევს შესაბამის სიტყვათა რიგის აზრობრივ დახასიათებას, გამოვყოთ ცალკე ტიპად, რომელსაც დავარქვით პოზიციური ტიპი. სულ დადგინდა 120 პოზიციური ტიპი. მაგალითისათვის მოვიყვანთ რამდენიმე შესიტყვებას, ვაერთიანებულს ერთ პოზიციურ ტიპად.

სამსიტყვოანი შესიტყვებები:




ამ შესიტყვებებში შესაძლებელია სიტყვათგანლაგების მხოლოდ ორი ვარიანტი: ერთი — ნეიტრალური სიტყვათა რიგით და მეორე — აქცენტირებული სიტყვით. სამივე შესიტყვებისათვის ნეიტრალური იქნება ისეთი რიგი, რომელიც გამოხატულია მწყკრივით Y_1Y_2X , ხოლო აქცენტირებული Y_1 -ით — მწყკრივი Y_2XY_1 .



სიტყვათგანლაგების ტიპი სუსტად ფიქსირებულია, რადგან არსებობს ვარიანტი აქცენტირებული სიტყვით და ამავე დროს Y_2 და X შორის შეიძლება სხვა. იმავე დონის მსახურის ჩასმა: ფართო პრაქტიკული გამოყენება, გეოგრაფიული ფიქალისებური გავრცელება, უკვე კარგად შესრულებული.

* სტრუქტურებში მოყვანილი სიმბოლოები ნიშნავენ შემდეგ სიტყვათა კლასებს: $S^{0.0}$ — არსებითი სახელი, რომელსაც არ გააჩნია ვადადგილების რაიმე განსაყოფრებული თვისება, $S^{2.0}$ — სახელმწიფი, $A^{0.0}$ — ზედსართავი სახელი, $Adv^{4.0}$ — გრაფიკულად ცალკე მდგომი ნაწილაკი, $A^{1.2}$ — ვნებითი გვარის მიმღეობა, წარწერა ისარზე უღმის სახელწოდებაა.

ოთხსიტყვიანი შესიტყვებები:



2. y_1 უროშო ინსტიტუტის მიერ... y_3 ჟიშეზე ჩატარებული... — x



ამ შესიტყვებებში შესაძლებელია სიტყვათგანლაგების შემდეგი ვარიანტები, წარმოდგენილი მწკრივების სახით:

- | | |
|---------------------|---------------------------|
| 1. ნეიტრალური რიგი: | 2. აქცენტირებული სიტყვით: |
| 1. $Y_1 Y_2 Y_3 X$ | 1. $Y_1 Y_2 X Y_3$ |
| 2. $Y_2 Y_1 Y_3 X$ | 2. $Y_2 Y_1 X Y_3$ |
| 3. $Y_1 Y_3 Y_2 X$ | 3. $Y_1 Y_3 X Y_2$ |
| 4. $Y_3 Y_1 Y_2 X$ | 4. $Y_3 Y_1 X Y_2$ |
| 5. $Y_3 Y_2 Y_1 X$ | 5. $Y_2 Y_3 X Y_1$ |
| 6. $Y_2 Y_3 Y_1 X$ | 6. $Y_3 Y_2 X Y_1$ |

3. მწკრივები, რომლებიც გადმოგვცემენ მთლიანად აქცენტირებულ შესიტყვების რიგს:

- | | | | |
|--------------------|--------------------|--------------------|---------------------|
| 1. $Y_1 X Y_2 Y_3$ | 4. $Y_2 X Y_3 Y_1$ | 7. $X Y_1 Y_2 Y_3$ | 10. $X Y_3 Y_2 Y_1$ |
| 2. $Y_1 X Y_3 Y_2$ | 5. $Y_3 X Y_1 Y_2$ | 8. $X Y_2 Y_1 Y_3$ | 11. $X Y_2 Y_3 Y_1$ |
| 3. $Y_2 X Y_1 Y_3$ | 6. $Y_3 X Y_2 Y_1$ | 9. $X Y_3 Y_1 Y_2$ | 12. $X Y_1 Y_2 Y_3$ |

შესიტყვების სიტყვათგანლაგების ტიპი სუსტად ფიქსირებულია.

II. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს პოზიციური ტიპების ვაშეყენება სიტყვათგანლაგების ავტომატურად დაძენის დროს, ისინი წარმოვადგინეთ ცხრილის სახით. ვინაიდან აქ შეუძლებელია ჩატარებული სამუშაოების მთლიანად წარმოდგენა, ვიძლევიტ მის მხოლოდ ძირითად სქემატურ მონახახს. ფაქტიურად პოზიციური ტიპების ცხრილი შედგება ორი ქვეცხრილისაგან. მოგვეყენს ფრაგმენტები ქვეცხრილებიდან (იხ. შემდეგი გვერდი).

ორივე ქვეცხრილი შედგება ცხრა გრაფისაგან. განსხვავდებიან ისინი ქვეგრაფების რაოდენობით. განვიხილოთ ყოველი გრაფის მნიშვნელობა: გრაფა 1 — პოზიციური ტიპის რიგითი ნომერი, გრაფა 2 — სიტყვათგანლაგების ტიპი: 2 — ალტერნატიული, 3 — სუსტად ფიქსირებული, 4 — შერეული. გრაფა 3 — მწკრივები.

ქვეცხრილები ერთმანეთისაგან ძირითადად ამ გრაფის ქვეგრაფების რაოდენობით განსხვავდებიან. პირველ ქვეცხრილში გრაფა შედგება ექვსი ქვეგრაფისაგან, მეორეში — სამი ქვეგრაფისაგან, რომელიც, თავის მხრივ, დაყოფილია კიდევ ქვექვეგრაფებად. ეს აიხსნება შემდეგით: მწკრივები ცხრილში მოცემულია არა უშუალოდ, არამედ სიაში თავისი ნომრის მიხედვით.

1. ორ- და სამსიტყვიანი შესიტყვებების პოზიციური ტიპები

7	8	9						10			11	12		
		13						14						
		15						16						
17						18			19					
20						21			22			23		
24						25			26			27		
28						29			30			31		
32						33			34			35		
36						37			38			39		
40						41			42			43		
44						45			46			47		
48						49			50			51		
52						53			54			55		
56						57			58			59		
60						61			62			63		
64						65			66			67		
68						69			70			71		
72						73			74			75		
76						77			78			79		
80						81			82			83		
84						85			86			87		
88						89			90			91		
92						93			94			95		
96						97			98			99		
100						101			102			103		
104						105			106			107		
108						109			110			111		
112						113			114			115		
116						117			118			119		
120						121			122			123		
124						125			126			127		
128						129			130			131		
132						133			134			135		
136						137			138			139		
140						141			142			143		
144						145			146			147		
148						149			150			151		
152						153			154			155		
156						157			158			159		
160						161			162			163		
164						165			166			167		
168						169			170			171		
172						173			174			175		
176						177			178			179		
180						181			182			183		
184						185			186			187		
188						189			190			191		
192						193			194			195		
196						197			198			199		
200						201			202			203		
204						205			206			207		
208						209			210			211		
212						213			214			215		
216						217			218			219		
220						221			222			223		
224						225			226			227		
228						229			230			231		
232						233			234			235		
236						237			238			239		
240						241			242			243		
244						245			246			247		
248						249			250			251		
252						253			254			255		
256						257			258			259		
260						261			262			263		
264						265			266			267		
268						269			270			271		
272						273			274			275		
276						277			278			279		
280						281			282			283		
284						285			286			287		
288						289			290			291		
292						293			294			295		
296						297			298			299		
300						301			302			303		
304						305			306			307		
308						309			310			311		
312						313			314			315		
316						317			318			319		
320						321			322			323		
324						325			326			327		
328						329			330			331		
332						333			334			335		
336						337			338			339		
340						341			342			343		
344						345			346			347		
348						349			350			351		
352						353			354			355		
356						357			358			359		
360						361			362			363		
364						365			366			367		
368						369			370			371		
372						373			374			375		
376						377			378			379		
380						381			382			383		
384						385			386			387		
388						389			390			391		
392						393			394			395		
396						397			398			399		
400						401			402			403		
404						405			406			407		
408						409			410			411		
412						413			414			415		
416						417			418			419		
420						421			422			423		
424						425			426			427		
428						429			430			431		
432						433			434			435		
436						437			438			439		
440						441			442			443		
444						445			446			447		
448						449			450			451		
452						453			454			455		
456						457			458			459		
460						461			462			463		
464						465			466			467		
468						469			470			471		
472						473			474			475		
476						477			478			479		
480						481			482			483		
484						485			486			487		
488						489			490			491		
492						493			494			495		
496						497			498			499		
500						501			502			503		
504						505			506			507		
508						509			510			511		
512						513			514			515		
516						517			518			519		
520						521			522			523		
524						525			526			527		
528						529			530			531		
532						533			534			535		
536						537			538			539		
540						541			542			543		
544						545			546			547		
548						549			550			551		
552						553			554			555		
556						557			558			559		
560						561			562			563		
564						565			566			567		
568						569			570			571		
572						573			574			575		
576						577			578			579		
580						581			582			583		
584						585			586			587		
588						589			590			591		
592						593			594			595		
596						597			598			599		
600						601			602			603		
604						605			606			607		
608						609			610			611		
612						613			614			615		
616						617			618			619		
620						621			622			623		
624						625			626			627		
628						629			630			631		
632						633			634			635		
636						637			638			639		
640						641			642			643		
644						645			646			647		
648						649			650			651		
652						653			654			655		
656						657			658			659		
660						661			662			663		
664						665			666			667		
668						669			670			671		
672						673			674			675		
676						677			678			679		
680						681			682			683		
684						685			686			687		
688						689			690			691		
692						693			694			695		
696						697			698			699		
700						701			702			703		
704						705			706			707		
708						709			710			711		
712						713			714			715		
716						717			718			719		
720						721			722			723		
724						725			726			727		
728						729			730			731		
732						733			734			735		
736						737			738			739		
740						741			742			743		
744						745			746			747		
748						749			750			751		
752						753			754			755		
756						757			758			759		
760						761			762			763		
764						765			766			767		
768						769			770			771		
772						773			774			775		
776						777			778			779		
780						781			782			783		
784						785			786			787		
788						789			790			791		
792						793			794			795		
796						797			798			799		
800						801			802			803		
804						805			806			807		
808						809			810			811		
812						813			814			815		
816						817			818			819		
820						821			822			823		
824						825			826			827		
828						829			830			831		
832						833			834			835		
836						837			838			839		
840						841			842			843		
844						845			846			847		
848						849			850			851		
852						853			854			855		
856						857			858			859		
860						861			862			863		
864						865			866			867		
868						869			870			871		
872						873			874			875		
876						877			878			879		
880						881			882			883		
884						885			886			887		
888						889			890			891		
892						893			894			895		
896						897			898					

2. თხზ. და მეტსიტყვიანი შესიტყვებების პოლიტიკური ტიპები

1	2				3	4			5			6			7	8	9
	მწკრივი		მწკრივი			სიტყ. ვარ.	სიტყ. 1	სიტყ. 2	სიტყ. 3	სიტყ. 1	სიტყ. 2	სიტყ. 3	სიტყ. 1	სიტყ. 2			
49	3	1	1	1	4.1	4.1	6	1	2	Y ₁ Y ₂ Y ₃	3	1	1	1	1	1	1
50	3	1	2	1	4.1	4.2	2	1	2	Y ₁ Y ₂ Y ₃	3	1	1	1	1	1	1
51	3	1	3	1	1	2	3	1	2.1	Y ₁	3	1	1	1	1	1	1
52	3	1	3	5	5	6	4	1	2	Y ₁	3	1	1	1	1	1	1
53	3	2	3	1	5	6	3	1	6	Y ₁	3	1	1	1	1	1	1
54	3	1	3	1	5	5	2	1	2	Y ₁	3	1	1	1	1	1	1
55	3	1	1	1	1	1	2	1	2	Y ₁	3	1	1	1	1	1	1
56	3	1	2	1	1	1	2	1	2.1	2.2 2.3 Y ₂ Y ₃	3	1	1	1	1	1	1
57	3	1	1	1	1	1	1	1	1	Y ₁	3	1	1	1	1	1	1
58	3	1	4	1	1	1	3	2	3	Y ₁	3	1	1	1	1	1	1

მწკრივებით სარგებლობის გასაადვილებლად ისინი წარმოვადგინეთ სიის სახით და დაეყავით ჯგუფებად. ორ- და სამსიტყვიან შესიტყვებებში გამოყენებულია ყველა თეორიულად შესაძლებელი მწკრივთა ელემენტების თანამიმდევრობა. პირველ ქვეცხრილში წარმოდგენილია მხოლოდ მათი მწკრივები:

- | | | |
|------------------|------------------------------------|-----------------------------------|
| ორელემენტისანი: | 1. XY ₁ | 2. XY. |
| სამელემენტისანი: | 1. Y ₂ Y ₁ X | 4. XY ₂ Y ₁ |
| | 2. Y ₁ Y ₂ X | 5. Y ₂ XY ₁ |
| | 3. XY ₁ Y ₂ | 6. Y ₁ XY ₂ |

ხოლო რადგან ოთხ- და მეტელემენტისანი მწკრივთა ვარიანტების რაოდენობა მკვეთრად იზრდება, ისინი დაეყავით ჯგუფებად შემდეგი პირობების დაცვით: 1. ელემენტების რაოდენობის მიხედვით, 2. ელემენტების პოზიციის მიხედვით: ა. Y-ები დგანან მწკრივში X-ის მარცხნივ; ბ. X-ის მარჯვნივ არის ერთი Y, დანარჩენები X-ის მარცხნივ; გ. X-ის მარჯვნივ ორი ან სამი Y, დანარჩენები X-ის მარცხნივ.

ოთხელემენტისანი:

- | | | | | | |
|-----|---|---|-----|---|--|
| 4.0 | 1. Y ₁ Y ₂ Y ₃ X | 4. Y ₃ Y ₁ Y ₂ X | 4.1 | 1. Y ₁ Y ₂ XY ₃ | 4. Y ₃ Y ₁ XY ₂ |
| | 2. Y ₂ Y ₁ Y ₃ X | 5. Y ₃ Y ₂ Y ₁ X | | 2. Y ₂ Y ₁ XY ₃ | 5. Y ₂ Y ₃ XY ₁ |
| | 3. Y ₁ Y ₃ Y ₂ X | 6. Y ₂ Y ₃ Y ₁ X | | 3. Y ₁ Y ₃ XY ₂ | 6. Y ₃ Y ₂ XY ₁ |
| 4.2 | 1. Y ₁ XY ₂ Y ₃ | 5. Y ₃ XY ₁ Y ₂ | | 9. XY ₃ Y ₁ Y ₂ | |
| | 2. Y ₁ XY ₃ Y ₂ | 6. Y ₃ XY ₂ Y ₁ | | 10. XY ₃ Y ₂ Y ₁ | |
| | 3. Y ₂ XY ₁ Y ₃ | 7. XY ₁ Y ₂ Y ₃ | | 11. XY ₂ Y ₃ Y ₁ | |
| | 4. Y ₂ XY ₃ Y ₁ | 8. XY ₂ Y ₁ Y ₃ | | 12. XY ₁ Y ₃ Y ₂ | |

ხუთ- და ექვსელემენტისანი მწკრივები დაჯგუფებულია ანალოგიურად (ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში № 49—58 აღნიშნავს ოთხსიტყვიანი შესიტყვებების პოზიციურ ტიპებს).

თუ შესიტყვებაში შესაძლებელია ჯგუფის ყველა ვარიანტი, მაშინ ცხრილში აღინიშნება ჯგუფის ნომერი, ხოლო თუ რამდენიმე ვარიანტი, მაშინ მხოლოდ ამ ვარიანტების რიგითი ნომრები.

გრაფა 4 — ნეიტრალური სიტყვათგანლაგების ვარიანტები, შედგება ორი ქვეგრაფისაგან. ქვეგრაფა 1 აღნიშნავს ნეიტრალური სიტყვათგანლაგების ვარიანტების რაოდენობას. ქვეგრაფა 2 პირველ ქვეცხრილში შედგება ექვსი ქვექვეგრაფისაგან. მეორეში — სამი. აღნიშნავს მესამე გრაფის ქვეგრაფების ნომრებს.

გრაფა 5 აღნიშნავს შესიტყვების აქცენტირებულ ვარიანტებს. შედგება სამი ქვეგრაფისაგან. ქვეგრაფა 1 — მესამე გრაფის ქვეგრაფების ნომრებს. შედგება ორი ქვექვეგრაფისაგან. ქვეგრაფა 2 აღნიშნავს მწკრივში აქცენტირებულ ელემენტს. ქვეგრაფა 3 — მთლიანად აქცენტირებულ შესიტყვებას, შედგება სამი ქვექვეგრაფისაგან.

გრაფა 6 აღნიშნავს შესიტყვების ელემენტის ბატონისაგან დაცილების შესაძლებლობას, შედგება ორი ქვეგრაფისაგან. ქვეგრაფა 1 ნიშნავს მესამე გრაფის ქვეგრაფის ნომერს. ქვეგრაფა 2 შედგება ორი ქვექვეგრაფისაგან, რომლებშიც იწერება ელემენტი, ისარი კი აღნიშნავს დაცილების მიმართულებას — მარცხნივ ან მარჯვნივ. მაგალითად, \bar{Y}_1 .

გრაფა 7 — აღნიშნავს ამავე რანგის სხვა მსახურის ჩამატების შესაძლებლობას, რადგან ზოგჯერ შესიტყვეებაში სიტყვებს შორის არსებობს ისეთი დამოკიდებულებები, როდესაც ჩამატება შეუძლებელია. როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ამ მახასიათებელს ექნება მნიშვნელობა, როდესაც საქმე გვექნება უფრო რთულ სინტაქსურ ერთეულებთან, ვიდრე აღებული ტიპის შესიტყვეებებთან, მაგალითად, წინადადებებთან. გრაფა 7 შედგება 3 ქვეგრაფისაგან. ქვეგრაფა 1 ნიშნავს მესამე გრაფის ქვეგრაფის ნომერს. ქვეგრაფა 2 აღნიშნავს, რა შეიძლება ჩაემატოს. ჩვენ შემთხვევაში 3 ნიშნავს მხოლოდ ამავე რანგის სიტყვას. ქვეგრაფა 3 აღნიშნავს პარამეტრებს, სად შეიძლება ჩაემატოს ელემენტი (ა); შედგება სამი ქვექვეგრაფისაგან.

გრაფა 8 აღნიშნავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ნეიტრალურ სიტყვათგანლაგებაზე მოქმედებს შესიტყვეების პოზიცია წინადადებაში.

გრაფა 9 აღნიშნავს შემთხვევებს, როდესაც ნეიტრალურ რიგზე მოქმედებს სხვა პირობები, მაგალითად, შესიტყვეების სიგრძე. ბატონი სიტყვის სინტაქსური ფუნქცია.

II. პოზიციური ტიპების ცხრილის სახით წარმოდგენა საშუალებას გვაძლევს ავტომატურად დავადგინოთ სიტყვათგანლაგების ყველა საჭირო ვარიანტი. პოზიციური ტიპის დადგენა წარმოადგენს საბოლოო მიზანს სისტემაში, რომელიც ახდენს სტრუქტურის ტრანსფორმაციას მისი ელემენტების საზოგადო მწკრივად. თუკი პოზიციური ტიპი სწორად იქნება დადგენილი, სიტყვათა რიგის დადგენის შემდეგ ეტაპზე (წინადადების წევრებისა და წინადადების განლაგების დონეზე) პოზიციური ტიპის საშუალებით შესაძლებელი გახდება ოპტიმალური ვარიანტის დადგენა აღებული შესიტყვეებისათვის. ჩვენ მიერ განხილულ დონეზე პოზიციური ტიპი წარმოადგენს სინტაქსურ მოდელში მწკრივის მახასიათებელ ნიშანს.

ალგორითმი, რომელიც ადგენს სიტყვათა რიგს შესიტყვეებაში, ეყრდნობა ლექსიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და წინადადებისა და შესიტყვეების აქტუალური დანაწევრების მონაცემებს⁷. ალგორითმის მუშაობის შედეგად ვიღებთ ნეიტრალური სიტყვათგანლაგების ერთ-ერთ ვარიანტს, როგორც მის მახასიათებელს — შესიტყვეების პოზიციური ტიპის ნომერს.

პოზიციური ტიპები (ისევე როგორც სიტყვათგანლაგების ტიპები) შეიძლება გამოყენებულ იქნენ არა მარტო სიტყვათა რიგის ვარიანტების დადგენის დროს შესიტყვეებაში, არამედ ქართულ მარტოვე წინადადებაში სიტყვათგანლაგების კანონზომიერებების დასადგენად და წინადადების პოზიციის განსაზღვრადად რთულ ფრაზაში.

წინადადების სიტყვათგანლაგების კვლევის დროს მიღებულ შედეგებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს სხვა ენების სინტაქსის შესწავლის დროსაც, რამდენადაც ქართულის ანალოგიური ტიპები აქაც მოიპოვება. მიღებული ტიპები აადვილებს ქართული ვარიანტების ძებნას სხვადასხვა ენებზე თარგმნის დროს.

ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია ტიპების ამომწურავად დადგენისა, მაგრამ ცხადია, რომ, თუ ჩვენ მიერ შეუქმნეველი ტიპები აღმოჩნდება, ისინი დამუშავდება ჩვენ მიერ მიღებულ სისტემაში მთლიანად და ისე, რომ დადგენილი სიტყვის შეცვლა არ იქნება საჭირო.

⁷ იხ. И. А. М е л ь ч у к, Порядок слов при автоматическом синтезе русского текста. (წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ)

ი ნ ბ ა შ ა ლ რ ი

გარდაამავალი ზმნის არაფიქსულ მორფემათა დისტრიბუციული რანგები აფხაზურში

ზმნური კომპლექსი აფხაზურში მეტად რთული სტრუქტურით ხასიათდება. ზმნურ სიტყვაფორმებში გაერთიანებული მრავალრიცხოვანი მორფემების თანმიმდევრობა ერთმანეთის მიმართ მკაცრადაა განსაზღვრული. ამიტომ მიზანშეწონილია ამ მორფემათა დისტრიბუციის აღწერა რანგების გრამატიკის ტერმინებში.

რანგების გრამატიკის¹ მთავარი ნაწილია რანგებად დალაგებული საწყისი ელემენტების ლექსიკონი. ლექსიკონის დალაგებისას იყენებენ შემდეგ ძირითად ცნებებს: 1. ცენტრალური ელემენტი — ელემენტი, რომელიც აირჩევა ყოველ მიმდევრობაში, როგორც ათვლის წერტილი; 2. ელემენტის კვაზიდალაგება — რომელიმე მიმდევრობაში ცენტრალური ელემენტიდან მოცემული ელემენტის დაშორების აღმნიშვნელი რიცხვი (დადებითი ან უარყოფითი); 3. სიმეტრიული ელემენტები — წყვილი ისეთი ელემენტებისა, რომელთა რიგი ერთმანეთის მიმართ ნებისმიერია; 4. ელემენტის რანგი — მოცემული სიმრავლის (ენის) ყველა მიმდევრობაში ელემენტის მაქსიმალური კვაზიდალაგების განზოგადება²; 5. ქვერანგი — ელემენტების კლასი, მიღებული საერთო რანგის ელემენტებს შორის ურთიერთშენაცვლების ეკვივალენტური მიმართების დამყარების შედეგად.

ლექსიკონის გარდა რანგების გრამატიკა შეიცავს მორფოლოგიურ, ტრანსფორმაციულ და მორფონოლოგიურ წესებს. მორფოლოგიური წესები ლექსიკონის ელემენტების კონკატენაციის გზით წარმოშობენ ბირთვულ მიმდევრობებს; ტრანსფორმაციული წესები საშუალებას გვაძლევენ მივიღოთ არაბირთვული მიმდევრები და, სიმეტრიული ელემენტების გამოუღენის შემთხვევაში, — სწორი ბირთვული მიმდევრობები³. მორფონოლოგიური წესების გამოყენებით ვიღებთ სწორ ფონემურ მიმდევრობებს.

¹ Г. Г л и с о н, Введение в дескриптивную лингвистику, М., 1959, гл. 163—184; И. И. Р е в з и н, Г. Д. Ю л д а ш е в а, Грамматика порядков и ее использования, «Вопросы языкознания», М., 1969, № 1; В. Я. П и н е с, Об одной модели автоматического синтеза, «Научно-техническая информация», серия 2, 1970, № 1.

² მაქსიმალური კვაზიდალაგება (И. И. Р е в з и н, Г. Д. Ю л д а ш е в а, სს. შრ., გვ. 44) არაა რანგის იდენტური ცნება, რანგის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია არა მარტო რეალურად დასატერჯებულ მაქსიმალურ დაშორება! ელემენტისა მიმდევრობაში, არამედ უფრო დაბალი რანგის ყველა ელემენტის მიმართ მისი რიგი (Г. Г л и с о н, სს. შრ., გვ. 164).

³ Н. Х о м с к и й, Синтаксические структуры, Сб. «Новое в лингвистике», вып. II, М., 1962, гл. 78; В. Я. П и н е с, О моделировании структуры глагольных форм в тюркских языках, «Советская тюркология», Баку, 1971, № 3, гл. 451—452.

აფხაზური გარდამავალი ზმნის პრეფიქსულ მორფემათა სიმრავლე, და-ლაგებული რანგებად და ქვერანგებად, მოცემულია ტაბულის სახით. პრეფიქსული მორფემები ტაბულაში წარმოდგენილია თითო ალომორფით. ორი (მორფოლოგიურად შეპირობებული) ალომორფით წარმოვადგინეთ მხოლოდ კითხვითი (ბა-) მორფემა. პირ-კლასის ქაჩენებლებისათვის გამოყენებულია მეტასიმბოლოები⁴. ჰომოფონურ მორფებს დაეურთეთ ინდექსები იმის გასახაზად, რომ ისინი სხვადასხვა მორფემას განეკუთვნებიან.

რანგი, ქვერანგი	პრეფიქსი	პრეფიქსის მნიშვნელობა	მაგალითები
—1.1 —1.2	∅ ¹ რ-	კაუზატივი	ღ ¹ -ი ⁷ -ღ ² -რ ¹ -ბეიტ „აჩენა“ ⁶
—2.1 —2.2	∅ ² მ-	უარყოფა	ღ ² -ი ⁷ -ღ ² -მ ² -რ ¹ -ბეიტ „არ აჩენა“
—3.1 —3.2	P ₃ ზ-	პირ-კლ. მ.ჩე. (სუბ.) მიმართ.-ნაც. (სუბ.)	ი ¹ -ღ ² -მ ² -მ ² -ბეიტ „არ ნახა“ ი ¹ -ზ ² -მ ² -ბა „ი ¹ -ნც არ ნახა“
—4.1 —4.2	∅ ⁴ ააბა-	საერთ.-საორმზრ.	ჰ ¹ -ააბა ⁴ -ღ ² -რ ¹ -ბეიტ „ერთმანეთი გეაჩენა“
—5.1 —5.2	∅ ⁵ პრეფერბი	ლექსიკონი	ი ¹ -კა ⁵ -ღ ² -რ ¹ -შიტ „დააღე“
—6.1 —6.2 —6.3	∅ ⁶ ზ- ც-	„სასარგ.“ ქცევა „საზიანო“ ქცევა	ი ¹ -ღ ² -ზ ⁶ -ნა ⁶ -ღ ² -შიტ „მივეგზავნე“ ი ¹ -ა ⁷ -ც ⁶ -კ ⁶ -ღ ² -რ ¹ -შიტ „გაღმოვაგ- დე (მიკვან)“
—6.4	ც-	სათანო	ი ¹ -ღ ² -ც ⁶ -ნა ⁶ -ღ ² -შიტ „გაეგზავნე მასთან ერთად“
—7.1 —7.2 —7.3	∅ ⁷ F ₂ - ზ ₁ -	პირ-კლ. მ.ჩე. (II ობ.) მიმართ.-ნაც. (II ობ.)	ი ¹ -ღ ² -ი ⁷ -მ ² -თეიტ „არ მომცე“ ი ¹ -ზ ² -რ ¹ -მ ² -თა „ვისც არ მისცა“
—8.1 —8.2	∅ ⁸ აა- ვა- ნა- ლა-	მიმართულება ⁷	ი ¹ -ნა ⁸ -ღ ² -ღ ² -მ ² -თეიტ „არ მივეცი“
—9.1 —9.2	∅ ⁹ აა-ც-	საერთ.-სათანო	ჰ ¹ -ა ⁹ -ღ ² -მ ² -ბეიტ „ერთად არ დაკინახა“

⁴ ამ მაჩვენებელთა აღრიცხვა იხ. აქვე, გვ. 6—8.

⁵ სიმოქლისათვის მაგალითებში არ აღენიშნათ ნულოვან ქვერანგებს. მათი პოზიციების გამოსაცნობად საილუსტრაციო ფორმებში ყოველ მორფემას მიუყვართ მისი რანგის აღმნიშვნელი რიცხვი.

⁶ თარგმანი, ცხადია, სრულად არ ასახავს ფორმათა მნიშვნელობას.

⁷ რიგ შემთხვევაში ეს პრეფიქსები მოქმედების ხასიათს გამოხატავენ. ამ ვარ ფორმათა ზუსტი თარგმნა საკმაოდ რთულია (Г у б л и а Р. К., Проверьм направления в глаголе абхазского языка, Авторф. канд. дисс., Тб., 1971).

რანგი, ქვერანგი	პრეფიქსი	პრეფიქსის მნიშვნელობა	მაგალითები
—10.1 —10.2	შ ¹⁰ ბა-თ-ჯ-	კითხვითი	მ ¹² -ან ¹¹ -ბა ¹⁰ -ლუ ⁸ -მ ⁹ -ბა ⁹ ? „როდის არ დინახა?“
—11.1 —11.2	შ ¹¹ ახ- შა- ახ-	სავარ. (დროის, ეითარ., ადგილას)	მ ¹² -მ ¹¹ -თა ¹⁰ -ლ ⁷ -ზე ⁶ -ნა ⁵ -სუ ⁴ -შ ³ ? „როგორ გავეუზანენ?“ მ ¹² -ზე ¹¹ -ლ ⁷ -ზე ⁶ -ნა ⁵ -სუ ⁴ -შ ³ ? „რატომაც გავეუზანენ?“
—11.3	ზ-adv.	(მიზეზის)	მ ¹² -ზ ¹¹ -სტ ¹⁰ -ლ ⁷ -ზე ⁶ -ნა ⁵ -სუ ⁴ -შ ³ ? „საიდახ-ც გავეუზანენ?“
—11.4	ახ ⁹ -ნა ⁸ - ახ ⁹ -ნტ ⁸ -	„ (მიწენ.; დაწეხ.)	
—12.1	P ₁ -	პირ-კლ. მაჩე. (I ობ.)	მ ¹² -ან ¹¹ -ბა ¹⁰ -ბ ⁷ -ლ ⁶ -არ ⁵ -ბა ⁴ ? „როდის გაჩვენა?“
—12.2	ი-	მიმართ.-ნაცე. (I ობ.)	მ ¹² -ს ⁷ -ლ ⁶ -მ ⁵ -არ ⁴ -ბა ³ ? „რა ⁵ ც არ მაჩვენა?“
—12.3	ჩხ-	რეფლექსურობა	ლ ¹³ -ჩხ ¹² -ან ¹¹ -ბა ¹⁰ -კ ⁵ -ლ ⁴ -არ ³ -წ ² ? „როდის დაეშა?“
—13.1 —13.2	შ ¹³ P _{poss} .	კუთვ. პირ-კლ. მაჩე.	ლ ¹³ -ჩხ ¹² -ლ ⁸ -კ ⁵ -ლ ⁴ -არ ³ -წ ² იტ „დაეშა (თავი ჩაივლო)“

პრეფიქსულ მორფებს რანგების გრამატიკაში აღნიშნავენ უარყოფითი რიცხვებით⁸.

სისტემის დალაგებულობის ზომა $\mu = 1^9$. სიმარტივის ზომა $S = \frac{26^{10}}{32}$. სის-

რულის ზომა $K_n = \frac{397^{11}}{415}$

მორფოლოგიური წესები

1. —13.2 : → —12.1 ან —12.2
2. —13.1 : → —12.3
3. —12.2 : → —11.2 ან —11.3 ან —11.4 ან —7.3
4. —11.1 : → —10.2
5. —11.2 ან —11.3 ან —11.4 : → —7.3 ან —3.2
6. —9.2 → —6.4 ან —4.2
7. —7.2 ან —7.3 : → —4.2
8. —7.1 → —6.2 ან —6.3 ან —6.4
9. —7.3 : → —3.2
10. —6.2 ან —6.3 ან —6.4 : → —4.2

აღნიშვნები: 1. → სიმბოლოს მარჯვნივ მოთავსებული ქვერანგების არჩევა აკრძალულია ამ სიმბოლოს მარცხნივ მდგომი ქვერანგების შემდეგ;

2. „ან“ ნახმარია ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობით.

⁸ Г. Глисон, бс. შრ., გვ. 164.

⁹ И. И. Ревзин, Г. Д. Юлдашева, бс. შრ., გვ. 45.

¹⁰ იქვე, გვ. 46.

¹¹ В. Я. Пинес, Об одной модели..., გვ. 43.

ტრანსფორმაციული წესები: ოთხპირიან ზმნათა მიღება

1. -7.2 და $\begin{cases} -6.2 \\ -6.3 \\ -6.4 \end{cases} \rightarrow -7.2$ და $\begin{cases} -6.2 \\ -6.3 \\ -6.4 \end{cases}$ და $\begin{cases} 7.2 \\ 7.3 \end{cases}$
2. -7.3 და $\begin{cases} -6.2 \\ -6.3 \\ -6.4 \end{cases} \rightarrow -7.3$ და $\begin{cases} -6.2 \\ -6.3 \\ -6.4 \end{cases}$ და -7.2

3. -7.2 და -6 და 5 და -4.1 და -3 და -2 და $-1.2 \rightarrow \begin{cases} -7.2 \\ -7.3 \end{cases}$ და -7.2
და -6 და -5 და -4.1 და -3 და -2 და -1.2
4. -7.3 და -6 და -5 და -4.1 და -3 და -2 და $-1.2 \rightarrow -7.2$ და -7.3
და -6 და -5 და -4.1 და -3 და -2 და -1.2

აღნიშვნები: 1. ტრანსფორმაციულ და მორფონოლოგიურ წესებში \rightarrow სიმბოლო წაიკითხება როგორც „გადაიწეროს“;
2. „და“ სიტყვის მარჯვნივ მოთავსებული ქვერანგები მისდევნ მის მარცხნივ მოთავსებულ ქვერანგებს მიმდევრობაში;
3. თუ რომელიმე რანგის ქვერანგი არაა მითითებული, იგულისხმება, რომ წესი ხორციელდება ამ რანგის ნებისმიერი ქვერანგისათვის.

კაუზატივის მაჩვენებლის პოზიციის დაზუსტებისათვის იმ ზმნებს, რომლებშიც ეს მაჩვენებელი პრევერბის წინ დგას, აღენიშნავთ K სიმბოლოთი (ამ ზმნათა სია წინასწარ უნდა იყოს მოცემული) და მათთვის წარმოვადგენთ აუცილებელ ტრანსფორმაციულ წესს:

5. -5.2 და -4 და -3 და -2 და $-1.2 \rightarrow -4$ და -3 და -2 და 1.2 და -5.2
გარ.: K

მორფონოლოგიური წესები საგარემოებო პრეფიქსებისათვის:

1. $-10.2 \rightarrow \begin{cases} /-/- \\ /ბა-/- \end{cases}$ გარ.: -11.3

2. -11.4 და $-10.2 \rightarrow \begin{cases} /აბა-/- \\ /აბანტი-/- \end{cases}$

პირ-კლასის მაჩვენებელთა აღრიცხვა:

-3.1 , -7.2 , -13.2 ქვერანგებს მიუწერეთ დამატებით ინდექსებს შემდეგი მნიშვნელობებით:

ინდექსი	მნიშვნელობა გრ.მეგებში
1.	I პირი { მხოლოდითი რიცხვი მრავლობითი რიცხვი
2.	
3.	II პირი { მხოლოდითი რიცხვი, მამრობითი სქესი მხოლოდითი რიცხვი, მდედრობითი სქესი
4.	
5.	III პირი { მრავლობითი რიცხვი მხოლოდითი რიცხვი, მამრობითი სქესი } აღ.
6.	
7.	III პირი { მხოლოდითი რიცხვი, მდედრობითი სქესი } კლასი
8.	
9.	მხოლოდითი რიცხვი, არა-აღმ. კლასი

ასეთივე მნიშვნელობებით მიეწერება ინდექსები 1.-დან 5.-ის ჩათვლით —12.1 ქვერანგს. მისი დანარჩენი ინდექსებია:

ინდექსი	ინდექსების მნიშვნელობა გრამებში
---------	---------------------------------

6. 7.	III პირი	{ მხოლოდითი რიცხვი, ადამ. კლასი მხოლოდითი რიცხვი, არა-ადამ. კლ. და მრავლობითი რიცხვი
----------	----------	---

ამრიგად, ვთქვათ, II პირის მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლისათვის —7.2 ქვერანგში გვექნება აღნიშვნა —7.2.5. ამ ინდექსთა ნაცვლად ფაქტიურად ცალკე ქვერანგები უნდა აგველო შესაბამის რანგებში. მაგრამ ტაბულის შედგენებად გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით ვარჩიეთ პირ-კლასის შიგნით აღნიშვნა ცალკე წარმოგვედგინა. ამ აღნიშვნის ჩვიდმეტ მორფონოლოგიურ წესში გამოყენებულია დასახელებული ინდექსები.

წესები

1. $\begin{cases} -7.2.1 \\ -12.1.1 \\ -13.2.1 \end{cases} \rightarrow /ს/;$	2. $\begin{cases} -7.2.2 \\ -12.1.2 \\ -13.2.4 \end{cases} \rightarrow /პ/;$
--	--

3. $\begin{cases} -7.2.3 \\ -12.1.3 \\ -13.2.3 \end{cases} \rightarrow /უ/;$	4. $\begin{cases} -7.2.4 \\ -12.1.4 \\ -13.2.4 \end{cases} \rightarrow /ბ/;$
--	--

5. $\begin{cases} -7.2.5 \\ -12.1.5 \\ -13.2.5 \end{cases} \rightarrow /შ/;$	6. $\begin{cases} -3.1.6 \\ -7.2.6 \\ -13.2.6 \\ -12.1.7 \end{cases} \rightarrow /ი/$
--	---

7. $\begin{cases} -3.1.7 \\ -7.2.7 \\ -13.2.7 \end{cases} \rightarrow /ლ/;$	8. $\begin{cases} -7.2.8 \\ -13.2.8 \end{cases} \rightarrow /ა/;$
---	---

9. —13.2.9 → /რ/;	10. —12.1.6 → /დ/.
-------------------	--------------------

კონტექსტით შეზღუდული წესები:

11. —3.1.1 → $\begin{cases} /ზ/ \\ /ს/ \end{cases}$ გარ.: —2.1 და —1.1 და ¹²

12. —3.1.2 → $\begin{cases} /აა/ \\ /პ/ \end{cases}$ გარ.: როგორც 11. წესში

13. —3.1.5 → $\begin{cases} /ეი/ \\ /ში/ \end{cases}$ გარ.: როგორც 11. წესში

14. —3.1.8 → $\begin{cases} /ნა/ \\ /ა/ \end{cases}$ გარ.: —5.2 ან $\begin{cases} -7.2 \\ -7.3 \end{cases}$

15. $\begin{cases} -3.1.9 \\ -7.2.9 \end{cases} \rightarrow \begin{cases} /დ/ \\ /რ/ \end{cases}$ გარ.: —1.2

¹² CV-თი აღნიშნეთ მიღერი თანხმოვნები და /უ/ ფონემა, რომლებითაც იწყება ზოგიერთი წესური ძირი.

ორი კონტექსტურად შეზღუდული წესი ითვალისწინებს ბრძანებითის სუფიქსის ნულოვანი ალომორფის გამოვლენას. იმ ფორმებს, რომლებშიც ეს ალომორფი ვლინდება, მივანიჭებთ კოდს 0, იმათ კი, რომლებშიც იგი არ ვლინდება — კოდს 1.

$$16. \quad -3.1.3 \rightarrow \begin{cases} /უ/ \\ /ვ/ \end{cases} \quad \text{გარ.: } \begin{matrix} 1 \\ 0 \end{matrix}$$

$$17. \quad -3.1.4 \rightarrow \begin{cases} /ბ/ \\ /პ/ \end{cases} \quad \text{გარ.: } \begin{matrix} 1 \\ 0 \end{matrix}$$

დამატებითი წესები:

1. —3.1 და —13.2 ქვერანგების ინდექსები ფორმაში იდენტურია ყოველთვის.

2. 2. ან 5. ან 9. ინდექსები (—12.1 ქვერანგისათვის 9. ინდექსის ხ-ც-ვ-ლად ავიღებთ 7.-ს) აუცილებლად იქნება წარმოდგენილი —4.2 ან —9.2 ქვერანგების კონტექსტში.

3. —3.1, —2.2, —12.1 ქვერანგების ინდექსთა გამეორება 1-დან 5-მდე დაუშვებელია. გამონაკლის წარმოდგენენ ისეთი რთულფუძიანი ფორმები, რომელთა რეფლექსურობა განპირობებულია პრევერბების სპეციფიკური სემანტიკით¹³ და რომლებშიც დასაშვებია ამ ინდექსთა გამეორება —3.1 და —7.2 ქვერანგებში.

ახლა მიმოვიხილავთ მორფოლოგიური ანალიზის ზოგიერთ საკითხს, რომელიც გამოვიყენეთ წარმომშობი მოდელის წარმოდგენილ მონაკვეთში.

ზმნურ სიტყვაფორმებში შემავალ მორფემათა რანგობრივი აღწერის დროს ბუნებრივია ზმნური ძირის აღება ცენტრალურ ელემენტად. მაგრამ ჩვენს მოდელში ცენტრალურ ელემენტად მიჩნეულ ზოგიერთ მორფემას. გარკვეული მოსაზრებით, სუფიქსებს უწოდებენ ზოგჯერ. პირველ რიგში ეს ეხება ე. წ. გარდაქვეითობის სუფიქსებს¹⁴. ამ მორფემების მიმართ აფიქსების განაწილება იდენტურია საკუთრივ ზმნური ძირების მიმართ აფიქსთა განაწილებისა და ამ თვალსაზრისით არა გვაქვს საფუძველი ისინი სუფიქსებად მივიჩნიოთ ზმნურ ფორმათა რანგობრივი აღწერის დროს (სხვა საკითხია სახელებთან ამ ფორმათა ურთიერთობის აღწერა).

ცენტრალურ ელემენტებად ჩავთვლით მარტივ ზმნურ ძირებს და ამ მორფემებს, რომლებიც მათი იდენტურია პოზიციურად (მათ აგრეთვე ზმნურ ძირებად მივიჩნევთ). მაგალითად, ი-ქე-ს-ხ-ი-ტ „გადმოვიღე (ზევიდან)“ ფორმა შეიძლება ჩავანაცვლოთ წინადადებაში ი-ს-შ-ი-ტ „მოვკალი“ ფორმა: /-შ-/ ძირი /-რ-/ მორფის იდენტურია პოზიციურად. სპეციალურ ლიტერატურაში ოთხ მორფემას: {-ხ-}, {-წ-}, {-წა-}, {-ლა-} პირობითად „ძირ-სუფიქსებს“ უწოდებენ¹⁵. მაგრამ რანგების გრამატიკაში ცნებები „ძირი“ და „სუფიქსი“

¹³ ქ. ლომთათიძე, ქვეყის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში, თსუ შრომები, XXX/18, 1947, გვ. 412.

¹⁴ ი. შ. შად., Грамматика абхазского языка, Фонетика и морфология, Сухуми, 1968, გვ. 59.

¹⁵ ქ. ლომთათიძე, რთულფუძიან ზმნათა აგებულება აფხაზურში, იყ. ტ. IV, თბ. 1953, გვ. 92—93.

მუთავსებელია: /-ხ-/ ჩაითვლება ცენტრალურ ელემენტად მით უმეტეს, რომ /-ქმ-/ და მისი მსგავსი მორფები ქმნიან რთულ ზმნურ ფუძეებს მარტივ ზმნურ ძირებთან, რომლებიც მათ გარეშეც შეიძლება შეგვეხედინებინათ¹⁶. მაგალითად, ი-ლ-ლ-ლ-ე-ატ „გაფხიკა“, — ი-ქმ-ლ-ლ-ე-ატ „გადაფხიკა“ და მისთ¹⁷. ისეთ მაგალითში, როგორცაა ი-ბზა-ლ-ტა-იტ „გააცოცხლა“, სახელური ძირია /-ბზა-/ „ცოცხალი“, /-ტა-/ კი იწოდება გარდაქცევითობის სუფიქსად; იგი ნა-სახელარ ზმნებს აწარმოებს. რანგების გრამატიკაში ეს /-ტა-/ მხოლოდ ცენტრალურ ელემენტად (ზმნურ ძირად) შეიძლება ჩავთვალოთ, ვინაიდან ფორმა ი-ბზა-ლ-ტა-იტ პარალელურია, ერთი მხრივ, ი-ლ-ბე-ატ „დაინახა“ ფორმის, მეორე მხრივ კი — ი-ქმ-ლ-წე-ატ „ზედ დასვა, დადგა“ ფორმის. სხვაგვარი აღწერა ამ ფორმათა სტრუქტურისა გაცილებით უფრო რთული იქნებოდა.

ცენტრალურ ელემენტებად აღიარებული მორფემებიდან ე. წ. ძირ-სუფიქსები და გარდაქცევითობის სუფიქსები დასაშვებია მხოლოდ რთულ-ფუძიან ზმნებში, ე. ი. მოითხოვენ გარკვეულ პრეფიქსულ მორფემებს, რომლებსაც ფართო მნიშვნელობით პრევერბებს ვუწოდებთ და რომლებიც ქმნიან მათთან ერთად ზმნურ ფუძეებს¹⁸.

აფხაზურში უამრავი მარტივი და შედგენილი საკუთრივ პრევერბია¹⁹. როგორც ვნახეთ. მათი იდენტურია პოზიციურად პრაქტიკულად ყველა სახელური ძირი (და სხვა ზოგიერთი მორფემა), რომლებიც დინამიკური ზმნების რთულ ფუძეებს ქმნიან ცენტრალურ ელემენტებთან ერთად. რთული ზმნური ფუძის დაშლა ცენტრალურ ელემენტად და პრევერბად ხერხდება მათ შორის უარყოფის პრეფიქსის, სუბიექტური პირის გამომხატველი პირ-კლასის მაჩვენებლის, ზოგჯერ — კაუზატივის და საურთიერთო-საორმხრივოს მაწარმოებლების ჩაათვის გამო²⁰. პრევერბები (ფართო მნიშვნელობით) ერთადერთი კლასია მორფემებისა, რომელთა სია, ისევე როგორც ცენტრალური ელემენტების სია, რანგების გრამატიკის ლექსიკონში არ წარმოგვიდგენია.

აფხაზური ზმნის პირ-კლასის მაჩვენებლებს ზმნურ ფორმებში მათი ადგილის მიხედვით აჯგუფებენ ე. წ. დ და ლ რიგებად²¹, ან, რაც უფრო ზუსტია, დ, ლ²² და ლფ რიგებად²². ვ. ალენი²³ მათ შესაბამისად P₁, P₂ და P₃ სიმბოლოებით აღნიშნავს.

¹⁶ იქვე, გვ. 90.

¹⁷ ზმნური ფუძეების მაგალითები აღებულია ბ. ჩანაშაის აფხაზურ-ქართული ლექსიკონიდან, თბ., 1954.

¹⁸ საკუთრივ პრევერბებიც სახელური ძირებია წარმოშობით, როგორც წესი (ქ. ლომთათიძე, რთულფუძიან ზმნათა აგებულება..., გვ. 85).

¹⁹ პრევერბების უმეტესობა ჩამოთვლილია შრომებში: ქ. ლომთათიძე, რთულფუძიან ზმნათა აგებულება აფხაზურში და Б. В. Шникуба, Именные основы -првербы в абхазском глаголе, Труды Абхазского ин.-та языка, лит. и истории им. Д. И. Гулиа, т. XXV, Сухуми, 1954.

²⁰ იხ., მაგ., В. В. Шникуба, სს. შრ., გვ. 303—305.

²¹ იხ., მაგ., И. О. Гецадзе, Личные и классные показатели в абхазском глаголе, Сб. «Вопросы изучения иберийско-кавказских языков», М.-Л., 1961, გვ. 36—38.

²² К. В. Ломтадзе, Абхазский язык, «Языки народов СССР», IV, М., 1967, 113.

²³ W. S. Allen, Structure and System in the Abaza Verbal Complex, Transactions of philological society, Hertford, 1956.

ზმნური ფორმები, მათში წარმოდგენილი პირ-კლასის მაჩვენებლების რაოდენობის მიხედვით, იყოფა სამ ჯგუფად²⁴: ერთპირიან, ორპირიან და სამპირიან ფორმებად.

ერთპირიან ფორმებში პირ-კლასის მხოლოდ ერთი — P₁ რიგის მაჩვენებელია წარმოდგენილი. იგი სინტაქსურად სუბიექტურ პირს გამოხატავს მათში. მაჩვენებლები რვაწევრა²⁵ P₁ სიმრავლიდან დახასიათდება პირის, რიცხვის, სქესისა და გრამატიკული კლასის კატეგორიებით შემდგენიარად:

ფონოლოგიური მახასიათებლები	გრამემები
/ს/	I პირი, მხოლოდითი რიცხვი
/პ/	
/უ/	II პირი, მხოლ. რიცხვი, მამრ. სქესი
/ც/	
/შო/	" მრავლობითი რიცხვი
/ი/	III პირი, მხოლ. რიცხვი, ად. კლასი
/ა/	
/ო/	" მრავლობითი რიცხვი

სამპირიან ფორმებში პირ-კლასის სამი მაჩვენებელია წარმოდგენილი: P₁, P₂, P₃. ამთაგან P₁ ყველაზე შორს დგას ზმნური ძირიდან, P₃ — ყველაზე ახლოს. ზმნათა ამ ჯგუფში P₁ სინტაქსურად პირველ, ანუ პირდაპირ ობიექტურ პირს გამოხატავს, P₂ დეფინიციით მეორე, ირიბ ობიექტურ პირს მიემართება, P₃ კი — სუბიექტურს, ასევე დეფინიციით. P₂ და P₃ ცხრაწევრა სიმრავლეებში გაერთიანებულ მაჩვენებელთა მახასიათებლებია:

P ₂		P ₃
ფონოლოგიური მახასიათებლები	გრამემები	ფონოლოგიური მახასიათებლები
/ს/	I პირი, მხოლ. რიცხვი	/ს/, /ზ/
/პ/		
/უ/	II პირი, მხოლ. რიცხვი, მამრ. სქესი	/პ/, /ა/
/ც/		
/შო/	" მრავლ. რიცხვი	/შო/, /ეო/
/ი/	III პირი, მხოლ. რიცხვი, მამრ. სქესი } ად.	
/ლ/		" " " } ად.
/ა/	" " " } მდედრ. სქ. } კლ.	/ლ/, /ნა/ ²⁶
/ო/ ²⁷	" " " } არა-ად. კლასი	
	" მრავლ. რიცხვი	/ო/ ²⁷

გრამემათა შედგენილობით P₂ და P₃ რიგების მაჩვენებლები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რაც შეეხება მათი ფონოლოგიური მახასიათებლების ნაწილობრივ განსხვავებას, P₃ რიგში /ზ/, /ა/, /ეო/ ალომორფები ავტომატურად მონაცვლეობენ შესაბამისად /ს/, /პ/, /შო/ ალომორფებთან²⁸. P₂ და P₃ რიგებს შორის ასეთი მსგავსების გამო მათ ზმირად აერთიანებენ სა-

²⁴ აქ ჯერ არ ვიხილავთ ქცევის, რეფლექსურობისა და სხვა ზმნური კატეგორიების მწარმოებელთა მქონე ფორმებს; არც ე. წ. უსუბიექტო ფორმებს. იგულისხმება აგრეთვე, რომ P₁ რიგის მაჩვენებელი წარმოდგენილია ყველა განსახილველ ფორმაში.

²⁵ ე. ალენს აქ შეიღწევა სიმრავლე აქვს წარმოდგენილი.

²⁶ ამ მახასიათებელს დაეუბრუნდებით ორპირიან ზმნათა განხილვის დროს.

²⁷ კატეგორიის კატეგორიაში /რ/ ალომორფის ნაცვლად აქ /ლ/ ალომორფი გამოვლინდება (ქ. ლ მ თ ა თ ი ძ ე, კატეგორია კატეგორია აფხაზურში, სმმ, ტ. VI, № 1, 1945, ვ. 92).

²⁸ ქ. ლ მ თ ა თ ი ძ ე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენიმეის მოამბე, ტ. XII, თბ., 1942, გვ. 9—10.

ერთო ლ რიგად. ამგვარი გაერთიანება არაა სასურველი, რადგან პირ-კლასის მაჩვენებელთა რიგებზე დაჭრუფებას საფუძვლად უდევს მათი პოზიციური სხვაობების გათვალისწინება.

ორპირიან ფორმებში წარმოდგენილია P_1 და P_2 , ან P_1 და P_3 რიგის მაჩვენებლები; ე. ი. ამ ჯგუფის ფორმათა სტრუქტურა არაა ცნობილი წინასწარ. თუ P_2 და P_3 რიგების მაჩვენებლებს აქვთ თითო სინტაქსური ფუნქცია, P_1 -ის შესახებ ამას ვერ ვიტყვი. იგი პირველ ობიექტურ პირს გამოხატავს, როდესაც ფორმაში P_3 რიგის მაჩვენებელია წარმოდგენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში — სუბიექტურ პირს. სამივე ჯგუფის ზმნებში, როგორც ვხედავთ, ავტომატურად დადგინდება P_1 -ის სინტაქსური ფუნქცია იმის შემდეგ, რაც გაერაკვევთ, არის თუ არა ფორმაში P_3 რიგის მაჩვენებელი.

III პირის მხოლოდითი რიცხვის არა-აღამიანის კლასის მაჩვენებლად P_3 რიგში სამპირიან ფორმებში წარმოდგენილი იყო /ნა/ ალომორფი. ორპირიან უპრევერბო ფორმებში გამოვლინდება /ა/ ალომორფი, ანალოგიური P_2 რიგის /ა/ ალომორფისა²⁹.

P_2 და P_3 რიგის მაჩვენებელთა ფონოლოგიური მახასიათებლების თითქმის სრული დამთხვევის გამო ორპირიან ფორმებში ხშირად რთულია იმის დადგენა, კონკრეტულ შემთხვევაში ამ რიგებიდან რომელია წარმოდგენილი. მათი გარჩევისათვის ე. ალენი³⁰ განასხვავებს ზმნური ძირების ორ კლასს და აღნიშნავს, რომ I კლასის ძირის მქონე ზმნებისათვის დამახასიათებელია „სარკისებრი“ შეთანხმება პირ-კლასის მაჩვენებლებისა წინადადებაში შესაბამის სახელებთან, II კლასის ძირის მქონე ზმნებისათვის კი „ართურმისებრი“. ასეთია შეთანხმება სტილისტურად ნეიტრალურ წინადადებებში.

„ინვერსიული“ ზმნების შემთხვევაში შეთანხმება სარკისებრია³¹ და ისინი I კლასის ზმნებზე უნდა ჩაგვეთვალო. მაგრამ ე. ალენი ასახელებს P_3 რიგის მაჩვენებელთა კიდევ ერთ ნიშანს — იღვწენ პრევერბსა და ზმნურ ძირს შორის (P_2 რიგის მაჩვენებლები ყოველთვის პრევერბის წინ დგანან). ამ კრიტერიუმით პრევერბიანი „ინვერსიული“ ზმნები II კლასში ხვდებიან, ე. ი. შეთანხმების ტიპისა და პრევერბის მიმართ პოზიციის კრიტერიუმები³² აქ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს; უპრევერბო ზმნებისათვის დაგვრჩება ერთადერთი კრიტერიუმი — შეთანხმების ტიპი (თუ არ გავითვალისწინებთ /ზ/, /აა/, /ქა/ ალომორფების გამოვლენას, რაც, ცხადია, არაა აბსოლუტური კრიტერიუმი). „ინვერსიული“ ზმნებისათვის, ამრიგად, აუცილებელია სხვა ნიშანი.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია ზმნურ ფორმათა ორ კლასად დაჭრუფების ოთხი ნიშანი³³. უკვე ითქვა გარკვეულ შემთხვევაში P_3 რიგში /ზ/, /აა/, /ქა/ ალომორფების გამოვლენის, როგორც არააბსოლუტური კრიტერიუ-

²⁹ იქვე, გვ. 6.

³⁰ W. S. Allen, ხს. შრ., გვ. 154.

³¹ მ. ციკოლია, სიტყვათა რიგი აფხაზურ ენაში, თბ., 1973, გვ. 136.

³² /ნა-/ ალომორფის გამოვლენა ნიშანია ორპირიანი ზმნის ფუძის რთული შედგენილობისა. ამავე დროს, ეს ზმნური კლასების გამოყოფის ერთ-ერთი კრიტერიუმიცაა, თუმცა ამ შემთხვევაში — პირი (P_3 რიგის მაჩვენებელი ჩაერთვის ფუძეში ამ ზმნებში).

³³ ე. წ. ლაბილური კონსტრუქციის ზმნების (ქ. ლომათიძე, გარდამავლობის კატეგორია..., გვ. 21) არსებობის გამო კოზის ვილაპარაკოთ სწორედ ზმნური ფორმების და არა ძირების კლასების შესახებ.

მის შესახებ³⁴; აბსოლუტივის წარმოებისას P_3 რიგის მაჩვენებელთა „დაკარგვა“ ფაქულტატურად ხდება³⁵ და უტყუარ კრიტერიუმად არ ჩაითვლება³⁶. აბსოლუტურ კრიტერიუმად ითვლება დადებითი ბრძანებითის ფორმებში P_3 რიგის /უ/, /ბ/ მაჩვენებელთა ნულით შენაცვლება³⁷.

ყველა ამ ნიშნის გათვალისწინებით „ინვერსიულ“ ზმნებს ათავსებენ გარდაუვალ, ე. ი. P_3 რიგის მაჩვენებლის არმქონე, ზმნათა კლასში. მართალია, ამ კლასში ისინი ცალკე ქვეკლასს ქმნიან, რადგან ბრძანებითში /უ/ ან /ბ/ სახით წარმოდგენილია არა P_1 რიგის (სუბიექტის), არამედ P_2 რიგის (მეორე ობიექტის) მაჩვენებელი³⁸, რაც საზოგადოდ არაა დამახასიათებელი ბრძანებითისათვის³⁹; თანაც ამ ზმნებს შუალედური მდგომარეობა უქირავთ, რადგან შეთანხმების „სარკისებრი“ ტიპი აახლოებს მათ გარდამავალ ზმნებთან.

P_3 რიგის მაჩვენებლის მქონე (გარდამავალ) და მისი არმქონე (გარდაუვალ) ზმნათა ორი ურთიერგამომრიცხავი კლასის პოსტულირების შემდეგ პირ-კლასის მაჩვენებელთა სინტაქსური ფუნქციები ავტომატურად განისაზღვრება შესაბამის ფორმაში მათი რიგების იდენტიფიკაციის შედეგად.

პირ-კლასის მაჩვენებელთა რიგების კომბინირების თვალსაზრისით, გარდამავალ ზმნაში აუცილებელი კომპონენტია P_3 და არა P_1 (პირველი ობიექტის ფუნქციით), რადგან P_1 წარმოდგენილია საზოგადოდ ყველა ფორმაში (ზმნური ფორმების იმ სიმრავლეში, რომლითაც შემოვიფარგლეთ): აუცილებელია მისი პოზიცია და არა ესა თუ ის ფუნქცია; P_3 კი — მხოლოდ ტრანზიტულ ფორმებში, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მათს გამოყოფას. ამ საკითხს კიდევ დაუბრუნდებით.

უარყოფით ბრძანებითსა და დადებითი ბრძანებითის მრავლობით რიცხვში P_3 წარმოდგენილია არანულოვანი პრეფიქსების სახით და ამიტომ დადებითი ბრძანებითის მხოლოდობით რიცხვში დაეუქმეთ {-უ} და {-ბ} მორფემების ნულოვანი ალომორფები.

ამრიგად, პირ-კლასის მაჩვენებელთა დანახიათება მოვახდინეთ პირის, რიცხვის, კლასის, სქესის კატეგორიებით და განზოგადებულ პოზიციით, ანუ P_1 , P_2 ან P_3 სისტემის წევრობით.

განხილული მაჩვენებლების გარდა აფხაზურში არის პირ-კლასის კუთვნილებითი მაჩვენებლები, რომლებსაც რეფლექსურობის კატეგორიასთან დაკავშირებით განვიხილავთ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ P_2 და P_3 რიგის მაჩვენებლების იდენტურია პოზიციურად მიმართებით-ნაცვალსახელური პრეფიქსი /ზ-/, P_1 რიგის მაჩვენებლის იდენტური კი /ი-/ პრეფიქსი⁴⁰. P_2 და P_3 რიგებს შორის განსხვავების შესაბამისად გამოვყავით /ზ₁-/ და /ზ₂-/ პრეფიქსები.

³⁴ იქვე, გვ. 9—10.

³⁵ ქ. ლომთათიძე, აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, იყ. ტ. II, თბ., 1948, გვ. 7—11.

³⁶ აბსოლუტივის ფორმები ჩვენს მოდელში არ განიხილება.

³⁷ ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია..., გვ. 14.

³⁸ ბრძანებითის წარმოება ამ ზმნებში საერთოდ არაა ბუნებრივი. ფაქულტატურად გვხვდება „ბრძანება სუბიექტური პირისაღმო“ (ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია..., გვ. 18).

³⁹ იქვე, გვ. 17—18.

⁴⁰ К. В. Ломтатидзе, Относительные местоимения в глагольных формах афхазского языка, Сообщ. АН Грузинской ССР, т. III, № 4, Тб., 1942.

აფხაზურში არის რამდენიმე გრამატიკული კატეგორია, რომლებიც ზმნაში პირ-კლასის მაჩვენებელთა რაოდენობას და ფუნქციებს ცვლიან შესაბამის კატეგორიებს მოკლებულ ფორმებთან შედარებით. რამდენადაც ყველა მათგანი აღწერილია სპეციალურ ლიტერატურაში, აქ ხაზს გაუუსვამთ მათ იმ თავისებურებებს მხოლოდ, რომლებიც ყურადსაღებია რანგების გრამატიკის თეალსაზრისით.

„სასარგებლო“ ქცევის {ზ-}, „საზიანო“ ქცევის {ცი} და სათანოს {ც-} მორფემებს ერთნაირი ცვლილებები შეაქვთ ზმნური ფორმის სტრუქტურაში და ერთნაირი პოზიცია უჭირაუთ მასში⁴¹. ყოველ მორფემას ამ სამიდან უკავშირდება P₂ რიგის მაჩვენებელი⁴², მაგრამ დასახელებულ კატეგორიებს შეუძლიათ შექმნან ოთხპირიანი (ოდნაე ხელოვნური) ფორმები, რომლებშიც ეს მაჩვენებელი P₂ რიგის „თავისუფალ“ მაჩვენებელზე უფრო შორს დგას ზმნური ძირიდან (თუმცა P₁-ზე უფრო ახლოს, ცხადია)⁴³. ოთხპირიანი ფორმები ადვილად მიიღება სამპირიანი ფორმებისაგან ტრანსფორმაციული წესებით.

ქცევისა და სათანოს მორფემათა ერთდროულად გამოვლენა ზმნურ ფორმაში არაა ბუნებრივი. ამიტომ ისინი საერთო რანგში ხვდებიან.

კაუზატივის კატეგორიაში გარდაუვალი ზმნა გარდამავალ ზმნად იქცევა, ორპირიანი გარდამავალი კი სამპირიანად. ოთხპირიანი ზმნების მიღება კაუზატივით არაა ბუნებრივი⁴⁴. თუ ამოსავალ ზმნას არ მივაქცევთ ყურადღებას, პირ-კლასის მაჩვენებლების განაწილება კაუზატიურ ფორმებში შეგვიძლია ჩავთვალოთ საერთოდ გარდამავალ ზმნაში მათი განაწილების იდენტურად. თვით {რ-} მორფემის პოზიცია უახლოესია ცენტრალურ ელემენტთან, მაგრამ ზოგიერთ პრევერიან ზმნაში იგი პრევერბის წინ დგება⁴⁵. ასეთი ფორმების წარმოშობის დროს საჭიროა ტრანსფორმაციული წესების გამოყენება.

რეფლექსურობის კატეგორია გეხდება მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან; P₃ რიგის მაჩვენებელი აუცილებლად იქნება წარმოდგენილი როგორც ამოსავალ, ისე მიღებულ ფორმაში. {ჩხ-} მორფემის პოზიცია ემთხვევა P₁ რიგის მაჩვენებლის პოზიციას. მას უკავშირდება პირ-კლასის კუთვნილებითი მაჩვენებელი, რომელიც ფონოლოგიური მახასიათებლებით და შემადგენელი გრამემებით იდენტურია P₂ რიგის მაჩვენებლის, მაგრამ სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვს; თანაც კუთვნილების სემანტიკა ახლავს. მას P_{poss} სიმბოლოთი აღვნიშნავთ. ამ რიგის მაჩვენებლები იზიარებენ ყველა იმ გრამემას, რომლებიც აქვს ამავე ფორმაში წარმოდგენილი P₃ რიგის მაჩვენებელს⁴⁶. P_{poss} ერთგვარად ანაზღაურებს P₁-ის უქონლობას ფორმაში. ამგვარად, როგორც ითქვამს, P₁ რიგის მორფემის არსებობა (პირველი ობიექტის ფუნქციით) არაა სავალდებულო ზმნის გარდამავლობისათვის (ფორმალურად).

„ურთიერთობის“ გამოშხატველ კატეგორიებში მონაწილეობს საურთიერთოს {აჲ-} მორფემა. ცნობილია, რომ აფხაზური ზმნური პრეფიქსების უმეტესობა გარკვეულ შემთხვევებში კარგავს კატეგორიების მაწარმოებელ-

⁴¹ ეგვევ ითქმის ინსტრუმენტალისის {ლა-} მორფემის შესახებ.

⁴² მესამე პირის მრავლობითი რიცხვის მორფემის /დ-/ ალომორფი ამ შემთხვევაში არ იქნება წარმოდგენილი კაუზატივის კატეგორიასთან.

⁴³ Грамматика абхазского языка, გვ. 82.

⁴⁴ ქ. ლ მ თ ა თ ი ძ ე, კაუზატივის კატეგორია..., გვ. 90.

⁴⁵ იქვე, გვ. 91.

⁴⁶ ქ. ლ მ თ ა თ ი ძ ე, ქცევის კატეგორიისათვის..., გვ. 411.

თა ფუნქციას და შეერწყმის ფუძეს. მათი სემანტიკა თუ საგრძნობლად არ შეიცვალა ამ დროს, ასეთი მოვლენა შეიძლება ძნელად გამოსაცნობი გახდეს. ზოგჯერ ამ შემთხვევათა განსხვავებისათვის დისტრიბუციულ კრიტერიუმს მიემართავენ⁴⁷. რაც შეეხება [აა-] მორფემას, იგი განსაკუთრებით ხშირად შეერწყმის ძირს ან პრევერბს⁴⁸ და კარგავს საურთიერთო კატეგორიის მაწარმოებლის ფუნქციას⁴⁹. პრევერბებთან მისი შერწყმის შედეგად ჩვეულებრივ მიიღება „განმაძალაკებელი“ ან „შემაერთებელი“ პრევერბები⁵⁰. არსებობს ტესტი: თუ [აა-] მორფემა არ ჩამოშორდება ფუძეს (ფუძის ლექსიკური მნიშვნელობის დაურღვევლად) და თუ ამ ფუძისაგან ნაწარმოებ ფორმებში პირკლასის ყველა მაჩვენებელი შეიძლება იღვეს მხოლოდობითში, მაშინ კატეგორიის მაწარმოებელთან არ გვექნია საქმე; ამ შემთხვევაში /აა-/ს ჩვეულებრივ დაკარგული აქვს საურთიერთოს სემანტიკა, თუმცა ეს არაა აუცილებელი⁵¹. გარდამავალი ზმნებისადმი ამ ტესტის მიყენების შედეგად ირკვევა, რომ პრაქტიკულად არც ერთ მათგანში [აა] არაა კატეგორიის მაწარმოებელი. როგორც წესი, იგი რთულ პრევერბებს ქმნის ან ზმნებში და მისი ელიმინაციით მიღებული ფორმების მნიშვნელობის ცვლილებას ვერ მივაჯეროთ საურთიერთო კატეგორიის მაწარმოებლის ელიმინაციას⁵². როგორც ჩანს, საკუთრივ საურთიერთო კატეგორია ვლინდება მხოლოდ გარდაუვალ ზმნებში.

საურთიერთო-საორმხრივოს [აა-ბა-] მაწარმოებელი გამოყენებულია მხოლოდ გარდამავალ ზმნებში. ამოსავალი ზმნის P₁ და P₃ რიგის მაჩვენებლებით გამოხატული პირების გაერთიანების შედეგად (საზოგადოდ ამ კატეგორიაში დასაშვებია ნებისმიერი ორი პირის გაერთიანება) გარდამავალი ზმნა გარდაუვალად იქცევა⁵³ — „იკარგება“ P₃ რიგის მაჩვენებლით გამოხატული პირი(!). პრევერბიან ზმნებში ამ მორფემის /ინა-/ ალომორფია წარმოდგენილი⁵⁴. P₂ რიგის ექსპონენტი გარდამავალ ზმნაში გამოირიცხება [აა-ბა-] მორფემით. სემანტიკურად საურთიერთო და საურთიერთო-საორმხრივო მეტად ახლოს დგანან ერთმანეთთან. მათ შორის სემანტიკურ სხვაობას ქმნის, როგორც ჩანს, სხვადასხვა კლასის ზმნასთან მათი ხმარება (შეად. კალზატივის ორი სახეობა „ბუნებით“ გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებთან).

საურთიერთო-სათანაოს რთულ [აა-ც-] მაწარმოებელში გაერთიანებულია სათანაოს და საურთიერთოს მორფემები, მაგრამ იგი ფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი ერთეული და ვლინდება როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებში.

/აა-ბა-/ და /აა-ც-/ პრეფიქსები შესაბამისი კატეგორიების მაწარმოებელთა როლში ერთდროულად არ გვხვდება ზმნურ ფორმაში⁵⁵.

⁴⁷ მაგალითად, მიმართულების პრეფიქსების შემთხვევაში, იხ. აქვე, გვ. 19.

⁴⁸ საინტერესოა ანსრა ზმნა, რომელშიც /აა-/ხან კატეგორიის მაწარმოებელია, ხან — ფუძის ნაწილი (ქ. ლომთაძე, საურთიერთო (საურთიერთო-სათანაო), საურთიერთო-საორმხრივო) კატეგორია აფხაზურ-აილიურ ენებში, იყ. ტ. XII, თბ., 1960, გვ. 277).

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ ნ. ბ. შიჩკინა, ხს. შრ., გვ. 25.

⁵¹ ქ. ლომთაძე, საურთიერთო კატეგორია..., გვ. 277.

⁵² ეს იმას როდი ნიშნავს, რომ /აა-/ მხოლოდ უპრევერბო ზმნებში გამოდის კატეგორიის მაწარმოებლად.

⁵³ ქ. ლომთაძე, საურთიერთო კატეგორია..., გვ. 280.

⁵⁴ იქვე, გვ. 282.

⁵⁵ ეგავე ითქმის /აა-/ და /აა-ც-/ პრეფიქსების შესახებ (გარდაუვალ ზმნაში).

P₃ რიგის მაჩვენებელი არასდროს არაა ისეთ ფორმებში, სადაც წარმოდგენილია პოტენციალისის ან უნებურობის კატეგორიები. ეს ფორმები გარდაუვალია⁵⁶ და ჩვენი განხილვის არეს სცილდებიან.

საგარემოებო პრეფიქსებიდან ჩვეულებრივ ასახელებენ ოთხ მარტივ და ორ რთულ პრეფიქსს: ადგილის /ახ^ა-/, დროის /ან^ა-/, ვითარების /შა^ა/, მიზეზის /ზ^ა-/, მიწვევითი /ახ^აგ-ნძა^ა-/, დაწყებითი /ახ^აგ-ნტი^ა-/⁵⁷. ყველა მათგანი /ზ^ა-/ პრეფიქსის გარდა, დაირთავს კითხვით [ბა-] მორფემას⁵⁸. მიიღება საგარემოებო-კითხვითი პრეფიქსები: /ა-ბა^ა-/, /ან-ბა^ა-/, /შა-ფა^ა-/, /ა-ბა-ნძა^ა-/, /ა-ბა-ნტი^ა-/. მიზანშეწონილია /ახ^აგ-ნძა^ა-/ და /ახ^აგ-ნტი^ა-/ პრეფიქსების დაუშლელი სახით მოთავსება საერთო რანგში და შესაბამისი კითხვითი ფორმების მიღება აუცილებელი ტრანსფორმაციებით. /ზ^ა-/ პრეფიქსთან დაკავშირებით [ბა-] მორფემის ნულოვანი ალომორფი. ზმნურ ფორმებში ყველა ეს პრეფიქსი ერთნაირ ადგილს იკავებს.

სპეციალურ ლიტერატურაში „ოდენ-მიმართულების“ პრეფიქსების პოზიციად დასახელებულია პოზიცია პირ-კლასის პირველი მაჩვენებლის, ე. ი. P₁-ის, მომდევნოდ⁵⁹. ეს დებულება არ ითვალისწინებს საგარემოებო პრეფიქსებთან მათს ურთიერთობას, რაც ენაში საკმაოდ ხშირია. უპრევერბო ზმნებში, ე. ი. ისეთ ზმნებში, სადაც „ლოკატიური“ პრევერბები არაა, მიმართულების პრეფიქსები ხშირად მათს როლში გამოდიან⁶⁰, ე. ი. შედიან ფუძის შემადგენლობაში⁶¹. მაშინ იცვლება მათი პოზიცია, რაც ასეთი შემთხვევების გამოცნობაში გვეხმარება. საკმაოდ სანდო კრიტერიუმია ისიც, რომ მიმართულების პრეფიქსები არ აისახებიან მასდარში⁶². სახელწოდება „მიმართულების“ პრეფიქსები პირობითია. ოთხივე მათგანი — /აა^ა-/, /ნა^ა-/, /ვა^ა-/, /ლა^ა-/ — ისეთ ზმნებში, რომლებსაც მოძრაობის სემანტიკა არა აქვთ, გამოხატავს მოქმედების ხასიათს.

უარყოფის მორფემის პრეფიქსული ალომორფი /მ-/ წარმოდგენილია ყველა ინფინიტურ დინამიკურ ფორმაში და ზოგიერთი ფინიტური დროის ფორმაში⁶³. მისი სუფიქსური ალომორფის განაწილებას აქვს არ შეეხებო.

⁵⁶ ქ. ლომთათიძე, პოტენციალისისა (შესაძლებლობის) და უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ზმნაში, სმამ, ტ. XVI, № 3, 1955, გვ. 252.

⁵⁷ X. C. Б г а ж б а, *Обстоятельстважно-союзные частицы в абхазском глаголе*, Автореф. канд. дисс., Тб., 1941.

⁵⁸ ქ. ლომთათიძე, კითხვითი ფორმები აფხაზურში, სმამ, ტ. III, № 9, 1942, გვ. 974.

⁵⁹ Г у б л и а Р. К., ხს. შრ.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ მიმართულების სემანტიკას ისინი აქაც ინარჩუნებენ ხოლმე.

⁶² ანეგრა, ააგრა და მსგავს ზმნებში მიმართულების პრეფიქსები შეარწყმულია ზმნურ ძირთან (Г у б л и а, Р. К., ხს. შრ.).

⁶³ ქ. ლომთათიძე, ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში, იყე, ტ. V, თბ., 1953.

ადიშარ სარიშვილი

ერთი აზერბაიჯანულენოვანი ძეგლის ბგერითი
შედგენილობის შესახებ

ხელნაწერი. რომლის ენობრივ შესწავლაზეც ვმუშაობთ, დატულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მუსლიმურ ფონდში (Tur — 140 შიფრით).

იგი წარმოადგენს დასთან „ქორ-ოღლის“ ვრცელ ვარიანტს (დაახლოებით 800 გვერდი), დაუთარილებელია, ენობრივად აზერბაიჯანულს განეკუთვნება და შესრულებულია ადვილად გასარჩევი ნასხით¹.

ხელნაწერი რიგი გრაფიკულ-ორთოგრაფიული თავისებურებებით ხასიათდება: მასში თანმიმდევრულად დატული არ არის არაბული ალფაბეტით წერის ტრადიციული ნორმები. აღსანიშნავია ისიც, რომ ლექსითი ნაწილი (ე. წ. აკ-ები), რომლითაც ძალზე მდიდარია ძეგლი, გამონაკლისის გარეშე გულდასმითაა გახმოვნებული. გახმოვნებისას გამოყენებულია არაბული დამწერლობისთვის ნიშანდობლივი ყველა დიაკრიტიკული ნიშანი. ამდენად ხელნაწერი ფონეტიკურად კვლევის თვალსაზრისით გარკვეულ ღირებულებას იძენს.

ცნობილია, რომ ყოველი ენა დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდის; მეტყველების განვითარებას, მის ცვლილებებს, დამწერლობა ყოველთვის ფეხდაფეხ ვერ მიჰყვება. წერის ტრადიციები ხშირად ენაში მყარი და უცვლელი რჩება, მაშინ, როდესაც მეტყველება საგრძნობლად იცვლება. ასევე მოხდა თურქულ სამყაროშიც. ცალკეულ სიტყვათა დაკანონებული წერა ანუ ტრადიციული ორთოგრაფია საუქუნეთა მანძილზე უცვლელი დარჩა. ასე რომ, ცოცხალ მეტყველებასა და დამწერლობას შორის დიდმა სხვაობამ იჩინა თავი. სწორედ ამის გამო გვიანდელი პერიოდის წერილობითი ძეგლები არასაიმედონი გახდნენ თურქულ ენათა კვლევის თვალსაზრისით (განსაკუთრებით ფონეტიკის სფეროში)².

ჩვენი ხელნაწერი, როგორც გვიანდელი პერიოდის ძეგლი, ასევე არასაიმედო აღმოჩნდებოდა, რომ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი არ განაპირობებდეს მის ღირებულებას: ძეგლი ყოველთვის არ მისდევს ტრადი-

¹ ხელნაწერის აღწერილობა იხ.: ლ. გ. ჩ ლ ა ნ დ ზ ე, Об одной неизвестной рукописи эпоса «Кероглы», თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 121, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია VII, თბილისი, 1967, გვ. 187.

² П. М. М е л н о р а н с к и й, Араб-филолог о турецком языке, СПб., 1900, გვ. III; В. А. Г о р д л е в с к и й, Избранные сочинения, т. II, М., 1961, გვ. 13. Н. К. Д м и т р и е в, Материалы по османской диалектологии, фонетика «Карамалицкого языка», ЗКВ, т. III, Л., 1928, გვ. 422.

ციულ ორთოგრაფიას. უფრო მეტიც, მასში ჩანს ჩამწერის მცდელობა ეპოსის ენა მაქსიმალურად მიუახლოვოს იმ მეტყველებას, რომელზედაც შეიქმნა აღნიშნული ხელნაწერი. ამის დამადასტურებლად მარტო ტრადიციული ორთოგრაფიის უგულვებელყოფა კი არ გვესახება, არამედ ერთისა და იმავე სიტყვათა და გრამატიკულ ფორმანთა ზოგჯერ მერყევი, არასტაბილური დაწერილობაც. სწორედ ეს მერყეობა, ე. წ. მათი ვარიანტულობა უნდა მივიჩნიოთ დამწერლობის მეტყველებასთან დაახლოების ცდად.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ხელნაწერი ძირითადად მაინც მიჰყვება წერის დაკანონებულ ნორმებს (ტრადიციულ ორთოგრაფიას).

დიაკრიტიკული ნიშნები და ხმოვანთა სისტემა. არაბული დამწერლობით შესრულებულ თურქულენოვანი ძეგლების ფონეტიკური კვლევისას უმთავრეს სიძნელეს ქმნის არაბული ალფაბეტის ღირსშესაბამობა თურქულ ენათა ბგერით სისტემასთან. ეს შესაბამობა განსაკუთრებით თავს იჩენს არაბულ გრაფიკულ ნიშანთა უქმარობაში — სრულად ასახოს თურქულ ენათა მდიდარი ვოკალიზმი³.

არაბული დამწერლობა სამი ხმოვანი ფონემის *i*, *a* და *u*-ს გადმოსაცემად მომარჩეველი და იძლევა მინიმუმ ინფორმაციას მდიდარ თურქულ ვოკალიზმზე; ამის გამოა, რომ ცალკეულ გრაფიკულ ნიშნებს აკისრიათ რამდენიმე ხმოვანი ფონემის აღნიშვნის ფუნქცია: *ی* — („იოტა“) — აღნიშნავს ვიწრო არაბაგისმიერ და ბაგისმიერ ხმ., *ا* — („ალეფი“) — ფართო არაბაგისმიერ ხმოვნებს, *و* — („ვავი“) — ბაგისმიერ ხმოვნებს.

არაბული გრაფიკის თურქულ ენებთან უკიდურესმა შეუსაბამობამ, განსაკუთრებით ხმოვანთა პალატალურობის გამოხატვის თვალსაზრისით, დამწერლობით ტრადიციაში თუმცა დააკანონა თანხმოვანთა გარემოცვით გაპირობებული ხმოვანთა რიგისმიერობის განსაზღვრის ერთგვარი ორთოგრაფიული ხერხი, მაგრამ არაბული ანბანით წერის ჩამოყალიბებულმა ტრადიციებმა უფრო მეტი უუგავსეა მოახდინა ხელნაწერთა ფონეტიკურ ასახვაზე. ამ ტრადიციებმა შთანთქა ყველა ის ენობრივ-დიალექტური თავისებურებები, რომლებიც საფუძვლად ედებოდა სხვადასხვა თურქულენოვან ძეგლს, რადგან შეიქმნა სიტყვათა წერის სტანდარტები.

როდესაც საქმე გვაქვს თურქულენოვან ხელნაწერთან და ცნობილი არაა, კერძოდ რომელი მეტყველება უდევს მას საფუძვლად, გაუხმოვანებელი ტექსტების შემთხვევაში თითქმის შეუძლებელი ხდება მის ხმოვანთა სისტემაზე მსჯელობა საერთოდ⁴. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ დამატებითი საშუალებებით — დიაკრიტიკული ნიშნებით გახმოვანებული ტექსტები, რომელთა მეშვეობითაც შედარებით სრულფასოვნად ხერხდება თურქულენოვანი ძეგლების ენის ხმოვანთა სისტემაზე მსჯელობა. სათანადოდ გახმოვანებული ტექსტი სიტყვათა ტრადიციულ წაკითხვას არ მიჰყვება და ახდენს გახმოვანების დაზუსტებას. ღირებულება ასეთი ხელნაწერებისა თურქულ ენათა ისტორიისა და დიალექტოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით ძალზე დიდია.

³ ს. ყიქია, XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია I, თბილისი, 1954, გვ. 197.

⁴ М. Я. Крик — Х а т у н, Диван, Критический текст и вступительная статья Е. И. Маштаковой, М., ИНА, 1967, გვ. 78.

არაბული ალფაბეტით ჩაწერილი თურქულენოვანი ძეგლებისათვის (ისევე, როგორც არაბული ან სპარსულენოვანი ძეგლებისათვისაც) გახმოვანება არ არის დამახასიათებელი⁵. ჩვენი ხელნაწერის ერთ-ერთი გრაფიკული თავისებურება, როგორც აღინიშნა, ისიცაა, რომ ლექსითი ნაწილი მთლიანად გახმოვანებულია. ასეთ ტექსტებზე დაკვირვება და მათი ანალიზი საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლები სიზუსტით დავადგინოთ იმ მეტყველების ხმოვანთა სისტემა, რომელიც საფუძვლად დასდებია აღნიშნულ ძეგლს.

საზოგადოდ, თურქულ ენებში ფათჰათი შესაძლებელია გადმოცემულ იქნეს შემდეგი ხმოვნები: ფართო, უკანარიგისმიერი, არაბაგისმიერი ა; ფართო, წინარიგისმიერი ა და უფრო დახურული, წინარიგისმიერი ე ხმოვნები⁶.

ქესრათი გადმოცემა მხოლოდ წინა და უკანარიგისმიერი, ვიწრო, არაბაგისმიერი ი და ი ხმოვნები, დამმათი აღინიშნება ოთხი ბაგისმიერი ხმოვნით: ო, ო, ა, ი. აქ იქმნება სირთულე, რადგან დამმა ვერ გამოიჩინებს მათ ვერც ლიპობისა და ვერც რიგისმიერობის ნიშნით. ამოსავალი ამ შემთხვევაში ისაა, რომ თურქული წარმოშობის სიტყვებში ფართო ბაგისმიერი ხმოვნები მის მხოლოდ პირველ მარცვალში არიან მოსალოდნელი, ამიტომ დამმათი გახმოვანებულ არაპირველ მარცვალში ვიწრო ბაგისმიერი ხმოვანი იყარაუდება.

ამრიგად, ზემოაღნიშნულს თუ გავითვალისწინებთ. ხელნაწერში შესაძლებელია გამოიყოს ხმოვნების ორი ძირითადი ჯგუფი:

I. დამმათი გადმოცემული ხმოვნები (ლაბიალურნი): ო, ო, ა, ი.

II. ფათჰა და ქესრათი გადმოცემული ხმოვნები (არალაბიალურნი): ა, ა, ი. ი. ეს უკანასკნელი ცალკე ორ ქვეჯგუფს ქმნის:

ა. ფართოხმოვნიალების ჯგუფი, რომელსაც ფათჰა აღნიშნავს: ა, ა.

ბ. ვიწროხმოვნიალების ჯგუფი, რომელსაც ქესრა აღნიშნავს: ი, ი.

მიუხედავად ამისა, დიაკრიტიკული ნიშნებით ხმოვან ფონემათა დადგენას ყველა ცალკეულ შემთხვევაში დაკონკრეტება ესაჭიროება, რადგან ისინი საერთო ნიშნებით ახდენენ მათ დიფერენცირებას. ცალკეულ შემთხვევებში კვლავ დაუდგენელი რჩება ამა თუ იმ ხმოვნის რიგი ნიშანი. მაგრამ ხელნაწერში, გარდა აღნიშნული დიაკრიტიკული ნიშნებისა, გვხვდება ე. წ. ვერტიკალური ნიშნები (ვერტიკალური ფათჰა ⊥ და ქესრა T). გულდასმით გახმოვანებულ ხელნაწერებსა და ბეჭდურ გამოცემებშიც ზოგჯერ შეინიშნება ვერტიკალური დიაკრიტიკული ნიშნების ხმარების შემთხვევები. არაბულ დამწერლობაში მათი ფუნქცია ხმოვანთა სიგრძის გამოხატვაა⁷.

სხვადასხვა თურქულენოვან ტექსტებში ვერტიკალურ ნიშნებს, როგორც ჩანს, არაერთგვარი ფუნქციები აკისრიათ. ყოველ შემთხვევაში, თურქულში ეს ნიშნები ხმოვანთა სიგრძის აღნიშვნის ფუნქციით არ იხმარება⁸. იმის გამო,

⁵ М. К а з е м - Б е к, Грамматика турецко-татарского языка, Казань, 1839, გვ. 27.

⁶ Л. Б у д а г о в, Сравнительный словарь турецко-татарского наречия, т. I, СПб, 1869, გვ. X. М. К а з е м - Б е к, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

⁷ И. В. Ю ш м а н о в, Грамматика литературного арабского языка, Л., 1928, გვ. 12. Маммадош, Օրան დили, Баку, 1958, გვ. 36—37.

⁸ გამორიცხული არ არის ძეგლის ენაში გრძელი ხმოვნების არსებობა; ხმოვანთა სიგრძის საკითხებზე სამხრეთ-დასავლური ჯგუფის თურქულ ენებსა და დიალექტებში მნიშვნელოვანი გამოკვლევებია გამოქვეყნებული: Z. K o r k m a z, Batı Anadolu ağzlarında aslı vokal uzunlukları hakkında, TDAY, Belleten, Ankara, 1953, გვ. 197. A. C. E m r e, Türkçede uzun

რომ ვერტიკალური ნიშნები ჩვენს ხელნაწერში ხმოვანთა სიგრძეს არ შეიძლება აღნიშნავდეს, არამართებული იქნებოდა დაგვესკვნა, რომ მათ აქ საერთოდ არ გააჩნიათ ფუნქცია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ვერტიკალურ ნიშანთა ფუნქციები თურქულ ენებში ამ უკანასკნელის სპეციფიკასაა შეხამებული და მათი დანიშნულება ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის ნიშნით დახასიათება კი არ არის, არამედ მათი კვალიფიკაცია სხვა ნიშნების მიხედვით.

ვერტიკალური ფათჰა, როგორც დიაკრიტიკული ნიშანი, ჩვენს ხელნაწერში ბგერათგანმასხვავებელ ფუნქციას იძენს ალფთან სიტყვის თავ-კიდურ პოზიციაში. როცა ალფთი, როგორც საყრდენი გრაფემა სიტყვაში შესაძლებელია გამოხატავდეს როგორც წინარიგისმიერ, ასევე უკანარიგისმიერ ფართო არაბაგისმიერ ხმოვნებს; ე. ი. ვერტიკალურფათჰიანი ალფთი სიტყვის თავკიდურ პოზიციაში გულისხმობს, რომ მოცემული გრაფიკული ნიშანი უნდა იკითხებოდეს მხოლოდ როგორც უკანარიგისმიერი ა ხმოვანი; ალფთი ამ ნიშნის გარეშე. ჩვეულებრივი ფათჰით უნდა იკითხებოდეს როგორც რბილი ä ხმო-

ვანი: **ألمأ**—alma—ვაშლი. **أكئلمئس**—äk'ilmiş—დარკული.

ვერტიკალური ქესრა, როგორც დიაკრიტიკული ნიშანი, ბგერათგანმასხვავებელ ფუნქციას ატარებს იოტასთან სიტყვის ან გრამატიკული ფორმის ყველა პოზიციაში. მასთან დასმული ვერტიკალური ქესრა (იგი იოტასთან იხმარება მხოლოდ) ყოველთვის i/i ხმოვნებს აღნიშნავს. იოტა ამ დიაკრიტიკული ნიშნის გარეშე მკდერი სპირანტი თანხმოვანია [j]: **مئئ**—min

ათასი. **أءءء**—divanä—გიჟი.

ვერტიკალური ქესრის დადასტურებული ფუნქცია, ხელნაწერის ენაში, გარკვეული ფონეტიკური კანონზომიერების გამოვლენის საშუალებასაც იძლევა. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ იოტასთან ეს დიაკრიტიკული ნიშანი ყველა სხვა შემთხვევებშიც, ე. ი. სიტყვის პირველ მარცვალში, იქ, სადაც მოსალოდნელია იოტას e-დ (და არა ä-დ)⁹ წაიკითხვა, იგი ყოველთვის პალატალურ i-ს

უნდა აღნიშნავდეს: **ءءءء**—virmäk' (აზ. вермак), **ءءءء**—bişik (აზ. бешик)

vokaller, Türk Dili, seri III. № 10—11, Istanbul, 1948. P. P. P у с т а м о в, О монографическом изучении диалектов азербайджанского языка, ВДТЯ, Баку, 1960 გვ. 16. А. М. Щ е р б а к, О тюркском вокализме, Тюркологические исследования, М.-Л., 1963, გვ. 28—29. А. М. Щ е р б а к, Сравнительная фонетика тюркских языков, Л., 1970, გვ. 47. Е. П о л и в а н о в, К вопросу об общетурецкой долготе гласных Бюллетень среднеазиатского гос. университета № 6, Ташкент, 1924.

⁹ აზერბაიჯანულ ენაში e და ä ხმოვნები ფონოლოგიურად ემიქნებიან ერთმანეთს; ამასთან e ხმოვანი მხოლოდ სიტყვის პირველ მარცვალში შეიძლება შეგვხვდეს, მაშინ, როდესაც ä ყველა პოზიციაში დასტურდება. ა. შერბაკი შენიშნავს, რომ ä და e ხმოვნების გამოჩენა მათ კომბინატორულ ძირობებთანაა დაკავშირებული: დახურულ მარცვალში, როგორც წესი, გვაქვს e ხმოვანი ლაში კი ä (А. М. Щ е р б а к, Сравнительная фонетика..., გვ. 25).

აღნიშნული ღებულება საეკვო ჩანს, რადგან აზერბაიჯანულ ენაში მრავლად დაიქმნება მაგალითები, როცა ä ხმოვანი სიტყვის პირველ, დახურულ მარცვალში, დასტურდება (män, gäl, säv და სხვ.), ხოლო e ხმოვანი ღია მარცვალში (belä, beşik, de და სხვ.).

როგორც ვხედავთ, ძეგლის ენაში იქ, სადაც სალიტერატურო აზერბაიჯანულის მიხედვით *e* ხმოვანი იგულისხმება, ყოველთვის იოტა გვაქვს ვერტიკალური ქესრით. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც წერის ტრადიციული ნორმებით გარკვეულ სიტყვებში იოტა არ იწერება, ხელნაწერში ისინი ასევე ვერტიკალურქესრიანი იოტათია წარმოდგენილი; რაც მოცემული სიტყვის (სავარაუდოდ *e*-დ გახმოვანების ნაცვლად) *i*-ხმოვნად წყაობის ხაზგასმად უნდა მი-

ვიჩინოთ: \dot{y} —*iv*—სახლი (აზ. او—*ev*), \dot{c} —*biš*—ხუთი (აზ. ٥—*cin*).

თუ დავეყრდნობით ვერტიკალური ქესრის აღნიშნულ ფუნქციას, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ სიტყვის პირველ მარცვალში მოსალოდნელი *e* ყველა შემთხვევაში კანონზომიერად ვიწრო, წინარიგისმიერ *i* ხმოვანს იძლევა. გამოდის, რომ ძეგლის ენაში დახურული *e* ხმოვანი არ დასტურდება.

ასეთი დასკვნის გამოტანა არ ეწინააღმდეგება *e*—*i*-ს მონაცვლეობას, როგორც ძველ. ასევე თანამედროვე თურქულ ენებსა და დიალექტებში დადასტურებულ ხმოვანთმონაცვლეობას¹⁰: ხოლო თანამედროვე აზერბაიჯანული ენის აღმოსავლური ჯგუფის დიალექტებში (რომლებსაც ენობრივად ძალზე უახლოვდება ხელნაწერი¹¹) *e*—*i*-ს მონაცვლეობა საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური კანონზომიერებაა¹².

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ: I. თურქულ ენათა ბევრით სისტემაში ხმოვან ფონემათა გამოყოფა-დადგენის ზოგად პრინციპებს: ა. ლიაობას, ბ. რიგისმიერობას, გ. ბაგისმიერობას, ხელნაწერის ენაში არსებული ხმოვნები სამ ურთიერთდაპირისპირებულ რიგს შექმნიან: 1. ლია ანუ ფართო ხმ. — დახურული ანუ ვიწრო ხმ., 2. წინარიგისმიერი ანუ რბილი ხმ. — უკანარიგისმიერი ანუ მგარი ხმ., 3. ბაგისმიერი ხმ. — არაბაგისმიერი ხმ და II. კონკრეტული ენობრივი მონაცემების საფუძველზე კი (ვერტიკალური ნიშნების ფუნქციათა დადგენის გზით): ა. ვერტიკალური ფაოპის მიერ *a*. \ddot{a} ხმოვნების გამოჩენას, ბ. ვერტიკალური ქესრის ფუნქციის საფუძველზე სიტყვის პირველ მარცვალში *e*-ს კანონზომიერ დაეწროებას, გ. თანხმოვანთა გარემოცვით გაპირობებულ ხმოვანთა რიგისმიერობის დადგენის ოროთგარდაულ ხერხს, მაშინ ძეგლის ენაში შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი ხმოვანი ფონემები:

¹⁰ W. R a d l o f f., Zur Geschichte de türkischen Vocalsystems, Известия АН, V сер., XIV, 1901, № 4, გვ. 425. R. R. A r a t, Türkçe metinlerde e/i meselesine dair, RO XVII, 1953, გვ. 306. А. М. Щ е р б а к, О тюркском вокализме..., გვ. 28—30. М. Р я с а н и е в, Материялы по исторической фонетике тюркских языков, М., 1955, გვ. 56—57.

Среди фонетических дублетов можно отметить и часто функционирующее (особенно в говоре старообрядцев) слово — пёсельник, возникшее еще в древнерусском языке в результате диссимилиации, связанной с изменением редуцированных ъ и ы: пѣн >л'н. В грамотах XV — XVII вв. встречается жаловальная, священник, посланник, а позже у Пушкина — песьельник. В говоре старообрядцев слово песьельник встречается в обыденной речи: вы пёсельников хотíte? У нас Тамплёнич пёсельник. Пёсельники какие! И молодой — пёсельник, и старый — пёсельник.

При сопоставлении сектантских говоров с говором бывших военных поселенцев выясняется, что реликтовые слова сохраняются лучше в сектантских говорах, вероятно, в силу большей традиционности, поддерживаемой укладом жизни самых сектантов. По нашим наблюдениям, в данном случае больше точек соприкосновения на морфологическом и фонетическом уровнях, нежели на лексико-семантическом. Кроме того, имеет значение, когда речь идет о сохранности старых, да и новых диалектных особенностей разного уровня, первоначальный запас, т. е. то, что было вынесено из основной территории распространения русского языка, так как при отсутствии территориального контакта с материковыми говорами в иноязычном окружении островные говоры в большинстве случаев удерживают свои особенности лучше, чем материковые, находящиеся в тесном контакте с русским литературным языком.

(Представил академик АН СССР Ш. В. Дзидзигури)

მარიამ ნელოსასროვა

რამდენიმე ტერმინის შესახებ არაბულ სახარებაში

არაბულ სახარებას, კერძოდ მის თარგმანებს, დიდი ისტორია აქვს. ეს ძეგლი არაბულად ითარგმნებოდა ბერძნულიდან, ძველი სირიულიდან. კოპტური და ლათინური ენებიდან¹. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს დიდი ძალი სპეციალური ლიტერატურა.

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ უცხოური წარმოშობის ლექსიკა, რომელიც ამ ძეგლშია დადასტურებული.

ამჟამად ჩვენ შევხვებით მხოლოდ რამდენიმე ტერმინს, რომელიც იხსნა-რება ოფიციალურ არაბულ სახარებაში; ეს ლექსიკური ერთეულები ძირითადად ან უცხოური წარმოშობისა არიან, ანდა წარმოადგენენ სემანტიკურ კალკებს, მიღებულს სხვა ენების გავლენით.

ჯერ კიდევ ძველი არაბი ფილოლოგები მათთვის დამახასიათებელი სკრუპულოზებით ცდილობდნენ აღენუსხათ ყოველი ნასესხები სიტყვა, შესული სალიტერატურო არაბულში. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ჯავაზრქის (1072—1145 წწ.) „მუ'არაბი“ — გაარაბიზებული სიტყვების ლექსიკონი², მაგრამ მასშიც ზოგიერთი რამ მოითხოვს დაზუსტებასა და შევსებას.

ამავე დროს არსებობს ევროპელი ორიენტალისტების კაპიტალური ნაშრომები და ცალკე სტატიები, რომლებშიც შესწავლილია სხვადასხვა პერიოდში არაბულში შესული უცხო ტერმინოლოგია. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომები, როგორცაა: T. Nöldeke, *Lehnwörter in und aus dem Athiopischen*³. S. Fränkel, *Die aramäischen Fremdwörter im Arabischen*, Leiden, 1886; A. Siddiqi, *Studien über die persischen Fremdwörter in: klassischen Arabisch*, Gottin-gen, 1919.

ამ ნაშრომებში შესწავლილია დიდი ძალი მასალა არაბული და ევროპული წყაროების საფუძველზე. ერთგვარ გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ისეთი დიდი მკვლევარისათვის, როგორც აყო ფრენკელი, უცნობია ბიბლიის თარგმანების არსებობა არაბულად⁴.

პარალელურად ისწავლებოდა უცხო ლექსიკა ცალკეული ძეგლების თვ ავტორების მიხედვით. ხოლო რაც შეეხება სემანტიკურ კალკებს, ისინი არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი (თუ არ ჩავთვლით H. Wehr-ის

¹ Graff G., *Geschichte der christlichen arabischen Literatur*, B. I, Vaticano, 1959, გვ. 86—155; Levin, B., *Die griechisch-arabische Evangelienübersetzung* Uppsala, 1938.

² أبو منصور الجواليقي موهوب بن أحمد بن محمد بن الحضر، *المعرب من الكلام الأعجمي على حروف المعجم*. القاهرة. 1361.

³ *Neue Beiträge zur semitischen Sprachwissenschaft*, Strassburg, 1910.

⁴ დასახელებული ნაშრომის 268 გვ. ვკითხულობთ: „საეჭვოა, რომ ბიბლია თარგმნილი იყოს არაბულად. ლექსისმსახურება, რასაკვირველია, იწარმოებოდა არაბულად, მაშინ როდესაც ლიტურგიის მხოლოდ ცალკეული ადგილები, როგორც ჩანს, არაბულადვე იკითხებოდა.“

Besonderhiliten des heutigen Hocharabisch⁵, რომელიც, როგორც სათა-
ურიდანვე ჩანს, ეხება თანამედროვე არაბულს); მაშინ როდესაც ბიბლიის,
კერძოდ სახარების, თარგმანები ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას იძლე-
ვიან, რაც სავანგებოდ აქვს ხაზგასმული მეიეს ენობრივი ინტერფერენციის
საკითხების განხილვისას, მაგრამ მას, ბუნებრივია, არ გამოუყენებია არაბული
ენის სათანადო მასალა⁶.

სახარების აღსანიშნავად არაბულში არსებობს ორი ტერმინი: ერ-
ლია მრავალ ენაში შესული ბერძნული წარმოშობის შაჟყჰლ:თ-იდან მიღებუ-
ლი **انجيل**, რომელიც უკვე ყურანში გვხვდება და შეტანილია ჯაეღლჰჰის
ლექსიკონშიც (ვე. 19): „**انجيل** — უცხო წარმოშობის გაარაბიზებული სიტყ-
ვაა. ზოგიერთი ავტორის აზრით კი, იგი არაბულია და ნაწარმოებია **نحل** -დან.
რაც ნიშნავს წყლის გაჩენას დედამიწის ზედაპირზე“, რაც, რასაკვირველია,
ჰედომას წარმოადგენს.

საძიებელია. რა გზით შევიდა ეს ტერმინი არაბულში: უშუალოდ ბერძ-
ნულიდან, თუ რომელიმე სხვა ენის მეშვეობით. ასე მაგ.: ნოლდეჟე ფიქ-
რობს, რომ იგი უფრო ეთიოპური ფორმიდან **wangäl** არის მიღებული, ვიდრე
სირიული **ܐܘܢܘܠܝܘܢ**-იდან, მაგრამ არც იმას გამოიციხავს, რომ **انجيل**,
შესაძლებელია, მოხვდა მექაში ისლამამდელ პერიოდში სირიიდან ან ბაბი-
ლონიდან და იმ დროიდანვე დაკარგა ბერძნული დაბოლოება⁷. თვით **انجيل**
ფორმა კი გვაფიქრებინებს, რომ იგი ნასესხები უნდა იყოს უშუალოდ ბერძ-
ნული **σχιλα**-იდან, რომელსაც მოკვეცილი აქვს პირველი ნაწილი
ხოლო, რადგან სალიტერატურო არაბულში არ არის ხმოვანი **ع**, მისი ადგი-
ლი ფუძეში დაიკავა **ي**-მ, რის გავლენითაც თავიდან **ع-ي** სრული ასმილა-
ციის შედეგად **ي-س** დაემთხვა; რაც შეეხება დაბოლოება **თ-ს**-ს, იგი, შესაძლე-
ბელია, შეცვალა თითქმის მსგავსად მელერმა არაბულმა დაბოლოებამ **ان**.

انجيل -ის პარალელურად ამ ცნებისათვის სახარებაში (და არა ჩვენთვის
ცნობილ ლექსიკონებში) გამოყენებულია აგრეთვე არაბული სიტყვა **بشارة**
„კეთილი, სასიხარულო ამბავი“, რაც თავისი მნიშვნელობით ბერძნული ტერ-
მინის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს: **შა** — „კეთილი, სასიხარულო“, აჟყჰლ:
ამბავი, უწყება“ (შდრ. ქართ. სახარება, სომხ. **avetaran**, ებრ. **besora**, სირ.
s'barla, რუს. **добраго вѣстования** — იმავე მნიშვნელობით).

„**კოჭოხეთის, გეენას**“ აღსანიშნავად არაბულში და კერძოდ სახა-
რებაში იხმარება **حرق**. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ეს არის ხუთ-
ჯანხმოვანი არაბული სიტყვა⁸. როგორც ჩანს, იმავეს ვარაუდობდნენ ჯაეღ-
ლჰჰეცა და ფრენკელიც, რომელთაც საერთოდ არა აქვთ დამოწმებული ეს
საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინი. უკვე **تاج الرومي** -ში აღნიშნუ-

⁵ Mitteilungen des Seminars für orientalische Sprachen, XXVII, 2, 1934, გვ. 1—64.

⁶ A. Meillet, Linguistique historique et linguistique générale, Paris, 1926, გვ. 346—347.

⁷ N ö l d e k e, დაახ. შრ., გვ. 47.

⁸ Edward William Lane, Arabic-english Lexicon, Part II, New-York, 1865, გვ. 478.

ლია, რომ იგი არის ებრაული წარმოშობის מַסְכָּר ⁹, მაგრამ გოლიესა დასძენს, რომ מַסְכָּר მოდის ებრაული מַסְכָּר מַסְכָּר -იდან „პინომის ველი, სადაც ცოცხლად დაწვეს ბავშვები მოლოქის მსხვერპლად“ (ძვ. აღთქმა, იეს. 158.11 მეფეთა 23.23.100). ამ სიტყვის უცხო წარმოშობაზე მეტყველებს თუნდაც მისი სხვადასხვა ფორმები, რომლებიც დამოწმებულია არაბულში: ḡihannāmu , ḡshinnānu , ḡhannāmu , ḡshannāmu და ḡhannamu .

ბერძნულ, ქართულ, სომხურ, ინგლისურ განმარტებით ლექსიკონებში აღნიშნულია გეენას ებრაული წარმოშობა¹⁰, მაშინ, როდესაც ჰიუბშმანი და ფასმერი თვლიან მას ბერძნულიდან ნასესხებ ტერმინად¹¹. მაგრამ ამ შეზღუდვაზე. როგორც ჩანს. სწორი უნდა იყოს აპარიანისა და ლოკოჩის თეა-საზრისი. რომლის თანახმად — სწორედ ბერძნული სახარების მეშვეობით გავრცელდა ეს ებრაული სიტყვა ყველა ენაში¹² (შდრ. ბერძნ., ლათ., სირ., ქართული, რუსული, ინგლისური, ფრანგული, თურქული, სპარსული და სხვ.). ნოლდეკე კი თვლის, რომ არაბული مَسْكَر დაბოლოების მიხედვით ნასესხე-ბია ეთიოპური ენის მეშვეობით¹³.

იზაღება კითხვა, ხომ არ შეიძლებოდა, რომ მომხდარიყო პირიქით: ეთიო-პურში იგი მოხვედრილიყო არაბულიდან?

ბიბლიის თარგმანები ეთიოპურად პირველად გაკეთდა ბერძნულიდან IV—VII სს. და ამიტომ უფრო მოსალოდნელი იყო, რომ ეთიოპურში ყოფი-ლიყო ამ სიტყვის ბერძნული ფორმა ᾤσνα და არა gahnam .

შემდგომ კი — XIII ს. (როდესაც პირველი თარგმანები დაიკარგა) ეს ძველი ითარგმნება უკვე არაბულიდან და განიცდის მის დიდ გავლენას¹⁴. იქ-ნებ ამიტომაც ლესლაუც თვლის მას არაბულიდან ნასესხებ ტერმინად¹⁵? დილმანის ლექსიკონში კი აღნიშნულია მხოლოდ, რომ იგი ნასესხები ერთეუ-ლია და მოყვანილია მისი ეკვივალენტები ბერძნულ, ებრაულ და არაბულ ენებში¹⁶.

„მონათვლა, ნათლისღებისათვის“ (კერძოდ მონათლა-მოი-ნათლა, ნათლისცემელი და მონათლული) იხმარება სემიტური ძირი თავისი ნაწარმოები ფორმებით. ტერმინები صبة და معمودية „მონათლა“ და

9. محمد مرتضى الزبيدي، تاج العروس من جواهر القاموس الجلد الثامن بيروت. 23. س

10. W. Bauer, Griechisch-deutsches Wörterbuch zu dem Schriften des neuen Testaments und übrigen urchristlichen Literatur, Berlin, 1937, გვ. 254; ქართული ენის განმარტებ-თი ლექსიკონი, ტ. III, თბილისი, 1951, გვ. 420; Armenisches etimologisches Wurzelwörterbuch von U. Adjarian, Erivan, 1926, ტ. II, გვ. 119; Webster's Third New International Dictionary of the English Language unabridged, London, 1961, გვ. 943.

11. Hübschmann, Armenische Grammatik, Hildesheim, 1962, გვ. 345; Фасмер, Этимологический словарь русского языка, М., 1964, ტ. I, გვ. 400.

12. N. Adjarian, დასახ. შტ., K. Lokotsch, Etymologisches Wörterbuch der europä-ischen Wörter orientalischen Ursprungs, Heidelberg, 1927, გვ. 56.

13. Nölske, დასახ. შტ., გვ. 34, 47.

14. В. П. Старица, Эфиопский язык, М., 1967, გვ. 11.

15. Leslau, Arabic loan-words in Geez. Journ. of Semitic Studies, Vol. III, № 2, 1958, Los Angeles, California, გვ. 167.

16. Dillman, Lexicon linguae aethiopicae Lipsiae, 1865.

შესაბამისად اصطنع და اعتمد „მოინათლა“ იხმარება ტექსტში როგორც წმინდა სინონიმები.

რაც შეეხება صفة-ს, ლეინ-ის ლექსიკონში არაბული წყაროების საფუძველზე დამოწმებულია მისი შემდეგი მნიშვნელობები: „საღებავი, შეღებვა: რელიგია, რელიგიური კანონი; მონათვლა“¹⁷. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სახელი, ნაწარმოები صغ ზმნიდან, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა „წყალში ჩაშვება“ არის. წარმოადგენს სემანტიკური ინტერფერენციის ტაქტს ბერძნული φαρμακ-ს გაელენით წყალში ჩაშვება: მონათვლა“; (შდრ. კობტ. [ხ], ეთიოპური φαρμαკ, სომხ. mkrēl — „წყალში ჩაშვება-მონათვლა“). ხოლო დანარჩენი ტერმინები — მონათლა, ნათლისმცემელი, მონათლული — ნაწარმოებია იმავე მნიშვნელობის ზმნიდან اعد, რომელიც, ლეინ-ის სამართლიანი თქმით, სირიული წარმოშობისა არის¹⁸ (სხვათა შორის, ჭავჭავაძისა და ფრენკელსაყ ეს ტერმინიც გამორჩათ მხედველობიდან).

რაც შეეხება ამ ზმნის II თემის ფორმას, იგი შეიძლება იყოს გამოყენებული წმინდა არაბული اعد-სგან. „შეამავრა, და-ყრდნო“ განსასხვავებლად. იქნებ შეიძლება დაეუშვათ. რომ არაბები ზოგჯერ მიმართავენ ამ საშუალებას, კერძოდ II თემის გამოყენებას საკუთარი და ნასესხები სინონიმური ძირების განსასხვავებლად? შდრ. მაგ.: არაბ. سح „ცურავდა“ და არამეულიდან ნასესხები سح „აქებდა, აღიღებდა ღმერთს“¹⁹. جف „ნიჩაბს უსვამდა; ფრინავდა“ და არამეულიდან ნასესხები جف „მკრეხელობდა (ღვთის მიმართ)“²⁰: صلى „შეწვა, გამოაცხო“ და ისევ არამეულიდან გადმოღებული صلى „ლოცულობდა“²¹. ამ მაგალითების გაზრდა შეიძლებოდა არა მარტო სახარების ლექსიკიდან, მაგრამ ეს ცალკე საკითხია და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, რადგან ჩვენთვის ცნობილ არაბულ გრამატიკულ ლიტერატურაში არ არის აღნიშნული II თემის ეს ფუნქცია.

ებრაული დღესასწაულის პასეჟის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი-ჯფ, რომელიც მომდინარეობს ებრაული ןדד -იდან „გავლა, გადასვლა“ და მხვედრილია არაბულში არამეულის გზით²². ქართულ სახარებებში კი იმავე დღესასწაულის აღსანიშნავად დამოწმებულია სამი ტერმინი: პასქაჲ — პასეჟი, ენებაჲ და ზატკი. პირველი ტერმინი აშკარად სემიტური წარმოშობისა არის. რაც შეეხება ენებაჲ-ს, იგი, როგორც ჩანს, ბერძნული πασχα-ს „წვალბა, განცდა, ენებაჲ“-ს თარგმანი უნდა იყოს და არა ებრაული პასეჟის²³. ეს აღრევა გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ

¹⁷ Lane, დასახ. შრ., ნაწ. 4, გვ. 1648.

¹⁸ იქვე, ნაწ. 5, გვ. 2151.

¹⁹ გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. 92; W. Gesenius, Hebräisches und aramäisches, Handwörterbuch, Leipzig, 1910, გვ. 794.

²⁰ Fränkel, დასახ. შრ., გვ. 139; W. Gesenius, დასახ. შრ., გვ. 130.

²¹ გ. წერეთელი, დასახ. შრ., გვ. 120. W. Gesenius, დასახ. შრ., გვ. 915.

²² ვ. ბაუერი წერს, რომ ბერძნულშიც ეს ებრაული სიტყვა არამეულიდან ისესხა. W. Bauer, დასახ. შრ., გვ. 1056.

²³ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928, გვ. 268. „პასეჟი (უცხ.) გარდოსავალი, გინა, ზეშთა სავალი; პასეჟი ითქმის ებრაულად განსლად, ხოლო ბერძნულად ენებაჲ“.

თეი: ბერძნულშიც კი ცდილობდნენ აეხსნათ ეს დღესასწაული ბერძნულ ნიადაგზე. უკვე III ს-ის ბერძენი ფილოსოფოსი ტერტულიანი წერდა, რომ *παῖς*: ბერძნული *παῖς*-დან მოდის, რაც ქრისტეს ენებას ნიშნავს და არა ებრაული *pesari*-იდან²⁴. ეს ახსნა ქრისტიანულ წრეებში ძალაში იყო საუკუნეების განმავლობაში. ლეთისმეტყველების ენციკლოპედიურ ლექსიკონში სიტყვა-სტატია *пасха*-ზე ვითხოვლობთ: *отцы церкви сохраниют за нами это название и производят от греческого „страдать, о не от иудейского „переходить“*²⁵. ე. ი. ამ შემთხვევაში ორი სხვადასხვა ხასიათის რელიგიური დღესასწაული — ერთი ებრაული, დაკავშირებული ებრაელების გამოსვლასთან ეგვიპტიდან, ხოლო მეორე — ქრისტიანული, ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომასთან, აირია ერთმანეთში. რადგან ქრისტეს წვალება-ენებას ადგილი ჰქონდა სწორედ ებრაული დღესასწაულის პასეჟის დროს.

ქრისტიანებმა კი სცადეს ეს ფაქტი აეხსნათ უფრო ნაცნობი და შინაარსობლივად უფრო გასაგები ბერძნული სიტყვით.

თავთ ბერძნულ ლექსიკონებშიც კი ყველგან არის შეტანილი ორი სიტყვა-სტატია: ერთი *παῖς* ებრაული „დღესასწაული“, უბრაუნველი, რაც ბერძნულში უცხო წარმოშობაზე მეტყველებს (განმარტებით ლექსიკონებში კი აღნიშნულია მისი სემიტური წარმოშობაც კი), და ზმნა *πασχα* „განცდა, წვალება, ენება“, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ სასიამოვნო, კარგ განცდებს, მაგრამ შემდგომ, უკვე სეპტუაგინტაში, მხოლოდ ცუდ, უარყოფით განცდებს.

როგორც ბაუერი სამართლიანად დასძენს, ამ ორი დღესასწაულისათვის მრავალ ენაში (მაგრამ არა არაბულში. — მ. ნ.) იხმარება ერთი და იგივე ტერმინი²⁶. შდრ. რუს. *пасха*, ქართ. აღდგომა (ებრაული და ქრისტიანული), გერმ. *Ostern*, სომხ. *zatic*, რომელიც გვხვდება ქართულ სახარებაშიც. აჰარიანის ლექსიკონში ეს სიტყვა დაკავშირებულია სომხურ ზმნა *zenum*-თან „დაკვლა, მსხვერპლად შეწირვა“²⁷, ალბათ იმიტომ, რომ სახარების ტექსტში პასეჟი დაკლულ კრავსაც აღნიშნავს.

ქრისტიანული დღესასწაულის აღდგომის აღსანიშნავად არაბულში და კერძოდ სახარებაში იხმარება ტერმინი *قام* — ნასესხები არამეულიდან²⁸. იგი ნაწარმოებია საერთო სემიტური ძირიდან *qam*, რომელმაც ქრისტიანულ ძეგლებში მიიღო აგრეთვე სპეციალური მნიშვნელობა „აღდა“ (მკვდრეთით). როგორც ჩანს, ეს მეორე მნიშვნელობა, არაბულმა, სხვა ენების მსგავსად, ისევე ბერძნული სახარების გავლენის შედეგად. (შდრ. ბერძნ. *ἀναστασις* „აღ-დგომა“, ლათინური (და აქედან ევროპულ ენებში) *resurrexisse*, არამ. *qāni*, სომხ. *harutiun* და სხვ.).

²⁴ Творения Тертуллиана христианского писателя в конце II и в начале III века, СПб., 1850, гл. 208.

²⁵ Полный православный богословский энциклопедический словарь, т. I, СПб., гл. 1766.

²⁶ W. Bauer, დასახ. შრ., გვ. 478, 1056.

²⁷ H. Adjarian, დასახ. შრ., ტ. III, გვ. 904.

²⁸ გ. წერეთელი, დასახ. შრ., გვ. 206.

ცნობები და შენიშვნები

ი ა ბ ა ზ ი ლ ი ა შ ი

ცნობები საქართველოში არსებულ ზოგიერთ ფიზნსაცავთა და მათ დამაარსებელთა შესახებ

საქართველოში წიგნსაცავთა არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი წიგნსაცავები — „საწიგნენი“ — მონასტრებთან დაარსდა. ჭერ კიდეც გრიგოლ ხანძთელმა ჩაუყარა საფუძველი ახლად აგებულ უბისის მონასტერში წიგნსაცავს. ქართველთ მონასტრებს წიგნსაცავები ჰქონიათ აგრეთვე იერუსალიმში, პეტრიწონის მონასტერში, შავ მთაზე და სხვ.¹

ირაკვევია, რომ ქართულ მონასტრებში ხელნაწერთა კატალოგის შედგენის ტრადიციაც არსებობდა, რაც სამონასტრო ხელნაწერთა სიმრავლეზე მიგვიითიებთ².

სამონასტრო წიგნსაცავთა პარალელურად არსებობდა სამეფო და საოჯახო წიგნსაცავებიც.

წიგნსაცავი, სამეფო იქნებოდა ის, სამონასტრო თუ საოჯახო, ერის კულტურული წინსვლისა და მის ინტერესთა მიმანიშნებელი იყო. იგი წარმოადგენდა იმ პატარა ორგანიზაციას, სადაც თავს უყრიდნენ წინაპართა ნააზრევს.

სამონასტრო წიგნსაცავი ძირითადად ბერ-მონაზონთა მიერ შეთხზული, ნათარგმნი და გადაწერილი ხელნაწერი წიგნებით ივსებოდა. გარდა ამისა, მონასტერი შეწირულებით სახითაც ღებულობდა მრავალ ხელნაწერს³.

სამეფო წიგნსაცავი უმეტესად საუკეთესო კალიგრაფთა მიერ გადაწერილი ხელნაწერებისაგან შედგებოდა. მეფეს ჩვეულებრივ ძღვნად მიართმევდნენ ხოლმე ძვირფასად მოკაზმულ და მხატვრულად გაფორმებულ ხელნაწერებს⁴.

სამონასტრო და სამეფო წიგნსაცავთაგან განსხვავებით საოჯახო წიგნსაცავს თავისი სპეციფიკა აქვს. მათი დამაარსებელი, ხელოვანი კალიგრაფი იყო იგი, თუ უბრალო გადაწერი, ყოველთვის ცდილობდა ძირითადად თავისი გადაწერილი ხელნაწერებით შეეესო საკუთარი კოლექცია. მას მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა სჭირდებოდა, რომ მისთვის საინტერესო ხელნაწერი შეეძინა ან მტირე ხნით მაინც ჩაეგდო ხელთ. და აი სწორედ აქ იჩენდა ხოლმე თავს კოლექციონერის განსაკუთრებული თვისება — ფანატიკური სიყვარული საკუთარი კოლექციისადმი და არაჩვეულებრივი მიზანდასახულობა — გაზრდილიყო ეს კოლექცია.

საოჯახო წიგნსაცავი სამონასტრო და სამეფო წიგნსაცავთაგან განსხვავებით ხალხისათვის ხელმისაწვდომი იყო. ოჯახის მახლობელთა გარკვეულ

¹ იე. ჭ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 84.

² იქვე.

³ ხელნ. ინსტ. A—1525, H—1557, H—1349 და სხვ.

⁴ ხელნ. ინსტ. H—491, H—2111, S—290, Q—251 და სხვ.

წრეს შეეძლო ესარგებლა იქ თავმოყრილი წიგნებით. ამრიგად, საოჯახო წიგნსაცაეი წარმოადგენდა ერის გონებრივი და სულიერი ზრდის ერთ-ერთ წყაროს. იგი აფართოებდა ხალხის ინტერესებს, ამალვებდა მათი განათლების დონეს და იძლეოდა სტიმულს წიგნის კულტურის შემდგომი განვითარებისათვის: „ამ მწიგნობარ გადამწერელთა ჰქონდათ ბიბლიოთეკები, ათი და ოცი წელიწადი ზრდიდნენ და აქედამ ავრცელებდნენ წიგნებს გადაწერითა, აქედამ იფინებოდა სწავლა და მწიგნობრობა ჩვენს ძველს საზოგადოებაში“⁵.

საქართველოში არსებული საოჯახო წიგნსაცაეები დღემდე საგანგებოდ არაგის შეუსწავლია: მათ დამაარსებელთა შესახებაც მხოლოდ ძუნწი ცნობები არსებობს, თუმცა კი საჭირო იყო, რომ მათ მიერ გაწეული დიდი ეროვნული საქმიანობის გამო, ამ წიგნსაცაეთა მესვეურებსაც ქართული კულტურის ისტორიაში თავისი ადგილი დაემკვიდრებინათ.

ამა თუ იმ საოჯახო წიგნსაცაეის ხელნაწერებში მათივე დამაარსებლის ინტერესები, გემოვნება, კულტურის დონე და შესაბამისად იმ ეპოქის საზოგადოებისა და წრის ინტერესებიც აირეკლება. ამ შემთხვევაში ადამიანები კი არ მოგვითხრობენ წიგნებზე, არამედ თვით ეს წიგნები თავისი შინაარსით, ხასიათით, მოგვითხრობენ ადამიანებზე, მათ მფლობელებზე, საზოგადოებაზე და, აქედან გამომდინარე, ერის კულტურაზე. ასე რომ, საოჯახო ბიბლიოთეკათა შედგენილობა ყოველ გარკვეულ პერიოდში ერის ინტელექტის სახეა და მისი შედგენილობის დადგენა ერის კულტურისა და მისი ინტერესების შესწავლასაც გულისხმობს.

ემსჯელობთ რა რომელიმე პირის საოჯახო ბიბლიოთეკაზე, პირველ რიგში წარმოგვიდგება თვით ბიბლიოთეკის დამაარსებლის, როგორც ბიბლიოფილის „სახე“: „Собираише хорошей, ценной библиотеки — это большой человеческий труд, в котором проявляется личность владельца“⁶. ბიბლიოფილები ყოველთვის იწვევდნენ მსოფლიოს განათლებულ ადამიანთა ინტერესს. ცნობილია, რომ ანატოლ ფრანსი თავის თავს „განუკურნებელ ბიბლიოფილს“ უწოდებდა. ბიბლიოფილთა ფსიქიკა მის მიერ არაჩვეულებრივი სიზუსტით არის შეცნობილი: „Я с первого взгляда могу узнать настоящего библиофила по той манере, с которой он берёт книгу. Тот, кто взял в свои руки какую-нибудь дорогую, редкую, милую или просто добропорядочную книжку, не сжимает ее крепко и вместе ласково, не проводит нежно ладонью по карешку, по персплёту и по обрезу, тот лишь инстинкта, создавшего некогда таим библиофилов, как Гролье и Дубль“⁷.

ყოველი საოჯახო ბიბლიოთეკის მფლობელი რამდენაღმე გადამწერლობასაც მისდევდა, ისევე როგორც ყოველი კალიგრაფი ამავე დროს მცირე თუ დიდი საოჯახო ბიბლიოთეკის დამაარსებელიც იყო. პირველნიცა და მეორენიც ერთ საქმეს ემსახურებოდნენ, მათი მოღვაწეობა ქართული კულტურის მესვეურთა ერთ მთლიან რგოლს შეადგენდა.

⁵ პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, გადამწერელი ქართულის წიგნებისა დავით რექტორი, „ივერია“, 1877, № 39.

⁶ П. Н. Берков, О людях и книгах, 1965, гл. 8.

⁷ А. Франс, Любовь к книгам, 1960, т. VIII, гл. 113.

ქართულ ხელნაწერთა მინაწერების შესწავლა შესაძლებელს ხდის ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ საქართველოში არსებული საოჯახო ბიბლიოთეკები და გამოვამზებუროთ მათ დამაარსებელთა სახელები.

ღროთა ვითარებაში საოჯახო ბიბლიოთეკები ომლებოდა, ნაწილდებოდა შემდგომ თაობათა შორის, იყიდებოდა ბაზარზე, საბოლოოდ კი მცირე შენაკადის სახით უერთდებოდა რომელიმე მსხვილ წიგნსაცავს. ამგვარი ბედი ეწია საქართველოში ერთ-ერთ ცნობილ მწიგნობარ-კალიგრაფთა — მესხიშვილთა საოჯახო ბიბლიოთეკას, რომლის დიდი ნაწილი 1888 წელს მ. დ. მესხიშვილმა წ. კ. გამავერცელებელ საზოგადოებას გადასცა: „Из значительных пожертвований, поступивших в прошлом году, заслуживает особенного внимания фамильная библиотека древняго рода Месхивых, давших Грузии не мало именитых писателей и иерархов“⁸.

მესხიშვილებს საოჯახო ბიბლიოთეკის შედგენა ადრევე დაუწყიათ. ირკვევა, რომ საგვარეულოს საოჯახო ბიბლიოთეკას მათმა პირველმა წარმომადგენელმა, მსატყარმა გრიგოლ მესხიშვილმა ჩაუყარა საფუძველი⁹. ამ საინტერესო საგვარეულო ბიბლიოთეკის შედგენილობის თუნდაც ნაწილობრივი აღდგენა, მის დამაარსებელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღნუსხვა, ცალკე განხილვას საჭიროებს. ამჟამად ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ ზოგიერთ იმ პირთა საქმიანობა, რომელნიც თავისი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში მესხიშვილთა ოჯახთან და მათ საოჯახო წიგნსაცავთან იყვნენ დაკავშირებულნი. ქართულ ხელნაწერთა მინაწერებზე დაკვირვება მესხიშვილთა კოლექციის ზოგიერთი ხელნაწერის განვილილ გზას წარმოგვიდგენს.

გიორგი მესხიშვილის მიერ 1773 წელს გადაწერილი ნუსხის მინაწერში (იოანე სინელი, კლემაქსი — S—4577) ვკითხულობთ: „ესე კლემაქსი ეკუთვნის იოელ ალექსიევს, ღმერთმან განუსვენოს იოელსა და ახლა წმიდა წერილი ესე ეკუთვნის თავადსა დავით აფხაზოვსა, მიცემითა საფასითა მის იოელი-სა ცოლისა მართასადმი 1833 წელსა“ (2r). ხელნაწერით უსარგებლია ილია აფხაზს: „აღვიკითხე კლემაქსი ესე თავადმან ილია აფხაზოვმან ჩემქ (1848) წელსა, დეკემბრის თ-სა დღესა, წლისა ვარ ოცისა“ (ქვ. ყდის შიდა გვერდი).

იმავე დავით აფხაზოვს 1833 წლის 23 ნოემბერს ნიკოლოზ ბაღინოვისაგან შეუძენია „სამართლის წიგნი“ (H—2172). ირკვევა, რომ აფხაზთა ოჯახს საგვარეულო ბიბლიოთეკა ჰქონდა. 1887 წლის 27 ივნისს ვახუთ „ივერიაში“ მოთავსებულია საინტერესო ცნობა, იმის შესახებ რომ სოფ. კარდანახში თავად ნიკოლოზ შარმაზანის-ძე აფხაზს ოჯახში მრავლად ჰქონია ხელნაწერი წიგნები, რომელთა შორის „ეპისტოლე წმინდისა ეგნატი ღმერთ-შემოსილისა“ და „მარგალიტი იოანე ოქროპირისა კონსტანტინეპოლის პატრიარხისა“ გადაუწერია სპირიდონ იაშვილს. მასვე იოანე აფხაზისათვის 1810 წელს გადაუწერია „ქილილა და დამანა“ (S—32) და საეკლესიო კრებული (S—2912). აფხაზთა საოჯახო ბიბლიოთეკის კუთვნილი ჩინს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (S—24), რაზედაც მიგვითითებს ხელნაწერის მინაწერები: შერმაზან აფხაზოვი (01r), „ილია აფხაზოვი“ (02r), „დავით აფხაზოვი“ (03r). მათი საოჯახო ბიბლიოთეკა შთამომავალთ შორის განაწილებულა: „წიგნი ესე „ქილილა და დამანა(!)“ თუმცა ეკუთვნოდა თავადს

⁸ А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, 1889, гл. XX.

⁹ იხ. ხელნაწ. მსტ. S—1163, მხ. 151v.

იოვანე აფხაზოვსა, ხოლო ახლა ეკუთვნის წილში რგებით თავადს დიმიტრი იოვანეს ძე აფხაზოვს“ (S—32, 544 გვ.).

ვინ იყვნენ ეს აფხაზები?

ცნობილია, რომ მესხიშვილთა ოჯახში გაზრდილა ნიკოლოზ აფხაზი¹⁰. „ნიკოლოზ მხატვარი! აბხაზი, შვილი მისი იოვანე იქმნა შემდგომად ლენერალი. დედოფალმან დარეჯან დაახატვინა ამას კანკელი ანანურისა ეკკლესიისა და სხვათაჲ ეკკლესიათა, ამანვე განაახლა სიფრთხილით ანანურისა ეკკლესიისა კედელზედ დახატულნი ძველად 13 ასურელთა მამათა ხატნი. დღეს არღა არიან ესენი“¹¹. ნიკოლოზის შვილი იოვანე თავისი დროისათვის საკმაოდ ცნობილი პირი იყო, საკმაოდ კართან დაახლოებული პირი ყოფილა: „იოვანე აბხაზი, კარდანახელი, კაცი ქრისტიანე და პატივცემული; მოკვდა 1828 წელსა. ესე გაგზავნა მეფემან გიორგი თელავსა ორჯერ და გაატანა სანთლები ეკლატრები, რათა დღესა ქეთევან დედოფლობისსა, დაესწროს წირვისა ჟამსა მცირესა ეკკლესიასა შინა, აღშენებულსა მუნ თეიმურაზ მეფისაგან პირველისა. ესე ეკკლესია არის პირველი, ნაკურთხი ქეთევან დედოფლისა წამებულისა სახელზედ“¹². გიორგი ლეონიძის ცნობით ნიკოლოზ აფხაზი გიორგი XIII-ს გაუგზავნია დესპანად რუსეთში, დასაფლავებულია თბილისში, სიონის ტაძარში¹³. ნიკოლოზ აფხაზი თავისი დროისათვის განათლებული და მწიგნობარი კაცი ჩანს. ამ ოჯახის წევრები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ჰეგნი ქვეყნის პოლიტიკურ სარბიელზე. ნიკოლოზის ვაჟი — იოვანე აფხაზი ჯართველი მოწინავე საზოგადოების იმ მიმართულების მომხრე იყო, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში „ზომიერთა“ სახელით არის ცნობილი: „მოვიდა ლენერალი კნიაზ ივან ნიკოლაიჩი აფხაზი, დანიშნული გრაფ პასკევიჩთან არმიავში პირისპირ პოლშელთა“¹⁴. გრ. ორბელიანის ნაწარმოებში „მოგზაურობა“ გადმოცემული დიალოგი გრ. ორბელიანსა და იოვანე ნიკოლოზის ძე აფხაზს შორის მოწმობს მათ სიახლოესა და ამავე დროს გადმოგვცემს იოვანე (ივანე) აფხაზის დამოკიდებულებას რუსეთისადმი: „ღმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებულ იყვნენ დატევენ ბაღსა და საქართველოსა“¹⁵. ირკვევა, რომ ამ საგვარეულოს წარმომადგენელი საზოგადოების მაღალ სფეროში ტრიალებდნენ, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჰეგნი ქვეყნის პოლიტიკურსა თუ კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. ისინი მკიდრო ურთიერთობაში ყოფილან მესხიშვილებთან და თავისი საოჯახო წიგნსაცაიე მათი ბიბლიოთეკის ზოგი ხელნაწერთაჲ გაუმდიდრებიათ.

მესხიშვილთა შესანიშნავ ტრადიციას აგრძელებს სოლომონის ვაჟი ტარასი ალექსი-მესხიშვილი. იგი იყო მწერალი, მთარგმნელი, კალიგრაფი და წიგნის კოლექციონერი. ტარასის თავისი კალაში პროზაშიაც უცდია. მისი „ქუეყნიერი სამოთხე“ წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების შექმნის ერთგვარ ცდას¹⁶. მნიშვნელოვანია ტარასის მიერ შედგენილი ხელნაწერი კრებული

¹⁰ გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 409.

¹¹ პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 263.

¹² იქვე, გვ. 264.

¹³ გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 409.

¹⁴ გრ. ორბელიანი, მოგზაურობა, თბ. სრ. კრებული, 1959, გვ. 171.

¹⁵ იქვე, გვ. 172.

¹⁶ ს. ბარნაველი, ტარასი ალექსიშვილის „ქუეყნიერი სამოთხე“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII—წ, 1953, გვ. 251—260.

(A—1448), რომლის 92r-ზე არის ტარასის საოჯახო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა სია — 101 ხელნაწერი. ბიბლიოთეკის შემადგენლობა ტარასის მრავალმხრივ ინტერესებზე მიუთითებს. 1825 წელს ტარასი მესხიშვილს შეუდგენია „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა“ (Q—975). აქედან ჩანს, რომ ტარასი, როგორც ხელოვან-კალიგრაფი ქართულ ასოთა მოხატულობაზე საგანგებოდ მუშაობდა. ქართულ ასოთა ჩამონაკეთვაზე, მათ მოხატვასა და ფაქიზად დამუშავებაზე მესხიშვილთა შთამომავალნი თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში მუშაობდნენ¹⁷. მათ წერის თავისებური მანერა და სტილი, ე. წ. მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლა შექმნეს. ამის გამო იყო, რომ ბევრი წიგნის მოყვარული თავისი საოჯახო ბიბლიოთეკის შევსებას მესხიშვილთა მიერ გადაწერილი ხელნაწერებით ცდილობდა. ასე რომ, მესხიშვილებს ხშირად მამა-პაპათა მიერ დანატოვარ ხელნაწერთა შენარჩუნებისათვის მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა უნდებოდათ. ამგვარი დავის შედეგად ხელნაწერი ზოგჯერ სხვადასხვა პირთა შორის მოგზაურობდა. ხელნაწერებსაც აღამაინათ მსგავსად თავისი ბედი და ისტორია აქვთ. მათ მიერ განვლილი გზის წარმოდგენა ისევ და ისევ მინაწერთა საშუალებით ხერხდება. ასე მაგალითად, ხელნაწერი კრებულის (A—618, გადაწერილი სოლომონ მესხიშვილი) ზედა ყდის v-ზე ვკითხულობთ: „წყველ იყოს და შეჩვენებულ ყდ წმინდის სამებისაგან ვინც ეს წიგნი ნიკოლაოზ ფიცხელაურისაგან ჩემს გარდა ან იყიდოს, ან იჩუქოს, ან ვალში აიღოს. რადგანაც მან უკაცურობა იხმარა და მე არ მომყიდა და ფული დამიბრუნა. მე მეკუთვნოდა დახსნა ამისი, ვინაღდან ჩემის სახლისაგან მძლავრებით არის გატანილი“. ხელნაწერი ტარასი მესხიშვილს მიიღო დაუბრუნებია: „... მოვიპოვე დიდის შრომით, მძლავრებით გატანილი მ შობლისა სახლისა ჩემისაგან“ (5v). ხელნაწერთა გამო ტარასის დავა სხვა პირთანაც ჰქონია. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ ეცნობთ ტარასი მესხიშვილის ცნობებისა და მოლვაწეობის ერთ პერიოდს შევეხთ.

ტარასი მესხიშვილი პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ ერთ ხანს ქვათახევის მონასტერში დამკვიდრდა. ქვათახევის მონასტერი მნიშვნელოვან კულტურულ-ლიტერატურულ კერას წარმოადგენდა. ტარასი მესხიშვილს მონასტერში წიგნსაცავი დაუარსებია და ხელნაწერთა კატალოგიც შეუდგენია. ამ წიგნსაცავისათვის ტარასის მრავალი ხელნაწერი შეუწირავს: „ამ ძველი ხელნაწერი წიგნების შეგროვება და მთლად ამ ბიბლიოთეკის დაარსება ღირს-სახსოვარ არხიმანდრიტს ტარასის ეკუთვნის, რომელიც შარშან გარდაიცვალა ამავე ქვათახევის მონასტერში. ამან შეაგროვა ეს ძველი წიგნები და თვითონაც ბევრსა სწერდა“¹⁸.

ტარასი მესხიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვათახევის მონასტრის აღდგენის საქმეშიაც. ქვათახევის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „მე ქვემოთ ამისა ხელის მომწერი, ქვათახევას მონასტრის მამუნებელი იერომონახი ტარასი...“¹⁹.

ქვათახევის მონასტერში ტარასისთან ერთად მოლვაწეობდა ნიკონ ჯობინაშვილი. ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ნიკონიც დიდად ზრუნავდა ქვათახევის მონასტრისათვის²⁰. ხელნაწერთა მინაწერებიდან ჩანს, რომ

¹⁷ ლ. ქუთათელაძე, სიტყვის კონის სათაური ასოები, „ღრობა“, 1958, № 11.

¹⁸ ზ. ჭიჭინაძე, ქვათახევის ბიბლიოთეკა, „ღრობა“, 1877, № 190, გვ. 3.

¹⁹ ხელნ. ინსტ. ისტორიული დოკუმენტების ფონდი, Ad—2145.

²⁰ ხელნ. ინსტ. ისტორიული დოკუმენტების ფონდი, Ad—2138. Ad—2170.

ნიკონ ჯობინაშვილს საოჯახო წიგნსაცავიც ჰქონია: „№ 7. ნიკონის ბიბლიოტეკისა“ (ანტონ I, ფიზიკა, A—275, გადამწერი სოლომონ მესხიშვილი). „№ 29. ნიკონის ბიბლიოტეკისა“ (საეკლესიო კრებული, გადამწერილი ტრიფილე იერომონახის მიერ 1774 წ. A—317). „№ 31. ნიკონის ბიბლიოტეკისა“ (კრებული, A—355). „№ 33. ნიკონის ბიბლიოტეკისა“ (კრებული, A—334, გადამწერილი გიორგი მესხიშვილის მიერ 1768 წ.) „№ 339. ლოდიკა. ქართული ასოებით ნაწერი“ (A—15, გადამწერილი სოლომონ მესხიშვილის მიერ). ხელის შედარებით დაზუსტდა, რომ ეს უკანასკნელი მინაწერიც ნიკონ ჯობინაშვილისეულია.

ნიკონსა და ტარასი მესხიშვილს ხელნაწერთა გამო დავა ჰქონიათ. ხელნაწერისათვის „ცხოვრება ონოფრე განმორებულისა“ (A—1431 გადამწერილი ტარასის მიერ 1812 წ.) ნიკონ ჯობინაშვილს მიუწერია „№ 44 ნიკონის ბიბლიოტეკისა“, ტარასის ეს მინაწერი გადაუხაზავს და მის ნაცვლად მიუწერია: „ტარასის ბიბლიოტეკისა“. ასევე სადგო გამხდარა ხელნაწერი „ძლისპირნი“, გადამწერილი სოლომონ მესხიშვილის მიერ (A—356): „ამა დეკანოზის ძის არქიმანდრიტის ტარასის არის ეს სძლისპირი. არავინ შემეცილება“ ეს უკანასკნელი მანაც დაუსაკუთრებია ნიკონ ჯობინაშვილს, რასაც მოწმობს ზედა საცავი ფურცლის r-ზე მიწერილი ნიკონისეული წარწერა ნომრით „№ 37“.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე შევეცადეთ წარმოგვედგინა საქართველოში არსებული დღემდის უცნობი ზოგი საოჯახო ბიბლიოთეკა, მათი შემადგენლობა და მათ დამაარსებელთა ცხოვრების ზოგიერთი მხარე. ისევე როგორც ყოველი კოლექცია, საქართველოში არსებული საოჯახო ბიბლიოთეკებიც დიდიხალა, მაგრამ მათ თავისი როლი შეასრულეს ერისა და მშობლიური კულტურის წინაშე. ასე რომ, ამ ბიბლიოთეკების აღწესება, შესაძლებლობის მიხედვით მათი შედგენილობის აღდგენა და მათ დამაარსებელთა საქმიანობის შესწავლა მაღლიერ მეგვიდრეთა აუცილებელი და წმინდა ვალია.

И. К. ГАЧЧИЛАДЗЕ

СВЕДЕНИЯ О ГРУЗИНСКИХ ЧАСТНЫХ КНИГОХРАНИЛИЩАХ И ИХ ОСНОВАТЕЛЯХ

Резюме

Данная статья является лишь частью изучаемой автором темы: «Частные библиотеки в Грузии и их основатели».

В статье даны сведения о некоторых до нынешних дней неизвестных основателях частных библиотек в начале девятнадцатого века. На основании обширного материала можно сформировать специфические особенности частных библиотек: 1. В отличие от монастырских и царских библиотек, основатели частных книгохранилищ, независимо от того, являлись ли они искусными каллиграфами или простыми переписчиками, старались всегда пополнить собственную коллекцию лично переписанными рукописями. 2. Частная библиотека была доступна для обширной массы читателей, поэтому она способствовала росту их интересов и повышению уровня знаний.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

ქ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ახალი ნაშრომი ათონის მთის მონასტრების შესახებ

E. Amand de Mendieta, Mount Athos, Berlin-Amsterdam, 1972

ათონის მთის მონასტრებს მეტად საინტერესო ისტორია აქვთ და ამიტომაც მათ შესახებ მრავალი ნაშრომი იწერება უცხოეთში. ამჟამად ამ ნაშრომთა ბიბლიოგრაფიული ნუსხა რამდენიმე ასეულ ტომს შეიცავს და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ათონსა და მის წარსულს თავიანთ ნაშრომებს უძღვნიან როგორც თვით საბერძნეთის, ასევე სხვა ევროპული ქვეყნების მკვლევარნი. სწორედ ამ უკანასკნელთ ეკუთვნის ცნობილი ფრანგი მეცნიერის ე. ამან დე მენდიეტას ნაშრომი „ათონის მთა“, რომელიც 1972 წელს გამოიცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ინგლისურ ენაზე. ავტორი ათონის მთის ისტორიის ცნობილ სპეციალისტად ითვლება და მისმა ახალმა, კაპიტალურმა ნაშრომმა ჩვენში დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგანაც ამ სახელგანთქმული მთის ციკაბო კლდეებზე შეფენილ იმ ოც მონასტერს შორის, რომლებიც ახლაც განაგრძობენ ფუნქციონირებას, მეტად საპატიო ადგილი უკავია მე-10 საუკუნის ბოლოს დაარსებულ ჩვენს ქართულ მონასტერს „ივირონს“, ამჟამად ბერძენთა ხელში მყოფს.

ათონის შესახებ ჩვენში. სამწუხაროდ, ცოტა რამ არის დაწერილი. წარსულში ივერთა მონასტრის შესახებ წერდნენ მ. ჯანაშვილი, ა. ნატროევი (ნატროშვილი), აკად. კ. კეკელიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილმა თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ ვრცელი და საპატიო ადგილი დაუთმო ქართველთა ამ სახელოვანი სავანის წარსულს და ბევრი საკითხი ახლებურად გააშუქა და დააწესტა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებულ მკვლევართაგან პირველი ორი ავტორის ნაშრომები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ. სასიამოვნო გამოჩაკლისად უნდა ჩაითვალოს აკად. ს. ყუბჩიშვილის ცნობილი კორპუსის „გეორგიკას“ მე-8 ტომი, სადაც თავმოყრილია მრავალი, მეტად საინტერესო მასალა (სხვადასხვა ავტორთა ცნობები, სიგელ-გუჯრები და ა. შ.) ივერთა მონასტრის შესახებ. ვფიქრობთ, ამ ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე არაერთი ნაშრომი დაიწერება მომავალში.

როდესაც ყოველ ახალ ნაშრომს ვეცნობით ათონის მთის შესახებ, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა გვაინტერესებს, თუ როგორაა წარმოდგენილი იქ ჩვენი მონასტრის წარსული. შეიმჩნევა მეტად სამწუხარო ფაქტი: ავტორთა უმრავლესობა (ეს განსაკუთრებით ბერძენ ავტორებს ეხება) ცდილობს მიჩქვალოს ანდა შეამციროს ქართველთა მონასტრის დიდი როლი ამ სამონაზვნო რესპუბლიკის შექმნის საქმეში. ბერძენ მკვლევართა ასეთი დამოკიდებულება ოდესდაც ქართული მონასტრის წარსულისადმი ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს, მაგრამ როდესაც ამას სჩადის ზოგიერთი ევროპელი მეცნიერი, ეს

დიდ გულისწყრომას იწვევს. ასეთი იყო ჩვენი საერთო განწყობილება. როდესაც გადავწყვიტეთ გაცნობოდით ამ ევროპელი მეცნიერის ახალ ნაშრომს.

იგი საქმაოდ ვრცელია (360 გვ.), თან ერთვის ათონის მთის რუკა და ბიბლიოგრაფიული ნუსხა. ნაშრომი შედგება მოკლე შესავლისა და სამი ნაწილისაგან. შესავალში განხილულია ათონის მთის გეოგრაფიული აღვილმდებარეობა, მისი მოსახლეობა, ბერ-მონაზონთა რიცხოვრივი შემადგენლობა და მონასტრების საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული და მტკიცედ დადგენილი კანონები, რომელთა მიხედვითაც ქალებს, უწვეურულთ, საჭურისთ და სხვ. ეკრძალებათ ათონის მთის ტერიტორიაზე ფეხის დადგმა¹. პირველ ნაწილში ავტორი იხილავს ათონის მთის მონასტრების ისტორიას მათი დაარსებიდან დღემდე. მეორე ნაწილში ნაჩვენებია ამ მონასტრების იურიდიული უფლებანი, მათი დამოკიდებულება საბერძნეთის მთავრობასთან, მის კონსტიტუციასთან, აგრეთვე ცალკეული მონასტრების იურიდიული უფლებანი, მათი მმართველობის სახეობანი და შინაგანი წესწყობილება. მესამე და საბოლოო ნაწილი მთლიანად ეძღვნება ბერ-მონაზონთა ყოველდღიურ ცხოვრებას, მათ საქმიანობას და იდეალებს. ავტორს თავისი ნაშრომის მომეტებული ნაწილი ბერების ინტელექტუალური ცხოვრებისადმი მიუძღვნია. არ არის დავიწყებული ათონის მთის მწერლები და მათი ნამოღვაწარი, აგრეთვე მონასტრების უმდიდრესი წიგნთსაცავები და ხელნაწერთა აღწერილობა. ასეთია ამ ნაშრომის მოკლე შინაარსი.

რას გადმოგვცემს ავტორი ჩვენი მონასტრის შესახებ? როგორც მოველოდით, ძალიან ცოტას. ეს გასაგებიცაა, რადგანაც მისივე თქმით, ივერთა მონასტრის დაწერილებითი ისტორია მისთვის ცნობილი არ არის². ასეთი განცხადება პატივცემული ავტორისა მხოლოდ გაკვირებას იწვევს. თუ მას ვადაწყვეტილი ჰქონდა ასეთი სოლიდური ნაშრომის შექმნა ათონის მთის შესახებ, არ უნდა გამორჩენოდა ქართული წყაროებიც. „ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი“ და „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“ დიდი ხანია რაც თარგმნა დაუვიწყარმა პ. პეტერსმა ლათინურად. ასე რომ. ეს მეტად მნიშვნელოვანი პირველწყაროები ქართველთა მონასტრის შესახებ მისთვის ღრიალ ხელმისაწვდომი იყო. მათ მაკიერ ავტორი დაინტერესებულ მკითხველებს სთავაზობს ფრანგი მკვლევრის გ. შლომბერჯეს გასულ საუკუნეში დაწერილ ცნობილ კაპიტალურ ნაშრომს.

ათონელ ქართველთა შესახებ ჭერჯერობით ყველაზე ვრცლად, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით უწერია ცნობილ რუს მეცნიერსა და მოგზაურს პ. უსპენსკის. მის ნაშრომს ათონის მთის შესახებ ახლაც არ დაუქარავს მნიშვნელობა. რუსი მეცნიერის ეს ნაშრომი ჩვენი ავტორისათვის სრულიად უცნობია და იგი მას რომ გასცნობოდა, ნათლად დაინახავდა ქართველთა დიდ წვლილს ათონის მთის ამ უდიდესი სამონასტრო კომპლექსის შექმნის საქმეში. გარდა უსპენსკისა, ავტორს უნდა გამოეყენებინა ვ. ბარსკისა და ა. დიმიტრიევსკის ნაშრომები, რომლებიც ყველასათვის, ვინც არ დაიზარებს, ხელმისაწვდომია.

ეხება რა ივერთა მონასტრის წინარე წარსულს, ე. ანან დე მენდიეტა იმეორებს ცნობილ ლეგენდას, რომლის მიხედვითაც ჩვენი მონასტერი (ისევე

¹ E. Amand de Mendieta, Mount Athos, გვ. 45—50.

² იქვე, გვ. 72.

როგორც ვატოპედისა და კონსტამონიტის საეპარქიო (ვითომე უკვე აღრეულ საუკუნეებში, კერძოდ ქრისტიანობის გამარჯვების ხანაში (IV ს.), დაარსებულიყოს. ლეგენდა ლეგენდად რჩება, ფაქტების უქონლობის გამო კი ეს მოსაზრება არ არის მიღებული, მაგრამ ეს მიუთითებს იმაზე, რომ ათონს ქართველებმა (ისევე, როგორც ე. წ. სხვა „წმინდა ადგილებს“) აღრევე მიაშურეს და აქ დაბუღეს. პ. უსპენსკის, ასევე სხვა მკვლევართა მტკიცებით, ქართველებმა თავიანთი მონასტერი ათონზე ააგეს 780 წლის შემდეგ³. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ქართველთა საეპარქიოს დიდი როლი ბიზანტიაში გაჩაღებული ცნობილი მოძრაობის. „ხატმებრძოლეობის“ დროს. ავტორი ქართველთა მონასტრის ამ წარსულს უყურადღებოდ ტოვებს და მის ისტორიას იწყებს მე-10 ს-ის მეორე ნახევრიდან, როდესაც მისი ე. წ. ხელახალი დაარსება ანუ განახლება მოხდა.

ავტორისათვის ცნობილია, რომ ივერთა მონასტერი დააარსეს იოანე აბულქერიტმა, მისმა ძემ ექვთიმემ და მათმა ასლობელმა თორნიკემ, რომელმაც ჩაახშო ბარდა სკლიაროსის აჯანყება. დიდი ათანასეს ხელისშეწყობითა და დახმარებით „ივერონი“ გახდა ნაციონალური სამონასტრო ცენტრი ქართველი ხალხისა. მაგრამ ის, რომ „დიდი ლავრის“ დამაარსებელს ათანასე დიდს თვით ჩვენი იოანე ეხმარებოდა, რომ სწორედ თორნიკეს დიდმა გამარჯვებამ შეუწყო ხელი „დიდი ლავრის“ საბოლოო დაფუძნებასა და განმტკიცებას, რომ სწორედ ამ დროს მოიპოვეს ქართველებმა დიდი ავტორიტეტი და გავლენა ათონზე, — ყველაფერ ამის შესახებ ავტორი დუმს. იგი მხოლოდ ორიოდ სიტყვით აღნიშნავს, თუ როგორ დაეხმარა ქართველი იოანე ათანასე დიდს ბიზანტიის კეისარ ნიკიფორე ფოკასთან მოლაპარაკების დროს⁴.

ფრანგი მკვლევარი მოგვითხრობს ბერძენ ბერ-მონაზონთა ბრძოლის შესახებ სლავიანური მონასტრების მკვიდრთა წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, გარდა ქართველებისა ათონზე თავიანთი მონასტრები ჰქონდათ და ახლაც აქვთ სერბებს (ხილანდარი). ბულგარელებს (პაგრაფი) და რუსებს (როსსიკონი)... ყველა ეს მონასტერი, პირდაპირ უნდა ითქვას. საძულველნი იყვნენ ბერძენთათვის, როგორც ვითომდა მომხდურთა, და ისინი ყოველთვის ცდილობდნენ მათ განდევნას ათონიდან. განუწყვეტელი შევიწროებით, ლალატითა და დავით ბერძენებმა მოახერხეს ქართველთა მდიდარი და სახელგანთქმული მონასტრის ხელში ჩაგდება, ისარგებლეს რა მონასტრის „მეტროპოლიის“ — საქართველოს პოლიტიკური დასუსტებით და აქედან გამოიმდინარე ქართველ მეფეთა ყურადღებისა და ზრუნვის შესუსტება-შეწყვეტით. აქვე თავი იჩინა სამშობლოს სიშორემ და ბიზანტიის მოსპობამ. ავტორი იძლევა ცნობას, რომ პატრიარქ კალისტოსის დროს (1355—1363) ბერძენებმა საბოლოოდ ხელთ იგდეს ივერთა მონასტერი. სანაცვლოდ მათ მიეცა პატარა ეკლესია ყველაწმინდას სახელობისა⁵. მაგრამ, გარდა ამისა, დევნილმა და შევიწროებულმა ქართველებმა განაახლეს ფილოთეოსის მიტოვებული მონასტერი და იქ განაგრძეს თავიანთი მოღვაწეობა⁶. ეს ჩვენი ავტორისათვის ცნობილი არ არის. იგი აგრეთვე არ აღნიშნავს ქართველთა ღვწულს, არ იძლევა

³ П. Успенский, История Афона, III часть, Киев, 1877, гл. 9.

⁴ Mount Athos, გვ. 66.

⁵ იქვე, გვ. 135.

⁶ Путеводитель по Св. Афонской горе, Москва, 1895, гл. 122.

მის საერთო შეფასებას და ეს მაშინ, როდესაც სამშობლოდან შორს გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეები, ეზიარნენ რა მაშინდელ მოწინავე ბიზანტიურ (ბერძნულ) კულტურას, იყვნენ რა იმდროინდელ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ცენტრში, ფასდაუდებელი ღვაწლი გასწიეს ორი კულტურის — ბერძნულისა და ქართულის ურთიერთდაახლოებისა და ახლო გაცნობის საქმეში. ამასთანავე შეიმჩნევა სამწუხარო უზუსტობა. ავტორი ნაშრომის 62-ე გვერდზე იძლევა მონასტრების სიას მათი ეროვნული შემადგენლობის მიხედვით და აქვე ქართული მონასტერი ბერძნულადაა წარმოდგენილი და ეს მაშინ, როდესაც იქ ჯერ კიდევ ქართველობა იყო გაბატონებული⁷.

თუ ჩვენ სარეცენზიო ნაშრომს გავყვებით, დავინახავთ, რომ ქართველობა, მიუხედავად დიდი სიმძლეებისა, მაინც შემორჩა ათონის მთის მე-20 ს-ის ათიან წლებადის. 1903 წ. ივერთა მონასტერში ითვლებოდა 48 ბერი. 1968 წ. მათი შემადგენლობა უდრიდა 30-ს (ესენი ყველა ბერძენი არიან). მთელს ათონზეც შემცირდა ბინადართა რაოდენობა. თუ მათი რიცხვი 1903 წ. აღწევდა 7432-ს (3276 ბერძენი, 3496 რუსი, 286 რუმინელი, 307 ბულგარელი, 16 სერბი, 51 ქართველი: 48+3 ბერი სტავრონიკიტას მონასტრიდან), 1968 წ. 1238-მდე დავიდა⁸.

განდევნეს რა ქართველები თავიანთი სავანიდან, ბერძნებმა გადაწყვიტეს განედვენათ მთაწმინდის სლავური მოსახლეობაც. მაგრამ მათ ეს ვერ შესძლეს. ანტირუსული განწყობილება ბერძნებში განსაკუთრებით გაძლიერდა მე-19 ს-ის ბოლოს, როდესაც რუსთა მონასტრის ბერთა რაოდენობამ ბერძნებისას გადააჭარბა. როგორც ნაშრომიდან ირკვევა, მათი რიცხვი ახლა მეტად შემცირებულია (25 ბერი), თვით მონასტერი კი, შემოსავალს მოკლებული. თანდათან კვდება⁹.

ავტორი განიხილავს ათონის მთაზე მოღვაწე მწერლებსაც, როგორც იყვნენ: გრ. პალამასი, კესარიოს დაპონტისი, კირილე კორონაიოსი, თეოდორიტი, გერასიმე სმირნაკი, კოსმას ვლახოსი და სხვ. ყველა ამ მწერალმა, გარდა ორიგინალური ნაწარმოებებისა, ნაშრომები უძღვნეს ათონის მთის წარსულის აღწერასაც¹⁰. ამავე დროს ფრანგი მკვლევარი არას ამბობს ჩვენი ათონელების ნამოღვაწეარზე. მისთვის უცნობია ის ფაქტი, რომ სწორედ ათონზე იქნა გადათარგმნილი ქართულიდან ბერძნულად შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოები „ვარლაამი და იოსაფატი“¹¹. აქ უკვე აშკარად გამოსკვივის ავტორის ფილელინური განწყობილება, რომელიც მთელს ნაშრომს ატყვიავს ცოტად თუ ბევრად.

თავისი არსებობის ათასი წლის მანძილზე ათონის მთის მონასტრებმა დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გააჩაღეს. იქ დაგროვილ მრავალ ხელნაწერთა შორის მოიპოვება ანტიკური ხანის მწერლებისა და ფილოსოფოსების, სწავლულთა და გეოგრაფოსთა ნაწარმოებები: პომპროსის, პინდარეს, თუკიდიდეს, პლუტარქეს და გალენის ქმნილებანი. აგრეთვე ბიზანტიური ხანის მწერლების ლიბანიოსის, სინეზიოსის, პროკოპი კესარიელის,

⁷ იქვე, გვ. 62

⁸ იქვე, გვ. 41.

⁹ იქვე, გვ. 145.

¹⁰ Mount Athos, გვ. 264—267.

¹¹ ს. ყ ა უ ზ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 206—

ფოტიოსის და სხვა მრავალთა თხზულებანი. ავტორის ცნობით, ივერთა მონასტერში საერო ხასიათის 220 ხელნაწერი ინახება, ხოლო მათი საერთო რიკები 1386 აღწევს. სულ მთლიანად კი ოცივე მონასტერი შეიცავს 10 500 ბერძნულ ხელნაწერს¹². ამ მხრივ ათონი ყველაზე მდიდარია მთელს მსოფლიოში.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სამონასტრო წესდებებს, რომლებიც ყველა მთლიანად თარგმნილია და ცალკე განხილული. სულ ათონზე მიღებული და ცხოვრებაში გატარებულ იქნა ექვსი წესდება ანუ ტიპიკონი. ეს მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია და თვალნათლივ ასახავენ მთაწმინდის ისტორიის სხვადასხვა ეტაპს. პირველი წესდება მიღებულ იქნა 971 წ., რომელიც პირადად ბიზანტიის კეისარმა იოანე კომინენემ განიხილა და დაამტკიცა, უკანასკნელი მეექვსე კი 1783 წ. იქნა მიღებული.

წიგნში აგრეთვე ფართოდ არის ასახული თვით სამონასტრო ცხოვრების სახეები: კინოვიალური, იდიორითმული, კელიოტთა, მემღვიმეთა და სხვ. ივერთა მონასტერი ეკუთვნის იდიორითმულ ანუ თვითმმართველ მონასტრების რიგებს. ფართოდ არის განხილული მთაწმინდელთა ასკეტიკური და მისტიკური იდეალები, მათი ყოველდღიური საქმიანობა, ცხოვრებისეული მისწრაფებანი და საერთო ინტერესები¹³.

ასეთია ჩვენი შენიშვნები. რაც შეეხება ზოგიერთ ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებას, მიუხედავად მათი არსებობისა, ე. ამან დე მენდიეტას ნაშრომი ათონის მთის მონასტრების შესახებ მაინც მეტად მნიშვნელოვან თანამედროვე გამოკვლევას წარმოადგენს. როგორია ათონის მთის „სამონასტრო რესპუბლიკის“ დღევანდელი მდგომარეობა? 1963 წ. მას თავისი არსებობის ათასი წელი შეუსრულდა, რაც ფართოდ იქნა აღნიშნული როგორც საბერძნეთში. ასევე ევროპის სხვა ქვეყნებში. ამ თარიღს მიეძღვნა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ნარკვევების დიდი კრებული ორ ტომად¹⁴, რაც კიდევ ერთხელ ანეკდოტებს ათონისა და მისი მრავალრიცხოვანი მონასტრების მეტად საინტერესო წარსულზე. 1972 წ. მოხდა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ათონის მთის ცხოვრებაში: „შავი პოლკოვნიკების“ მთავრობამ გააუქმა ათონის მთის ათასწლოვანი ავტონომია და იგი თავის რეტერსებს დაუმორჩილა (მანამდე ათონელები მხოლოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქს სცნობდნენ). ამგვარად, ათონის შეუვალობა და დამოუკიდებლობა აღარ არსებობს. რაც შეეხება ჩვენს ოდესღაც ქართულ მონასტერს, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს ღრმა და დაკვირვებულ შესწავლას. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო იქ დაცული მდიდარი ფონდი ხელნაწერებისა, არამედ მონასტრის არქიტექტურული და არქეოლოგიური შესწავლაც, რომელიც ქართველთა ნამოღვაწარის პეერ ახალ და მეტად საინტერესო ფაქტს გამოავლენდა. ვიმედოვნებთ, რომ იგი ჯერ არ წაშლილა საბოლოოდ. ამისათვის საჭიროა მოეწყოს ისეთივე ხასიათის სამეცნიერო ექსპედიციები, როგორც მოეწყოს ამ რამდენიმე წლის წინ პეტრიწონსა და იერუსალიმში.

გურამ ლუღუშაური

¹² იქვე, გვ. 243.

¹³ იქვე, გვ. 311—350.

¹⁴ Le Millénaire du Mont Athos, 963—1963. Etudes et Mélanges, I Chevetogne 1963; II Venezia-Chevetogne, 1965.

ახალი ნაშრომი აპარული ლექსიკის შესწავლის დარგში

დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში 20-მდე ქართული კილოა აღნუსხული, რომელნიც საბჭოთა ეპოქის პირობებში ცხოვრების უჩვეულო წინსვლისა და ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარების გამო ჩვენ თვალწინ ნიველირდებიან და უერთდებიან საერთო და ერთიან ქართულ ენას.

მათს განშტოებაში საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ქართული ენის დიალექტა ე. წ. სამხრეთული ჯგუფი, რომელიც ისტორიული მესხეთის (სამცხე-საათაბაგოს, ანუ ტაო-კლარჯეთის) ტერიტორიაზე იყო გავრცელებული და მტერთა ძალმომრეობის შედეგად შემცირებული და გადასხვაფერებული სახით მოაღწია ჩვენამდე. შესწავლილი მასალების მიხედვით მის შემადგენლობაში აქცევენ მესხურს, ჭავჭავურს, იმერხეულს (კლარჯულს) და აჭარულს.

კილოთა ამ ჯგუფმა, რომელსაც ისტორიული შინაარსით შეიძლება სერთო მესხური ეწოდოს, რამდენადაც სწორედ ტერმინი მესხეთი გამოხატავდა ხსენებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნიკურ-ტერიტორიული მთლიანობის ცნებას, ლექსიკა-ფრაზეოლოგიასა და ენის სტრუქტურულ წყობაში ბევრი ისეთი საყურადღებო არქაული ფაქტი შემოგვიჩანს, რომელთა გათვალისწინება გარკვევით აყენებს საკითხს ჩვენი კლასიკური სამწერლო ენისა და ძველი მესხეთის დიდ სამთავროში შექმნილ ამ დიალექტაში წრის ურთიერთობის შესახებ. კერძოდ, ნავარაუდევია, რომ ტაო-კლარჯეთის ცნობილი მწიგნობრულ-ლიტერატურული კერების სამეტყველო ნორმებზე სწორედ ამ მხარის ცოცხალ სასაუბრო ენის ბაზაზე შემუშავდა, რომ ამ კილოებს „გადამწყვეტი ძალა უნდა ჰქონოდა ჩვენი კლასიკური სამწერლო ენის ჩამოყალიბებაში“ (შ. ძიძიგური). რამდენადაც თანამედროვე ეტაპი სალიტერატურო ენისა ძველი ქართულის ტრადიციათა განმეორება-გამდიდრების კონონომიერი შედეგია. ამდენად სწორად უნდა მივიჩნიოთ მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ დებულებას, რომლის მიხედვით თანამედროვე სამწერლო ქართულს ქართულ-კახური კილოები უდევს საფუძვლად, უნდა დაემატოს მესხურზე მითითებაც. მითითება ფართოდ გავრცელებულ დიალექტურ ერთეულზე, მე-16 საუკუნემდე ფართო სამეტყველო არეალს რომ მოიცავდა და თავის წიაღში იტევდა რამდენიმე სამეტყველო განშტოებას, მათ შორის აჭარულს. მეტად თავისებურ ენობრივ გარემოში მოქცეული და საგანგებო ისტორიული ვითარებით შეპირობებული აჭარული კილო ენათმეცნიერთა შესწავლის საინტერესო ობიექტად არის მიჩნეული.

მას შემდეგ, რაც სამხრეთ-დასავლეთი საქართველო თურქ-ოსმალთა მიერ იქნა დაპყრობილი და მკაცრი რეპრესიების შედეგად აქ მაჰმადიანობა გავრცელდა, აჭარული მეტყველება, შავშ-კლარჯთა, ტაოელთა, ერუშელთა, მესხთა და ჭავჭავთა მეტყველებასთან ერთად, მოსწყდა საერთო ეროვნულ ქართულს,

მის კილოკაეებს და ამით სამწერლობო ენასაც მნიშვნელოვანი მასაზრდოებელი ნაყადი შეუწყდა. მიუხედავად დამპყრობთა მკაცრი რეჟიმისა, რომელიც ღვენიდა ეროვნულ კულტურას, აქარის ზოსახლობამ მეტად ძნელ პირობებში მაინც შეინარჩუნა მშობლიური დიალექტი, რომელმაც თურქულის შესამჩნევი სუბსტრატის მიუხედავად უხვად შემოგვინახა არქაული ენობრივი თანესებურებანი ლექსიკა-ფრაზეოლოგიასა და გრამატიკულ წყობაში.

აქარელთა ყოფა-ცხოვრებასა და მეტყველებაზე სერიოზული დაკვირვების ცდები გასულ საუკუნეშივე დაიწყო, იმ პერიოდინან, როდესაც აქარა დაუბრუნდა დედა სამშობლოს (1878 წ.). ნამდვილი მეცნიერულა ძიება კი ამ მამართლებით საბჭოთა პერიოდში გაიშალა.

1932 წ. ბათუმში გამოქვეყნდა მ. ხუბუას გამოკვლევა „ზემო აქარის ენობრივი მიმოხილვა“. აქარული ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებისათვის მეტყველების შესწავლის საქმეს დიდი ამაგი დასდო აქარელმა მკვლევარმა ჯ. ნოღაიდელმა, რომელმაც მნიშვნელოვანი შრომები გამოაქვეყნა ამ დარგში. ამ საინტერესო კილოს ირგვლივ ცალკეული ნარკვევები და მასალები აქვთ დაბეჭდილი პ. ჭაჭანიძეს, ქ. ლომთათიძეს, ი. სისხარულიძეს, ი. მეგრელიძეს, მ. ცინცაძეს, ა. მსხალაძეს და სხვებს, ხოლო სისტემატური და თანამიმდევრული მუშაობით ამ მხრივ გამოირჩევა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი შ. ნიჟარაძე. 1938 წლიდან მოყოლებული, მას არა ერთი და ორი გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული აქარულის ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის საკითხებზე. 1971 წ. გამოვიდა შ. ნიჟარაძის მონოგრაფიული ნაშრომი „აქარული ენის აქარული დიალექტი, ლექსიკა“ (რედაქტორი ს. ჯიქია).

წიგნის ძირითადი ნაწილი (79—45 გვ.) უჭირავს ლექსიკონს, სადაც აღნუსხულ-განმარტებული და შესაბამისი კონტექსტებში არის დამოწმებული აქარაში გავრცელებული სიტყვები (8 ათასზე მეტი ერთეული). ამხსნელ ტექსტში თითქმის ყოველი სიტყვისათვის მოძებნილია ლიტერატურული ენის ეკვივალენტები. გათვალისწინებულია სემანტიკური ნიუანსები. მოყვანილია ვანსამარტავი სიტყვის შემცველი ფრაზეოლოგიის საკმაოდ ბუნებრივი ნიმუშები, ნაჩვენებია სადაურობა-წარმომავლობა სიტყვისა, თუკი ეს სიტყვა არაქართულია, აგრეთვე მისი დანიშნულება, მოხმარების სფერო და მიმართება სხვა კილოთა ლექსიკონების სათანადო ერთეულებთან.

მთელი ლექსიკონი ყურადღებას იპყრობს მასალის სიუხვით, ინფორმაციის სიმდიდრითა და ლექსიკური ფაქტების ვრცელი აღწერით.

სხვა სიტყვებთან ერთად, სალექსიკონო ერთეულებად გამოტანილია შრომა-საქმიანობის, ყოფითი რეალიების, რიტუალური წეს-ჩვეულებების, მკურნალობის, გართობა-თამაშობის ამსახველ ტერმინები. ავტორი დაწერილობით აღწერს აგრეთვე მცენარეულის, ხილ-ბოსტნეულის, მარცვლეულის, ვაზისა და ყურძნის ჭიშებს. აქვე შევხვდებით მუშა-საქონლის და, საერთოდ, შინაური პირუტყვის საკუთარ სახელებს (ზოონიმებს), ადამიანთა მეტსახელებს, ტოპონიმებს და სხვ.

დარგობრივი ლექსიკის სფეროდან აღებულ სიტყვათა განმარტებანი შესაბამის საგანთა და მოვლენათა დეტალურად აღწერის გამო მოზრდილ სტატიებად არის ჩამოყალიბებული. ასე, მაგალითად, მთელი ეთნოგრაფიული ნარკვევია სიტყვა ლაზარაძის ახსნა. იგი 50-მდე სტრიქონისაგან შედ-

გება და წარმოდგენს გვაღვების დროს შესრულებულ საწესჩვეულებო თა-
მაშობის დახასიათებას, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ლაზარობის
სახელით არის ცნობილი. და ა ნ ა ს ო ბ ი ლ ა - ს განმარტებას 57 სტრიქონი აქვს
დათმობილი. ასევე ვრცლად არის განმარტებული სოფლის მეურნეობასთან
და საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული სიტყვებიც: ახალპირი, მოდგა-
მი, დამარკილება, დაოშვა, გათერძვა, გაბარება, დათვის არახუნაჲ, დათსზნა,
დამოსასლება, დალაზვლა...; საკმლის სახელები: ბიში, დოხაეწაჲ, კორკოტი,
ლუხუმი, მალახუტი, მოშუშული ყველი, ზუმი ყველი, წურვილი; ტანსაცმელ-
სამკაულის, ბინის მშენებლობის, მოწყობილობის გამომხატველი ლექსიკა:
ახორი, თავანი, კარაპანი, მუსანდარა, სეკვი; სიმღერა-გართობა-თამაშობათა
და დღეობათა აღმნიშვნელი ტერმინები: ბილაჲ, გორდელაჲ, ელღესა, მერ-
სული, მიწისბილაჲ, ორკვაკი, ფათიკა, შუამთობა, ცხრამარტობა, ჯოხაზილაჲ
და მრავალი სხვ.

ასეული წლების მანძილზე მოქმედმა ძალმომრეობამ, ოფიციალურმა
თურქულმა სახელმწიფო მმართველობამ და ისლამის რელიგიურმა ფანატიზმ-
მა მძიმე დალი დაასვეს ერთ დროს თავისუფალ და ლაღი ბუნების აჭარელთა
ყოფა-ცხოვრებას. ცხოვრების შესაბამისად ნირი იცვალა მათმა მეტყველება-
მაც და თურქული ელემენტებით დაიტვირთა, რამაც პირველ ყოვლისა ლექ-
სიკაში იჩინა თავი. ამის გამო გასაგებია, თუ რატომ არის შ. ნიჟარაძის აჭა-
რულ ლექსიკონში ასე კარბად წარმოდგენილი თურქული და თურქულში შე-
სული არაბულ-სპარსული სიტყვები. ამგვარ სიტყვებს ჩვენ წიგნის ყოველ
გვერდზე შევხვდებით.

ლექსიკური თურქიზმები ენათმეცნიერული თვალსაზრისით თავისთავად
მეტად საინტერესოა. მისი შესწავლა ალბათ საგულისხმო შედეგებსაც მო-
ეცემდა ენათა ურთიერთობის საკითხის გასაშუქებლად. მაგრამ თურქიზმების
(მათთან დაკავშირებულ არაბიზმ-სპარსიზმებითურთ) ლექსიკონში უკლებლივ
ყველას შეტანის საკითხს გარკვეული კომენტარი სჭირდება, რამდენადაც
ხსენებულ სიტყვათა უმრავლესობა დღეისათვის აჭარული ლექსიკის ორგა-
ნულ ნაწილს აღარ შეადგენს და მხოლოდ წარსულის გადმონაშთის სახით
გამოიყურება.

იმ დიდმა სამეურნეო-კულტურულმა აღმავლობამ, რაც მთლიან საქარ-
თველოსთან ერთად საბჭოთა აჭარას ხელა წილად ამ ნახევარი საუკუნის მან-
ძილზე, რადიკალურად გააუმჯობესა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება. ამის შე-
საბამისად მოხდა ამ მხარის მოსახლეობის მეტყველების გაწმენდა თურქული
ლექსიკის მოზღვაებისაგან. დამპყრობთაგან თავზე მოხვეული სიტყვა-ტერმი-
ნები ახალმა ცხოვრებამ განდევნა. მათი ადგილი ეროვნულმა ლექსიკურმა
ერთეულებმა დაიკვირეს. ეს მნიშვნელოვანი პროცესი კარგად აქვს შენიშნუ-
ლი წიგნის ავტორს, რომელიც მართებულად წერს: „დიდი რიცხვი თურქუ-
ლიდან აჭარულში შემოსული ლექსიკური ელემენტებისა შინაარსითა და გრა-
მატიკული გაფორმებით თითქმის უცვლელადაა დამკვიდრებული, მაგრამ მათი
დიდი ნაწილის ხმარება დღესდღეობით აჭარულისათვის დამახასიათებელი
აღარაა. ასეთ სიტყვებს მოხუცთა მეტყველებაში თუ გაიგონებთ, ისიც სპო-
რადულად, ძალზე შეზღუდულ არეალში. ლიტერატურული ქართულის უჩვე-
ულო სისწრაფით გავრცელებისა და აგრეთვე სხვა კილოების ზემოქმედების

გამო მათი ხვედრითი წონა დღითიდღე იზღუდება. ახლა მათ ადგილს ისევ მშობლიური ქართული სიტყვები იჭერენ“ (გვ. 60). ეს დიდი საკეთილო ცვლილება დიალექტის ცხოვრებაში, რამაც, სამწუხაროდ, სათანადო ასახვა ვერ პოვა თვით ლექსიკონში. აქ უამრავი ხმარებიდან გამოსული, აჭარის თანამედროვე მოსახლისათვის უკვე გაუგებარი ან იშვიათად სახმარი სიტყვაა შეტანილი, როგორც მაგალითად: დეგირმანი (წისქვილი), ეპაბი (მეგობარი), ენიშტე (სიძე), ვაიზი (ხოჯას ქადაგება), ზაიფი (სუსტი, უძლური, უღონო), იბლისი (ცბიერი, მზაკვარი), მუსლული (მილი, წყლის სადინარი), მუუქქემი (მაგარი), მუზევირი (ჯაშუში), ღეგანი (ძმისწული), სედეყე (წყალობა), ყედიფე (ხავერდი), ჩისე (ნაბი, ცვარი), ჭანავარი (დაუნდობელი), ჭანიტარი (სულწასული), ჭაპილი (გამოუცდელი), ჰუდუდი (საზღვარი, მიჯნა)... ლექსიკონში ისინი ასხილია ჩვეულებრივ, რაიმე საგანგებო მითითებისა და აღნიშვნის გარეშე.

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დღევანდელ აჭარულში ხსენებული სიტყვების მსგავსი ერთეულები, რაკი მათ კონტექსტებიც ახლავს, ისევე ცოცხალი და აქტიური ხმარებისაა, როგორც სხვა ქართული ენის შინაგანი ბუნების გამოხატველი, მეტად საყურადღებო ცოცხალი დიალექტური სიტყვები, ვთქვათ: ბელენძევი (ძუ ძაღლი), ბზიკანი (მშვილდი), გაგორხვა (გორხების მოფუნვა, ვაფხვიერება), გამოთაგვა (ბელის დაგმანვა თაგვებისაგან დასაცავად), გვიანურა (ნაგვიანევი ხილი), თლივი (—მთლივი, მთლიანი), კოჟორი (ქვა-ღორღიანი ადგილი), კოროპინი: შუბლის კოროპინი (შუბლის ზემოთა ნაწილი), კუქეკი: საქმის კუქეკი (საქმეს გადაყოლილი), მერჭულე (რჭულის მაღიარებელი), მიღმასანი (მიღმა, იქით დასახლებული ოჯახი), მოსხანადი (მსხმოიარე), მიცალივი (მოცილილი), საბიძალი (ტოტებსშორისი არე, შარვლის ან საცვლის უბე), სადრეკი (საღსარი), ღრუტუმელა (ხვრელი), ცალკანაი (განმარტობით, ეულად მოსიარულე), ძემალვია (—რძე მალვია, მეწველი საქონელი, რომელიც რძეს მალავს), კიპაპური (ყურძნის ჭიში), კოყი (ტენი, ნესტი), კრომანი (კროლა), ხმუკი (მკლე საქონელი), ჭავანეთურა (ვაზის ჭიში) და სხვ.

ავტორს იშვიათი ხმარების, ანდა მოძველებული, თურქელისაგან ნასესხები სიტყვებისთვის ჩვეულებრივთაგან განმასხვავებელი პირობითი აღნიშვნები რომ გაეკეთებინა, როგორც ეს საერთოდ მიღებულია ლექსიკოგრაფიულ მუშაობის პრაქტიკაში (მაგ. ძვ.— ძველი, მოძვ.— მოძველებული, იშვ.— იშვიათად ხმარებული და მისთ.), მაშინ მკითხველი აღარ იფიქრებდა, თითქოს აჭარული ლექსიკონის შემადგენლობაში არაქართული სიტყვები დომინანტობენ.

ლექსიკონში მოხვედრილი ბევრი აჭარული სიტყვა, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, პარალელს პოულობს ძველი ქართული ენის ლექსიკურ ერთეულებთან. ეს კი პირდაპირი მაჩვენებელია ფართოდ გაგებული მესხურის (საერთო მესხურის) ორგანული კავშირისა კლასიკური ხანის ძველ სალიტერატურო ქართულთან.

ამ არქაული ლექსიკური ელემენტების გამძლეობას სამხრეთის დიალექტებში უთუოდ რეალურ-ისტორიული ფაქტორი აპირობებდა, როგორც ეს სწორად აქვს მითითებული აჭარულის მიმართ ლექსიკონის ავტორს წიგნის შესავალშივე: „აჭარულში დადასტურებულია ლექსიკური არქაიზმების საკ-

მაოდ დიდი დაფენება. ეს ძირითადად იმით აიხსნება, რომ იგი თურქთა ასიმილაციური პოლიტიკის გატარების შედეგად დიდი ხნით მოწყვეტილი აღმოჩნდა მშობლიური ქართული ენისაგან, მის დიალექტთაგან; თურქულმა ენამ აქარაში გზა გადაუღობა ახალი ქართული სიტყვებისა და გამოთქმების დამკვიდრებას, რის გამოც ძველი ქართული სიტყვები და გამოთქმები ასე იუ ისე მოსახლეობის განსაზღვრულ ფენებში ინერციით განაგრძობდა არსებობას, შეზღუდულად მაინც გადასცემდა თაობიდან თაობას“ (გვ. 6). ამიტომ ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში. კერძოდ „ვეფხისტყაოსანში“. აგრეთვე ს. ს. ორბელიანის თხზულებებსა და „სიტყვის კონაში“ ვხვდებით თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის ბევრ უცნობ. ან ნაკლებად ცნობილ სიტყვასა და გამოთქმას, რომლებიც სამხრეთის კილოებში დღესაც ცოცხალია. ამას ხაზგასმით აღნიშნავს შ. ნიჟარაძე და აჭარული ლექსიკის ანალიზისას კონკრეტულ საილუსტრაციო მავალითებსაც ასახელებს (იხ. ვე. 32—36; 38—40; 40—44); თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამავე შესავალი ნაწილის სპეციალურ თავში, რომელსაც „აჭარული ლექსიკა და ვეფხისტყაოსანი“ ეწოდება, ავტორს შეეძლო საკითხის უკეთ გასაშუქებლად თავისივე ლექსიკონიდან უფრო მეტყველი მავალითებიც მოეხმო. როგორც არის: აყიყი („წითელი ფერის ქვა“), ნობეთი („რიგი, ჭერი“, პომის მიხედვით — ნობათი), სარო, სარობალახი, სირა (რიგი, ჭერი), ხსაი (ძვირფასი, წმინდა) და სხვ. საყურადღებოა, რომ ყველა ეს სიტყვა მესხურისთვისაც არის დამახასიათებელი, მათ ვხვდებით იმერულში, ზოგს კი (აყიყი. ნობათი) აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე კილოში.

ლექსიკონის დეტალურად ვაცნობის გზით ვრწმუნდებით, რომ აჭარულ კილოს, ჩვენ მიერ აქ დასახელებულ ნიმუშებთან ერთად, მრავალი ისეთი სიტყვა მოეპოვება, მათ შორის საგრძნობი რაოდენობით თვით ამ კილოსათვის სპეციფიკური, რომელთა ანალიზი საყურადღებო ინფორმაციებს გვაწოდებს ქართული ენის ისტორიისა და სტრუქტურის ცალკეულ საკითხთა შესასწავლად. თითოეული ამ თვანის შეიძლება სპეციალური მსჯელობის საგანი გახდეს. შევჩერდებით მხოლოდ რამდენიმეზე:

ს ა მ ა რ ტ ვ ი ლ ო. ბავშვთა ერთგვარი დაავადების აღმნიშვნელი ტერმინია. საერთო ქართულში მას საყმაწვილო შეესაბამება. ტერმინის ძირეული ნაწილი, პირველი შეხედვით, თითქოს ბერძნულიდან ნასესხები ძველი ქართული სასულიერო მწერლობისათვის კარგად ცნობილი მ ა რ ტ ვ ი ლ ი (მარტივი) უნდა იყოს. მაგრამ ამ დაშვებას დაბრკოლება ახლავს; ძირეულის შეფარდება წარმოქმნილ ოდენობასთან სემანტიკური თვალსაზრისით შეუსაბამობას ამჟღავნებს: ს ა მ ა რ ტ ვ ი ლ ო (დანიშნულების სახელი), თუ მ ა რ ტ ვ ი ლ ი ს მნიშვნელობად საყოველთაოდ აღიარებულ გაგებას ეიგულისხმებთ, არ შეიძლება ავადმყოფობის აღმნიშვნელი იყოს. ს ა მ ა რ ტ ვ ი ლ ო-ში მ ა რ ტ ვ ი ლ ი ს სხვა სემანტიკური მომენტია საკულეველი. ს.-ს. ორბელიანი ამ მომენტს გვიდასტურებს, როდესაც „სიტყვის კონაში“ ამ სიტყვის ორნაირი ახსნა აქვს მოცემული: „მარტივი ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდენ; ხოლო მესხნი ყრმასა უწოდენ“¹. მესხურად აღიარებული სწორედ ეს უკანასკნელი გაგებაა ჩაქსოვილი ს ა მ ა რ ტ ვ ი ლ ო ს ძირეულ ნა-

¹ ს. -ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა ქართული რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949.

წილში, რაც ყმაწვილისა და მარტვილის სრულ შინაარსულ ეკვივალენტობას გვაუწყებს.

მარტვილი ყმაწვილის გაგებით, რამდენადაც ვიცით, სამხრეთული ჯგუფის დიალექტებში დღეს არ დასტურდება. იგი არც სხვა ქართულ დიალექტებშია ცნობილი. აღორძინების ხანის მწერალთა ენაში კი სპორადულად იხმარება. თვით ს.-ს. ორბელიანს ეკუთვნის ის ფრაზა, რომელიც მარტვილის ამხსნელ სტატიამი საილუსტრაციოდ არის დამოწმებული: „შიგ სამისა თუ ოთხი თვის მეტი და წლისა, ორისა თუ სამის წლის მარტვილები ისხდნენ“ (იხ. „მოგზაურობა ევროპაში“).

აჭარულში სამარტვილოს არსებობის ფაქტი იმაზე მიუთითებს; რომ ოდესღაც მარტვილი ბავშვის მნიშვნელობით მართლა ფეხმოკიდებული უნდა ყოფილიყო სამხრეთ საქართველოს მეტყველებაში, რაც ამართლებს საბას ჩვენებას ამ სიტყვის მესხურობაზე. უფრო მეტიც: ჩვენ გვგონია, რომ საძიებელი სიტყვა წმინდა ქართულია და იგი არათუ გენეტურად არ უკავშირდება ბგერითი შედგენლობით მასთან თანხედენილ ბერძნულ სიტყვას (მარტირი—მარტიერი—მარტვილი), არამედ მისი წარმოშობა ყმაწვილ სიტყვის მესხურადვე გამოთქმულ ფორმაშია საძიებელი. საქმე ის არის, რომ იქ ყმაწვილში რ ჩამატებული ჩანს (გვაქვს: ყმაწვილი). თუ გავითვალისწინებთ წ-ტ ბგერათშენაცვლების კანონზომიერ ხასიათს გურულსა და აჭარულში, რაც საკუთრივ მესხურისთვისაც უცხო არ უნდა ყოფილიყო, მაშინ ყმაწვილის პირველ ფონეტიკურ ვარიანტად *ყმარტვილი უნდა გვეგულისხმა (შღრ. სწავლა — სტავლა), მეორედ კი დასაწყის ყ-ს დაკარგვის შედეგად მიღებული მარტვილი (ამ ცვლილებას შესაძლოა ანალოგიად ედოს საფუძვლად).

სათარი (,თავქვე დასაცურებელი (ხეების), ღარობი, — შურო“). ამავე მნიშვნელობით ლექსიკონში კიდევ ორი სხვა სიტყვაა შეტანილი — სრიტე და ქაშანი. სათარი დღევანდელ მესხურშიც ცნობილია. აქ მას სხვა სინონიმი მოუპოვება, ეს არის სევანი, რასაც განსაკუთრებით ბორჯომის ხეობაში გაიგონებთ. რაკი აჭარული ლექსიკონის მიხედვით სათარი შუროს თანაფარდია, მაშ, მის კიდევ ერთ სინონიმად იმერულში ხმარებული საშვეავეც უნდა ჩათვალოს, როგორც ამას განმარტებითი ლექსიკონი გვაუწყებს (იხ. შუროს განმარტებაში მეორე მნიშვნელობა). ყველა ამ სინონიმური ერთეულის სემანტიკა იმაზე მიგვიითითებს, რომ ისინი პირველ ყოვლისა ადგილის მანიშნებელი სიტყვებია. ამას ადასტურებს ერთ-ერთი მათგანის ტოპონიმად ქვეყაც (მხედველობაში გვაქვს ილიას სათარი, რომელიც ტყიან ადგილს ეწოდება სამცხეში, სოფელ სვირის მიდამოში²).

ამგვარად, სათარი ხე-ტყის დამუშავებასთან დაკავშირებული ტერმინია. იგი ზოგადად იმ ადგილს ჰქვია, სადაც ხეებს (მორებს) მიათრევენ ფერდობზე ჩასაცურებლად. ის პირველად ფერდობზე გაყვანილი ღარობის დასაწყისის ან, შესაძლოა, დაბოლოების პუნქტთა აღმნიშვნელად იხმარებოდა. დაბოლოებისაც იმიტომ, რომ ღარში ბოლომდე ჩამოცურებულ ხეებს აგრეთვე ხარებით (თუ ბერკეტებით) ე. წ. საღობზე ათრევენდენ საურმე გზამ-

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. V, 1958.

³ ი. შაიხურაძე, მასალები სამცხის ტოპონიმოიდიან, ა. პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 17, 1963.

დე, აქედან, ცხადია, რომ სათარის სემანტიკაც თრევას უკავშირდება. სათარი იგივე სათრევაა (სათრევი ადგილი, ანუ გურულად რომ ვთქვათ, სათრიელა). ამ სიტყვებს საერთო ძირი აქვთ. ორივე მომავალდროიანი მიმღობაა, ოღონდ სტრუქტურულად მათ შორის განსხვავებაა. პირველში ზმნური ფუძე გაშლილად არის წარმოდგენილი (თარ), მეორეში — შეკუმშულად (თრ), რომელსაც თემის ნიშანიც ერთვის (თრ+ევ). ამ მხრივ სათარი მართლაც ინტერესს იმსახურებს, რამდენადაც ახალ ქართულში თრევა ზმნის ფორმები არსად არ აჩვენებენ გაშლილ ძირს (შდრ.: ათრევს, ათრევიდა, ათრია, უთრევია,... თრევა, სათრევი, სათრეველი)...⁴

თავანი ბინის შიდა სახურავის აღმნიშვნელი ტერმინია. იგი თავისაგან წარმოქმნილი წმინდა ქართული სიტყვაა, რომელიც სხვა კილოებშიც (მათ შორის მესხურშიც) გვხვდება და სალიტერატურო ენაშიც შესულია, როგორც ზოგადად თავსხვეითი არე, რაც ჩანს გამოთქმებში: „სახლის თავანი“, „ზეცის თავანი“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით თავანი სხვენია. აქვე მოყვანილია პოეტურ მეტყველებაში თავანის ფიგურალური დანიშნულებით გამოყენების შემთხვევები: „ცოტა კიდე და იეღვებს კრწანისი და მეტეხის ეკლესიის თავანი“ (ლ. ასათიანი), „ლამის კუბოდ გადამექცეს ზეციური თავანი“ (ი. გრიშაშვილი). შ. ნიჭარაძეს თავანი განმარტებული აქვს ზოგადად როგორც „შენობის ნაწილი: — არე სხვენსა და სახურავს შორის, არე — სხვენსა და ჭერს შორის“.

ჯ. ნოლაიდელს სპეციალურ წერილში დაწვრილებით აქვს გარკვეული სიტყვის ისტორია⁵. ავტორი, პირველ ყოვლისა, ადგენს თავანის სპეციფიკურ მნიშვნელობას აპარაში: მიუთითებს, რომ აქ თავანი არ არის სხვენი, ან ჭერის სინონიმი, როგორც ეს ქართული ენის სხვა კილოებში გვხვდება (გურულში, იმერულში, ქიზიურში). თავანი სახლის სახურავია, ოღონდ სახურავის შიგნითი მხარე, სახურავი ქვემოდან, ე. ი. შიგასთავსიდან, ჭერი კი, ამისგან განსხვავებით, ზემოდან დახურული ჭერების (სავანგებოდ გათლილი წვრილი ხეების) წყობაა. ეს განსხვავება თვალსაჩინოდ ვლინდება მშენებლობის ტერმინებშიც. ავტორი ამბობს: „... აპარულში ჭერიცა გვაქვს და თავანიც, მაგრამ ჭერის დაწყობა ხდება, თავანისა კი აქედება (გათლილი ხე, ფიცარი)“ (ხაზი ჩვენია. — ი. შ.). ჯ. ნოლაიდელი ასბუთებს, რომ თავანის ეს პირვანდელი მნიშვნელობა სამხრეთ საქართველოს კილოებშია შემორჩენილი. ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა იხმარება თურქულ-აზერბაიჯანულშიც და მიეკუთვნება იმ სიტყვათა რიგს (მოღვაჟი, ვუოანი, ლაზუთი...), რომლებიც ქართულიდან თურქული ენის ანატოლურ მეტყველებას შეუთვისებია.

სამწუხაროდ, თავანთან დაკავშირებული ეს მნიშვნელოვანი მომენტები სრულებით არ არის გათვალისწინებული აპარულ ლექსიკონში. ეს სიტყვა აქ თურქულად არის შეფასებული და არაფერია თქმული მის ქართულ წარმოშობაზე. თავანის ქართულობასა და მის პოპულარობაზე სამხრეთ სა-

⁴ ერთი ასეთი ფორმათავანი უნდა იყოს თრიალა (ის, რაც ათრევს). იგი შთის მკვეთრად დაქანებული მდინარის სახელია ადიგენის რაიონში, ჩაოლდის სოფ. ლულოვანს. ტოპონიმის გაზრება „თრევაზე“ მინიშნებით ხერხდება (ადიდებისას იგი ათრევს ქვალოდებს, ხე-ტყეს, შდრ. სხვა მდინარის სახელი ქართლში — ათრევაი, შდ. ტანის შენაკადია).

⁵ ჯ. ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წ. II, ი. მეგრელიძის რედაქციით, ბათუმი, 1972, გვ. 223—226.

ქართველოს დილაექტთა წრეში დამატებით საბუთად გამოგვადგებოდა სათავეანოს დასახელება. შ. ნიჟარაძის ლექსიკონის მიხედვით მას ორი მნიშვნელობა ჰქონია: „1. საგუბარი, საიდანაც გამოჰყავთ წისქვილის წყალი, — სათავე; 2. ადგილი. რომელიც გამოდგება წყლის არხის, გზის გასაყვანად“. გურიანში იგი სათავეანის სახით ყოფილა ხმარებული: „სათავეანი წყლის სათავე“⁶. სიტყვის ეს ორივე განმარტება ცხადყოფს, რომ სათავეანი მიეკუთვნება თავ სიტყვისაგან წარმოქმნილ სახელთა რიგს (სათავე, სათაური, მეთაური, უთაური, თაობა, თაოსანი და სხვ.). ზედმეტი არ იქნება აქვე დავასახელოთ ამ რიგის კიდევ ერთი კომპოზიტური მესხური სიტყვა თავალა, რომელიც აპარულისთვისაც არ უნდა იყოს უცხო, რამდენადაც იგი ორგანულია ადიგენის რაიონში მოსახლე მესხთათვის, ხოლო ისინი უშუალოდ მეზობლურ ურთიერთობაში არიან ზემო აპარის, კერძოდ ხულოს ზონის, მცხოვრებლებთან. თავალა აღმართს ნიშნავს. პირველ ნაწილში აქაც ჩვენთვის ცნობილი თავ-ია წარმოდგენილი, მეორეში კი ალა, რაც მესხურშივე ნიშნავს იმას, რასაც „მალა“, „ზევით“. (შდრ. ყირამალა). მესხეთში იტყვიან: „დათვი ალაზე ადგაო“. ამას ეთანხმება საბაც, რომელსაც ალა განმარტებული აქვს როგორც „სიგრძეზედ ამართული“.

წაფელი შ. ნიჟარაძის განმარტებით იგივე მეხრეა, მაგრამ აპარულში მას მეორე მნიშვნელობაც ჰქონია: იგი ეთანხმრება ე. წ. „წინამძღვარს“, „ბაეშეს“, რომელიც ხენის დროს წინ უძღვის უღელში შებმულ ხარებს, რომ ისინი სწორ გზას არ ასცდნენ (იხ. წინამძღვარი). ს.-ს. ორბელიანი ამ სიტყვას მწაფელის სახით იცნობს და ასე ხსნის: „ეტლთა მატარებელნი ანუ ხართა უღლის მაშინებელი“. ძველი ქართული ტექსტების მიხედვითაც მწაფელი „წამყვანი და მატარებელია“⁷. მესხურში მწაფელი გვაქვს და ოჯახში მეხრედ, მოსამსახურე-მორბედად აყვანილ ბიჭს ნიშნავს⁸. მწაფელი (დილაექტებში თავკიდური შ დაკარგულია) მწაფავს ზმნის მიმღებლად გამოჩანს. მისგანვეა მიღებული მოწაფე. მწაფე ძირეული ნაწილია, რომლის აღრინდელი მნიშვნელობა გამწევი მოუშა საქონლის წერთან-მართვასა და გარეყვასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ლექსიკონი მდლარ ლიტერატურას ეყრდნობა. დილაექტის ლექსიკური პროფილის საჩვენებლად ავტორის წყარობედ მრავალი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, მეცნიერული გამოკვლევა, სამხარეთმცოდნეო, ან ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, თუ მხატვრული ნაწარმოები გამოუყენებია. სიტყვების განმარტებისას მათი დამოწმება საშუალებას აძლევს დანიტერესებულ მკითხველს, გაიგოს რომელ დილაექტთან აქვს აპარულს ლექსიკური შეხვედრები, ან რა შემხები ხაზები მოეპოვება ძველ და ახალ სამწერლო ენასთან, ზანურთან თუ სვანურთან, უცხოურ ენათა სამყაროსთან.

იჩვენება, რომ აპარული კილო ლექსიკური თვალსაზრისით თვალსაჩინო მსგავსებას ამჟღავნებს ქართული ენის როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებთან, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო საგრძნობსა და მასალობრივად ღრმას — მის უშუალოდ მოსაზღვრე დილაექტებთან: გურულ-

⁶ ს. ძღენტი, გურული კილო, ტფ., 1936, გვ. 241.

⁷ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

⁸ მ. შაიხურაძე, მასალები მესხური ლექსიკონიდან, ბათუმის პედი. ინსტიტუტის შრომები, IV, 1954; ე. დონდუა, რჩეული ნაშრომები, 1, თბ., 1967, გვ. 381.

თან, იმერხეულთან და მესხურთან. ორ უკანასკნელთან აპარულს საერთო ისტორიული ბედით გამოწვეული თურქული ენის მძლავრი სუბსტრატი აერთიანებს, მაგრამ ამას გარდა მათ შორის ორგანული კავშირი წმინდა ეროვნული ლექსიკის ნიადაგზეც არის თვალჩინილი. ეს ასახულია კიდევ ლექსიკონში სათანადო პარალელების ჩვენებით. ასე, მაგალითად, იმერხეულთან თანხედენილი აპარული სიტყვებია: ავაზანი, ბაბა-ა, უჩუმარა-ა, კუჩხე, ამაველ და სხვ. მესხურთან საზიარო სიტყვები გაცილებით მეტია, მაგრამ ლექსიკონის გვერდებზე ყველა მათგანს როდი აქვს სათანადო მინიშნება. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ მესხური სალექსიკონო მასალები მცირე რაოდენობით არის გამოქვეყნებული. ავტორის მიერ შესაღებლად გამოყენებულა კ. დონდუასა და ჩვენი მასალები⁹, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ გვახედებენ ამ დიალექტის ლექსიკურ მარაგში. აქვე ვასახელებთ იმ აპარულ სიტყვებს, რომელნიც პარალელს პოულობენ მესხურში, მაგრამ სამოწმებელი წყაროს უქონლობის გამო ლექსიკონში სათანადო აღნიშვნა არ მოეპოვებათ: ავაზანი (მსხვილი ხისაგან გამოთლილი ვარცლი, რომელიც სოფლის წყაროების წინ დგას. მასში წყალი გროვდება პირუტყვის სასმელად), აპოხტი (შესანახად გამხმარი ქათმის ხორცი, მესხურში: ძროხის ან ცხვრის დამარილებული და მზეზე გამხმარი ხორცი), არეარგი (უეარგისი, უღირსი, ცუდი), ახ-ვახი (ხამალალი ჩივილი, ოხვრა, ვიშვიში, გოდება, მესხ.: ახ-ვახის ჩახილი, უბედურება, ვაი-ვაგლახი, დალოცვა: „ღმერთმა ახ-ვახი გამოროთ!“), გლა (დაბევეა, დაზიანება, მესხ.: ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის დაწოლით, მოჭირებით სხეულის დაზიანება-დაბევეა), გორჯოლო ქვა (უსწორ-მასწორო გაუთლელი ქვა), გათერძა (ყამირი მიწის პირველად შეთოხნა, ან სახენელით მოხვნა, მესხ.: ხენა საშემოდგომო თესვისათვის), გადაქაჩება (გადაქარგვა, გადახვეწა, მესხ.: გადაქანჩვა, გადამაღვა), დათაკვა (რაიმე საგნების (ფიცარი, შეშა, ლოგინი...) გარკვეული წესით დალაგება, დაწყობა), დოლობაკი (დომის ფუფა, მესხ.: დოს შეჭამადი), ენაპირიანი (წყლიანი, ენამკვეერი, მკვეერმეტყველი, მესხ.: ენაპიროსანი), ვაინაჩარ, ვაინაჩრობით (ძლივს, ძლივს-ძლივობით, გაჭირვებით, ვაივაგლახით, მესხ.: ვაინაჩრობა, სივაგლახე, უბადრუტობა), კატარი (ფიჭვი), კვირთავა (მსხლის ჩიში, მესხ.: კვირისტავა), კობარუზალი (ვაშლის ჩიში, მესხ.: კობარუწული), კუკული (კვიტი), ლაჩანტრია (მოუხერხებელი, უფხო, უგერგილო ადამიანის ეპითეტი, მესხ.: ლაჩანტრია—ლანჩათრია), მიხრიკი (მსხლის ჩიში), მოლოქა-ა (ბალბა, მესხ.: მალაქო), მურეშა-ა (შეგვერემანი ადამიანის მეტსახელი), ოსარო (თევზის საჭერი მოწნული კალათი), პორწილი (კონწილი), პუწკვა, რღევეა, შლა (ძაფის, თმისა და მისთ. მესხ.: ქათმის პუწვა, ქათმის გაპუტვა, ბუმბულის გამოჩება), სანთელა-ი (მსხლის ჩიში), სობა-ვაშლი (ადგილობრივი ჩიშის ვაშლი), ტუტული (პატარა მილი, მილაკი, მესხ.: ტუტულაკი — სტეირი, სალამური), უაიპე! (გაკვირვების, გაოცების შორისდებულთ), ფაჩანჩურა-ა (ულამაზო და უგერგილო, ჩანჩურა ფეთხუმი, ბედასლი), ფეხჩო (ფეხის ეჩო, სადურგლო იარაღი), ღლია (იღლია), ჩახრახი (ვიწრო, ღორღიანი ხევი, ჩახვეული ადგილი, ღრანტე, ხრამი, მესხ.: ტოპონიმი — ჩახრახის მთები), ჩიჩქეის ბალახი (იგივეა, რაც ყვავისკუ-

⁹ კ. დ. დ. დ. დ. ა. რჩეული ნაშრომები, I, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დურთო ი. ლლონტმა, თბ., 1967; ილ. შ ა ი ს უ რ ა ძ ე, მასალები, მესხური ლექსიკიდან, შ. რუსთაველის სახ. ბათუმის პედ. ინსტიტუტის შრომები, 4, 1955.

და), წრიაჲ (გამხდარი და სუსტი ახალგაზრდა, დაცინვით), ხაზული (შესანახად გამხმარი ქლიავი, მესს.: გამხმარი ქანჭური, გახმობის წინ ნაყოფს დანით სერავენ, რათა მზემ სიღრმეში უკეთ ჩაატანოს). ჭერი (გაუთლელი წვრილი ხე, მესს. წვრილი, ვახსებილი, თანაზომიერი ხეები, სახლის დასახურავად ხმარობენ), ჭორტი (წვრილი ქვა, წვრილი ქვის ან ქვის ნამტვრევების გროვა, მესს.: ჭორტი—ჭორტი ლოდებისაგან ან ერთიანი ქვისაგან ამართული სასაზღვრე ნიშანი ყანებში, ტოპონიმადაც არის ქვეული: ჭორატები აღგილია ქ. ვალის მიდამოებში). ჭლავეი (ჩლუნგი, ბლავეი) და სხვ.

შ. ნიქარაძის წიგნი აქარულ დიალექტზე ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. ეს არის მონოგრაფიული ნაშრომი, რომელიც ზედმიწევნითი სისრულით გვაცნობს ქართული ენის ერთ-ერთი კილოს სიტყვობრივ საუნჯეს და გვაძლევს მის საერთო ანალიზს, რაც მოცემულია ნაშრომის პირველ ნაწილში (გვ. 5—78).

სალექსიკონო ნაწილისათვის სიტყვა-ტერმინების შერჩევასა და განმარტებაში გარკვევით ჩანს შემდგენლის პასუხისმგებლობა, ერთგულედა საქმისადმი, მეცნიერული ალლო, მშობლიური მხარის ღრმა ცოდნა და გადმოცემის უნარი. სიტყვა-სტატები აქ ძირითადად ადვილად გასაგები, ნათელი სტილით არის დაწერილი. თუმცა შიგა და შიგ ნაშრომში მინც შეინიშნება ზოგიერთი უზუსტობა, ან ენობრივ-სტილისტური ბუნდოვანობა, ზედმეტსიტყვაობა და სხვ. ამის საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ: ზმნა და აწვიტებს ასეა განმარტებული: „წვიტს, — პატარას გახდის, — დააპატარაებს, შეამცირებს“. ეს ზმნა წვიტისაგან არის მიღებული, რაც თავის მხრივ წვრილს ნიშნავს (იხ. წვიტა-ი). ამიტომ განმარტებას აკლია ყველაზე შესაბამისი სიტყვა „დააწვრილებს“. ასევე დაკინკული-ს განმარტებაში აუცილებელი იყო „დაკონკილის“ ხსენებაც, მით უმეტეს, რომ კინკის სინონიმად ლექსიკონი კონკის აღიარებს (გვ. 227). საწყისი დაკაპნება ახსნილია ორგვარი მიმღობით: „დახრილი და დაქანებული“, რაც შეუსაბამობაა, მათ ნაცვლად უნდა იყოს „დახრა, დაქანება“. ხსენებული მიმღობა („დაქანებული“) დაკაპნებულს შეესატყვისება და იგი ლექსიკონში სწორედ დაკაპნების მომდევნო ერთეულად არის კიდევ შეტანილი. დაგვაჯება სიტყვის ახსნა ლექსიკონის ავტორს დ. ჩუბინაშვილის გამოთქმით აქვს მოცემული („კეთილი შური, რათა არა უღარეს იქმნეს სხვათაგან“), მაგრამ აქ მხედველობაში არ არის მიღებული, რომ გვაჯი აქარულში (და ჩვენი დამოწმებით მესხურშიც) „ბაძვა-მიმბაძველობაა“ (იხ. გვ. 145), და ამიტომ დაგვაჯებაც ამის საფუძველზე „მიმბაძვად“ უნდა განმარტებულყო. დაგლა არა მარტო „ფეხის ან ხელის გულის ადგილობრივი გასქელება, დაკორება და დაკორებაა“, როგორც ამას ავტორი მითითებს, არამედ იგი „დაფევეასაც“ გულისხმობს, რაც ლექსიკონში არ არის აღნიშნული. ხაზული როგორც ავტორი გვაუწყებს, „შესანახად გამხმარი ქლიავია“, მაგრამ ეს განმარტება სრული არ არის. საჭირო იყო ამას ისიც დამატებოდა. რომ განხმობის წინ ნაყოფს (ქანჭურს, ქლიავს) დანით სერავენ, ხაზავენ, რათა იგი ერთნაირად გამოჭრეს. ამზე მითითება, სხვა რომ არ იყოს, სიტყვის წარმომავლობასაც გაგვირკვევდა.

არასალექსიკონო სტილით არის შედგენილი ზოგიერთი სიტყვის ახსნა-განმარტება: „ადგილობრივი მოსახლეობა წყლის მატიტელას უებარ წამლად

მიიჩნევს კვიპატის წინააღმდეგ“ (იხ. წალიკა), „მოსახლეობა მას სამკურნალო მიზნით იყენებს“ (იხ. წამალ-წრილი). მსგავსი ადგილები ბევრი არ არის, შეიძლება მათი განტვირთვა ზედმეტი სიტყვებისაგან. სხვაგან ვკითხულობთ: „ძროხის სახელი შერქმეული ისეთ პირუტყვზე, რომელსაც ხბო უკვებდა, არ შერჩება“ (იხ. დარჩია-ჟ), „ძროხის ან თხის სახელი (პატარა და ლამაზი ტანის საქონელს შერქმეული)“. „შერქმეული... პირუტყვზე“, „საქონელს შერქმეული“ — ენობრივი შეცდომებია (უნდა იყოს: პირუტყვისათვის, საქონლისათვის). ლექსიკონში ვხვდებით ძე-ვაშლას. მასზე ნათქვამია: „იგივეა, რაც სულ-ალმა“, მაგრამ არც ერთ ამ სიტყვის სემანტიკურ საფუძველზე არაფერია ნათქვამი, სახელდობრ ის, რომ თურქული სულ-ალმა ნიშნავს სწორედ „რძე-ვაშლას“, რისგანაც რ თანხმობის დაკარგვით ხსენებული ძე-ვაშლა არის მიღებული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვაშლისა და მსხლის ზოგიერთი ჯიშის აღმნიშვნელ თურქულ ტერმინთა ქართული შესატყვისები ავტორს მითითებული არა აქვს. მას კარგად მოეხსენება, რომ იალ-ალმა ქართულად „ერბოს ვაშლია“. ანუ „ერბოვაშლა“ (yag — ერბო, alma — ვაშლი). დემირ-ალმა არის „რკინის ვაშლი“ (რკინა-ვაშლა, demir — რკინა). ყაბალ-არმუთი — „გოგრა-მსხალი“ (kabak თურქ. კვახი, გოგრა, არმუთი, სპარს. მსხალი); უზუნ-ა-ჯ (uzun — გრძელი) მსხლის ჯიშია და სხვ. ამგვარი ინფორმაციების შეტანა ლექსიკონში მით უფრო აუცილებელი იყო, რომ თურქული ტერმინების ხსენებული ქართული ეკვივალენტები ხალხის მეტყველებაში უკვე ფეხმოკიდებულია, როგორც ეს ძე-ვაშლის მაგალითზე დავინახეთ, და ამდენად ეს ცნობები რეალურ ვითარებას გამოხატავენ.

ცალკე შენიშვნას იმსახურებს კაწანის განმარტებაში ნახმარი გამოთქმა: „ლოლუებად ქცეული პირხლი“. იგი ლოგიკურ შეუსაბამობას შეიცავს. პირხლის ახსნა კარგად არის წარმოდგენილი ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში („მცენარეებზე ან სხვა საგნებზე წიწვივით შეყინული ორთქლი“). წარმოდგენილია პირხლი იქცეს ლოლუებად, რადგან ლოლუა, როგორც იმავე ლექსიკონში ვკითხულობთ, არის „შენობის სახურავზე. ან ხის ტოტებზე ჩურჩხელასავეით დაკიდებული ყინული“.

დოხაბური ავტორს ხარის მნიშვნელობით აქვს ახსნილი ისე, როგორც ეს აჭარაში ესმით, მაგრამ განმარტება სრული არ არის. ამას ისიც უნდა დაემატოს რომ ეს მნიშვნელობა გადატანის წესით არის შექმნილი ეთნონიმური სახელისაგან. როგორც ცნობილია, დუხობორები (რუსეთიდან გადამოსახლებული რელიგიური სექტის წარმომადგენლები) ჯავახეთში ცხოვრობენ და მათ მიერ გაზრდილი ჯიშისანი ხარები განსაკუთრებული სიდიდითა და სიმძლავრით გამოირჩევიან.

ეფქრობთ, მკითხველი ვერ გაიგებს რა არის კაკირიე. რადგან ის ასეა ახსნილი: „კაკირიე იმერული ირაგა (შდრ. იმერ. ნინასტარა)“. რას აღნიშნავს ირაგა და ნინასტარა, ან რომელ წყაროშია დამოწმებული, ამაზე აქ არაფერია თქმული. სიტყვის მნიშვნელობა საბოლოოდ გაურკვეველი რჩება და მისი რაობის გაგებას ძიება სჭირდება.

ლექსიკონში არაერთგან ვხვდებით საერთო ქართულ სიტყვებსაც. მაგალითად: დაკარება (ხელისა), დანაფოტება, გამოწლა, დაცხაება, ენკენისთვე, თემი, კრაველი, წავი და მისთანები. მათი მოქცევა დიალექტურ სიტყვათა

შორის აუცილებელი არ იყო, მით უფრო, რომ საილუსტრაციო ფრაზეოლოგიაში ნახშიარი ზოგი ნამდვილად კუთხური სიტყვა ლექსიკონში არ მოხვედრილა; მხედველობაში გვაქვს ისეთი ლექსემები, როგორც არის ჩაო: „ჩაო ალაგებში ადესაი დიდვან კაკლებს იკეთებს“ (დღუ მპის განმარტებაში, გვ. 186): ბე ლა: „ისეა თვეაღებული ში ბაღანა, რომ ბე ლა უნდა ნახოს მაგან“ (იხ. თავადერილი, გვ. 202). სალექსიკონო ობიექტებად არ ქცეულან აგრეთვე ბერილი (დათვის ბუნაგი), გვარალაი (გორგალი, თავსახვევი, ჩალის კონის შესაკრავი მუჭი თივა, თივის თოკი)¹⁰, შარტვილი (ცმაწვილი), პაშ.ა (ბეერა, შობრავლო, სოფ. ზოტი), საყე (საყენი)¹¹, რანქეა¹² და სხე.

არის შემთხვევები, როდესაც დასამოწმებელ ფრაზაში წარმოდგენილი სიტყვა არ ემთხვევა სალექსიკონო ერთეულს, მაგალითად, განმარტებულია აბუქათი (ადვოკატი). საილუსტრაციო ფრაზაში კი აბუქათია დამოწმებული. გოიას განმარტებას (სპარსული, თითქოს, ვითომ) ახლავს ფრაზა, სადაც ეს სიტყვა გოას სახით არის მოცემული. ასევე დამიოზას (დამურა) თანდართულ კონტექსტში მითითებული აქვს დამიოზა, დანაშეაეს — დანაშეაევი და ა. შ.

შათსზე მეტი სიტყვობრივი ერთეულის შემცველ ისეთ მოზრდილ ნაშრომში, როგორც შ. ნიჟარაძის ლექსიკონია, უთუოდ ძნელი იყო ამა თუ იმ ნაკლოვანების თავიდან აცილება. რამდენადაც ვიცით, ავტორი კვლავ განაგრძობს მუშაობას აჭარულის კილოს უფრო ღრმად შესწავლისათვის. ჩვენი გულწრფელი სურვილია ავტორის ყურადღება მივაპყროთ ზემოთ ჩამოთვლილ დეფექტებზე, რათა პირველი ვრცელი აჭარული ლექსიკონის რედაქციული გადამუშავებისას მხედველობაში იქნეს მიღებული მათი გამოყენების შესაძლებლობანი.

ილია მაისურაძე

¹⁰ ქ. ნოლაიელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წ. I, ბათუმი, 1971. (იხ. თანდართული. შეგარულიძის მიერ შედგენილი „აჭარულის მოკლე ლექსიკონი“).

¹¹ იგივე, წიგნი, II, გვ. 234—236.

¹² ქ. ნოლაიელი, აჭარის ხალხური სიტყვიერება, წიგნი II, ბათუმი, 1940, გვ. 242.

აოლემიკური შენიშვნები

რუსთველის იერუსალიმური სურათის გამო

(მცირე განმარტება)

„ლიტერატურულ საქართველოში“ (17.5.74) გამოქვეყნდა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ბორის კანდელაკის პოლემიკური წერილი „კვლავ რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის შესახებ“. იგი უბრუნდება მეცნიერთა ერთი ჯგუფის კოლექტიურ წერილს, რომელიც რუსთველის პორტრეტის კანდელაკისეული პუბლიკაციის გამო დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“ 1958 წელს (12.X) — „სინამდვილის დამაბინჯების წინააღმდეგ“ (ხელს აწერდნენ გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ალ. ბარამიძე, ვ. ბერიძე და ილ. აბულაძე¹). ბ. კანდელაკი მკითხველებს აუწყებს, რომ მეცნიერთა ეს ჯგუფი შეეცადა გაეუფასურებინა მისი პუბლიკაცია, ხოლო შემდეგ ჯგუფის ზოგიერთმა წევრმა, კერძოდ, ალ. ბარამიძემ (აგრეთვე შ. ამირანაშვილმა) გაიმეორა ის მოსაზრება, რაც მან (ე. ი. ბ. კანდელაკმა) ცხრა წლით ადრე გამოთქვაო.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დამოწმებული წერილის შედგენის თაოსნობა ეკუთვნოდა განსვენებულ ილია აბულაძეს (ჯერ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ხელმძღვანელს, შემდეგ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს). მანვე დაწერა ტექსტი, რომელსაც ჩვენც ვაწერთ ხელს. ჩვენ ყველანი ერთი აზრისანი ვიყავით ბ. კანდელაკის პუბლიკაციის თაობაზე, თუმცა სხვადასხვა შეხედულებას ვიზიარებდით რუსთველის პორტრეტის თარიღის შესახებ. წერილის ავტორები მივსალმუნენ რუსთველისა და სხვა პირთა სურათების გამოქვეყნების ფაქტს, ოღონდო, ურთავდნენ, „პუბლიკაციას თან ახლავს ზოგი ისეთი რამ, რაც ყალბ წარმოდგენას ქმნის საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ“. საგანგებო ყურადღება დაეთმო იმას, რომ „სინამდვილეს არ შეეფერება ს ე ნ ს ა ც ი ე უ რ ი ს ა თ ა უ რ ი ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი ს უ რ ა თ ე ბ ის ან ლ ა დ „აღმოჩენის“ შესახებ“ (ხაზგასმა ახალია. — ა. ბ.). მართლაც, ბ. კანდელაკის წერილს სათაურად ჰქონდა: „აღმოჩენილია შოთა რუსთველის, პეტრე იბერის და სხვა ისტორიულ პირთა პორტრეტები. 1. „შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობიდან“. კოლექტიური წერილის ავტორები შენიშნავდნენ „ნიკო ჩუბინაშვილის ხელნაწერი და სურათები დიდი ხანია ცნობილიაო“ და მიუთითებდნენ შესაფერის წყაროზე. საქმე ისაა, რომ ჩუბინაშვილის კრებული (და შიგ ჩართული სურათები) მეცნიერული სიზუსტით იყო აღწერილი, ხოლო აღწერილობა ბეჭდურად გამოქვეყნებული ჯერ კიდევ 1955 წელს². ამისდა მიუხედავად, რუსთველის სურათის შესახებ ბ. კანდელაკი წერდა: „ამ პორტრეტის პირი ა ხ ლ ა ხ ა ნ ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი ს გ ა დ ა თ ვ ა ლ ი ე რ ე

¹ ეს წერილი შემდეგ გადაბეჭდა ეურნალმა „საბჭოთა ხელოვნებამ“ (1960, № 12, გვ. 7—8).

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საერო დეპარტამენტის ხელნაწერები (A კოლექცია), ალ. ბარამიძის რედაქციით, ტომი V, შეადგინა ილია ქუთათელაძემ, თბილისი, 1955, გვ. 238—248.

ბის დროს საბედნიეროდ მე შემხვდა“ (ხაზგასმა აქაც და ქვევითაც ჩემია. — ა. ბ.). ნამდვილად ხელნაწერების გადათვალიერების დროს შემთხვევით კი არ წააწყდა ბ. კანდელაკი რუსთველის პორტრეტს, არამედ იგი ამ პორტრეტამდე მიიყვანა ხელნაწერთა აღწერილობის დამოწმებულმა წიგნმა. ბ. კანდელაკი აღწერილობას იცნობდა და ერთგვარად კიდევაც ასახელებს მას. ერთგვარად იმბიტომ ვამბობთ, რომ ბ. კანდელაკი აღწერილობას იქ არ ასახელებს, სადაც ეს აუცილებელი იყო, როცა მან სიტყვასიტყვით გაიმეორა პრინციპული მნიშვნელობის მქონე ტექსტი აღწერილობისა. თვალსაჩინოები-სათვის მოგვაქვს პარალელური ტექსტები:

„კრებულს ერთვის ჭრის მონასტრის კედლის მხატვრობა, რაც შესრულებული უნდა იყოს პეტერბურგში ჩანახაზებისა და ნ. ჩუბინაშვილის ზემოთ დასახლებული აღწერის მიხედვით. თვითვე პორტრეტს აქვს წარწერა რუსულ ენაზე“. (აღწერილობა, 1955, გვ. 248).

„კრებულს თან ერთვის ჭყარის მონასტრის კედლის მხატვრობა, შესრულებული, ალბათ. პეტერბურგში იერუსალიმიდან ჩამოტანალი ჩანახაზებისა და ნიკოლოზ ჩუბინაშვილის აღნიშნული ნაშრომის მიხედვით. თვითვე პორტრეტს აქვს წარწერა რუსულ ენაზე“. (ბ. კანდელაკის წერილი, 1958 წ.).

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ შენიღბვის მიზნით ბ. კანდელაკს დაუმატებია ორიოდ სიტყვა და აღწერილობის გამოთქმა „შესრულებული უნდა იყოს“ შეუცვლია გამოთქმით „შესრულებული, ალბათ“.

სწორედ ამის გამოა კოლექტიურ წერილში ნათქვამი, აღწერილობაში გამოთქმულ მოსაზრებას ბ. კანდელაკი „თავისად ასაღებს, წყაროს მოუხსენებლადო“.

საპასუხო წერილში ბ. კანდელაკი ჩივის, კოლექტიური წერილის ავტორებმა უსაფუძვლო ბრალდება წამომიყენეს, თითქო აღწერილობას არ ვასახელებო. არა. ეს ბრალდება არავის წამოუყენებია. კოლექტიურ წერილში ისაა საგანგებოდ აღნიშნული, რომ რუსთველის ჩუბინაშვილისეული სურათი კარგად იყო ცნობილი და ბ. კანდელაკს აღარ სჭირდებოდა ბედნიერი შემთხვევის მომადლება მისი ხელმეორედ აღმოსაჩენად. წერილში იკითხება: „ამგვარად, ბ. კანდელაკის სიტყვები შ. რუსთველის პორტრეტის შესახებ: — „ახლა აღმოჩნდა ამ პორტრეტის ასლი“, „ამ პორტრეტის პირი ახლახანს ზელნაწერების გადათვალიერების დროს საბედნიეროდ მე შემხვდა“, — სინამდვილეს ამახინჯებს. შეიძლება თქმულიყო მხოლოდ, რომ რუსთველის პორტრეტის ჩანახატი ახლა პირველად ქვეყნდება“.

რუსთველის იერუსალიმური პორტრეტის თარიღის შესახებ კოლექტიურ წერილში ნათქვამია: „ჭყარის მონასტერი XVII საუკუნეში თავიდან მოიხატა, ასე რომ ყველა იქაური პორტრეტი ან სულ ახლად, XVII ს. არის შესრულებული, ან დახატულია ხელმეორედ“. როგორც ზემოთაც შევნიშნე, სურათის თარიღის გამო სხვადასხვა აზრი სუფევდა. ეს აღბეჭდილია მოყვანილ ციტატაშიც. ზოგი სპეციალისტი ახლაც ფიქრობს, რომ რუსთველის იერუსალიმური პორტრეტი XVII საუკუნეშია შექმნილი. მაგალითად, ამგვარი თვალსაზრისია გატარებული თინათინ ვირსალაძის მონოგრაფიაში „Роспись Иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели“ (Тбилиси, 1973), რომელიც გიორგი ჩუბინაშვილის მეცნიერული რედაქციით გამოვიდა. პირადად მე იმთავითვე ვთვლიდი (ალ. ცაგარლის ცნობებზე დაყრდნობით). რომ ჭყარის მამა ნიკიფორე ჩოლოყაშვილი იყო მეორედ მომხატველი და რუსთველის პორტრეტის სა-

კითხი ამ კუთხით უნდა განხილულიყო³. ქართველ მეცნიერთა (ი. აბაშიძის, ა. შანიძის, გ. წერეთლის) იერუსალიმური ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალების წყალობით საშუალება მომეცა არგუმენტირებული მოსაზრება წარმომედგინა საცილობელ საკითხზე. ასე რომ მე არც შეხედულება შემოიკვლია და არც, მით უფრო, ბ. კანდელაკის თვალსაზრისზე დავმდგარარ. არსებითად, ბ. კანდელაკს არავითარი კონკრეტული მოსაზრება არ გამოუთქვამს რუსთველის პორტრეტის თარიღის შესახებ. მას უწერია: „ხალხური ზეპირგადმოცემის მიხედვით, რუსთველი მოხუცებულობის ეამს იერუსალიმში წასულა და ქართველთა მონასტერში (ჯვარის მონასტერში) ბერად შემდგარა. შოთას თან წაუღია თავისი ქონება და აღნიშნული მონასტრისათვის შეუწირავს. მონასტერი შეუქეთებიათ და შენობის ერთ სვეტზე წესისამებრ შოთას პორტრეტი დაუხატავთ“. მაშასადამე, ბ. კანდელაკი გეთავაზობს ხალხური ზეპირი გადმოცემის შინაარსს. იგი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს ამ გადმოცემას (არ მართლდება, მაგალითად, გადმოცემა თითქო რუსთველი ბერად შემდგარა ჯვარის მონასტერში), ან „წესისამებრ“ როდის დაუხატავთ შოთას სურათი.

მე აღარაფერს ვამბობ სხვა ისტორიულ პირთა პორტრეტებზე, კოლექტიურ წერილში გარკვევით არის აღნიშნული: „მათ შესახებ ცნობები მოთავსებულია ხელნაწერთა აღწერილობის ხსენებულ ტომში (გვ. 248). ამის გარდა, ზოგი პორტრეტის ჩანახატი, შესრულებული ალ. ცაგარლის მიერ, აღრევე იყო გამოქვეყნებული“. ბ. კანდელაკის წერილში ჩართული კაკაბაძისეული კომენტარი საკითხის გაშუქებას ვერაფერს მატებს.

დასასრულ, მოგვაქვს იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილეთა აზრი კოლექტიური წერილისა და ბ. კანდელაკის პუბლიკაციის თაობაზე: „ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული პორტრეტი (შოთა რუსთველისა) შესრულებულია ნ. ჩუბინაშვილის ჩანახატების მიხედვით პეტერბურგში, მხატვრის მიერ, რომელსაც ორიგინალი არასდროს არ უნახავს, და რომ ეს პორტრეტი არ წარმოადგენს ჯერის მონასტრის ფრესკის პირს და ამის მიხედვით არ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ორიგინალზე“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 12, გვ. 9).

საკვირველი ის არის, რომ იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციამ თურმე შოთა რუსთველის პორტრეტი გამოავლინა ბ. კანდელაკის მიმანიშნებელი მითითებების წყალობით „იმ ადგილზე და იმ ფერებში, რომელიც აღნიშნული მქონდა ჩემ წერილშიო“, გვაუწყებს ბ. კანდელაკი („ლიტერატურული საქართველო“). ექსპედიციას მეგზურობას უწევდა ნ. ჩუბინაშვილი, ალ. ცაგარელი და პ. კონჯოშვილი და არა ბ. კანდელაკი. არ არის სწორი ბ. კანდელაკის ინფორმაციული ცნობა, თითქოს ცაგარელს შოთას პორტრეტის პირი არ გადმოუღია და თითქოს პ. კონჯოშვილს 1899 წელს პორტრეტი ადგილზე ვეღარ უნახავს. პ. კონჯოშვილი პირდაპირ ამბობს თავის „მოგზაურობის“ წიგნში: „გულით ვეძებე შოთა რუსთველის სურათი და ძლივს შევიწინე მარჯვენა მხარეს სვეტზედა“⁴. ამრიგად, პ. კონჯოშვილს დიდი ძიე-

³ ალ. ბაჩაძე, შოთა რუსთველი, 1958, გვ. 37—38.

⁴ მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ დეკანოზის პეტრე დავითის ძის კონჯოშვილისა, თბ., 1901, გვ. 82.

ბის შედეგად ბოლოს და ბოლოს მაინც შეუნიშნავს შოთას პორტრეტი და მისი ადგილმდებარეობაც ჩაუნიშნავს („მარჯვენა მხარეს სვეტზედა“). ლილი ქუთათელაძემ მოიპოვა ალ. ცაგარლის წერილი, რომელშიც აღნიშნულია შოთას პორტრეტის გადმოხატვისა და პეტერბურგში ჩატანის გარემოებანი⁵. მართალია, ლ. ქუთათელაძის პუბლიკაციამდის ეს ცნობილი არ იყო. არც ის არის სწორი, თითქო ბ. კანდელაკმა გამოაქვეყნა შოთას იერუსალიმური პორტრეტის „ასლი“ თუ „პირი“. ნამდვილად მან გამოსცა ნ. ჩუბინაშვილის ჩანახაზების მიხედვით უცნობი პეტერბურგელი მხატვრის მიერ შესრულებული სურათის პირი. უსაფუძვლოდ მიაწერს ბ. კანდელაკი იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის წევრებს მოსაზრებას შოთას პორტრეტის 12—13 საუკუნეებით დათარიღების შესახებ. ისინი ამბობენ: „უფრო სწორი უნდა იყოს ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს პორტრეტი თავისი წარწერით ან არის განახლებული XVII საუკუნეში, ან ვაკეთებულა რაიმე უტყუარი მონაცემის საფუძველზე“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 12, გვ. 7. ხაზგასმა ავტორებისა. — ა. ბ.).

სამწუხაროდ, ბ. კანდელაკი ვერც პირველ და ვერც მეორე (საპასუხო პოლემიკურ) წერილში ვერ იჩენს საჭირო პასუხისმგებლობას და დამახინჯებულად გვიხატავს შოთა რუსთველის იერუსალიმურ სურათთან დაკავშირებული საკითხის ვითარებას.

19.VI.74.

ალ. ბარამიძე

მეორე განმარტება

საკიროდ მიგვაჩნია, რომ ვუჩვენოთ საზოგადოებას, თუ რას მოგვაწერს ერთი კრიტიკოსი და ნამდვილად კი რა გვიწერია!

პროფ. პ. რატიანის ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის“ 1968 წელს გამოქვეყნდა (ეურნ. „მნათობი“, №№ 2, 3, 4, 5). მასზე სათანადო რეცენზიები დაიბეჭდა („მნათობი“, 1968, № 8; 1969, № 11) და სპეციალური დისპუტი ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველოლოგიურ სემინარზე (1969).

მოსალოდნელი იყო, პ. რატიანი კრიტიკას ანგარიშს გაუწევდა, მაგრამ არა, — მან ზოგი შეცდომა შეაღამაზა შეფარვით, „პასუხები“ დასტამბა და ნაშრომი ცალკე წიგნადაც გამოაქვეყნა! (პრ. რატიანი, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის, თბ., 1969). შემდეგ მანვე დაბეჭდა მოზრდილი წერილი — „ერთხელ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობაზე“ („მნათობი“, 1971, № 11 და № 12).

უკანასკნელ წერილში პ. რატიანი „აკრიტიკებს“ ჯერ ნ. შოშიაშვილისა („მნათობი“, 1971, № 11) და შემდეგ — ს. ყაუხჩიშვილის, ვ. დონდუას, მ. ღუმბაძის, ი. მეგრელიძისა და შ. ბაღრიძის რეცენზია-წერილებს, რომლებიც შესებოდა პ. რატიანისავე აღრინდელ ნაშრომს.

⁵ ლილი ქუთათელაძე, შოთა რუსთველის პორტრეტის ისტორიისათვის, „ლიტერატურული გაზეთი“, 16. 12. 60.

ავტორებმა პ. რატიანს, სხვა სადავო საკითხებზე კამათთან ერთად, შენიშვნა: — რუსთველის სასულიერო მოხელეობის შესახებ მოსაზრება ადრეც გამოითქვა. 1936 წელს იგი განავითარა კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ. მის კვლობაზე ისევ კათალიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ განაცხადა, რომ „რუსთველი პერეტის ეპისკოპოსი იყო“ და ეს აზრი დაიბეჭდა კიდევ (გაზ. „ახალგაზრდა ეურნალისტი“, 1966, № 1). რამდენადმე ანალოგიური მოსაზრება იმავე წელს წამოაყენა მ. ჭანგიძემაც (გაზ. „სამგორი“, 1966, 17 აპრილი: შტრ. „მნათობი“, 1969, № 11, გვ. 175). ეფრემ მეორემ აღნიშნული აზრის თავისებურად დასაბუთებაც სცადა, — რუსთველი რომ დიდი სასულიერო პირი, — თუნდაც ეპისკოპოსი — არ კოფილიყო, მას იერუსალიმის ქართულ ჭვარის მონასტერში ვერავინ ვერ დახატავდაო...

პ. რატიანმა ეს ფაქტები არ დასახელა, ჩვენს მასთან კამათის არსებობა საკითხსაც გვერდი აუარა და სმაური ასტეხა რუსთველოლოგიის განვითარების ეტაპების თაობაზე! პ. რატიანი მკითხველს აუწყებს: ი. მეგრელიძე წერსო — ჟუკუდავი ვეფხისტყაოსნის შინაარსის თაობაზე სჯულმდებლად წოდებულმა ვახტანგ მეექვსემ გამოთქვა აზრი: „სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება“, ლექსიც რუსთაველს „გაუქუთებია და ამბავიცა“ („მნათობი“. 1971, № 12, გვ. 149). ამიტომ, — „განმარტავს“ პ. რატიანი, — ი. მეგრელიძის მიხედვით, „დრო ვახტანგ მეექვსიდან (1712) ნიკო მარამდე რუსთველოლოგიის პირველ ეტაპად ითვლება მეცნიერებაში“... „ამ დარგის მეორე ახალი ეტაპი, — ამტკიცებს ი. მეგრელიძე, — ოთხმოცდაათიანი წლებიდან ქართველოლოგ ნიკო მარით იწყება“ (იქვე. ეს აზრი კი ჩვენ არ გვეკუთვნის. იხ. ქვემოთ). ავტორის, ე. ი. ი. მეგრელიძის, „მსჯელობიდან გამოდისო, — ასკენის პ. რატიანი, — რომ რუსთველოლოგიაში ნამდვილი მეცნიერული ეტაპი შეუქმნია მხოლოდ ნიკო მარს“ (იქვე), ვახტანგის შემდეგ მარამდე არავის არაფერი გაუქუთებიაო, და ამასვე იზიარებენ მეგრელიძის ზემოხსენებული თანამოკალმენიცაო. — აი, როგორ „ყალბად და არასწორად ეს მითი ჩვენს კრიტიკოსებს ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობა-აზროვნების ისტორიული მნიშვნელობა“-ო (იქვე. ხაზი ჩვენია. — ი. მ.).

ნამდვილად კი ჩვენ არა ეს, არამედ იმ ნაშრომში, იმავე და სხვა გვერდებზე, რომლებზეც პ. რატიანი მიუთითებს, გვიწერია: „თუ წინათ, ილიამდე უმთავრესად „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობის საკითხს იკვლევდნენ. ილია ერთი პირველთაგანი იძლევა ამ პოემის მხატვრულ ანალიზს, ტიპების ფსიქოლოგიურ დახასიათებას, მას ჰომეროსის, შექსპირისა და სხვათა გვერდში აყენებს“ („მნათობი“. 1966, № 7, გვ. 136).

როგორც შევნიშნეთ, აზრი, რუსთველოლოგიის განვითარების მეორე ეტაპი შექმნა ნ. მარმაო, რაშიც პ. რატიანი ჩვენ გვედავება („მნათობი“. 1971, № 12, გვ. 149), გვეკუთვნის არა ჩვენ, არამედ დიდ ივანე ჯავახიშვილს.

დავიწყოთ იმით, რომ იე. ჯავახიშვილი ნ. მარის არაერთ რუსთველოლოგიურ დებულებას (მაგ. რაინდობის, ქალის კულტისა და სხვა) ავითარებდა. პ. რატიანი კი წერს: იე. ჯავახიშვილი მარს აქაც გაემიჯნაო (ეურნ. „მნათობი“, 1966, № 6, გვ. 174). ლაპარაკობს მოგონილ ნიღაბზე, — მარს ის ჯავახიშვილმა ჩამოჰგლიჯაო (იხ. აგრეთვე კრებული „ქართული ისტორიოგრაფია“: 1, 1968, გვ. 281) და სხვა!

ახლა ეტაპის თაობაზე. ივ. ჭავჭავაძის წერს: «„ვეფხისტყაოსნის“ ლირ-სებათა შესახებ ადრეცა, და განსაკუთრებით მე-19 საუკუნის განმავლობაში, არა ერთს უმსჯელია, — ამჟამი სპეციალისტები, მგონები, პუბლიცისტები და ჩვეულებრივი მკითხველებიც იღებდნენ მონაწილეობას», მაგრამ ამას „მეცნიერული შესწავლისათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია“. „ვეფხისტყაოსნის გენიოსი ავტორის, — განაგრძობს ივ. ჭავჭავაძი, — მსოფლმხედველობისა, მიზნისა და პოეტური მრწამსის შესახებ პირველი მშვენიერად დაწერილი მონოგრაფია აკად. ნ. მარის კალამს ეკუთვნის. მისმა ამ გამოკვლევამ „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ახალი ხანა შექმნა“ (იხ. მისი „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“, თბ., 1956, გვ. 10; ხაზი ჩვენია. — ი. მ.). ამ აზრს იზიარებენ: კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, შ. ნუცუბიძე, პ. ინგოროყვა, ბევრი სხვადა და ჩვენც.

ივ. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული სიტყვების მიხედვით, გ. იმედაშვილი წერდა: „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის მეორე ეტაპია ნ. მარი, — „ამ პერიოდში იწყება(!) რუსთაველის კვლევა მეცნიერულ ნიადაგზე, კრიტიკა წარსული კვლევისა და ტრადიციებისა, როგორც არამეცნიერულისა, და ფართე პერსპექტივების დასახვა შემდგომი კვლევა-ძიებისა“ (იხ. მისი „რუსთველოლოგია“, თბ., 1941, გვ. 5). შ. ძიძიგური სათანადო მსჯელობას ასკვნის: რუსთველოლოგია „სამეცნიერო ნიადაგზე სწორედ ნ. მარმა დააყენა“ (იხ. მისი „ნ. მარი — ქართული კულტურის მკვლევარი“, თბ., 1965, გვ. 55). ჩვენ ასე შორს არ წავედით, ხანა ეტაპით შემოვფარგლეთ. პ. რატიანი მაინც ჩვენ გვედავება: სწორედ მეგრელიძე თვლის, მეცნიერული რუსთველოლოგია მარმა შექმნა!..

პ. რატიანის ამ დაყენებას შეფასება თვითონ მკითხველმა მისცეს...

უსაფუძვლოა პ. რატიანის განცხადებაც, თითქოს ჩვენ და ზემოხსენებულ მეცნიერები ვემხრობოდეთ აზრს რუსთაველის „მესხურ მაჰმადიანურ წრიდან“ წარმოშობის შესახებ („მნათობი“, 1971, № 11, გვ. 172).

პ. რატიანი ცდილობს მკითხველს მოაჩვენოს, რომ იგი კრიტიკოსებისაგან არა მხოლოდ საკუთარ პირად ეხებას, არამედ ე. თაყაიშვილსა და ს. კაკაბაძესაც კი იცავს (იქვე, გვ. 171). ესეც არ არის მართალი. ის კი ფაქტია, რომ პ. რატიანი შეურაცხყოფს თეიმურაზ ბაგრატიონს, მას ყალბისმქნელს უწოდებს. ამანო, — წერს რატიანი, — არა მხოლოდ „თავისი მიზნების შესაფერი და გაიდგალებული რუსთაველი დახატა, რისთვისაც არც ტენდეციურობას ერიდებოდა და არც ფაქტების მიჩქმალვას“ (გვ. 156), არამედ „ქართლის ცხოვრებას“ შეასწორა და სხვა სიყალბეებიც ჩაიდინა... (იქვე, 152—157).

სხვათა ბევრი ვაჭქვს სადავო პ. რატიანთან, მაგრამ მათზე აქ აღარაფერს ვამბობთ, დრო თავისას იტყვის; სწორად ბრძანებს რუსთაველი: —

„ბოლოდ ყოვლი დამალული საქმე ცხადად გამოცხადეს“.

ერთი უსაფუძვლო რეალიკისა და მისი ქვეთქმის ბავო

ფრიად ავტორიტეტულ ორგანოში დაიბეჭდა პროფესორ იოსებ მეგრელიძის „რეპლიკა“, უფრო სწორად — უარყოფითი რეცენზია, სათაურით „წიგნი სასარგებლოა, მაგრამ...“, რომელიც შეეხებოდა ჩვენს ნაშრომს „ბალმონტი და საქართველო“.

თუ რეპლიკის სათაურის მიხედვით ვიმსჯელებთ, პატივცემულ კრიტიკოსს ჩვენი წიგნი სასარგებლოდ მიუჩნევია, მაგრამ რეპლიკის შინაარსიდან ასეთი აზრის გამოტანა შეუძლებელია, რადგან მასში ავტორს სრულიად საწინააღმდეგო დასკვნები აქვს გამოთქმული და, ამასთან, მოწმედ ჩვენ თვითონ ვართ დასახელებული.

ი. მეგრელიძე ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, თითქოს ჩვენს წიგნში წარმოდგენილი არ იყოს ვეფხისტყაოსნის არც ბალმონტისეული თარგმანის შექმნის ისტორია და არც საქართველოსთან ბალმონტის ურთიერთობა. მკითხველმა რომ ეს ამბავი დაიკვიროს, რეცენზენტი სერიოზულად აცხადებს, რომ ყოველივე ამას ვითომც ჩვენ თვითონ ვაღიარებთ ნაშრომის შესავალ ნაწილში. მოვუსმინოთ ი. მეგრელიძეს (ავტორის სტილი დაცულია): „ლია ანდლულაძეს, როგორც თვითონ წერს, არც ხსენებული „თარგმანის შექმნის ისტორია და ბალმონტის საქართველოსთან ურთიერთობა“ არ წარმოუდგენია გვ. 4)“¹.

რეპლიკის ავტორის ამ „ობიექტური“ მსჯელობიდან მკითხველმა, ცხადია, ის დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომ ჩვენი წიგნი არათუ სასარგებლო არაა, არამედ უზარავისია, რადგან მასში, თურმე, ნახსენებიც კი არ ყოფილა ის ძირითადი საკითხები, რომელთა გაშუქებას უნდა ვარაუდობდეს ნაშრომი.

დინტერესებული მკითხველი მითითებული მეოთხე გვერდის წაკითხვით ალვილად დაარწმუნდება, რომ ი. მეგრელიძის მიერ კონტექსტიდან ამოგლეჯილი და ბრქვალეში ჩასმული სიტყვები შეეხება სხვა ავტორის გამოკვლევას, რომელშიც არაა და, სათაურის შესაბამისად, არც სავალდებულოა რომ იყოს წარმოდგენილი ვეფხისტყაოსნის ბალმონტისეული თარგმანის შექმნის ისტორია და ბალმონტის საქართველოსთან ურთიერთობა. აი, რა გვაქვს ამასთან დაკავშირებით ნათქვამი წიგნის ხსენებულ მეოთხე გვერდზე: „... გამონაკლის შეადგენს სოლომონ იორდანიშვილის გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის ბალმონტისეული რუსული თარგმანი“, მაგრამ დიდი გულმოდგინებით შესრულებული ეს შრომა ძირითადად ვეფხისტყაოსნისა და ბალმონტისეული თარგმანის შედარებისას აღმოჩენილ განსხვავებებზე მიუთითებს. ავტორის² მიზანს არ შეადგენდა მკითხველისათვის იმ მასალის მიწოდება. რომელიც თარგმანის შექმნის ისტორიასა და ბალმონტის საქართველოსთან ურთიერთობაზე მეტყველებდა.

წინამდებარე (ე. ი. ჩვენს. — ლ. ა.) ნაშრომში განხილულია ის გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი მასალა, რომელიც შეიცავს ცნობებს ბალმონტზე, როგორც პოეტისა და მთარგმნელზე, საქართველოსთან, ქართულ კულტურასთან და ხალხთან მის კავშირზე“.

როგორც ხედავთ, აქ ნახსენებია ბალმონტისადმი მიძღვნილი ორი ნაშრომი. ისინი სხვადასხვა მიზანდასახულობისა არიან. ს. იორდანიშვილის ნა-

¹ გაზ. „კომუნისტი“, 29IX, 73 წ.

² ი. მეგრელიძე ვერ მხვდა, რომ აქ ჩვენს თავს არ ეველისებოდით.

შრომი იხილავს ბალმონტისეულ თარგმანს და მის მიზანს არ შეადგენს კვაჩვენოს „თარგმანის შექმნის ისტორია და ბალმონტის საქართველოსთან ურთიერთობა“, ხოლო ჩვენს წიგნში, რომელიც ეძღვნება მთარგმნელს, ეს საკითხები განხილულია და წიგნის მთელი შინაარსი ამის ცხადყოფას წარმოადგენს.

პროფ. ი. მეგრელიძემ ს. იორდანიშვილის ნაშრომის შესახებ ნათქვამ ჩვენს სიტყვებს მისამართი შეუტევა და ისინი ჩვენს წინააღმდეგ მომართა. ამგვარი ხერხით მკითხველი შეცდომაში შეიყვანა. რა უნდა ეწოდოს ასეთ, მეცნიერისათვის სრულიად შეუფერებელ საქციელს?

იბადება კითხვა: რამ აიძულა მეცნიერი ასეთი აშკარა სიყალბე ჩაედინა? ამ კითხვის პასუხი მისივე რეპლიკის შემდეგი სტრიქონებიდან მოჩანს (მოგვყავს ისინი ავტორის სტილის დაცვით): „ადრინდელ (1960, 1962, 1969 წ.) ნარკვევებში აღ. სვანიძისა და კ. ბალმონტის შესახებ ცალ-ცალკე ისიც გვაქვს აღნიშნული, რომ კ. ბალმონტი არა მხოლოდ მთარგმნელი, არამედ რუსთაველის შემოქმედების მკვლევარიც იყო (მისი თარგმანის წინასიტყვაობა და სხვა). ყოველივე ეს სათანადოდ ვერ გამოუყენებია ლია ანდლულაძეს...“. „ცნობები ლ. ანდლულაძეს (და სხვებსაც) აღ. სვანიძეზე ჩვენგან აქვს აღეპული“... „გაზშირდა შემთხვევები, პირველ წყაროზე, რომ არ მიუთითებენ“.

ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არაა, რა უფრო აწუხებს მოყვანილი სიტყვების ავტორს: ქეშმარიტების დადგენა და სარუცენზიო წიგნის აე-კარგის გამოკვლევა, თუ თვითრეკლამა და საკუთარ დამსახურებათა გაზვიადება!

ჩვენი „დანაშაული“ თურმე ის ყოფილა, რომ ვერ შევძელით ი. მეგრელიძის ნარკვევების, კერძოდ კი ბალმონტზე მისი აზრების „სათანადოდ გამოყენება“; გარდა ამისა, თურმე მისი „ნარკვევებიდან“ ავიღია ჩვენ (და სხვებსაც) ცნობა ისე, რომ პირველწყარო არ მოგვიხსენებია.

ვფიქრობთ, მკითხველსაც აინტერესებს ბალმონტის შესახებ დაწერილ რა ნარკვევებზე მიუთითებს ასე ფართოდ პროფ. ი. მეგრელიძე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ (და ამის შემოწმება ყველას ადვილად შეუძლია), რომ ი. მეგრელიძეს რაიმე მეცნიერული ნარკვევები კ. ბალმონტზე, როგორც ვეფხისტყაოსნის მთარგმნელსა და რუსთაველის შემოქმედების მკვლევარზე, არ შეუქმნია (თუ ბალმონტის სიტყვებისა და თარგმანის ციტირებას ბალმონტზე დაწერილ ნარკვევებზე არ მივიჩნევთ). ი. მეგრელიძეს ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს მხოლოდ ერთი, საცნობარო ჟანრის ოთხგვერდიანი შრომა „კონსტანტინე ბალმონტი“². კომპილაციური ხასიათის ეს პატარა წერილიც ისე დაუდევრადაა შედგენილი, რომ საკვსა შეცდომებით.

მაგალითად, მასში ნათქვამია: „კ. ბალმონტმა ჭერ კიდევ პარიზში თამარ ყანჩელის პწკარედით თარგმნა ვეფხისტყაოსნის 16 სტროფი“ („რუსთველოლოგები“, გვ. 242). სინამდვილეში, ბალმონტი თბილისში ჩამოსვლამდე არც იცნობდა თამარ ყანჩელს, ხოლო პოემის ყანჩელისეული პწკარედი კი პუნებაში არ არსებობს.

„1915 წლის ოქტომბერში, — წერს ი. მეგრელიძე, — ბალმონტი უკვე თბილისშია...“ სინამდვილეში, ბალმონტი პირველად თბილისში 1914 წლის აპრილში ჩამოვიდა.

² შესვლია წიგნში „რუსთველოლოგები“, თბ., 1970, გვ. 241—245.

ი. მეგრელიძეს სიტყვანაკლულად აქვს წარმოდგენილი ბალმონტის ლექსად ნათქვამი ფიცი.

ი. მეგრელიძე არასწორად აღნიშნავს, რომ „თარგმანში [ბალმონტს] გიგო დიასამიძე შევლის, ის მარჯორი უორდროპის თარგმანსაც იყენებს“. თუ შეველა გამოისატებოდა იმ შენიშვნებში, რომელსაც აძლევდნენ ბალმონტს ქართველი მეგობრები, ბალმონტს ასეთ დახმარებას უწევდა არა გიგო დიასამიძე, არამედ ყანჩელები და შალვა ქართველიშვილი. რაც შეეხება უორდროპის თარგმანს, ბალმონტს იგი, მეუნარგისაგან ფრანგული პწყარედის მიღებამდე (1915 წ.), პოემის გავების ძირითად წყაროდ ჰქონდა.

ასევე ითქმის ი. მეგრელიძის არაზუსტ გამოთქმაზე: ბალმონტი „ეწეოდა მთარგმნელობასაც“-ო. ბალმონტი ისეთივე დიდი მთარგმნელი იყო, როგორც პოეტი.

ბალმონტი საჭაროდ რუსთაველის შესახებ ლექსებს კი არა, როგორც ი. მეგრელიძე წერს, ლექციებს კითხულობდა. ა.რ. „ქართული ფოლკლორული მასალების მთარგმნელი და გამოქვეყნებელი“ შეიძლება ეწოდოს ბალმონტს იმის გამო, რომ მან თარგმნა ერთი ოდა თამარზე და ერთი ხალხური გადმოცემა რუსთაველზე.

ი. მეგრელიძის სტილის საილუსტრაციოდ მოგვაქვს ამონაწერი: „მისმა (კ. ბალმონტის. — ლ. ა.) დიდმა სახელმა, ლექციებმა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“ 1916 და შემდეგ წლებში, პოემის 1917, 1933 წლებში გამოქვეყნებულმა ბალმონტისეულმა თარგმანმა უდიდესი როლი ითამაშეს არა მარტო რუსთაველის და მისი პოემის, არამედ ქართული კულტურის რუსულად მტყვევლთა შორის(!) კიდევ უფრო გაპოპულარების საქმეში“(!) (გვ. 244).

„ჩანს, ავტორმა მეტი ვერ შეძლო, ... რიგი საინტერესო ცნობები გაიმეორა“, — წერს ი. მეგრელიძე ჩვენი ნაშრომის დასაკინებლად. ჩვენც ძალიან გვიკვირს, რომ თვითონ პროფესორმა იმდენივე ვერ შეძლო, რომ რიგი საინტერესო ცნობები უშეცდომოდ გაემეორებინა თავის ოთხგვერდიან ნარკვევში.

ი. მეგრელიძემ ბალმონტზე დაწერილი ეს ნარკვევი 1970 წელსაც გამოსცა⁴, გაასწორა მასში მხოლოდ ელენე ტარლოვსკაიას სახელი (იყო „ვ“) და „ლექსების“ ნაცვლად „ლექციები“ ჩაწერა. სხვა შეცდომები კი, ჩანს, მისთვის დღესაც კჭშარტიტების მნიშვნელობას ინარჩუნებენ, რაკი მათი „სათანადოდ“ გამოუყენებლობისა და მოუხსენებლობის გამო პროფ. ი. მეგრელიძე სიყალბის ჩადენასაც არ ერიდება. ჩვენ ასეთ „ნარკვევებს“ მემკვიდრეობად ვერ მივიღებდით, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი შრომა გამოცემლობას უფრო ადრე, 1967 წელს გადაეცა დასაბეჭდად.

ი. მეგრელიძე განსაკუთრებით თავმომწონეობს იმ ფაქტით, რომ იგი პირველად და სწორად მიუთითებს ალ. სვანიძეზე, როგორც ბალმონტისეული თარგმანის საბუკური (1936—1937 წწ.) გამოცემების რედაქტორსა და წინასიტყვაობის ავტორზე. ჩვენ კი, შეცდომით⁵, ალ. სვანიძეს პარიზული გამო-

⁴ პირველად დაიბეჭდა კრებულში „ქართული ფოლკლორი“, III, თბ., 1969, გვ. 186—189.

⁵ მსგავსი შეცდომისაგან ვერც პროფ. ი. მეგრელიძემ დააზღვია თავისი ნარკვევი (ვეფხისტყაოსნის ლექსიკის საკითხები, IX, კრებული „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთაველილოგიის საკითხები“, V, 1973, გვ. 51). ჩვენთან კამათის შედეგადაც ალ. სვანიძის რედაქტორულ ლეაწლს, შეცდომით, ახლა თვითონ მიაწერს 1935 წ. თბილისში ხელნაწერის უფლები გამოქვეყნებულ ბალმონტისეულ თარგმანს.

ცემის (1933 წ.) წინასიტყვაობას მივაწერთ. თუ ლოგიკას ანგარიშს გავუწევთ. ეს ფაქტი სწორედ იმის მოწმობაა, რომ ჩვენი წყარო ი. მეგრელიძის „ნარკვევები“ არ ყოფილა (წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ ავცდებოდით ამ უზუსტობას?!), მაგრამ რეცენზენტი ლოგიკას არ დაგიღვეთ და ცდილობს ეს ფაქტიც თვითრეკლამისთვის გამოიყენოს. ის ბრძანებს: „ცნობები ლ. ანდლულაძეს (და სხვებსაც) აღ. სვანიძეზე ჩვენგან აქვს აღებული“. რეცენზენტის ლოგიკით არ არსებობს არავითარი სხვა წყარო გარდა ი. მეგრელიძის „ნარკვევებისა“, და არავის არა აქვს უფლება დაუშვას თუნდაც შეცდომა, ოუ მისი „ნარკვევები“ პირველწყაროდ არ მოიხსენია!

ბალმონტისეული თარგმანისათვის წამძღვარებული ალექსანდრე სვანიძის წინასიტყვაობის შესახებ პროფ. ი. მეგრელიძეზე აღრე პოეტის ოჯახმა იცოდა; ამასთან, ი. მეგრელიძის „ნარკვევები“ ერთადერთი წყარო რომც ყოფილიყო, ისეთი პოპულარული ხასიათის წიგნში, როგორც ჩვენია, სქოლიოში მითითება მხოლოდ სხვათა ნააზრების და არა ცნობის გაზიარების დროს თუ შეგვეძლო.

პროფ. ი. მეგრელიძის აწრით ჩვენი წიგნის სათაურში ერი პიროვნებასთან ერთ სიბრტყეზეა წარმოდგენილი. ამ საკითხზე დავის დროს რეცენზენტს უნდა გახსენებოდა, რომ ამგვარი სათაურების ტრადიცია დიდი ხანია არსებობს ჩვენში. ჩვენი წიგნის სათაურშიც და შინაარსშიც ისეთი პიროვნებაა წამოწეული, რომელიც უცხოთა შორის ყველაზე მეტად სცემდა პატივს ჩვენს ერს და ჩვენც ეს წიგნი ჩვენი ქვეყნისა და მის მოყვასთაღმი სიყვარულმა დაგვაწერინა. პროფ. ი. მეგრელიძეს ეს, იქნება სხვა შემთხვევაში გამოსადეგი, შენიშვნა ჩვენს წინააღმდეგ მომართული რეპლიკის დასამძიმებლად უფრო დასკირდა. ამავე მიზეზით მოიხმო მან აქ მწერალი-აკადემიკოსის კ. გამსახურდიას ავტორიტეტიც.

პირველწყაროთა მიუთითებლობით მეცნიერული ეთიკის დარღვევას ი. მეგრელიძე მხოლოდ სხვათა ნაშრომებში რატომ უნდა ამჩნევდეს?!

ჩვენც შეგვიინიშნავს, რომ თავის ნარკვევებში სხვათა მიგნებებს იგი ზოგჯერ ავტორივით გვთავაზობს.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, ჩვენი მიზანი არ იყო პაექრობა გავემართა კოლეგასთან, რომლის დაუსრუტელ ენერგიას კეთილი საქმე შეჰფერის. მით უფრო დასანანი, რომ მას უპირატესად სხვათა შეცდომების მხილებაზე დადარაჯებულს ვხედავთ.

ჩვენ მზად ვართ გავიზიაროთ ყველა საყურადღებო შენიშვნა, რომლებიც წიგნის სასარგებლო იქნება, მაგრამ გვაპატიონ, თუ გადაჭრით უკუუვადებთ ისეთ კრიტიკას, რომელსაც საერთო არა აქვს რა ჰემარიტების დადგენასთან.

ლია ანდლულაძე

ქ რ ო ნ ი კ ა დ ა ო ნ ფ (ო რ მ ბ ა ტ ი ა)

მ ი მ ძ ლ ე ნ ა ა კ ა დ . ბ . ჟ ი რ ე თ ლ ი ს დ ა ბ ა დ ე ბ ი ს 7 0 წ ლ ი ს ტ ა ვ ს

1974 წლის ოქტომბრის თვეში ქართულმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა აკად. გ. წერეთლის დაბადების 70 წლისთავი. ევროპოდ, ამ თარიღს მიეძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საღამო, რომელიც ჩატარდა 24 ოქტომბერს. საღამო შეაჯავლი სიტყვით გახსნა მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ი. აბაშიძემ. აკად. გ. წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა პროფ. თ. გამყრელიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები ს. ყაუხჩიშვილი, ა. ბარამიძე, შ. ძიძიგური და კ. წერეთელი.

1974 წ. 28—29 ოქტომბერს აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა აღნიშნულ თარიღს მიუძღვნა სამეცნიერო სესია, რომელზედაც წაითხულ იქნა 15 მოხსენება.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მოხსენება მიეძღვნა „ბერძნული სიტყვების აქამდე უცნობ მნიშვნელობას“ ნათარგმნი ქართული ძეგლების მიხედვით. შავალითად: 1) ἄνευχευατος, რომელიც ჩვეულებრივ ნიშნავს „ეისაც უსამართლოდ მოექცენენ“, გაგებულია (1 მეფ. 13,4) როგორც „დაწუნებული“; 2) ἄνευχευατος ნიშნავს „შშიშარას“. მაგრამ ქართული მასალებით შელავნდება მისი მნიშვნელობა „მოსყიდული“. ფლავიუსის ტექსტში გვაქვს: ἄνευχευατος ἄνευχευατος ἄνευχευατος „საქმართა მერც მომედგარებული წარვიდა“.

პროფ. ვ. შეტრეველი შეეხო იერუსალიმურ ხელნაწერებში დაეცულ ცნობებს გაბრიელ შეპანელის შესახებ. ამ ცნობების ანალიზის საფუძველზე გაარკვია, რომ გაბრიელ შეპანელი, ტფილელ-ყოფილი, XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა, უმცროსი თანამედროვე ჭერის მონასტრის მამულებლის გიორგი-პროხორესი. იერუსალიმში ჩასული გაბრიელი იწყებს მოღვაწეობას ჭერის მონასტერში და ამ მონასტრის კრებულის საპატიო წევრი ხდება. შემდეგ ის მიდის შეპანის უღაბნოში, რომელიც ტრანსიორდანიში მღებარეობს არნონის ცოლისა და უღაბნოს მახლობლად. აქ მას „გაუშენებია შეპანის უღაბნო“. საფიქრებელია, აუშენებია მონასტერი ან სენაკები შეპანის ქართველთა მშობისათვის. შეპანის უღაბნოში თავი მოიყარა ქართულმა კრებულმა, რომელიც ზრუნავდა ამ „ახალშენის“ წიგნებით (ხელნაწერებით) გამდიდრებაზე. დღემდე უცნობ „შეპანის უღაბნოს“ ამ სკრიპტორიუმში გადაწერილმა მხოლოდ ერთმა ხელნაწერმა მოაღწია ჩვენამდე. შეპანის უღაბნოს კრებულს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჭერის მონასტრის კრებულთან როგორც გიორგი-პროხორეს სიციხულში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ. მომხსენებლის ვარაუდით, გიორგი-პროხორემ თავისი უკანასკნელი წლები სწორედ შეპანის ამ ქართულ საეპარქიო კავარა.

პროფ. კ. წერეთელმა წაითხა მოხსენება „ერთი სუპრასემენტური ფონემის შესახებ თანამედროვე სემიოტიკ ენებში“. თანამედროვე სემიოტიკ ენებში (არაბული, არამეული) ფონოლოგიურ სისტემათა აღწერისას ხშირად ვეღარ ვხვდებით საერთოსემიოტიკური (resp. ელასიკური სემიოტიკი) კონსონანტიზმისათვის დამახასიათებელ რიგ ბგერებს, როგორცაა ფარინგალური (C და Ḥ) და ფარინგალიზებული, ვ. წ. ემფატური, თანხმოვნები. არსებული სისტემის მხოლოდ ისტორიული ანალიზი იძლევა საფუძველს ამა თუ იმ შემთხვევაში ფარინგალი თუ ემფატური ელასიკულით, რამდენადაც ფონემათა შორის ოდესღაც არსებული ოპოზიცია „ემფატური“: „არამფატური“ მოიპოვა. „ემფატური თანხმოვნები“ „არამფატურების“ მიმართ მარკირებული იყვნენ. ეს მარკერი „ემფაზი“ იყო. დროთა განმავლობაში ემფატურმა თანხმოვნებმა დაკარგეს წ. წ. რომელიც, თუმცა სემიოტიკური ფონემებს ჩამოშორდა, მაგრამ სიტყვას, როგორც ერთ მთლიანს, ზემოდან დაედო. ამის შედეგად მივიღეთ დაპირისპირება „ემფატური სიტყვებისა“ - „არამფატურ სიტყვებთან“. ასეთ შემთხვევაში „ემფაზი“ ცალკეული ფონემის ნიშანი კი არ არის, არამედ მთელი სიტყ-

ლებიც აელენენ გარკვეულ მსგავსებას სემიტურ *qṣm* და *qam* ნიშნებთან. ძველი ქართული ასომთავრული ანბანი შეიქმნა ძირითადად არქაული ბერძნული დამწერლობის საფუძველზე, ამ უკანასკნელის ანბანურ პროტოტიპად გამოყენების შედეგად. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა ტიპოლოგიურად ანბანთა იმავე ჯგუფს განეკუთვნება, რაც ბერძნულ სისტემაზე დამყარებული კობტური, გუთური, სომხური და მოკვიანებით შექმნილი სლავური ანბანური დამწერლობები.

დოქ. მ. შანიძის მოხსენების თემა: „სემასიოლოგიის ზოგი საკითხი ძველი ქართულის ნათარგმნი ძეგლების ლექსიკის მიხედვით“. განხილულია ის სემანტიკური ცვლილებები, რომლებიც შეიმჩნევა ნათარგმნ ძეგლებში ცალკეულ სიტყვათა თარგმნისას და ნახევრებია ზოგიერთი ასეთი ცვლილების მიზეზი. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ სიტყვის არასწორი გავება: ებრ. ר'עם „გარეული ხარი“ სებატუაგინტის *μαρμαρα* — შდრ. „მარტო-ჩქა“, *მისიქსიო* ფს. 28,6. *καραν* *Procavia syriaca* „მანჯი“ — შდრ. სხვადასხვა თარგმანი ბერძნულში: *γαιμαρμα* (ვანსაზღვრული ჯგუფის ტექსტებში), *καρα* და *λαγας* „ქურდულ-ლი“, ქართული თარგმანი ფს. 103,18 უკანასკნელს მისდევს, ისევე როგორც *μαρμαρα* სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობათა თარგმნისას, რასაც ზოგიერთ ქართულ ტექსტების შემთხვევაში მათი წარმოშობის გასარკვევად აქვს მნიშვნელობა.

- lehem 'პური' < სირ. ma'ku'la — ჩხროკიორ „საქმელ“
< შერას — „პური“ (გიორგი მთაწმ.) ფს. 41,2 ძვ. ვერსიები.
- rūah 'სული, ქარი' < სირ. rūḥa — ჩიოქ „ქარი“ 102,15 (ძვ. ვერსიები)
< რუსეა — „სული“ (ვ. მთაწმ.).

ლინგვისტური თვალსაზრისით სინტერესოა პოლისემიურ სიტყვათა მნიშვნელობის კალკირება თარგმანის ენაში, მაგ. *μαρμαρα* სიტყვის მნიშვნელობათა შესაბამისად ქართულ თარგმანებში „ძალ“ სიტყვის დადასტურება არა მარტო „ძალის“, არამედ „სასწაულისა“ და „აზრის“ მნიშვნელობით.

ისტ. მეცნ. დოქტორის მ. სეანიძის მოხსენება მიეძღვნა ახალიციის საფაშოში გავრცელებულ საკუთრების ფორმას — „ჩიფთლიქებს“. გამოვლენილი არის საკუთრების ამ ფორმის შინაარსი, შედარებულია საკუთრების ანალოგიურ ფორმებთან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, დადგენილია მათი მსგავსება-განსხვავებანი.

პროფ. ა. გვახარიას მოხსენების თემა იყო „ბალაგარიანის“ სპარსული ევრსიების შესახებ. „ბალაგარიანის“ არაბული, ქართული, ბერძნული ევრსიების შესახებ დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა შეიქმნა, თუმცა რიგი საკითხებისა ჯერ კიდევ დავის იწვევს. შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი „ბალაგარიანის“ სპარსული ევრსიები. მოხსენებაში წარმოდგენილია ცდა მათი აღწერისა და მოკლე დახასიათებისა, შედარებით ვრცელადაა განხილული სობოლსური ნუსხა (ხელნ. ინსტ. P 540). მისი შესავლიდან ირკვევა დრო არაბულიდან თარგმნისას (XII ს.) და მთარგმნელის ვინაობა. მთელი რიგი დეტალებით იგი უფრო ახლოს დგას ქართულ ევრსიასთან, ვიდრე ცნობილი ბომბეის ტექსტით.

პროფ. ს. ჭიჭიას მოხსენება მიეძღვნა ბაგრატიან ტაძრის ნანგრევებზე აღმოჩენილი ებრაული წარწერის (1739/40 წ.) გამოთრევასა და ინტერპრეტაციას. წარწერაში მოხსენიებული პირი — ჰასან კიკიანი ხშირად იხსენიება იმერეთისადმი განკუთვნილ დოკუმენტებში და ისეთ კონტექსტში, რომ იგი უნდა ყოფილიყო იმ დროის საზოგადოებრიობაში ფრიად გავლენიანი მოქალაქე.

ისტ. მეცნ. დოქტორის ალ. მენთეშაშვილის მოხსენების თემა იყო „ქართულ-პოლიტიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის ისტორიიდან“. ქუთთი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზრდის ეპოქა და მსოფლიო ომებს შორის პერიოდი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეტაპს. ამ ხანაში განმათავისუფლებელ მოძრაობათა ბაზაზე ქუთთა საზოგადოებაში ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული ძვრები მოხდა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ქართული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის აღმოცენებასა და განვითარებას. მათ აგრეთვე შექმნეს ისეთი ობიექტური პირობები, რომლებიც აადვილებდნენ მთელი ქუთთი ხალხის ეროვნულ კონსოლიდაციას, ერთიანი ქუთთი ერის ჩამოყალიბებას. ქუთთებს შორის ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტული გრძნობების ვალეფებაში დიდი როლი შეასრულეს პირველმა ქართულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რომელთა ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ

XX ს. დასაწყისში. აქედან მოყოლებული ქურთების ცალკეულ აქანებებს თურქეთში, ირანსა და ერაყში წარმართავენ ქურთთა პოლიტიკური პარტიები: „პოიბუნი“ („დამოუკიდებლობა“), „პიეა“ („მედი“), „რიზგარი“ („თაყისუფლება“), „შორიში“ („რეეოლუცია“), „იყეთი საბათ“ („ბრძოლის ერთობა“), „კომალაი ეიანე ქურდისტან“ („ქურთისტანის აღორძინების კომიტეტი“), რომელთა ბაზაზე ჯერ ირანში, ხოლო შემდეგ ერაყში შეიქმნა ქურთების ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია — „ქურთისტანის დემოკრატიული პარტია“.

ლოც. ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ი ს მოხსენება მიეძღვნა „სამანის ცნობებს საქართველოს შესახებ“. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ XI—XII სს. თბილისში მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად დიდად ყოფილა განვითარებული ღვთისმეტყველება და პაღისისმცოდნეობა. ამ დარგების გამოჩენილ სპეციალისტთა შორის ყოფილან ქართველებიც, მგალითად, „ქურჩის“ (ქართველი) სახელით ცნობილი ფირუზ იბნ აბდალლამ ალ-ქურჩი (XII ს.). შეიძლება ქართველი იყოს მუჰამად იბნ ბაჰან ათ-თიფლისი (თბილისელი), რომლის შესახებ სამანი მუთთიებს, რომ იგი თბილისის მკვიდრია.

ლოც. მ. ნ ე დ ო ს პ ა ს ო ე ა შეეხო რამდენიმე ტერმინს არაბული სახარებიდან, რომლებიც ან უესო წარმოშობის არიან, ანდა წარმოადგენენ სემანტიკურ კალკებს, მიღებულს სხვა ენების გავლენით: *ingil* — „სახარება“ < ბერძნ. *εὐαγγέλιον* // *bišaratun* — „სახარება“ < ივიე ბერძ. სიტყვის თარგმანი; არაბ. *kuwwatun* — „ძალა, ღონე“ — „სასწაულის“ მნიშვნელობა შიილა სირ. *ḫēla* -ს გავლენით, რომელიც კ. ბროკელმანის აზრით, თავის მხრივ, ნასესხებია ბერძნულიდან (< *βήρυξ*); არაბ. *ḡahid* — „მოწმე, მოწამე“ < არამ. < ბერძ. *μαρτυρ*. სპეციალისტთა აზრით, არაბ. *mazmūr* „ფსალმუნი“ ებრაულიდანაა ნაქსებები. მომხსენებლის ვარაუდით, არაბ. *mazmūr* მომდინარეობს სირ. *mazmūrā* -დან, რომელმაც ბერძნ. *μαζμῦν* -ის გავლენით „სიმღერისა და ხობის“ გარდა „სალამურზე, ფლეიტაზე დაკრის“ მნიშვნელობაც შეიძინა, ხოლო არაბ. *mazmūr* -ისათვის ძირითადი მნიშვნელობა სწორედ „სალამურზე დაკრა“ არის.

პროფ. ჟ. გ ი ე ლ ს შ ე ი ლ ი ს მოხსენება მიეძღვნა ტერმინ „ამირბარის“ წარმოშობასა და მნიშვნელობას. გაერკვლებულია მოსაზრება, რომ რუსთველის „ამირბარი“ მომდინარეობს არაბულ-სპარსულ-„ამირ-ბაპრ“-იდან და ნიშნავს „დაპირაღს, ზღვათა ვაზირს“. ტერმინი „ამირ-ბაპრ“ პირველად დასტურდება არაბი ისტორიკოსის აბუ-ალ-მასასინ თაღრიზირლის „ეგვიპტის ისტორიაში“ (XV ს.) „ნახსადგურის ინტენდანტის“ მნიშვნელობით. რუსთველის „ამირბარი“ გულისხმობს სპ. „ამირ-ბპრ“-ს „დიდ ჰაქიზს“. „ამირთა შორის უძლიერეს ამირას“, რომელიც განაგებდა მეფის კარის შინაგანაწესს, ჯარის დაფინანსებასა და მატერიალური უზრუნველყოფის საქმეს. ხშირად ჯარის სარდლისა და ამირბარის თანამდებობები ერთ პიროვნებას ეკავა.

მეფხისტყაოსნის აქადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში*

1974 წ. 5 მაისი

სდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განისილეს სტროფები: 221; 222; 223; 224; 224,1; 225; 226; 227; 228; 228,1; 229; 230 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ე. გერტიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა); 231; 231.1; 232; 233; 234 (პროექტი მოამზადეს ს. ცაიშვილმა, მ. ანთაძემ, ვ. არაბულმა, ნ. კოტეტიშვილმა, თ. ცქიტიშვილმა).

221 ავთანდილს უკუიხს: „ამბავი ისი თუ ეცნაო მე რითა?!”
გათენდა, ქალი გამოდგა, მოსილი მითვე ფერითა.
შავსა აუდუა ლავანი, სწმედდა რიღისა წუერითა,
და შეკანმა. მოაქუს აბჯარი წყნარად, არ რამე ჩხერითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 222) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მ-ლებულ იქნა.

222 მის მოყმისა წესი იყო, მეტსა თურე არას ეჯდა.
ქალი ტირს და მკერდსა იცემს, თმისა ტვერსა გაიგლეჯდა:
ერთმანერთისა მოეხტიენეს, აყოცა და ცხენსა შეჯდა;
და ასმათ. აგრე დაღრეჯილი, კულა უფრორე დაიღრეჯდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 223) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: გაუგებარია პირველ ტაეში თუ რე (=თურმე) ნაწილაკი. ავტორის მეტყველებაში იგი მოულოდნელია.

ს. ცაიშვილი: თუ რე-ს არსებობა აქ იმით არის გამართლებული, რომ ტაეში პერსონაჟის (ავთანდილის) თვალსაზრისითა გადმოცემული.

ე. მეტრეველი: თუ ეჭდ-ს ეანეხილათ როგორც ეჭ სახელისგან ნაწარმოებ ზნნას, ვუგებარია არას. მოსალოდნელი იყო გექონოდა არა ეჭდა.

ი. გიგინეიშვილი: უარყოფითი ნაცუალსახელის მიცემითი (არას) ამ ტაეში, მართლაც, ეხსენებია. რაც შეეხება მეტსა ფორმას, შეიძლება დაეუშვათ, რომ ის აქ ზმნიხედური მნიშვნელობით არის ნახმარი, და ამდენად მისი არსებობა ამ კონტექსტში გამართლებული ჩანს. მეტსა თურე არა ეჭდა სავებით მისალები ფრაზა იქნებოდა, სადმე რომ იყოს დადასტურებული ხელნაწერებში.

შ. ძიძიგური: ეჭდა იგივე უნდა იყოს, რაც ეჭდა (არას ეჭდა = არაფერს უჭდა). შეიძლება აღინიშნოს ქართულ სალიტერატურო ძეგლებში ამ ზნნის - და ე-პრეფიქსიანი ფორმები (იჭდა, ეჭდა) არ დასტურდებოდეს, მაგრამ ამან არ უნდა დაგვარბილოს. ამ უკანასკნელ დროს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოვლინდა მრავალი შემთხვევა ძველი ქართული ენის ძეგლებში გვიანდელად მიჩნეული ფორმების ხმარებისა. უნდა ვითვქროთ, რომ ეჭდა რეალური წარმოება იყო რუსთველისდროინდელ ხალხურ მეტყველებაში და პოეტმა ამოატივიტა იგი, როცა რითმისთვის დასჭირდა ასეთი ფორმა.

გ. კარტოზია: საეკოა, რომ ეჭდა იყოს ჯდა ზნნის რელატიური ფორმა. იჭდა, ეჭდა ფორმები ქართულში გვიანდელი გაჩენილია. შეიძლება დაეუშვათ, რომ ტექსტში ამოსაეალი წყითხვა იყო არა ეჭდა (სადაც ეჭდა ეჭ-ისაგან ნაწარმოები ნასახლარი ზნნა). გვიანდელი ხანის ვადამწერებმა ეჭდა ალბათ გაიგეს ჯდა ზნნის რელატიურ ფორმად და ამის შესაბამისად „გამართეს“ ტექსტი: უარყოფითი არა ნაწილაკი მიცემითში დასმულ ნაცუალსახელად გადააყეთეს.

დაადგინეს: დარჩეს წყითხვა მეტსა თურე არას ეჭდა. ნახევარტაეპის აზრა ასე უნდა გავიფიქროთ: თურმე მეტს არაფერს უჭდა (მომხრენი: ა. ბარამიძე, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური; წინააღმდეგი — გ. კარტოზია; ი. გიგინეიშვილმა თავი შეიკავა).

* ეაკრძელება. დასაწიეი იხ. „მაცნე“, 1974, №№ 3, 4.

223 ავთანდილ ახლოს კულა ნახა სახე მისივე, კაცისა,
ულუაშაშლილი, წქერგამო. „ნუთუ მზეაო, თქუა. ცისა?“
ყნოსა სული ალვისა, ქართაგან მონათაცისა;

და ასრე უჩნს მოკლე ლომისა, მართ ვითა ლომსა — ვაცისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 224) შედარებით პროექტში ცვლილება: უჩნს (უჩს).
შ. ძივიგურის წინადადებით, მეორე ტაეპში ავტორისეული თქუა ტირებით გამოიყო.
ამასთან ტაეპის ბოლოს დაისვა ძახილის ნიშანი: „ნუთუ მზეაო, — თქუა, — ცისა!“

224 მასვე გზას წამოვიდა, რომე გუშინ შეეარა.

შამში გაელო, გაემორა, თაჲი მინდორს გააგარა;

ავთანდილ სჭურეტს გაქტირებით, მალვით ხესა ზეჟფარა,

და თქუა. თუ: „ღმერთმან ესე საქმე მეტად კარგად მომიგუარა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 225) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მეორე ტაეპის ბოლოს წერტილ-მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილი.

224.1 ავთანდილ თქუა: „ჟამად ვოვეე, ვრბოდი ვისთჲის სურვილითა.

მისგან კიდე მომსახურე, ვნახო, ჰყვანდეს ნუთუ ვითა,

ნუთუ რასაც მოველოდე, მითხრას ამან მე ამბოთა,

და თუარა მე ვარ იგი ლომი, რომე მკეთებ მოვსრავ კრმლითა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 316) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: მოველოდე (მოველოდე), თუარა (არა); მძიმეა დასწული პირველი ტაეპის ბოლოს (წერტილ-მძიმის ნაცვლად) და მეორე ტაეპის ბოლოს (ორწერტილის ნაცვლად); სტროფის ბოლოს წერტილია კითხვის ნიშნის ნაცვლად.

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მეორე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილ-მძიმე.

225 აწ ამას ჩემთჲის ღმრთისაგან სხუა საქმე რა ვაჯობინო?

ქალი შევიპყრა, მის ყმისა ამბავი ვაამბობინო.

ჩემითა უთხრა ყუელაი, მართალი გაუბარკობინო.

და მას ყმასა კრმალი არა ვკრა, არც მისი დაჯისობინო“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 226) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძემ, ი. გიგინეიშვილმა, ე. მეტრეველმა მეოთხე ტაეპში უპირატესობა მისცეს ხელნაწერთა დიდ ნაწილში დადასტურებულ წაკითხვას: არ ცა მას და ვასობინო.

ე. მეტრეველმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ და ვასობინო უკეთესია რითმის თვალსაზრისითაც. შტრ. დანარჩენი ტაეპების სართომო სიტყვები: რა ვაჯობინო, ვაამბობინო, გაუბარკობინო.

უ. კიკვიძეს, ს. ცაიშვილს, გ. კარტოზიას მიანიათ, რომ ტექსტში უნდა დარჩეს და ვასობინო — კაუზატორის სათავისა ქვეყის იშვიათი ფორმა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: არ ცა მას და ვასობინო.

226 ჩამოვიდა, ცხენი აქსნა, მისგან ხესა გამომბული.

ზედა შეჯდა, გაემართა, ქებაი დახუდა კარგახშული.

მუნით ქალი გამოიჭრა გულმდღარე, ცრემლდასხმული,

და ეგონა. თუ: დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლბამული.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 227) შედარებით პროექტში ცვლილება: კარგახშული (კარ-განხშული). პროექტი მიღებულ იქნა.

227 ვერ იცნა. — სახე არ ჰგვანდა მისი მის ყმისა სახესა. —

ფიცხლა გაიქცა, მიმართა ზახილით კლუესა და ხესა;

ყმა გარდაიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა;

და ქმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთსახესა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 228) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ხელნაწერებში დადასტურებულ წაკითხვას ფიცხლა ვარიანტებში უნდა მოეშალოს კვალიფიკაცია გვიანდ. (= გვიანდელი), რადგან ავ ამ სიტყვაში უძველესი სუფიქსია.

უ. კიკვიძე: ფიცხლა ვარიანტის კვალიფიკაცია, როგორც გვიანდელისა, მართებულია, რადგან კომისიის სალექსიკონო მასალა მოწმობს, რომ ფიცხლა ადრინდელ ძეგლებში არ დასტურდება.

გ. კარტოზია: ფიცხლაეში ავ სუფიკსის გამოყოფა არ შეიძლება უდავოდ იქნეს მიჩნეული: შეიძლება ვ აქ - ვე ნაწილაკის ნაშთი იყოს. რადგან საერთო სადავოა, აჯობებს, ვარიანტებში ფიცხლაე ფორმასთან მოიშალოს კვალიფიკაცია (გვიანდელი), მაგრამ შენიშვნებში თქვას, რომ რუსთაველისდრინდელ ძეგლებში გავრცელებულია ამ სიტყვის ორი ფორმა — ფიცხლა და ფიცხლად, ფიცხლავ კი გვიანდელ ტექსტებშია დადასტურებული.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

228 მას ვმასა თავი არ მისცა, ჰურეტადცა ებილწებოდა, ვითა კაკაბი არწივსა ქქეშე მი და მო კრთებოდა, ტარიელს ვისმე უზახხდა მწედ, თუჯა არ ემწებოდა, და ავთანდილ მუქლთა უყრიდა, თითითა ეხუჭეწებოდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 229) შედარებით პროექტში ცვლილება: კრთებოდა (ძრწებოდა).

შ. ძიძიგური: მეორე ტაეში ნაცულად პროექტში წარმოდგენილი კ რ თ ე ბ ო ლ ა ზ მ ნ ი - ს ა უ ნ დ ა ა ლ დ გ ე ს ძ რ წ ე ბ ო ლ ა . როგორც ვერსიფიკატორულად, ისე სემასიოლოგიურად ც რ წ ე ბ ო ლ ა - ს უ ნ დ ა ბ ი ე ტ ე ს უ პ რ ა ტ ე ს ო ბ ა : რითმა უფრო ღრმა არის და მეტი ექსპრესიისა გამოხატული.

უ. ციციძე: როცა კ რ თ ე ბ ო ლ ა - ს მ ი ა ნ ი ა უ პ რ ა ტ ე ს ო ბ ა , პროექტის მომზადებელი წგუფა იმ ვარაუდით ხელმძღვანელობდა, რომ უფრო საფიქრებელია დაუშვათ კ რ თ ე ბ ო ლ ა > ძ რ წ ე ბ ო ლ ა (რითმის გამდიდრების მიზნით!), ვიდრე პირიქით.

შ. ძიძიგური: ძ რ წ ე ბ ო ლ ა > კ რ თ ე ბ ო ლ ა ი მ ის შედეგი უნდა იყოს, რომ ძ რ წ ო ლ ა უ ფ რ ო ი შ ვ ი ა თ ა დ ი ხ მ ა რ ე ბ ა ე ნ ა მ ო , ვ ი დ რ ე კ რ თ ო მ ა .

ს. ცაიშვილი: ტაეში ძ რ წ ე ბ ო ლ ა უ ე ჯ უ თ ს ი ა ა ლ ტ რ ა ც ი ა ი ს თ ე ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ა ე . შ დ რ . არწივსა ქქეშე... ძრწებოდა.

დაადგინეს: მეორე ტაეში აღდგეს ძ რ წ ე ბ ო ლ ა .

228.1 ქალი ეიოდა, ტირილით კმასა მოსცემდა მთა ვითა, უზახის: „ლომო ტარიელ!“ არ იყო ამაღ ზავითა. ავთანდილ ეტყუის: „ნუ შმაგობ, ნუ ხარ ცნობითა ავითა, და ღარიბი უადგილოსა მოვალ მართ ოდენ თავითა“

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 321) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ეიოდა, ტირილით კმასა მოსცემდა (ეიოდა ტირილით, ხმასა მოსცემდეს); „ლომო ტარიელ!“ („ლომო, ტარიელ“); მოვალ (მოველ); წერტილ-მძიმის ნაცულად პირველი ტაევის ბოლოს მძიმეა დასმული, მეორე ტაევის ბოლოს — წერტილი.

ი. გიგინეიშვილი: მეორე ტაეში შესაცვლელია პუნქტუაცია: უზახის, „ლომო ტარიელ“, არ იყო ამაღ ზავითა.

გ. კარტოზია: მეოთხე ტაეში უნდა აღდგეს წაკითხვა შ ო ე ე ლ , რასაც მხარს უჭერს კონტექსტი და პოემის რედაქციითა უმრავლესობა.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადებები.

229 ეტყოდა: „სულე! რამე გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი, უფეროქმნილნი მინახვან ვარდნი და ისი იანი, მისი რა მითხარ, ვინ არის ტანსარო, პირბაქმიანი? და სხუად არას გიზამ, ნუ გემის, ნუ პყივი ავრე კმიანი“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 230) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეში ე ი ნ მიმართებითი ნაკვალსახელია და არა კითხვით. ამიტომ ტაევის ბოლოს კითხვის ნიშნის ნაცულად მძიმე უნდა დაისვას.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება, ამასთან პირველი ტაევის ბოლოს მძიმე შეცვალა ჯ ა - ხ ო ლ ის ნ ი შ ნ ი თ .

230 ქალი ეტყოდა ტირილით, სარჩელი უგავს ბრჭობასა: „თუ არ შმაგი ხარ, დამეკსენ; შმაგი ხარ, მოდი ცნობასა! აწ მეტად ძნელსა საქმესა მწუკვე აღვილად თხრობასა; და ცუდად ნუ სცოები, ნუ ელი მავა ამბისა მბობასა!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 231) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

შ. ძიძიგური: მეორე ტაევის მეორე ნახევარი უკავშირო კრული ექვეყობილი წინადადება, სადაც გამოტოვებული თ უ კ ა ე შ ი რ ის მ ა გ ი ე რ ო ბ ა ს ს წ ე ე ს ი ნ ტ რ ო ნ ა ც ი ა . ეს ნაბეჭდ ტექსტ-

შეი უნდა აისახოს — დაქვემდებარებული წინადადების შემდეგ დაისევს კითხვის ნიშანი: შმა-
გი ხარ? მოდი ცნობას!

ი. გიგინეიშვილი: რთული ქვეყნობილი წინადადების გაკეთთა კითხვის ნიშნით გაუმართ-
ლებელია.

დაადგინეს: ტაეში პუნქტუაცია უცელებლად დარჩეს.

ა. ბარამიძე: მეოთხე ტაეში ნაცელებლად პროექტში წარმოადგენილი წაითხვისა ა მ ბ ის ა
მ ბ ო ბ ა ს ა უნდა მივიღოთ მთელ რიგ ხელნაწერში დამოწმებული ა მ ბ ის ა ც ნ ო ბ ა ს ა.
ა მ ბ ის ც ნ ო ბ ა ჩვეულებრივი თქვაა პოემაში. ა მ ბ ის მ ბ ო ბ ის საწინააღმდეგოდ ისიც
შეტყულებს, რომ წინა ტაეშიც თხრობაზეა ლაპარაკი.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაითხვა ა მ ბ ის ა ც ნ ო ბ ა ს ა.

231 კულა ეტუტის: „ყმაო, რა გინდა, ანუ მენუეე მე რასა?

მაგა საქმესა ვერა იქს ვერცა კალამი წერასა.

შენ ერთხელ იტყვი, «მითხარო», მე ასჯერ გითხრობ ვერასა».

და ვითა სიცილი ტირილსა, მიჯობს ვაგლახი მღერასა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 232) შედარებით პროექტში შემდეგი ცელილება: იქს
(იქმს), მიჯობს ვაგლახი (ვაგლახი მიჯობს).

ი. გიგინეიშვილი: მეორე ტაეში საქმესა ფორმის ნაცელებლად მოსალოდნელი იყო
გვეწონოდა საქმისა ან საქმისას.

ს. ცაიშვილი: ტაეის წაითხვა აღრეც გამზღარა დავის საგანი. ზოგიერთ გამოცემაში
კონიექტურაც (საქმისა) მიიღეს. მაგრამ ამგვარი სწორება საჭირო არ არის, ტაეში გვაქვს
ძველი სინტაქსური კონსტრუქცია.

გ. კარტოზია: ამგვარი ძველი კონსტრუქცია (სახეზმნის მიერ სახელის მიცემითში მარ-
თვა) პოემაში სხვაგანაც დასტურდება. შღრ., მაგ., წყულუსა, მისგან დაკოლილსა, მასვე
აილ-უც განკურნება (1440); წყულუსა განკურნება და არა წყულუსა განკურნება.
დაადგინეს: დარჩეს წაითხვა საქმესა.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეში პირველი ნახევარი შინაარსობრივად ეწინააღმდეგება
მეორე ნახევარს. საჭიროა გასწორდეს ზოგიერთი ხელნაწერისა და გამოცემის მიხედვით:
ვითა ტირილი სიცილსა...

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

231.1 ყმა ეტუტის: „ხედავ, სისხლისა თქალთა მდის ცრემლთა წყალები.

დრო გამიგრძელდა, მიშვირდა, მაწინა მით აწყალები.

ვიცი, არ მომელაე, ღარიბი ღარიბსა შეგეწყალები:

და მაგა ამბითა დამივსე ცეცხლისა მე აწყალები”.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 325) შედარებით პროექტში ცელილება: ამბითა (ამბ-
ვითა). პროექტი მიღებულ იქნა.

232 „ქალო, არ იცი, სით მოვალ, რა ჰირნი მომითმენიან,

ოდიოთან ვეძებ ამბავთა, ესე არვისგან მსმენიან;

შენ მიპოენიხარ, სიტყუანი ჩემნი რაზომცა გვეყენიან,

და ვერ დაგვესნეხი, მიაშბე, ჩემგან ნულარა გრცხუენიან!”

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 233) შედარებით პროექტში ცელილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

233 ქალმან უთხრა: „რას შეგესწარ, მე ვინ ვარ და ანუ შენო?

მზე არ მასლავს, შეგეტყუების, თრთუილო, ასრე მით მაწყენო!

გრძელი სიტყუა საწყინოა, ასრე მოკლედ მოვაკესნო:

და ვერასათუის ჯერ გიაშობა, რაცა ვინდა, იგი ქმენო!”

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 234) შედარებით პროექტში ცელილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

234 კულაცა ჰკითხა ზენარობით, მიუყარა მუკლნი წინა.

მაგრა ვერა ვერ დაჰყარა, მუდარობა მოეყენია.

პირსა ზედა გაგულისდა, თქალთა სისხლი მოედინა,

და აღგა, თმათა წამოზიდნა, ყელსა დანა დააბრჯინა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 235) შედარებით პროექტში ცელილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

1974 წ. 17 მაისი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მერტველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროვები: 234,1; 235; 236; 236,1; 237; 238; 239 (პროექტი მოამზადეს ს. ცაიშვილმა, მ. ანთაძემ, გ. არაბულმა, ნ. კოტერაშვილმა, თ. ცქიტიშვილმა); 240; 241; 242; 243; 244; 245; 246; 247; 248; 238,1; 247,1; 247,2 (პროექტი მოამზადეს ვ. კარტოზიამ, ე. ბილანიშვილმა, ლ. კეკელიძემ, მ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელოძემ).

234.1 ყმისა შეყვრიბა ასმათი, ყელსა აბჯინებს დანასა.

რას ერჩი, ვარდი დაზრეია, იგ კიდეე უფრო დანასა.

„მითხარ, ვინ არის იგი ყმა?“ — ჰკითხვდა ამისთანასა.

და „არას ვიციყო“, იგ ვინშე პატიჯი [ათი ანასა].

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 328¹) შედარებით პროექტში ცვლილება: რას ერჩი, (რას ერჩი?—). პროექტი მიღებულ იქნა.

235 ეგრე უთხრა: „შე უფომი ჯაერი ვითა შეგარჩინო.

რაგუარა თუ ამატირო, ცრემლი ცუდად დამადინო?

გიჯობს, მითხრა, ამის მეტი მართ აღარა არ გაწყინო,

და თუარა, ღმერთმან მტერი ჩემი მოკლას, ვითა მოგაქუდინო!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 236) შედარებით პროექტში ცვლილება: პირველ ტაქვის ბოლოს მძიმეა კითხვის ნიშნის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

236 ქალმან უთხრა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად აგი:

თუ არ მომკლავ, არ მოვეუღებე, მრთული ვარ და მოუკლავი.

რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ჳირთა უნსაევი?

და კულა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას ზედა თაეი.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 237) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

236.1 უთხრა, თუ: „ლომო აეთანდილ, შეიქენ ელვაკროთმითა;

თუ მომკლავ, დამქსნი სოფელსა, ეგ მიჯობს ბერის ჳომითა;

არ ვიცი, ფიფქო, მით მაწუენ, მიპოვე მზე წაქდომითა;

და შენებრი კაცი ჩემს მეტსა ვერვის უდარებს ომითა.“

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 331) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: უთხრა, თუ: „ლომო აეთანდილ (უთხრა თუ: „ლომო, აეთანდილ), ჩემს მეტსა (ჩემგ მეტსა).

გ. კარტოზია: მეორე ტაქვში მზედ ტარიელი იჯულისმება. ამიტომ მ მ ზ ე წ ა ქ დ ო მ ი თ ა ტ რ ა ს ი ტ ე ა დ (კომპოზიტად) უნდა გაეკოთ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაითხვა მ მ ზ ე წ ა ქ დ ო მ ი თ ა .

237 კულა ეტყუის: „ყმაო, რად მოვე, ვინ მეუბნები მე, ვინო?

ეგე ამბაეი ცოცხალსა ენითა ვერ მათქმევინო!

შე თაეი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკლევინო,

ღა ვითა უსტარი ბედითი ადვილად დაჯახევინო.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 238) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

238 ჩემი სიუდილი შენ ჩემად პატიჟად ნურად გგონია,

მით რომე დამქსნი ტირილსა, შემშრების ცრემლთა ფონია;

ჩალად მიჩნს ყოელი სოფელი, მისთიუსე შემიწონია.

და ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტყუანი მისანდონია?“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 239) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ჩინს (მიჩნს). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მესამე ტაქვის ბოლოს წერტილის ნაცვლად ჳაიუა წერტილ-მძიმე.

239 ყმამან თქუა, თუ: „არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა,

სხუასა რასმე მოგონება სჯობს, საქმისა გამორჩევა.“

გაუშუა და ცალკე დაჯდა, ტირს, დაიწყო ცრემლთა ფრქვევა.

და ქალსა უთხრა: „გაგარისხე, აწ, არ ვიცი, ვით დავრჩე, ვა!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 240) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციის წევრებმა იმსჯელეს მესამე ტაქვში და ი წ ყ ო ჳ მ ნ ის ვ არ ი ა ნ ტ რ უ ლ წ ა ი თ ბ ე

ეგზე. ი. გვიგინიშვილი, კერძოდ, აღნიშნა, რომ საყურადღებოა ხელნაწერებში დაცული კითხვა დაუწყო, რომელიც შეიძლება გაევიფთ არა სამპირიან ზნადა (დაუწყო ავთანდილმა ცრემლებს ფრქვევა), არამედ ორიპირიანად (დაუწყო ავთანდილს ცრემლების ფრქვევა).

დაადგინეს: ქარქერობით დარჩეს დაიწყო ფორმა. შემდგომში კვლად დაუბრუნდო დაიწყო / დაუწყო ზნათა ხმარების საკითხს აქ და სხვა სტრუქტურებში.

ი. გვიგინიშვილი: მეოთხე ტაეში ნაცვლად არ ვიცო-სა უნდა მივიღოთ რიგ ხელნაწერში არსებული წაკითხვა ესე თქუი. ესე თქუი უფრო გადსწორდებოდა ვიცი-დ, ეიდრე პირიქით.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: აწ ესე თქუი, ვით დავრჩე, ვა!

ი. გვიგინიშვილი: ამეუე ტაეის ბოლოს ვა-ს ნაცვლად უნდა დაიწეროს ვაჰ.

რედაქციის წევრები არ დაეთანხმნენ ამ წინადადებას, რადგან შორისდებულსავე იოტის მიწერა დაარღვევს რითმას (ცვა).

დაადგინეს: დარჩეს ვა. შენიშვნებში აღინიშნოს, რომ სხვა შემთხვევებში მიღებულ გვაქვს ვაჰ, მაგრამ აქ რითმის გამო ეწეროთ ვა-ს.

240 ქალი დაუჯდა კუმტგარად, ქუშობს. ჯეროთ არ დამტკპარია: ავთანდილ ქქე ზის ტირილად, აღარას მოუბარია: ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია.

და კულა იქით ქალი ატრიადა. მისთვის გულნაღმობარია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 241) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გვიგინიშვილი: პირველ ტაეში საჭიროა სიტყვები გადასეთ: ქარ ქუშობს... დამტკპარია. ამით რიტმი გაიძარბება: გრამატიკული პაუზა დემონსტრირება რიტმულს.

შ. ძიძიგური: სიტყვათა გადასმა დაარღვევს ტაეის აზრს. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ზათი ქუშობს, ქერ არ არის დამტკპარო.

ა. ბარამიძე და ს. ცაიშვილი შენიშნეს, რომ პოემაში ბეჭედი იმის მავალით, გრამატიკული პაუზა არ ემთხვევა რიტმულს.

დაადგინეს: ტაეის წაკითხვა უცვლელად დარჩეს.

241 ყმა მტირალი შეებრალა, ამაღ ცრემლნი ცხელნი ლუარნა. მაგრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა: ყმაშან ცნა, თუ: „გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყნარნა“.

და ცრემლდენილი შეეხუწა, ადგა, მუქლნი მიუყარნა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 242) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ექტი მიღებულ იქნა.

242 უთხრა: „ვიცი, აღარ ვარგხარ შენ აწ ჩემად დასადობლად, გაგარისხე, დარჩომილვარ ღარიბად და ამაღ ობლად: აწ ვგრეცა თაეი ჩემი დამიუ შენთვის დასანდობლად, და ამაღ რომე შეცოდება შეიღვზის თქმულა შესანდობლად.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 243) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

243 თაეი ჩემი სამსახურად თუცა ავად მოგაწონე, მიჯნურისა შეებრალება ქამს, ესეცა გაიგონე! სხუანით ყოფლგნით უღონო ვარ, არვიან არის ჩემი ღონე: და სულთა მოგცემ გულისათვის, სხუა მეტიმცა რა ვაქონე!”

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 244) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: რე ტაეის ბოლოს ძახილის ნიშნა წერტილ-ძიძის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

244 რა ქალსა მიხუდა ყმისაგან მიჯნურობისა სმინება, გულამოხუინჩით დაიწყო ასეცთა ცრემლთა დინება, ქულა გაამალდა ზახილით ტირილი, არგაცინება, და ავთანდილს ღმერთმან წადილი მისცა, გულისა ღხინება.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 245) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ეცთა (ასეცად).

ა. ბარამიძე: მესამე ტაეში გაამალდა უნდა შეიცვალოს ყველა რედაქციის ხელნაწერებში დაღასტურებული გაამალდა ზნით.

ც. კიკვიძე: გაამალდა აქ უფრო შესაფერია, რადგან გაამალდა... არ გადგება უხერხული თქმა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაქოხება გაამარჯვლა.

245 იტყუის, თუ: „ამა სიტყუითა მას ფერი შეეცვალვის, ვისთვისმე ხელი უცილოდ, მას ცრული ემალმალვის“. კლა უთხრა: „დაო, მიჯნური მტერთაცა შეებრალვის; და ესეცა იცი, სიქდილსა თუთ ეძებს, არ ეკრძალვის.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 246) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. ვიგინიშვილი: მეორე ტაეის ტექსტი სწორად არის წარმოდგენილი პროექტში. ვის-ვისმე ხელი უცილოდ ნომინატიური წინადადება, ამიტომ არ არის საჭირო ხელი სიტყვის გადაკეთება ცხელი-დ, რასაც ვხვდებით ზოგიერთ გამოცემაში. ოღონდ პირველი ტაეის ბოლოს მძიმის ნაცვლად წერტილი უნდა დაისვას.

ე. მებრეველი: პირველი და მეორე ტაეის გათიშვა არ შეიძლება: ისინი ერთმანეთთან არანადაკავშირებელი.

დაადგინეს: ტაეის წაქოხება დარჩეს უცვლელად.

246 ვარ მიჯნური, ხელი ვინმე, გაუძღვებლად სულთა დგმისად; ჩემთან მუხთან გამოშგზავნა საქებარად იმა ყმისად; ღრუბელიცა ვერ მიხნდების, მე მისრულვარ სადა, მი-, საღ!

და გული თქუნი მიპონია, მისი შენად, შენი მისად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 247) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

247 მისი სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოვხატე. მისთვის ხელმან, გამოჭრილმან ღხინი ჩემი ვალქატე. ორისაგან ერთი მიყავ: ტუტუქვენ ანუ მათატე.

და ან მაცოცხლე, ანუ მომკალ, ჰირი ჰირსა მომიმატე“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 248) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა:

ხელმან, გამოჭრილმან ღხინი (ხელმან, გამოჭრილმან, ღხინი). პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის წევრები შეთანხმდნენ, რომ შემდგომ სტუდენტურად იმსჯელებენ ტყუენ-სა და მისი მსგავსი რთული ზმნების დაწერილობის თაობაზე.

248 ქალმან უთხრა ყმასა სიტყუა პირველისა უამესი:

„ვემ სიტყუა მოიგონე დია რამე უკეთესი.

წელან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა ჩამოსთვისი.

და აწ მოყუარე გიპონივარ, დისაგანცა უფრო დესი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 249) შედარებით შემდეგი ცვლილებაა: ჩამოსთვისი (წამოსთვისი).

გ. კარტოხია აღნიშნა, რომ შთაშო პრევერბი მხოლოდ ამ ადგილას გვხვდება პოემის ტექსტში. სხვაგან ყველგან ჩამო და ჩა პრევერბები გვაქვს. ამასთან ამ სტროფშიც რედაქციათა უმრავლესობა ჩამო-ს უჭერს მხარს.

პროექტი მიღებულ იქნა.

შემდეგ რედაქციამ განიხილა სამი ჩანართი სტროფი, რომლებიც პროექტში 248,1—249,3 ნომრით მოყვება განხილულ ტექსტს.

ა. ბარამიძე შენიშნა, რომ ეს სტროფები უადგილო ადგილას არის ჩართული. აქ ისინი არღვევენ თხრობის თანმიმდევრობას. მთი ადგილი უფრო წინ არის: პირველი სტროფისა — მკათის მოღმობიერების აღწერამდე, დანარჩენი ორისა კი — მანამ, სანამ „პირველისა უამეს სიტყუას“ ეტყვის.

დაადგინეს: სტროფები გადაადგილდეს და მიეკეთენოს ნომრები: 238,1; 247,1; 247,2.

238.1 „რაცაღა ხარ, ვერ მაცოცხლებ. გარდიქვევი კმელთა ქველად;

დაკარგულნი ვინმე სადით ვიარებით მარტო ველად;

მე ვისთვისმე ნაცვლად ღმერთმან მიმცა ცეცხლთა დასაწველად;

და მალედ მომკალ, დამკუნე წუასა, მიმეც მკეტთა შესაჭმელად!“

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 344) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მე-სამე ტაეის ბოლოს წერტილ-მძიმეა მძიმის ნაცვლად, მეოთხე ტაეის ბოლოს წერტილის ნაცვლად დასმულია ძხილის ნიშანი და ბრჭყალები. პროექტი მიღებულ იქნა.

247.1 „ჩემსა თავსა მიჯნურობა მართალია, არ ნაჭორად;

ჩემი ვერა ვერ მოკიდე, მეუბნები მარდსა სწორად;

ვინცა აქა გამოშგზავნა, არავინ მიჩნს მისად სწორად.

და მისგან კიდე სხუა მნათობი შევაწონე ერთ-ღრამ-ორად.

სტროფი მხოლოდ B² ნუსხაშია (აშიაზება მიწერილი და პირველი სტრიქონი ჩამოჭრილია). დაბეჭდილია წიგნში: სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა. თბ., 1959, გვ. 327. აქ დაბეჭდილ ტექსტთან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მოესრულეარ (მოესრულეარ), ლალები (ლალები), გდის (გდის); დანამუ-ლია ბრკელები და სხვა სახეები ნიშნები.

პროექტი მიღებულ იქნა.

250 აწ რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა დამშორჩილდები,

რასაცა ეძებ, მიხუდები უცილოდ, არ ასცილდები;

თუ არ მომისმენ, ვერ კოეებ, რაზომცა ცრემლსა მილდები,

და მოგხუდების მღურვა სოფლისა, მოკელები, გა-ცა-სწილდები”

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 251) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მეორე ტაეპში, ა. ბარამიძის წინადადებით, მძიმე გაღასვა: რასაცა ეძებ, მიხუდები, უცილოდ არ ასცილდები.

251 ყმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხუასა:

ორნი კაცნი მოდიოდეს სადაურნი სადმე გზასა,

უკანმან წინა ნახა ჩაყარდნილი შიგან ჭასა,

და ზედ მიადგა, ჩაჰყოლა, ტირს, იზახის ვაკლახ-ვასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 252) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

252 ეგრე უთხრა: «ამხანავო, იყავ მანდა, მომიცდიდე,

წყალ თოყთა მოსასმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე;

შას ქუეშეთსა გაეცინეს, გაუქორდა მტად კიდე.

და შემოჰყვილა: «არ გელოდე, სად გაგეკე, სად წაიდე?»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 253) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მეორე ტაეპის ბოლოს წერტილ-ძიმის ნაცვლად წერტილი დაისვა.

253 აწ, დარ, შენთა კელთაა ჩემი საბელი ყელისა,

რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა,

სხუად უღონოა უშენოდ ჩემი აყრობა კელისა,

და თუარა ვისმც ექმნა გუარლითა შეკრვა თვისა მრთელისა!”

საიუბილეო გამოცემასთან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: აღგოშენაც-ლებულია მეორე და მესამე ტაეპი.

პროექტი მიღებულ იქნა.

254 ქალმან უთხრა: „მომეწონა, ყმარ, შენი ნაუბარი.

ხარ უცილოდ კარგი ვინმე, მოყმე, ბრძენთა საქებარი;

ხარ ვინათგან აქანამდის მაგა ჭირთა დამთმობარი,

და რაცა გითხრა, მომისმინე, გიპოუნია საქებარი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 255) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

255 იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოუნების;

თუთი თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიკსოუნების;

მოილოდინე, მოვიდეს, რაზომცა დაეყოუნების,

და დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვენების.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 256) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: იპოუნების (იპოუნების), დაიკსოუნების (დაიკოუნების), დაეყოუნების (დაეყოუნების).

რედაქციამ აღადგინა წაკითხვა და გეყოუნების, რომელიც ხელნაწერთა (და რედაქციითა) უმრავლესობაშია დატული. ტაეპის აზრია: ტარელის მოსვლამდე დაიყადე, რაც უნდა დაეყოუნდე (დაგაგვიანდეს).

ც. კეკელიძის მიზანია, რომ აქ უმჯობესია წაკითხვა დაეყოუნების. ტაეპის აზრი კი ასე ვსმის: დაიყადე, რაც უნდა დაგვიანდეს ტარელს. შდრ. აწვე მოვა, არა ვიცი, თუ დაეყოუნების დიდსა ხანსა. 257.

255,1 ყმამან უთხრა: „ვარდო, დაჭნი, დრო მოვიდა შენის ზრვისა”.

ერთმანერთსა მოხუტიუნეს, ცრემლით კოცუნენ სახე-პირსა;

ასამთ ტირის სისხლის ცრემლსა, ტვერი შექნა ნათხნის თმისა.

და იგი ტირან სოფლისათვის და სოფელი მათთვის ტირისა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 356) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

256 გითხრა, თუ ცოდნა გწადიან ჩქენისა შენ სახელისა:
ტარიელ არის სახელი იმა მოყმისა ხელისა;
მე ასმათ მჭიან, რომელსა წაა მაქტს ცეცხლისა ცხელისა,
და სულთქმა სულთქმისა ბერისა. მაშა თუ არ ერთხელისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 257) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: პირველ ტაეში ჩქენისას ნაცვალ უპირატესობა უნდა მიენიჭოს რიგ ხელნაწერში დადასტურებულ მისისა ფორმას. მისისა > ჩქენისა აიხსნება იმით, რომ ასმათი შენდგე თავის სახელსაც ეუბნება ავთანდილს.

ს. ცაიშვილი: ტექსტში უნდა დარჩეს ჩქენისა, რომელიც რედაქციათა უმრავლესობაშია წარმოდგენილი (მისისა მხოლოდ C რედაქციის ნუსხებში და B²-ში გვაქვს). რადგან მომდევნო ტაეში ტარიელზეა ლაპარაკი, გადაწერებმა, ალბათ, ამიტომ გადააქეთეს ჩქენი მისაღ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა მისისა.

257 ამის მტესა ვერას გითხრობ მე სიტყუასა ამისთანსა:
ისი მინდორს არონინებს ტანსა მტერთა მემაჯანსა,
ეკამ. გლახ, მარტო ნადირისა მისგან ქორცსა მონატანსა,
და აწვე მოვა. არა ვიცი, თუ დაჰყოვნის დიდსა ხანსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 258) შედარებით პროექტში ცვლილებაა: ტანსა მტერთა მემაჯანსა (ტანსა მვეერსა, მემაჯანსა).

გ. კარტოზია: ტექსტში უნდა აღდგეს წაკითხვა: ტანსა მჭევრსა, მემაჯანსა. ტარიელის ვარაუდობა არა მარტო მტერთა, არამედ, საერთოდ, ყველას დამაბუნებელი იყო (მდრ. მსგავსი გამოთქმა: ფრიდონ დადგა, ყმა [ავთანდილი] წაიქა, შემხედველთა მკლეელი ტანი. 1012). ამ კონტექსტში, სადაც დამაბუნებაზეა ლაპარაკი, მვეერსა > მტერთა უფრო სავარაუდოა, ვიდრე მტერთა > მვეერსა.

ე. მებრეველმა, ა. ბარამიძემ, ს. ცაიშვილმა შენიშნეს, რომ მტერთა მემაჯანს ხზარს უჭერს ხელნაწერთა (რედაქციათა) უმრავლესობა. ამასთან საყურადღებოა, რომ „შაპნამეში“, რომელიც XV—XVI საუკუნეთა ძეგლია, გვაქვს გამოთქმა მტერთა მემაჯანო, რაც „ეფთხისტაოსნის“ გაულებზე მიუთითებს და იმას მოწმობს, რომ ეს წაკითხვა პოემაში ძველია.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა მტერთა მემაჯანსა.

258 ამას გვედრებ. მოიყადო, თავი სხტაგან არსად არო;
რა მოვიდეს, შევეხუწო, ნუთუ ვით რა მოვაგუარო.
ერთმანერთსა შეგამეცნე, თავი შენი შევაყუარო,
და თუთი გიამბოს საქმე მისი, საყუარელსა გაახარო”.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 259) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მეორე ტაეპის ბოლოს მძიმეა წერტილ-მძიმის ნაცვალ. პროექტი მიღებულ იქნა.

შემდეგ ვახსილულ იქნა სამი ჩანართი სტროფი (1956 წლის გამოცემით: 360, 361, 362), რომლებიც 258,1—258,3 ნომრით იყო წარმოდგენილი პროექტში. რედაქციის წვერებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ აქ ტარიელის ტირილი და ასმათთან საუბარია გადმოცემული. აღენდა ეს სტროფებიც (აღრე ვახსილული 238,1; 247,1—247,3 სტროფების მსგავსად) თავის ადგილას არ არის ხელნაწერებში. რედაქციამ, ა. ბარამიძის წინადადებით, დაადგინა: სტროფები გადატანილ იქნეს ტარიელისა და ასმათის საუბრის სცენაში.